

თამაზ კილურაძე

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის  
ადრესამიწათმოქმედო კულტურის  
პერიოდიზაცია

ნაშრომი ეძღვნება უკანასკნელ წლებში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოვლენილი უძველესი ნასოფლარების შესწავლას, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პერიოდს — შწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-განვითარების ხანას განეკუთვნება.

ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის, ე. წ. შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ერთიანი პერიოდიზაციის შემუშავების ცდას. ამასთანავე, გაშუქებულია სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, როგორცაა კულტურისა და მისი ლოკალური ვარიანტების განსაზღვრა, აბსოლუტური დათარიღება, მისი ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისადმი მიეკუთვნება, დასაეღეთ ამიერკავკასიის ნეოლითთან, წინააზიურ სამყაროსთან კავშირ-ურთიერთობა და სხვა.

ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნული პერიოდით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს.

## შენსაკალი

დაბეჭივებით შეიძლება ითქვას, რომ მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა ე. წ. ნეოლითური რევოლუცია, მისი განვითარების ხასიათი, გზები, ფორმები და შედეგები დღეისათვის მსოფლიო არქეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო და აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. ეს პროცესი, რომელმაც დასაბამი დაუდო ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში მომხდარ მართლაც რევოლუციურ ცვლილებებს, ინტენსიურად შეისწავლება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. მის კვლევას გლობალური ხასიათი აქვს<sup>1</sup>. ბოლო წლებში ამ ხანის არაერთი ძეგლი თუ კულტურა იქნა გამოვლენილი. მათ რიგს მიეკუთვნება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მიკვლეული ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებიც, რომელიც მწარმოებლური მეურნეობის ერთ-ერთ უადრეს კერად გვევლინება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ცნობილია, რომ 40-იანი წლების დასაწყისში ბ. კუფტინმა გამოავლინა მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც მან ენეოლითურად განსაზღვრა<sup>2</sup>. 60-იანი წლების დასაწყისში ახალი მასალისა და მონაცემების დაგროვებამ საშუალება მისცა მთელ რიგ მკვლევარებს დაახლოებით ერთდროულად მისულიყვნენ აზრამდე, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ადრებრინჯაოს ხანას ეკუთვნის<sup>3</sup>. შეიქმნა გარკვეული ჰიატუსი კავკასიაში კულტურის განვითარების ქრონოლოგიურ სქემაში. ენეოლითური კულტურის ადგილი დაიჭირა იმ დროისათვის ერთადერთი გათხრილი ძეგლით წარმოდგენილმა ახალმა კულტურამ, ე. წ. ქიულ-თეფეს კულტურამ. იმ დროისათვის ლოგიკური იყო, და ასეც მოხდა, რომ ეს ახლადგამოვლენილი კულტურა ქრონოლოგიურად მტკვარ-არაქსის კულტურისათვის (რომლის აბსოლუტური თარიღი — ძვ. წ. III ათასწლეული — არ შეცვლილა) დაეკავშირებინათ და მისი ასაკი ძვ. წ. IV ათასწ-

<sup>1</sup> В. М. Массон, Средняя Азия и Древний Восток, М.-Л., 1964; Е го же, Поселение Джейту (Проблема становления производящей экономики), МИА, № 180, Л., 1971; J. M e l l a r t, Earliest Civilizations of the Near East, London, 1965; Ю. Е. Б е р е з к и н, Начало земледелия на геруанском побережье, СА, 1969, № 1; В. И. Г у л я е в, Древнейшие цивилизации Мезоамерики, М., 1971; е го же, Идолы прячутся в джунглях, М., 1972.

<sup>2</sup> Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триглетн. Тбилиси, 1941, гз. 106; მ ი ს ი ვ ე, Урартский «колумбарий» у подшвы Арарата и Куро-Аракский энеолит, ВГМГ, т. XIII-В, Тбилиси, 1944.

<sup>3</sup> ა ლ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. დ ლ ო ნ ტ ი, ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1954—1958 წლებში X VII უბანზე (ქვაბულები) ჩატარებული მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის VII სამეცნიერო სესია, მი.სენებათა თეზისები.

წლებული განსახლებრათ; ამავე დროს, ქიულ-თეფეს I ფენის კულტურა გვიანენეოლოთურად მიეჩნიათ<sup>4</sup>.

ქიულ-თეფეს I ფენის აღმოჩენამდე კი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში „მტკვარ-არაქსის ენეოლითი“ ითვლებოდა მიწათმოქმედ ტომთა უადრეს კულტურად. ბ. კეუტანი ჯერ კიდევ 1941 წ. წერდა, რომ სამხრეთ კავკასიის წინასიტობისა და ეთნოგენეზის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად უნდა დაისახოს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის შესწავლა და მისი წარმოშობის წყაროს მიგნება<sup>5</sup>. 1964 წელს კი ე. კრუპნოვი მიუთითებდა, რომ კავკასიის არქეოლოგიის მეტად აუცლებელი და გადაუდებელი პრობლემაა „მტკვარ-არაქსის“ წინაურ ხანის ძეგლების — ნამდვილი ენეოლითისა და ნეოლითის, და აგრეთვე, მწარმოებლური მეურნეობის ადრეული ფორმების შესწავლა<sup>6</sup>. როგორც მართებულად მიუთითებს რ. მუნჩაევი, კავკასიის და, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებისა თუ უადრესი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კავკასიური კერის პრობლემის შესწავლასთან დაკავშირებულია არა მარტო კავკასიის, არამედ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უძველესი ისტორიის რიგი კარდინალური საკითხები გადაჭრა<sup>7</sup>.

60-იანი წლების დასაწყისიდან კავკასიის არქეოლოგიაში ახალი ეტაპი იწყება — ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ საქართველოში და ბოლოს სომხეთში თავი იჩინა ახალი, მანამდე უცნობი კულტურის ძეგლებმა. ახალი ძეგლები გარკვეულად ემსგავსებოდნენ ქიულ-თეფეს I ფენის კულტურას, მაგრამ მთელი რიგი ნიშნებით განსხვავდებოდნენ მისგანაც — მათ აღსანიშნავად გაჩნდა ახალი ცნებები — „შომუ-თეფეს კულტურა“, „შულავერის კულტურა“ და სხვა.

ამ ახალმა აღმოჩენებმა მთელი რიგი ახალი პრობლემები დააყენა კავკასიის არქეოლოგიის წინაშე. გაირკვა, რომ ახლად აღმოჩენილი ძეგლების უმეტესობა (თუ მთლიანად არა) ძვ. წ. V ათასწლეულს ეკუთვნის; აგრეთვე, რომ ახლად გამოვლენილი კულტურის არსებობის დიაპაზონი დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავდა, რადგანაც ზოგ ძეგლზე 10 მ სიმძლავრის ფენები მხოლოდ წინამტკვარარაქსული ხანის კულტურას ეკუთვნოდა. გარკვეული აზრთა სხვაობა შეიქმნა ამ ძეგლების ეტაპობრივი ნომენკლატურის განსაზღვრაში და ა. შ. ამავე დროს გამოჩნდა, რომ ახლად გამოვლენილ ადრესამიწათმოქმედო ძეგლებს გარკვეული შეხვედრის წერტილები ჰქონდა წინააზიის მაღალგანვითარებულ სინქრონულ კულტურებთან.

ყოველივე აღნიშნული მოითხოვდა მასალის დაგროვებას, და უკვე არსებული მონაცემების დეტალურად დამუშავებას. ამ მხრივ ახალგამოვლენილი

თბილისი, 1959, გვ. 4; А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток в IV—III тыс. до н. э., КСИА, 93, М., 1963; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубнишвили, Историческое значение Южного Кавказа в III тыс. до н. э., СА, 1963, № 3.

<sup>4</sup> А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი; ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 27—57.

<sup>5</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 123.

<sup>6</sup> Е. И. Крупнов, Некоторые нерешенные вопросы первобытной археологии, Кавказа, КСИА, 98, М., 1964, გვ. 3—8; მისივე, Древнейшая культура Кавказа и кавказская этническая общность, СА, 1964, № 1, გვ. 41.

<sup>7</sup> Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы (V—III тыс. до н. э.), автореферат дисс. на соискание уч. степ. доктора исторических наук, Тбилиси 1971, გვ. 2.



კულტურის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ა. იესენმა, ო. აბბულაევმა, ი. ნარიჰანოვმა, ო. ჭაფარიძემ, ა. ჭავჭავიძემ, ტ. ჩუბინი-შვილმა, რ. მუნჩაიევმა, კ. კუშნაროვამ, ა. მარტიროსიანმა, რ. ტოროსიანმა და სხვებმა. მათ აღმოაჩინეს არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელთა შესწავლას მიუძღვნეს მრავალი კერძო თუ განუზოგადებელი ხასიათის გამოკვლევა (იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი I).

მიუხედავად ამისა, ახლადგამოვლენილი კულტურის მთელი რაგი პრობლემებისა ჯერ კიდევ შორს არის გადაწყვეტისაგან ან სუსტადაა გაშუქებული.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ასეთი — ნაკლებად დამუშავებული საკითხების შესწავლას ეძღვნება, რომელთა შორის ძირითადი ადგილი უკავია ამ კულტურის ერთიანი პერიოდიზაციის შემუშავების ცდას.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხის გადაჭრა ყოველი არქეოლოგიური კულტურის შესწავლის უპირველესი და უმთავრესი ამოცანაა, რადგანაც ყოველგვარი განუზოგადების ცდა საფუძველშივე მცდარი იქნება თუ იგი სათანადოდ დამუშავებულ პერიოდიზაციასა და ქრონოლოგიას არ ეყრდნობა.

ამგვარად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაციის საკითხი მეტად აქტუალურია, მაგრამ სადღეისოდ ნაკლებად შესწავლილი. ამავე დროს ახალი, მრავალრიცხოვანი მასალის დაგროვების საფუძველზე პერიოდიზაციის შემუშავების საკითხი უკვე მომწიფდა. ამიტომ, ჩვენი კვლევის ძირითად მიზნად სწორედ იგი დავისახეთ; ამასთანავე შევეხეთ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებსაც, როგორცაა საკვლევი კულტურა და მისი ლოკალური ვარიანტების, ანსოლუტური დათარიღებისა თუ ეტაპობრივი ნომენკლატურის საკითხები და ა. შ.

ნაშრომში ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს ისეთ მნიშვნელოვან და კარგად სტრატოფიციურებულ ძეგლებს, როგორცაა შულავერის გორა, იმირის გორა და ხრამის დიდი გორა; ასევე სათანადოდ ადგილი აქვს მიჩენილი არუხლო I და აზერბაიჯანისა და სომხეთის საკვლევი პერიოდის ძეგლებს. მთელი ამ მასალის ერთობლიობაში შესწავლის შედეგად პირველად არის შედგენილი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაციის ერთიანი სქემა.

ნაშრომში წარმოდგენილი გრაფიკული ილუსტრაციები შეასრულეს ა. ამბრიაშვილმა, ზ. ფოცხიშვილმა, ე. ჯობაძემ და მ. ჭიქურიშვილმა, ხოლო ფოტო-ტაბულები — ვ. სავინმა და ი. ლუკაშვილმა, რომელთაც მადლობას მოვასხენებთ.

ესარგებლობთ რა შემთხვევით, მადლობა გვინდა გადავუხადოთ პროფ. ო. ჭაფარიძეს, დოც. დ. თუშაბრამიშვილს, ისტორიის მეცნ. კანდიდატს შ. დედაბრიშვილს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების მთელ კოლექტივს და განსაკუთრებით კი ჩვენს რედაქტორს ალ. ჭავჭავიშვილს, რომელთა არაერთმა სასარგებლო რჩევამ უდიდესი სამსახური გაუწვია ავტორს წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის დროს.

**აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო  
კვლავის აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია**

ვიდრე ძეგლების დახასიათებასა და საკითხის განხილვას შევხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მაინც გადმოვცეთ მთლიანად აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ხანის ძეგლების აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია.

პირველი ძეგლი, რომლის გათხრითაც ფაქტიურად დაიწყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრესამიწათმოქმედო ხანის შესწავლა, იყო ნახიქევანის ქიულ-თეფეს ქვედა ფენა<sup>1</sup>. მის აღმოჩენამდე, მთლიანად თუ არა, ძირითადად მაინც, „მტკვარ-არაქსის ენეოლითი“ ითვლებოდა ამ ტერიტორიაზე არსებულ უადრეს მკვიდრად მოზინადრე მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა კულტურად<sup>2</sup>.

ქიულ-თეფეზე გათხრები 1951 წელს დაიწყო. 1955 წელს ერთ-ერთი თხრილი ყამირამდე იქნა დაყვანილი. გაირკვა, რომ კულტურულ ფენათა სიმძლავრე 21,10 მ-ს უდრიდა. ძეგლის ნათელი სტრატოგრაფია 4 ძირითადი ფენის გამოყოფის საშუალებას იძლეოდა. ორი ზედა ფენის — ადრეკინისა და ბრინჯაოს ხანის — საერთო სიმძლავრე 3,5—4,5 მეტრია, რომლის ქვევით იწყებოდა 8,5—9,5 მ სისქის „მტკვარ-არაქსის“ ფენა.

12,80 მ ნიშნულიდან ქვევით მდებარეობდა უფრო ადრეული ხანის მძლავრი ფენა — 8,5—9 მ სისქისა (რომელიც თავდაპირველად IV იყო, შემდეგში კი გადანომრილ იქნა I-ად)<sup>3</sup>. ამ ფენის მასალები განსხვავდებოდა როგორც მტკვარ-არაქსულთა, ისე მანამდე ცნობილი ყველა სხვა კულტურისაგან<sup>4</sup>, და II ფენისაგან გამოყოფილი იყო 15—20, ზოგან კი 30—40 სმ სისქის სტერილური ფენით.

შემდეგ, 1956—1959 წლებში, აზერბაიჯანის ექსპედიციის მიერ, მილისა

<sup>1</sup> О. А. А б и б у л л а е в, Раскопки холма Кюль-Тепе близ Нахичевани в 1955 г., МИА, 67, М.-Л., 1959, გვ. 445; А. А. И е с с е н, Азербайджанская (Оренкалинская) экспедиция, МИА, 67, გვ. 13.

<sup>2</sup> Б. А. К у ф т и н, Урартский «колумбарий»..., გვ. 127; А. А. И е с с е н, Азербайджанская экспедиция в 1956 году, КСИИМК, вып. 73, 1959, გვ. 79; Е г о ж е, Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, МИА, 125, 1965, გვ. 11.

<sup>3</sup> О. А. А б и б у л л а е в, Некоторые итоги изучения холма Кюль-тепе в Азербайджане, СА, 1963, № 3, გვ. 157.

<sup>4</sup> О. А. А б и б у л л а е в, Раскопки холма Кюль-тепе близ Нахичевани в 1955 г., გვ. 445—452; е г о ж е, Некоторые итоги... გვ. 157—163; А. А. И е с с е н, Азербайджанская экспедиция в 1956 г., გვ. 79.

და ყარაბაღის ველზე, დაზვერეების შედეგად, მიკვლევულ იქნა რამდენიმე ძეგლი<sup>5</sup>, რომლებიც ა. იესენმა ქიულ-თეფეს I ფენის კულტურას მიაკუთვნა<sup>6</sup>.

ცოტა მოგვიანებით ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანშიც გამოვლინდა მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი ხანის ძეგლები. ერთ-ერთ მათგანზე, ბაბადერვისის ერთ ბორცვზე (აღსტაფაჩაის ნამოსახლარი), ძველი ნასოფლარი დაფარული იყო „მტკვარ-არაქსის“ ფენით. ძეგლი აღმოჩენილ იქნა 1958 წ<sup>7</sup>.

შემდეგ წლებში მცირე მასშტაბის დაზვერვითი ხასიათის გათხრები წარმოებდა თორაბ-თეფეზე, რომელიც იმავე ყაზახის რ-ში მდებარეობს<sup>8</sup>.

1961 წ. დაიწყო შოპუ-თეფეს გათხრა, რომელიც შემდგომაც გაგრძელდა (ყაზახის რ-ნი)<sup>9</sup>. 60-იანი წლების დასაწყისში, ყაზახის რაიონშივე, კიდევ რამდენიმე ძეგლი იქნა მიკვლევული<sup>10</sup>. ცალკეული ძეგლები აღმოჩენილია ქ. თაჯნაისა და შამქორჩაის აუზში<sup>11</sup>.

1965 წელს მტკვარ-არაქსის კულტურის წინაზე ხანის 14 ძეგლი აღმოჩნდა მულანში, ქ. ასტარახან-ბაზარსა და სოფ. პრიშიბს შორის, რომელთაც ი. ნარიმანოვი და ფ. მახმუდოვი „ქეშმარტად ენეოლითურს“ უწოდებენ<sup>12</sup>.

1967—1968 წწ. აგდამის რაიონში ყარაბაღის ველზე ი. ნარიმანოვმა გათხარა მეტად საინტერესო ძეგლი ილანლი-თეფე, პარალელურად 1967 წელსვე დაზვერვითი გათხრები ჩატარდა რუს-თეფესიზეც<sup>13</sup>.

ყარაბაღის ველზეა აგრეთვე ი. ნარიმანოვის მიერ 1969 წ. მიკვლეული ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარი ბორცვი ქიული-თეფე, აგდამის რ-ნის სოფ. ალილბეილის მახლობლად<sup>14</sup>.

1971 წლიდან აზერბაიჯანში ითხრება ადრესამიწათმოქმედო ხანის ორი ძეგლი: ერთი — გარღალარ-თეფესი, ყაზახის რაიონში შოპუ-თეფედან 8

<sup>5</sup> А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток в IV и III тысячелетиях до н. э., КСИА, 93, 1963, გვ. 8, 9; е го-же, Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, МИА, 125, 1965, გვ. 11—15; И. Г. Нариманов, Керамика древнего поселения вблизи городища Орел-калы, МИА, 125, გვ. 37—39.

<sup>6</sup> А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток..., გვ. 8.

<sup>7</sup> И. Г. Нариманов, Г. С. Исмаилов, Акстафачайское поселение близ г. Казах, СА, 1962, № 4, გვ. 149—156; Г. С. Исмаилов, Из истории древнейшей культуры Западного Азербайджана, Автореферат, Тбилиси, 1963.

<sup>8</sup> И. Г. Нариманов, Д. Н. Рустамов, Неолит в Тойретепе, Доклады АН Аз. ССР, 1960, № 9, გვ. 907—912 (на аз. яз.); Д. Н. Рустамов, Разведочные раскопки в Тойретепе, Матерьяльная культура Азербайджана, т. VI, Баку, 1965; გვ. 15—27 (на азербайджанском языке, с русским резюме).

<sup>9</sup> И. Г. Нариманов, Археологические исследования поселения Шомутепе в 1963 г. АИА, Баку, 1965, გვ. 46.

<sup>10</sup> И. Г. Нариманов, Древнейшая земледельческая культура Закавказья, VII международный конгресс доисториков и протоисториков, доклады и сообщения археологов СССР, М., 1966, გვ. 121.

<sup>11</sup> Там-же, გვ. 125.

<sup>12</sup> И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, Энеолитические памятники на Мугани, Изв. АН Аз. ССР, Серия ист., философ. и права, 1967, № 2, გვ. 88.

<sup>13</sup> И. Г. Нариманов, Исследование энеолитических поселений в Азербайджане, АО 1967 года, М., 1968, გვ. 316—317; И. Г. Нариманов, Раскопки энеолитического поселения Иланлы-тепе, АО 1968 года, М., 1969, გვ. 396.

<sup>14</sup> И. Г. Нариманов, Кюлли-тепе и Геой-тепе, АО 1969 года, М., 1970, გვ. 374.

კმ-ზე, მეორე — ალიკემეკ-თეფესი, სამხრეთ აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, მულანის ველზე (ჯალილაბადის რ-ნი)<sup>15</sup>.

ბევრად უფრო სუსტადაა შესწავლილი ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძეგლები სომხეთის სსრ ტერიტორიაზე. მტკვარ-არაქსის კულტურაზე უფრო ადრეული ხანის პირველი, ყველაზე სრულად შესწავლილი ძეგლი (თუ არ ჩავთვლით შენგავითის ქვედა ფენას, სადაც თითქოს ადრეული, ჭრჭერობით გამოუქვეყნებელი, მასალებიცაა მოპოვებული), თელუთი (ტეხუტა) აღმოჩნდა და ისწავლებოდა 1965—1968 წწ. იგი ეჩმიაძინიდან სამხრეთით 3 კმ-ზე მდებარეობს<sup>16</sup>. აქას გარდა, ადრესამიწათმოქმედო ხანის მასალები მოპოვებულია კიდევ რამდენიმე ძეგლზე. მათ შორის აღსანიშნავია ეჩმიაძინის რაიონის სოფ. ვერინ-ხათუნარხთან მდებარე ბორცვი, სადაც მცირე მასშტაბის დაზვერვათი საშუაოები აქვს ჩატარებული რ. ტოროსიანს<sup>17</sup>.

ეჩმიაძინის რაიონშივე მდებარეობს წახკუნქი, იგივე მახალ-თაფა, რომლის მასალებიც დაკულია და ნაწილობრივ ექსპონირებულია ეჩმიაძინის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში<sup>18</sup>.

ამავე პერიოდის მასალა აქვს შეკრებილი ს. ამირიანს ნამოსახლარ ენგიჯადან (ეჩმიაძინის რ-ნი)<sup>19</sup>, ხოლო გ. არეშიანს 1972 წ. დაზვერვითი გათხრების შედეგად — ნამოსახლარ ადაბლურზე<sup>20</sup>.

როგორც ჩანს, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მასალები რამდენიმე ძეგლზე მოპოვებული აქვს ს. სარდარიანსაც, რომელმაც ის ნეოლითის სხვადასხვა საფეხურს მიაკუთვნებს. ასეთებია, მაგალითად: კზნიაკ-ბლური, მამტოცი-ბლური, ტერტერი-ძორი, ადგესი-ბნერი, სევა-ბლური და თითქოს შენგავითის ქვედა ფენაც<sup>21</sup>. მაგრამ ეს მასალა იმდენად სუმარულად და არაკვალიფიკურად არის გამოქვეყნებული, თავი რომ დავანებოთ ყოვლად მიუღებელ და დაუსაბუთებელ ინტერპრეტაციას, რომ მასზე დაყრდნობა და რაინი დაკვების გამოტანა შეუძლებელია<sup>22</sup>.

<sup>15</sup> Ф. Р. Махмудов, И. Г. Нариманов, Раскопки двух новых неолитических поселений Азербайджана в 1971 г., Материалы к сессии, посв. итогам полевых арх. и этн. иссл. 1971 г. в СССР, Тезисы докладов арх. и этн.-ов Аз. ССР. Баку, 1972, гл. 6; Р. Б. Аразова, Ф. Р. Махмудов, И. Г. Нариманов, Энеолитическое поселение Гаргалар-тепеси, АО 1971 года, М., 1972, гл. 478; Ф. Р. Махмудов, И. Г. Нариманов, О раскопках на поселении Алнкемек-тепеси, АО 1971 года, гл. 480.

<sup>16</sup> Р. М. Торосян, Раскопки Техутского поселения (1965 г.), ИФЖ, 1968, № 1, гл. 291; е го-же, Раннеземледельческая культура Армении (по материалам поселения Техут), Автореферат канд. дисс., Ереван, 1971, гл. 7.

<sup>17</sup> Р. М. Торосян, Г. А. Микаелян, С. Г. Деведжян, Разведки древнейших памятников Армении, АО 1969 года, М., 1970, гл. 386.

<sup>18</sup> მასალა გამოუქვეყნებელია; მოპოვებულია რ. ტოროსიანის მიერ.

<sup>19</sup> მასალა გამოუქვეყნებელია; დაკულია სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

<sup>20</sup> Г. Е. Арешян, К выделению раннеземледельческих культур Армянского нагорья и Южного Кавказа, Каменный век Средней Азии и Казахстана, Тезисы докладов совещания, Ташкент, 1972, гл. 58.

<sup>21</sup> С. А. Сардарян, Первобытное общество в Армении, Ереван, 1967, на арм. яз. с простр. русским и англ. резюме, гл. 275—283.

<sup>22</sup> Ср. рецензию на указанную работу С. А. Сардаряна: А. А. Мартиросян и Р. М. Мунчаев, СА., 1969, № 3, также, Р. М. Торосян, Раннеземледельческая культура Армении, гл. 6.

მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი ხანის მიწათმოქმედ-მესაქონლე-თა ნამოსახლარები მრავლადაა ცნობილი საქართველოში.

ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებისაგან განსხვავებით აქ უდავოდ ნეოლითური ძეგლებიცაა მიკვლეული, თუმცა მხოლოდ მის დასავლეთ ნაწილში. ასეთებია უკერამიკო ნეოლითის ძეგლები — ანასეული I და კინტრიშის ნამოსახლარები<sup>23</sup> და საკმაოდ ცნობილი კერამიკული ნეოლითის ძეგლები — ოდიში<sup>24</sup>, კისტრიკი<sup>25</sup>, ანასეული II<sup>26</sup> და სხვ. ამავე ტერიტორიაზეა მიკვლეული თავდაპირველად ნეოლითით დათარიღებული<sup>27</sup>, ხოლო შემდგომში უფრო მოგვიანო პერიოდით განსაზღვრული<sup>28</sup> თეთრამიწა, სათაფლია და საგვარჯილეს „ნეოლითური“ ფენა. დასავლეთ საქართველოში მდებარეობს, აგრეთვე, სამელე კლდე<sup>29</sup> და მისი მსგავსი ძეგლები<sup>30</sup>. ვინიდან დასავლეთ ამიერკავკასია სცილდება ჩვენი კვლევის სფეროს, ზემოდასახელებულ ძეგლებს და იქ მოპოვებულ მასალას მხოლოდ კონკრეტული საკითხების კვლევისას შევხვებით.

აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ძეგლი, რომელიც უდავოდ ადრესამიწათმოქმედო ხანას ეუთვნის, მიკვლეული იყო 1957 წელს, მდ. ბანუშჩაის მარცხენა ნაპირზე — წოფის ნამოსახლარი<sup>31</sup>. ძეგლი შემდეგ წლებშიც ითხრებოდა<sup>32</sup>. „მტკვარ-არაქსის“ წინარე პერიოდის ფენა გამოვლენილი

<sup>23</sup> ლ. ნებეიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი, 1972, გვ. 19—28; 64—66.

<sup>24</sup> ა. ლ. კალანდაძე, ნეოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიშის მოამბე, ტ. IV, 3, თბილისი, 1939.

<sup>25</sup> А. Л. Луккин, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, СА, XII, 1950, გვ. 247—286; Л. Н. Соловьев, Неолитические поселения Черноморского побережья Кавказа; Нижне-шиловское и Кистрик, აფხაზეთის არქეოლოგიის მასალები, თბ., 1967, გვ. 3—30.

<sup>26</sup> ლ. ნებეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—46.

<sup>27</sup> საქართველოს არქეოლოგია, გვ. 56—59.

<sup>28</sup> დ. თუშაბრამიშვილი, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის ყვირილას რაზმის მიერ 1959 წ. ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1960; ლ. ნებეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84—88; დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებეიძე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის, მაცნე, 1971, № 4, იახეხი სერია, გვ. 76—83.

<sup>29</sup> დ. თუშაბრამიშვილი, ქრუქელას ხეობის გამოქვაბულები, „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 168; გ. ქაჯაჩიშვილი, ყვორილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჰიათურის რ-ნის ს. ქვემო ზოდში გამოქვაბულ სამელე კლდეში 1966 წ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, სსმე, I, თბ., 1969, გვ. 12—18; მ. ს. ივ. დს. ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, საღისერტაციო ნაშრომი, ხელნაბეჭდი, თბილისი, 1971 და სხვ.

<sup>30</sup> ლ. ნებეიძე, დარკვეთის მრავალფენიან ებში ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიშები), თბ., 1973, გვ. 20—29.

<sup>31</sup> გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 67—70.

<sup>32</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებეიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ., თბილისი, 1971, გვ. 9—10.

თელი წყაროს ნამოსახლარზეც (1956—1957 წწ.)<sup>33</sup>. ადრეული უნდა იყოს ქოსალარის ზედაპირულად შეკრებილი მასალა (1957)<sup>34</sup>, ისევე როგორც ლაგოდხის რაიონში, ს. ახალ ულიანოვკასთან შემთხვევით აღმოჩენილი ქვის იარაღების მცირე კოლექცია (1958—1959 წწ.)<sup>35</sup>.

ადრესამიწათმოქმედო ხანის ძეგლების სისტემატური კვლევა აღმოსავლეთ საქართველოში 60-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო.

1964 წ. მიწის სამუშაოების შედეგად ქვემო შულავერში მთლიანად განდგურდა ერთი ძეგლი („დანგრეული გორა“) და ძლიერ დაზიანდა მეორე ნამოსახლარი ბორცვი — შულავერის გორა. ამის შესახებ ცნობა მოვიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში<sup>36</sup>, რის შემდეგაც 1965 წ. დაიწყო შულავერის გორის გათხრა<sup>37</sup>. პარალელურად შესწავლილ იქნა „დანგრეული გორა“<sup>38</sup>. დაზვერვის შედეგად იმავე მიკრორაიონში გამოვლინდა რამდენიმე ნამოსახლარი ბორცვი, რომელთაგან იმირის გორაზე 1966 წლიდან დაიწყო ფართო მასშტაბის გათხრები<sup>39</sup>, ხოლო „გადაკრილ გორაზე“<sup>40</sup> მხოლოდ დაზვერვითი სამუშაოები განხორციელდა.

1966 წლიდან ითხრება არუხლოს გორა (არუხლო I, „ნახიდური“) ბოლნისის რაიონში<sup>41</sup>. 1972 წელს კი დაიწყო ხრამის დიდი გორის გათხრა (მარნეულის რ-ნი, სოფ. ყაჩაღანსა და თაქალოს შორის)<sup>42</sup>.



ქიულ-თეფეს ქვედა ფენის მასალებმა აღმოჩენისთანავე მკვლევართა ინტერესი გამოიწვია. ძეგლის გამთხრელი ო. აბიბულაევი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ I ფენის კერამიკა მკვეთრად განსხვავდება ზე-

<sup>33</sup> გ. გობეჯიშვილი, თერთმეორე არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები. თეზისები მოხსენებისა, წაკითხული ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, თბ., 1959, გვ. 9; გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.

<sup>34</sup> ნინო ბერძენიშვილი, ხრამის ხეობის პალეოლითური ძეგლები, მსკა, III, თბ., 1963, გვ. 9—10.

<sup>35</sup> გ. ქავთახიშვილი, ნეოლითური მასალა ლაგოდხის რაიონიდან. მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1966, გვ. 3—11.

<sup>36</sup> ო. ქაფარიძე, ა. ქავთახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), მაცნე, 1967, № 3, გვ. 292; Т. Н. Чубинишвили и К. Дрвней истории Южного Кавказа, Тбилиси, 1971, გვ. 33.

<sup>37</sup> ო. ქაფარიძე, ა. ქავთახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 292—297.

<sup>38</sup> ლ. ლონტი, თ. ცილურაძე, დანგრეული გორა, ძეგლის მეგობარი, № 30, თბილისი, 1972, გვ. 50—57.

<sup>39</sup> ო. ქაფარიძე, ა. ქავთახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 292, 296.

<sup>40</sup> ო. ქაფარიძე, ა. ქავთახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971, გვ. 44, 45.

<sup>41</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი XVI სამეცნიერო სესია, მოკლე ანგარიშები, თბილისი, 1967, გვ. 21—25; Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарева, Новые материалы по энеолиту Южного Кавказа, мაცნე, 1967, № 6, გვ. 338, და შემდეგ, და სხვ.

<sup>42</sup> ძეგლს სწივლობს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია.

და (მტკვარ-არაქსული) ფენის თიხის ქურქლისაგან არა მარტო ფორმებით, არამედ თიხის სტრუქტურით, გამოწვეის ხარისხით და ძერწვის ტექნიკითაც<sup>1</sup>.

თავდაპირველად ო. აბიბულაევი ქვედა I ფენას წინასწარ, ორ ნაწილად ჰყოფდა: პირველს — ზედა ნაწილს (12,80—19 მ შორის), სადაც მოხატული ქურქლის ფრაგმენტები და ცილინდრულყელიანი ქურქლები ჩნდებოდა. ენეოლითს (ენეოლითის დასაწყისს) აკუთვნებდა, ქვედა ჰორიზონტებს (19—21,10 მ) კი — ნეოლითს (ნეოლითის ბოლო პერიოდი)<sup>2</sup>. ასევე იყო მიჩნეული ა. იესენის ადრეულ ნაშრომებშიც<sup>3</sup>. როგორც ო. აბიბულაევი, ისე ა. იესენიც ამ ფენას IV ათასწლეულით ათარიღებდნენ<sup>4</sup>.

ა. იესენმა მილისა და ყარაბაღის ველზე აღმოჩენილი ძეგლებიც ქიულ-თეფეს I ფენის კულტურას მიაკუთვნა, რადგანაც აქაური, ზედაპირულად აკრეფილი კერამიკა, ისევე როგორც ქიულ-თეფეს ქვედა ფენისა, ნამჭანარევი თიხისაგან ნაძერწი<sup>5</sup> და ზოგჯერ მოხატულიც იყო<sup>6</sup>.

ამ ძეგლებიდან მომდინარე მცირერიცხოვანი მასალისა და მთლიანად ახლადგამოვლენილი კულტურის განსაზღვრისა და განზოგადების პირველი ცდა ა. იესენს ეკუთვნის (სტატიიაში «Кавказ и Древний Восток в IV и III тысячелетиях до нашей эры»)<sup>7</sup>.

ანალიზებდა რა ქიულ-თეფეს გათხრის შედეგებს, იგი აღნიშნავდა:

1. ამიერკავკასიაში პირველად, უღავოდ, მყარ სტრატოგრაფიულ დაფენებაში აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ცნობილ ნამოსახლარებზე უფრო ადრეული ბინადარ მიწათმოქმედთა ნამოსახლარის ნაშთები;

2. ეს ძველი ნამოსახლარი დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, მასა და მტკვარ-არაქსის კულტურას შორის უშუალო „მემკვიდრეობა“ არ არსებობს (სტრატოგრაფიული წყვეტილი, მკვეთრი განსხვავება კერამიკაში);

3. ქიულ-თეფეს I ფენის მოსახლეობა, არსებობის ბოლო პერიოდში მაინც, იცნობდა ლითონს<sup>8</sup>.

ა. იესენის აზრით, ქიულ-თეფეს I ფენის მასალების უდიდესი მნიშვნელობა ამიერკავკასიის ძველი ისტორიისათვის იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთადერთი კი არ არის, არამედ ნაწილია იმ კულტურისა, რომლის კვალიც საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე შეინიშნება<sup>9</sup>. ეს კულტურა გავრცელებულია მილისა და ყარაბაღის ველზე, ნახიქევანიდან 160—200 კმ დაშორებით. ჯერ ძნელია იმის განსაზღვრა, აღნიშნავს იგი, თუ რამდენად ღრმად აღწევდა ის ამიერკავკასიის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთში, რაც შეეხება სამხრეთს, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამიერკავკასიის ძეგლები პერიფე-

<sup>1</sup> ო. ა. აბიბულაევი, Раскопки холма Кюль-тепе близ Нахичевани в 1955 г., МИА, 67, გვ. 448.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 451.

<sup>3</sup> ა. ა. იესენი, Азербайджанская (Орен-Калинская) экспедиция, МИА, 67, გვ. 13, е го же, Азербайджанская экспедиция в 1955 г. КСИМК, вып. 73, 1959, გვ. 79.

<sup>4</sup> ო. ა. აბიბულაევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 451; ა. ა. იესენი, Азербайджанская (Орен-Калинская) экспедиция, გვ. 13.

<sup>5</sup> ა. ა. იესენი, Кавказ и Древний Восток..., КСИА, 93, გვ. 8.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 9, ში ს ი ვ ე, Из исторического прошлого..., МИА, 125, გვ. 13—14.

<sup>7</sup> КСИА, 93, 1963, გვ. 3—14.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>9</sup> იქვე.

რეულია ვრცელი წინააზიური კულტურული ოლქისა, მაგრამ განსხვავებით მომდევნო „მტკვარ-არაქსული“ კულტურისაგან, უფრო აღმოსავლური კულტურული წრისაკენ იწევს. ასეთ დასკვნამდე, განაგრძობს იგი, გარდუვალად მიუყვართ წინა აზიაში ისეთი კერამიკის გავრცელების არეალს, როგორც გვხვდება აზერბაიჯანის ძეგლებზე როგორც მასობრივ, ისე ერთეულ მოხატულ ვარიანტებში<sup>10</sup>. ა. იესენის აზრით, ორგანულ შინაარსიანი კერამიკის (straw tempered ware, Hacseleramik) გავრცელება IV ათასწლეულში დაშასაბამებულია წინა აზიის აღმოსავლეთ ოლქებისათვის და მისი გავრცელება დასავლეთით აღმოსავლური გავლენების შედეგია<sup>11</sup>. ამავე ჯგუფს აკუთვნებს ა. იესენი მილს ველის აღმოჩენებსაც. მისი აზრით, აქაური მოხატული კერამიკის ფრაგმენტებიც, აგრეთვე, აღმოსავლურ-წინააზიურ („ირანულ“) წრეს უკავშირდება<sup>12</sup>.

იხილავდა რა იმ დროისათვის ცნობილ ძეგლებს, ა. იესენმა ქიულ-თეფეს ქვედა ფენა შეუფარდა გეოი-თეფეს N ფენის მასალებს (M ფენა შედარებით გვიანად მიიჩნია), ტილკი-თეფეს (შამირამალტის) II და III ფენას და ფიქდელი-თეფეს<sup>13</sup>. მან საკმაოდ დამაჯერებლად მიიჩნია ქიულ-თეფეს I ფენაში 18,8 მ სიღრმეზე აღმოჩენილი მოხატული ფრაგმენტის ჰალაფური კულტურისადმი მიკუთვნება<sup>14</sup>.

ქიულ-თეფეს ქვედა ფენის აბსოლუტურ თარიღად მან IV ათასწლეულის შუა ხანები და I ნახევარი მიიჩნია<sup>15</sup>. სინქრონიზაციის სქემაზე კი, ამასთან ერთად, ამ ფენის ზედა ჰორიზონტები გვიან ენეოლითურად განსაზღვრა, მიიჩნია რა გვიანი ობეიდის სინქრონულად, ქვედა ჰორიზონტები კი — ჰალაფისა და ჰალაფ-ობეიდის თანადროულად<sup>16</sup>. ასევე ენეოლითურად მიიჩნია ქიულ-თეფეს ქვედა ფენა 1963 წ. გამოსულ ნაშრომში ძეგლის გამობრუნება ო. აბბულაევმა<sup>17</sup>.

1965 წ. დაბეჭდილ ნაშრომში «Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи»<sup>18</sup> ა. იესენი სხვა მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტებსაც უკავშირებს ჰალაფური ტიპის ნაწარმს, აქვე მოაქვს ქიულ-თეფეს 18,20 მ სიღრმეზე აღებული ნახშირის რადიოკარბონული თარიღიც — ძვ. წ. 3807±90 წ. და აღნიშნავს, რომ ეს განსაზღვრა, ჩატარებული არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ლაბორატორიაში, კარგად უდგება ჰალაფის კულტურისათვის საერთოდ მიღებულ თარიღს — V ათასწლეულის მეორე ნახევარი — IV ათასწლეულის დასაწყისი<sup>19</sup>.

<sup>10</sup> А. А. Иессен, Кавказ и древний Восток..., გვ. 10.

<sup>11</sup> ეს მოსაზრება უკრიტიკოდ მისაღები არ არის, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

<sup>12</sup> А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 13, სინქრონიზაციის სქემა.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 12, სურ. 1, 2.

<sup>15</sup> А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток..., გვ. 14.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 13, 14. იხ. ძეგლების სინქრონიზაციის სქემა.

<sup>17</sup> О. А. Аббуллаев, Некоторые итоги изучения холма Кюль-тепе..., СА, 1963, № 3, გვ. 167.

<sup>18</sup> МИА, 125, 1965.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 12. დღეისათვის ჰალაფის კულტურის თარიღი საგრძნობლად შეცვლილია (იხ. ქვემოთ, გვ. 134).



ამავე ნაშრომში, ეხება რა კულტურის გავრცელების საზღვრებს. იგი აღნიშნავს, რომ ჭერ კიდევ ნათელი არ არის, თუ რამდენად ღრმად გავრცელდა ამიერკავკასიაში ეს კულტურა; ყაზახის რ-ში გამოვლენილი ნამოსახლარები მილისა და ნახიქვეანურისაგან განსხვავებულ კერამიკას იძლევა, და, როგორც ჩანს, ეკუთვნის ამ ძველი კულტურის განსხვავებულ ლოკალურ ჯგუფს<sup>20</sup>.

ა. იესენი IV ათასწლეულის ძეგლების აღმოჩენის თვით ფაქტს და მათ დაკავშირებას სამხრეთ-აღმოსავლეთთან, ირანთან (სილკის ტიპის კულტურებთან), და არა დასავლეთთან, თავისთავად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა<sup>21</sup>, რადგანაც მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების პერიოდში, მისი აზრით, შეინიშნება დასავლური ელემენტების („დასავლური“ მტკვარ-არაქსული კულტურის) შეღწევა აღმოსავლეთში, წინა პერიოდში კი საწინააღმდეგო სურათი ჩანს<sup>22</sup>.

ა. იესენი თვლიდა, რომ უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა კულტურის ადრეული საფეხურების შესწავლას და აღნიშნავდა, რომ სულაც არ არის სავალდებულო, რომ ყველა ძეგლი ქიულ-თეფეს თანადროული იყოს<sup>23</sup>.

ვ. მასონი წიგნში «Средняя Азия и Древний Восток»<sup>24</sup> ირანის V—III ათასწლეულთა კულტურების დახასიათების დროს ეხება „მტკვარ-არაქსის“ კულტურის წარმოშობისა და გავრცელების საკითხებს, ამასთან დაკავშირებით განიხილავს ნახიქვეანის ქიულ-თეფეს მასალებსაც. იგი არ ეთანხმება რ. მუნჩაევის მოსაზრებას, თითქოს ქიულ-თეფეს მასალები გვიჩვენებდეს, რომ „მტკვარ-არაქსის ენოლითის“ უფრო ადრეულ ფენასთან დაკავშირებული ფესვები არ გააჩნია<sup>25</sup>. ვ. მასონი თვლის, რომ ქიულ-თეფე I კერამიკის ზოგი ფორმა თავისუფლად შეიძლება საფუძვლად დასდებოდა „მტკვარ-არაქსის“ ზოგიერთი ტიპის ჭურჭელს. მისი აზრით, ქიულ-თეფეს I და II ფენას ერთმანეთთან აკავშირებს აგრეთვე ჯოგში წვრილფეხა საქონელთან შედარებით მსხვილფეხას სიქარბე<sup>26</sup>, თუმცა აღნიშნავს — მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ქიულ-თეფე II კომპლექსი ქიულ-თეფე I მემკვიდრეა, მათ შორის გარკვეული ქრონოლოგიური წყვეტილი უნდა არსებობდეს<sup>27</sup>.

როგორც აღნიშნული იყო, ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანის ძეგლები რამდენადმე განსხვავდებიან ქიულ-თეფესა და მისი მსგავსი სამხრეთ აზერბაიჯანის ნამოსახლარებისაგან. ჩრდილო-დასავლეთის ჯგუფის ერთ-ერთ პირველად აღმოჩენილი ძეგლი — თოირა-თეფე თავიდან ნეოლითურად იქნა მიჩნეული<sup>28</sup>, შემდეგ კი, ისევე როგორც ამ რიგის სხვა ძეგლები, იმავე ავტორებმა ენეოლითს მიაკუთვნეს<sup>29</sup>, თუმცა აღნიშნული აქვთ, რომ თოირა-თეფეს

<sup>20</sup> А. А. Иессен, Из исторического прошлого..., გვ. 15.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> მისივე; Кавказ и Древний Восток..., გვ. 14.

<sup>23</sup> იქვე; მისივე, Из исторического прошлого..., გვ. 15.

<sup>24</sup> В. М. Массон, Средняя Азия и Древний Восток, М.-Л., 1964.

<sup>25</sup> იხ. Р. М. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, МИА, 100, М., 1961, გვ. 151.

<sup>26</sup> В. М. Массон, დასახ. ნაშრ., გვ. 239, შენიშვნა 142.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 240, შენიშვნა 146.

<sup>28</sup> И. Г. Нарьянов, Д. Н. Рустамов, Неолит в Тойретепе, ДАН АЗ-ССР, № 9, 1960, გვ. 907—912.

<sup>29</sup> Д. Н. Рустамов, Разведочные раскопки в Тойретепе, МКА, т. VI, Баку, 1965, გვ. 15—27.

ქვედა ფენა (იგულისხმება, რომ ზემოდან მდებარე ფენა გვიანი ბრინჯაოს ხანისაა) და მისი სინქრონული მეზობლად მდებარე ნაშთსაღარები შეიძლება მიეკუთვნოს ენეოლითს ან გვიან ნეოლითს, რომელთა შორის მატერი-ალური კულტურის სახით გამოვლენილი აშკარა განსხვავების შემჩნევა თითქმის შეუძლებელია<sup>30</sup>.

შომუ-თეფეს შესახებ 1965 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში ი. ნარიმანოვი აღნიშნავს, რომ ამ ძეგლის კერამიკის შედარებამ ქიულ-თეფე I თიხის ნაწარმთან მას საშუალება მისცა შომუ-თეფე და მისი ანალოგიური ძეგლები ძვ. წ. V—IV ათასწლეულთა თავისთავად (ცალკე) არქეოლოგიურ კულტურად გამოეყო<sup>31</sup>.

მთელი თავი აქვს დათმობილი მტკვარ-არაქსის კულტურის წინა პერიოდის ძეგლების მიმოხილვას ტ. ჩუბინიშვილის წიგნში „მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა“<sup>32</sup>. ამ ძეგლებს ავტორი „მტკვარ-არაქსის გვიანენეოლითურ კულტურად“ აერთიანებს და ათარიღებს ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით<sup>33</sup>.

ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, რომ თანმიმდევრულად განლაგებულ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გვიანენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურულ ფენებს შეიცავენ ისეთი სტრატოფიციკრებული ძეგლები, როგორცაა: ნახიკეანის ქიულ-თეფე, ბაბადერეში (აზერბაიჯანი); გეოი-თეფე, იანიკ-თეფე (ჩრდილო-დასავლეთ ირანი); თილკი-თეფე<sup>34</sup>, პულური, ქარაზი (აღმ. ანატოლია); საგვარჯილე, სამელე კლდე, თეთრი წყარო და ნაცარგორა (საქართველო). საკუთრივ გვიანენეოლითურ ძეგლებს იგი მიაკუთვნებს: შან-თეფეს, ქიამილ-თეფეს თორია-თეფესა და შომუ-თეფეს (აზერბაიჯანი). გინჩის დასახლარს (დაღესტანის მთიანეთში)<sup>35</sup>, წოფის დასახლარსა და შულავერი I (ქვემო ქართლში)<sup>36</sup>.

ტ. ჩუბინიშვილი მიუთითებს, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულის ნაშთსაღარები იმავე გეოკლიმატურ გარემოში გვხვდება, სადაც შემდგომ ფართოდ იკიდებს ფეხს „მტკვარ-არაქსის“ III ათასწლ. კულტურა. ძვ. წ. IV ათასწლეულში ამ კულტურის მატარებელი ტომების დასახლება უკვე მაღალ მთიანეთშიც ხდებოდა, მაგრამ ამ დროისათვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილად მიჩნე-

<sup>30</sup> Д. Н. Рустамов, И. Г. Нариманов, Археологические исследования Тойретепе, Материалы сессии, посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964 года в СССР (тезисы докладов), Баку, 1965, გვ. 75.

<sup>31</sup> И. Г. Нариманов, Археологические исследования поселения Шому-тепе в 1963 г., стр. 51.

<sup>32</sup> ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 27—28.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 27, ვერც ერთ ამ დებულებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით; ამასთან დაკავშირებით იხ. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1969, გვ. 223, შენიშვნა 2; ამ საკითხებს ვრცლად ქვევით შევხებით.

<sup>34</sup> რაშდენაღაე ჩვენთვის ცნობილია, თალკი-თეფეზე მტკვარ-არაქსის ფენები არ არის. შდრ. А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток... გვ. 11—13; В. М. Массон, დასახ. ნშრ., გვ. 238, 239.

<sup>35</sup> უნდა აღენიშნოთ, რომ ადრეობრინჯაოს ხანის ფენა გინჩის ნაშთსაღარზეცაა დადასტურებული; იხ. М. Г. Гаджиев, Новые данные о южных связях Дагестана в IV—III тыс. до н. э. КСИА, 108, გვ. 55, 60, 61.

<sup>36</sup> ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნშრომი, გვ. 28.

ული ყოფილა კონცხები, ტბებისა და მდინარეების ნაპირზე არსებული ტერასები ან ცალკეული შემალღებანი; ასევე სშირია, განავრძობს იგი, ნასახლარები ნახევრად უდაბნო ზონაში, დიდ-პატარა მდინარეთა შორის მოქცეულ დაბლობებსა ან შემალღებულ ადგილებში<sup>37</sup>.

ტ. ჩუბინიშვილი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს უკვე აღმოჩენილი ყველა ძირითადი ძეგლის კულტურულ-ქრონოლოგიური ადგილის დადგენას<sup>38</sup>, თუმცა ამ სახის საშუალო მის ნაშრომში არ ჩანს. იგი აღნიშნავს, რომ გავრცელების მთელ ტერიტორიაზე „გვიანენოლითური“ ძეგლები „უპოვით-თასაგან მკვეთრად განსხვავებული თავისებური ნიშნებით გამოირჩევა, რაც მხოლოდ ერთიანი კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურის არსებობითა და მათი თავისებურებებით ვერ აიხსნება, სავარაუდოა, რომ აქ ერთიანი კულტურის ლოკალურ ვარიანტებთანაც გვექონდეს საქმე“<sup>39</sup>.

მეტად საინტერესოა ი. ნარიმანოვის ნაშრომი «Древнейшая земледельческая культура Закавказья»,<sup>40</sup> რომელაც ჩრდლო-დასავლეთ აზერბაიჯანის ძეგლების განზოგადოების პირველ ცდას წარმოადგენს, სადაც ისინი მთელი აზერბაიჯანის ადრეული მასალების ფონზეა განხილული.

ი. ნარიმანოვი აღნიშნავს, რომ III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კულტურის წინა პერიოდის ძეგლები საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული: ისინი ფიქსირებულია მილის, ყარაბაღის და მულანის ველებზე და დასავლეთ აზერბაიჯანში, მტკვრის პარაქენა ნაპირზე. ა. იესენის მიერ ძვ. წ. IV ათასწლეულის ერთ კულტურად გავრთიანებული მილის ველისა და ნახიკევანის ქიულ-თეფეს ქვედა ფენის მსგავსი კერამიკის შექცეული ახალი ძეგლები მიკვლეულია მულანისა და ყარაბაღის ველებზე, იმ განსხვავებით, რომ აქ მოხატული ქურქული არა ჩანს. ამასთან ერთად, ყარაბაღის ველის ზოგიერთ ძეგლზე აღმოჩენილია სრულიად განსხვავებული ორნამენტით „შემკული“ კერამიკა — ქურქლის მთელი ზედაპირი ფოსფორითაა დაფარული, რის საფუძველზეც ი. ნარიმანოვს შესაძლებლად მიაჩნია შემდეგში ქრონოლოგიური: და გეოგრაფიული ნიშნებით განსხვავებული ჯგუფების გამოყოფა<sup>41</sup>.

კერამიკული მასალის საფუძველზე, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ი. ნარიმანოვი გამოყოფს ახალ არქეოლოგიურ კულტურას მტკვრის პარაქენა ნაპირის ზონაში, რომელსაც ერთ-ერთი გათხრილი ძეგლის მიხედვით, შო მუ-თე ფ ე ს კ უ ლ ტ უ რ ა ს უწოდებს<sup>42</sup>. ამ კულტურის ნაპოახლარები სხვადასხვა ზომის ხელოვნურ ბორცვებს წარმოადგენენ, რომელიც მტკვარსა და მცირე კავკასიონს შორის, დაახლოებით 100 კმ სიგრძის, შედარებით ვიწრო ზოლშია გავრცელებული<sup>43</sup>. ამის შემდეგ ი. ნარიმანოვი იძლევა კულტურის დახასიათებას, აღნიშნავს, რომ ამ კულტურის გათხრილ ძეგლებზე ერთფეროვანი არქეოლოგიური მასალა გვხვდება; წრიული გეგმის

<sup>37</sup> ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნშრ., გვ. 28, 29.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 51.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>40</sup> И. Г. Нариманов, Древнейшая земледельческая культура Закавказья, გვ. 121—126.

<sup>41</sup> И. Г. Нариманов, დასახ. ნშრომი, გვ. 121.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> იქვე.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ნაშენებია ამოზურგული ალი-ზით<sup>44</sup>.

ერთ-ერთ ძეგლზე — გარდაღარ-თეფესიზე მხოლოდ შომუ-თეფეს კულტურის 10 მ სიმაღლის ფენების აღმოჩენა მიუთითებს, რომ ეს კულტურა დროის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ამ კულტურისათვის პირველი რადიოკარბონული თარიღი — ძვ. წ. 4295±125 წ. იძლევა აბსოლუტური დათარიღების საშუალებას (თორია-თეფეს შუა ფენებიდან აღებული ნახშირი განახლდრულია ბომბეის ლაბორატორიაში)<sup>45</sup>.

შომუ-თეფეს კულტურის კერძო განსხვავდება არა მარტო ადგილობრივი, არამედ ირანის, მესოპოტამიისა და მცირე აზიის კულტურული კერების ნაწარმისაგან, რაც ავტორს ავარაუდებინებს, რომ შომუ-თეფეს კულტურის განვითარება, გარკვეული აზრით, დამოუკიდებლად მიმდინარეობდა<sup>46</sup>. ამ კულტურის კერძო ხელით, ტლანქად ნაძეწია, უმეტესობა კასრისებური და ქილისებური ფორმისაა, არის ჭამისებური ჭურჭელიც. ზოგიერთი ჭურჭლის ზედა ნაწილი შემკულია გეომეტრიული ხასიათის რელიეფური დანაძეწებითა და ლიწისებური კოპებით. როგორც წესი, ორნამენტირებულია არაორგანულმინარევიანი (ხვინჭა, სილა, შამოტი) კერძო. ამ ჭეფის ჭურჭელი მუქი ან მურა ფერისაა. ეს ჭეფი ქარბობს ორგანულმინარევიანს (ნამჭა, ბლახი), რომელთაც მოწითალო-მოყავისფრო ფერი და სუსტად გაპრიალებული ზედაპირი აქვთ<sup>47</sup>. ზოგიერთი ჭურჭელი ნაწილობრივ შეღებილია, თუმცა მოხატვის ნიშნები სრულიად არ ჩანს<sup>48</sup>.

ქვის იარაღები შომუ-თეფეს კულტურაში წარმოდგენილია ხელსაჭეკავებოთ, მასიური როდინებით, სანაყებით, სახეხებით, გახეხილ-გაპრიალებული ცულებოთ, ობსიდიანის, კაყისა და კაყისებური ქანის ნაწარმით. მეტად საინტერესოა და თავისებური აქ აღმოჩენილი ნამგლები და ნამგლის ჩასართები<sup>49</sup>. ქვის ნაწარმში საერთოდ არ ჩანს მიკროლითური იარაღები, სამაგიეროდ ჟართოდაა გავრცელებული გრძელი, ფართო ლამელები<sup>50</sup>.

ი. ნარიმანოვი აღნიშნავს, რომ შომუ-თეფეს კულტურაში ძვლის დამუშავების ტექნიკა მაღალ დონეზეა, ძვლის ნაწარმის ასეთი ფართო ასორტიმენტი (თოხები, კოვზები, სახვრეტები, საპრიალებლები, სავარცხლისებური ნეფები და სხვ.) ამიერკავკასიის არც ერთ კულტურაში არ გვხვდება<sup>51</sup>.

ნაპოახლარების გათხრილ ნაწილში ლითონის კვალი არსად არ არის შენიშნული, თუმცა ჭერჭერობით ეს ფაქტი არ აძლევა იმის მტკიცების საფუძველს. რომ შომუ-თეფეს კულტურის პერიოდში ლითონი უცნობი იყო, შენ-შნავს ი. ნარიმანოვი<sup>52</sup>.

ი. ნარიმანოვის ვარაუდით, შომუ-თეფეს კულტურის სამხრეთ-აღმოსავ-

<sup>44</sup> И. Г. Нариманов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 121—122.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 123.

<sup>46</sup> იქვე.

<sup>47</sup> იქვე.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 124.

<sup>49</sup> И. Г. Нариманов, *Древнейшие серпы Азербайджана*, СА, 1964, № 1-2. 282—287.

<sup>50</sup> И. Г. Нариманов, *Древнейшая земледельческая культура...*, გვ. 124.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 125.

ლეთ ჯგუფის ძეგლებში ქარბობს ნამჭიანი კერამიკა და დასაშვებია, რომ ეს ჯგუფი კულტურის უფრო განვითარებულ ეტაპს ასახავს, სადაც ახალი ფორმები და ორნამენტატიც ჩნდება<sup>53</sup>.

დასასრულ იგი აღნიშნავს, რომ შომუ-თეფეს კულტურა ასახავს მიწათმოქმედ ტომთა უკვე ჩამოყალიბებულ მეურნეობას — ძეგლებზე წარმოდგენილია რამდენიმე ჯიშის კულტურული მარცვლეული (ხორბალი, ქერი); ოსტეოლოგიური ნაშთების განსაზღვრის შედეგად დადგინდა, რომ შინაური საქონლის (მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი, ღორი) ძვლები რაოდენობრივად საგრძობლად ქარბობს გარეული საქონლის ძვლებს (ირემი, ტახი, ჭიკირანი და სხვ.)<sup>54</sup>.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლების შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შულავერისა და იმირის გორების გათხრებს. ამ ძეგლებზე, უპირატესად შულავერის გორაზე მოპოვებული მასალის განზოგადების პირველი ცდა მოცემულია ო. ჭაფარიძისა და ა. ჭავჭავიძის 1967 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.)“<sup>55</sup>. ნაშრომში აღნიშნულია, რომ მოპოვებულ მასალებს მთლიანად მეტად არქაული — ნეოლითური იერი აქვს, ხოლო ძვლისა და ქვის მასალებს პარალელები ეძებნებათ ისეთ ძეგლებში, როგორცაა ზავი-ჩემი, ქიარიმ-შაჰირი, ჰასუნა და ჩათალ-ჰაიუკი<sup>56</sup>. ავტორები ჰასუნას კულტურაში შულავერის გორის ზოგიერთი კერამიკული ნაწარმის პარალელსაც ხედავენ<sup>57</sup>. აქვეა აღნიშნული, რომ შულავერის გორის კერამიკას ზოგი რამ საერთო აქვს დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ თხის ქურჭელთან და უფრო მოგვიანო სამეულ კლდის კერამიკასთანაც<sup>58</sup>.

ო. ჭაფარიძე და ა. ჭავჭავიძე იქვემო ქართლის ძეგლებს, დასახლების ტიპითა და კულტურის ხასიათით, ყველაზე მეტად ყაზახის რაიონის ძეგლებს უახლოებენ და თვლიან, რომ ეს ძეგლები ერთიან კულტურას ქმნის<sup>59</sup>.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ „შულავერის კულტურა ერთი მხრივ, მსგავსებას ამჟღავნებს მილისა და ყარაბაღის ველის ადრეულ ძეგლებთანაც, რომლებიც მასთან შედარებით რამდენადმე ახალგაზრდაა და უკვე განიცდიან აღმოსავლურ-წინააზიური კულტურის ერთგვარ ზეგავლენას, ამ უკანასკნელის გავრცელება ამიერკავკასიაში უფრო ჩრდილოეთით არ მომხდარა. მეორე მხრივ, ქვემო ქართლის ველზე გამოვლენილი ეს კულტურა გარკვეულ ურთიერთობაშია წინააზიის დასავლეთი მხარის, კერძოდ, ანატოლიისა და სირიაკილიციის ადრეულ ძეგლებთან (არაორგანულმინარევებიანი კერამიკის სიჭარბე ბუნარევეთან შედარებით, ზედაპირის მოსწორება-გავლესვა; ზოგიერთი მსგავსება ქვისა და ძვლის იარაღში და სხვ.)“<sup>60</sup>.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 125, 126.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 126.

<sup>55</sup> ო. ჭაფარიძე, ა. ჭავჭავიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), მაცნე, 3(36), 1967, გვ. 292—298.

<sup>56</sup> ო. ჭაფარიძე, ა. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 295.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 296.

<sup>58</sup> იქვე.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 297.

ავტორები შულავერის კულტურას სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ ცენტრალური ამიერკავკასიის მიწათმოქმედი ტომების მიერ შექმნილ ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ კულტურად<sup>61</sup> და შულავერის გორისათვის მიღებული რადიოკარბონული თარიღების (I — ძვ. წ. 3955±300; II — 4660±210) გათვალისწინებით, შულავერის გორას და მის ანალოგიურ სხვა ნასოფლარებს ძვ. წ. V ათასწლეულს აკუთვნებენ<sup>62</sup>.

იმავე წელს დაიბეჭდა ტ. ჩუბინიშვილისა და კ. კუშნარიოვას წერილი „Новые материалы по энеолиту Южного Кавказа (V—IV тыс. до н. э.)“<sup>63</sup> რომელშიც იმ დროისათვის არსებული მთელი ამიერკავკასიის ადრეული მასალების გაანალიზების ცდაა მოცემული. სტატიის დასაწყისში აღნიშნულია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც ენეოლითურად იყო მიჩნეული, უკვე აღვებრინჯაოს ხანას ეკუთვნის, ხოლო ამიერკავკასიაში აღმოჩენილია „ნამდვილად ენეოლითური კულტურა“, რომელიც ძვ. წ. V—IV ათასწლეულებით თარიღდება. განსხვავებით ტ. ჩუბინიშვილის წინა ნაშრომისაგან, ამ სტატიაში აღარ ფიგურირებს ტერმინი „მტკვარ-არაქსის გვიანენეოლითური კულტურა“, ისევე როგორც მისი ძველი თარიღი — ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევარი<sup>64</sup>. თუმცა, ძირითადად, ერთსა და იმავე ძეგლებზეა საუბარი.

ტ. ჩუბინიშვილი და კ. კუშნარიოვა ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნამოსახლარებთან ერთად სომხეთისა და დას. საქართველონ ძეგლებსაც განიხილავენ და ყველა მათ აერთიანებენ ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურაში<sup>65</sup>. სხვათა შორის, ენეოლითურადაა მიჩნეული ისეთი ძეგლებიც, სადაც ძირითადი ფენები მტკვარ-არაქსის კულტურას ეკუთვნის, მაგ., სადახლო, აბელია, ამირანის გორა, დიდუბე, კიკეთი, შენგავითი და სხვ<sup>66</sup>. „ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის“ გავრცელების არეალის შესახებ ავტორები აღნიშნავენ — „ამიერკავკასიაში ეს კულტურა მოიცავს მის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებს, აღწევს რა დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით შავი ზღვის სანაპირომდე, ჩრდილო-აღმოსავლეთით — დაღესტნამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთით — ურმიის ნაპირებამდე, და ბოლოს სამხრეთით — ვანის ტბისაგან დასავლეთით მდებარე ოქქებამდე“<sup>67</sup>. თავი რომ დავანებოთ დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლებს, რომლებიც ტერიტორიულად კავკასიას მაინც ეკუთვნის, სრულიად გაუგებარია, რატომ აერთიანებენ ტ. ჩუბინიშვილი და კ. კუშნარიოვა ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურაში კავკასიიდან საკმაოდ დაშორებულ ძეგლებს — გეოი-თეფეს, იანიკ-თეფეს, თილკი-თეფესა და სხვ., როდესაც აღნიშნულ ძეგლებს არათუ კავკასიის ძეგლებთან, არამედ ერთმანეთთანაც კი, კულტურის თვალსაზრისით, ბევრი არაფერი აქვს საერთო.

<sup>61</sup> ი. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 297, 298.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 297.

<sup>63</sup> Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарeва, Новые материалы по энеолиту Южного Кавказа (V—IV тыс. до н. э.), მაცნე, 6 (39), 1967, გვ. 336—362.

<sup>64</sup> იხილ. ზემოთ, გვ. 16.

<sup>65</sup> Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарeва, დასახ. ნაშრ., გვ. 356.

<sup>66</sup> იქვე, გვ. 340—343; ამასთან დაკავშირებით ვკინდა შევნიშნოთ, რომ აქ აღმოჩენილი მეტად მცირე მასალის საფუძველზე შორს მომავალი დასკვნების გაკეთება, ჭეղჩერობით მიუღებელი თუ არა, ნაკლებ დამაჯერებელი იქნება.

<sup>67</sup> Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарeва, დასახ. ნაშრ., გვ. 356.

ავტორები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მატერიალური კულტურის უდავო ერთიანობისა, რომელიც გამოწვეული უნდა ყოფილიყო მეურნეობის ერთიანი ფორმით, გარკვეული დამახასიათებელი სპეციფიკა ისახება არა მართო ძეგლების ცალკეულ ჯგუფებს შორის, არამედ — ზოგჯერ — თვით ცალკეულ ძეგლთა შორისაც, რაც პირველ რიგში ასახულია კერამიკაში, რომელშიც დაზნადების ტექნოლოგიითა და ნაწილობრივ ფორმებითაც ავტორები გამოპყოფენ სამ ჯგუფს:

1. ქილისებური და სფერული ფორმის, მსხვილმარცვლოვანი, უხეშმინარევიანი თიხისაგან ტლანქად ნაქარწი ქურქელი, მასიური, ქუსლიანი ძირებით, რომელთა პროტიტიპად ნეოლითურ კერამიკას თვლიან, აღნიშნულია, რომ ამ ჯგუფის კერამიკისათვის დამახასიათებელია რელიეფური შემკულობა, რითაც ასოციაციებს იწვევს ჰასუნასთან (სამხრეთით) და მიკოპის კულტურასთან (ჩრდილოეთით). მითითებულია, რომ ამ ტიპის კერამიკა დამახასიათებელია არუხლოს, შულავერის, შომუ-თეფესა და სხვა ძეგლებისათვის და რომ, ამავე ძეგლებზე ძვლის იარაღებიც მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. აღნიშნულია, რომ ამ ჯგუფის ძეგლებზე ლითონი ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი.

2. ნაძიანი კერამიკა, რომელიც გავრცელებულია ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთში და ირანის ჩრდილო-დასავლეთში. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ამ ტიპის ნაწარმი იშვიათად ჩნდება თავისი გავრცელების არეალს გარეთაც (ბაბადერვიში, წოფი, დიდუბე)<sup>68</sup>. ნაძიანი კერამიკა ზედაპირგაპირიადებულია, რომლის გარკვეული ნაწილი მოხატულიცაა. ავტორები შენიშნავენ, რომ სწორედ მოხატულ კერამიკასთანაა დაკავშირებული ლითონის ნივთების აღმოჩენაც (ქიულ-თეფე I, გეოი-თეფე M, თელუთა), რაც შეიძლება აიხსნას ან ამ ძეგლების მოგვიანო ასაკით, ანდა მათი სიახლოვით უფრო განვითარებულ წინააზიურ სამყაროსთან.

3. ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ჯგუფი ძეგლებისა (დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი, აფხაზეთი) კერამიკით ზოგიერთ ჩრდილოკავკასიურ ნაშთსაზღარს (დოლინსკოე, აგუბეკოვი, მეშოკო) უკავშირდება<sup>69</sup>.

ავტორებს ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად ორი არქეოლოგიური კომპლექსის — ქიულ-თეფე I ტიპისა და შომუ-თეფეს ტიპის — დადგენა მიაჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ გადაუქრელად ტოვებენ საკითხს წარმოადგენენ ისინი სამხრეთ-კავკასიის კულტურის ლოკალურ ვარიანტებს თუ მის ორ ქრონოლოგიურ საფეხურს, თუმცა პირველი კომპლექსის უფრო სამხრეთ ზონაში, არაქსის აუზში გავრცელება, მეორესი კი — ჩრდილოეთით, მტკვრის აუზში, უფრო პირველი თვალსაზრისის მხარდასაჭერად მიაჩნიათ<sup>70</sup>. ამასთანავე შენიშნავენ, რომ შენგავითის ქვედა ფენაში, ე. ი. სამხრეთ ზონაშიც, ს. სარდარიანის მიერ არალოკუმენტირებული მონაცემებით, შომუ-თეფეს ტიპის კომ-

<sup>68</sup> ამ საკითხში ვერ დავთანხმებით ავტორებს, რადგანაც ნაძიანი კერამიკა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცენტრალური ამიერკავკასიის თითქმის ყველა დარეულ ძეგლზეა აღმოჩენილი. გარდა ამისა, ამგვარი კერამიკის არცაღი ბევრად უფრო ვრცელია როგორც აღმოსავლეთით (იგულისხმება შუა აზია), ისე დასავლეთით (ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე და ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე).

<sup>69</sup> Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарева, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 358—359.

<sup>70</sup> ი ქ ვ ე, გვ. 361.

პლექსის აღმოჩენა არღვევს ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურაში ორი ლოკალურ-ვარიანტის არსებობის ჰიპოთეზას<sup>71</sup>.

ტ. ჩუბინიშვილი და კ. კუნარიოვა ითვალისწინებენ რა რადიოკარბონულ თარიღებსა და პალეოლითურ იმპორტის არსებობას, მთლიანად აღნიშნული კულტურის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. V ათასწლეულს თვლიან<sup>72</sup>, ზედა საზღვარი კი არუხლოს გორაზე აღმოჩენილი ძირბრტყელი-ამოზურგული („პლანოკონვექსური“) ალიზებითა და არუხლოზევე ნაპოვნი ბულის ანაბეჭდის მეშვეობით, IV ათასწლეულის ბოლომდე მოჰყავთ<sup>73</sup>. ამ უკანასკნელს ვერდავეთანხვებით. რადგანაც ძირბრტყელი-ამოზურგული ალიზები რადიოკარბონით ძვ. წ. V ათასწლეულით დათარიღებულ ამიერკავკასიის ძეგლებშივე გვხვდება (მულავერი, შოპუ-თეფე, თოირა-თეფე და სხვ.); წინა აზიაში კი ბევრად უფრო ადრეულ ხანაშიცაა გავრცელებული<sup>74</sup>.

აქ არ შევჩერდებით ს. სარდარიანის ამავე წელს გამოსულ ნაშრომზე<sup>75</sup>, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანის ყველა არაპალეოლითურ ძეგლს იგი ნეოლითის სხვადასხვა საფეხურს აკუთვნებ<sup>76</sup>.

1967 წ. გამოსულ ნაშრომში ვ. მასონი ქიულ-თეფე I და მისი მსგავსი ძეგლების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ მიწათმოქმედების სამ უძველეს კერას შორის კავკასიასაც ასახელებს (შუა აზიასა და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთთან ერთად<sup>77</sup>.

1968 წ. გამოქვეყნებულ ლ. ლონტის, ა. ჯავახიშვილის, გ. ჯავახიშვილის, ი. კიკვიძისა და დ. თუმბარამიშვილის წერილს, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისისა და აგრეთვე ამიერკავკასიის ნეოლით-ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის საფეხურების დათარიღებას ეძღვნება, დართული აქვს შენიშვნა, სადაც აღნიშნულია, რომ 1964 წლის (მაშინ, როდესაც წერილი მომზადდა) შემდეგ გამოვლენილმა მასალებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ადრეძილებულ სქემაში; სამეფე კლდე, რომელიც ადრე დათარიღებული იყო ნეოლითის ბოლოთი — ადრეენეოლითით, გადმოთარიღებულია ენეოლითის ბოლოთი და ადრებრინჯაოს დასაწყისით; მისი ადგილი კი დაიკავა სამხრეთ კავკასიის, მულავერის გორის ტიპის, უძველესმა სამიწათმოქმედო ნასოფლარებმა — ქალკოლითური, შესაძლოა ნაწილობრივ პროტოქალკოლითური ხანის ძეგლებმა, რომელთა თარიღი ძვ. წ. VI ათასწლეულის სიღრმეშიც გადადის<sup>78</sup>.

<sup>71</sup> Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарера, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 361.

<sup>72</sup> იქვე, 353—354.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 352—353.

<sup>74</sup> იხ. А. И. Джавахишвили, *Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э.*, Тбилиси, 1973, გვ. 80, 81, 203—205; ბულის შესახებ იხ. ქვემოთ.

<sup>75</sup> С. А. Сардарян, *Первобытное общество в Армении, Ереван, იხ. ზემოთ*, გვ. 10.

<sup>76</sup> С. А. Сардарян, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 275—286.

<sup>77</sup> В. М. Массон, И. Т. Кругликова, А. В. Кирьянов, *Возникновение и развитие земледелия, М.*, 1967, გვ. 67, 83.

<sup>78</sup> Л. Глonti, А. Джавахишвили, Г. Джавахишвили, Я. Кинквидзе, Д. Тушабраишвили, *Некоторые итоги полевых работ 1964 г. Урб-ниской... სსშ, ტ. XXV-B*, 1968, გვ. 11.



1968 წ. დაბეჭდილ წერილში ალ. ჯავახიშვილი იმირის გორას ქალკოლითის აღრეული სტადიით (ძვ. წ. V ათასწლ. ბოლო) ათარიღებს<sup>79</sup>.

ამავე წელს გამოსულ სტატიის თელუთას გამთხრელი რ. ტოროსიანი, აქ აღმოჩენილი მოხატული კერამიკის ანალიზის საფუძველზე, რომელსაც ჰალაფისა და ჩრდილო ობეიდის კულტურებში უძებნის პარალელებს, ძეგლს, ზოგადად ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლ. შუა ხანებს შორის არსებული დროის რომელიღაც მონაკვეთით ათარიღებს<sup>80</sup>.

1969 წ. დაბეჭდა თ. ჯაფარიძისა და ა. ჯავახიშვილის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1967 წლის სამუშაოთა ანგარიში<sup>81</sup>, სადაც ძირითადად, იმირის გორის მასალებია განხილული. აღნიშნულია, რომ იმირის გორა შულავერთან შედარებით, ცოტა უფრო გვიან წარმოქმნილი უნდა იყოს, ამასთან ერთად, ვარაუდის სახით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქვემო ქართლის ყველა ძეგლზე ცხოვრება ერთდროულად ქრება<sup>82</sup>.

ავტორები მიუთითებენ, რომ არსებული მონაცემების მიხედვით, სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში აღრესამიწათმოქმედო კულტურების ჩამოყალიბების ხანაში, ორი კულტურული ოლქი იხაზება, ერთი ლოკალიზებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში (მილისა და ყარაბაღის ველი), მეორე — ცენტრალურ ნაწილში (მათ შორისაა ქვემო ქართლის ძეგლებიც). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კულტურებს შორის გარკვეული ურთიერთობა შეიმჩნევა, მათი აზრით, პირველი მაინც უფრო მოგვიანოა. იმირის გორაზე მოპოვებული მასალები, რომელიც ქვემო ქართლის კულტურის გვიანდელ საფეხურს ასახავს, აღნიშნავენ ავტორები, მართლაც ამჟღავნებს საკმაოდ მჭიდრო კონტაქტს მილისა და ყარაბაღის ველის აღრეულ ძეგლებთან. მითითებულია, რომ სწორედ აქ ჩნდება ფორმითა და ფაქტურით სამხრეთულის მსგავსი კერამიკა, მოხატული კერამიკა და სხვ. თ. ჯაფარიძისა და ა. ჯავახიშვილის აზრით, შესაძლოა ეს გამოწვეული ყოფილიყო წინააზიური გავლენების გაძლიერებით იმ პერიოდის სამხრეთ კავკასიაში<sup>83</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ 1969 წ. დაბეჭდილ წერილში, რომელიც ამიერკავკასიის უძველესი ლითონის ნივთების შესწავლას ეძღვნება, ი. სელიმხანოვმა და რ. ტოროსიანმა, ქიულ-თეფეს I ფენის ენეოლითურობაც ეპყეს ქვეშ დააყენეს. აღნიშნავენ, რომ „სპილენძის მსგავსი მეტალურგია ენეოლითში არ შეიძლება არსებულებო“<sup>84</sup>. იგივეს ადასტურებს თელუთაზე მოპოვებული ლითონის ნივთების ანალიზიცო. ავტორები ამ დასკვნამდე მივიდნენ იმის შედეგად, რომ ქიულ-თეფე I და თელუთაზე მოპოვებული ლითონის ნივთები სუფთა სპილენძისაგან კი არ იყო დამზადებული, არამედ — სპილენძ-დარიზნა-

<sup>79</sup> А. И. Джавахишвили, Раскопки жилого холма Имчис-гора, АО 1967 года, М., 1968, зб. 294.

<sup>80</sup> Р. М. Торосян, Раскопки Техутского поселения (1965 г.), ИФЖ, 1968, № 1, зб. 290.

<sup>81</sup> О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ Квемо-Картлийской археологической экспедиции (1967), სსპ. I, თბ., 1969.

<sup>82</sup> იქვე, зб. 26.

<sup>83</sup> იქვე.

<sup>84</sup> И. Р. Селимханов, Р. М. Торосян, Металлографический анализ древнейших металлов в Закавказье, СА, 1969, № 3, зб. 230.

ნაწილად შენადნობისაგან. თუმცა იქვე შენიშნავენ, რომ ეს ნივთები შესაძლოა შემოტანილი იყოს<sup>85</sup>.

ამავე, 1969 წ., შულავერის გორის ქვის ნაწარმის შესწავლის შემდეგ ჩვენც გამოვთქვით ზოგიერთი შეხედულება ძეგლისა და საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის შესახებ. კერძოდ, აღვნიშნეთ, რომ ქვემო ქართლის ძეგლები აზერბაიჯანის რიგ ნამოსახლართან ერთად (შომე-თეფე, თოირა-თეფე, ნახიჭევანის ქიულ-თეფე და სხვ.) ეკუთვნის ერთ კულტურას, რომელშიც შილის და ყარაბაღის ველის ძეგლებს რამდენადმე განცალკევებული ადგილი უკავიათ<sup>86</sup>.

აღვნიშნავდით, რომ ქვის ინვენტარის მიხედვით, შულავერი ნეოლითის მიწურულის და ენეოლითის დასაწყისი ხანის ძეგლია, თუმცა აქ აღმოჩენილ კერამიკას უფრო არქაული იერი აქვს. ამასთანავე, შულავერის გორის ქვის ინდუსტრიასა და დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ და ენეოლითურ ძეგლებზე მოპოვებულ ქვის ნაწარმს შორის არსებული განსხვავებანი იმდენად მჩაქვნილკვანია, რომ ნეოლით-ენეოლითის ხანაში, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დასავლურისაგან განსხვავებული კულტურის არსებობა უნდა ვივარაუდოთ<sup>87</sup>.

ასევე განსხვავებულად გამოიყურება შულავერის ქვის ინვენტარი წინააზიაში ცნობილ ადრესამიწათმოქმედო კულტურების ქვის ნაწარმისაგან.

ო. ჭაფარიძე 1969 წ. გამოსულ ნაშრომში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“, მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით, იძლევა წინამორბედი კულტურის განხილვას, სადაც ეხება როგორც კულტურის გავრცელების არეალს, ისე ლოკალური ვარიანტების საკითხს. ათარიღებს რა ამ ადრეულ ძეგლებს ზოგადად ძვ. წ. V—IV ათასწლეულებით, აღნიშნავს, რომ კულტურის ხასიათში ბევრი რამ ჭერ კიდევ გაურკვეველი რჩება (გულისხმობს კულტურის ენეოლითურობასა და ნეოლითურობას)<sup>88</sup>.

1970 წ. გამოვიდა კ. კუმანარიოვასა და ტ. ჩუბინიშვილის კრებითი წიგნი «Древние культуры Южного Кавказа»,<sup>89</sup> რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანის ძეგლების განხილვას. ამ წიგნში, ძირითადად, იგივე დებულებები და დასკვნები მოცემული, რაც ამავე ავტორთა შემოგანხილულ ნაშრომში გვხვდებოდა<sup>90</sup>, ზოგჯერ ოდნავ შეცვლილი სახით. ამიტომ ზოგჯერ შეიძლება ჩვენ გავიმეორათ უკვე ზემოთ მოტანილი ჩამოვლით დებულება.

<sup>85</sup> ი. პ. Селимханов, Р. М. Торосян, დასახ. ნაშრ., გვ. 234. რა თქმა უნდა, ამგვარი მტკიცება მერტად ვაზიადებულია და არ არსებობს არავითარი სერიოზული საფუძველი არათუ ქულ-თეფეს, არამედ თელეთას ადრებრინჯაოს ხანაში ვადასატანად.

<sup>86</sup> თ. კ ი ლ რ ა ძ ე, შულავერის გორის ქვის ინდუსტრია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის XVII სესიის მასალები, თბილისი, 1969, გვ. 14, 15. იგივე ნაშრომი უფრო გავრცობილი და სრული სახით, დაიბეჭდა 1970 წ. საისტორიო კრებულის II ტომში.

<sup>87</sup> ი ქ ე ე, გვ. 15.

<sup>88</sup> თ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1969, გვ. 220—224; იხ. შენიშვნა 223-ე გვერდზე.

<sup>89</sup> К. Х. Кушнарєва, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа (V—III тыс. до н. э.), Л., 1970.

<sup>90</sup> Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарєва, Новые материалы по энеолиту...

შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ ძვ. წ. V—IV ათასწლეულები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ნეოლითისათვის იყო „დათმობილი“, ახლა „შევსებულა“ ზუსტად დათარიღებული ენეოლითური კომპლექსებით, საკუთრივ ნეოლითის პერიოდი კი ათასწლეულთა სიღრმეში იწვევს და დაზუსტებამდე, ზოგადად, შეიძლება ძვ. წ. VII—VI ათასწლეულით განისაზღვროს<sup>81</sup>.

ავტორები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ამიერკავკასიის ენეოლითის ძეგლების სუსტი და არათანაბარი შესწავლისა, მაინც შესაძლებელი ხდება ფართო ტერიტორიაზე (იხ. ზემოთ) მეურნეობის ერთგვაროვანი წყობით გამოწვეული, მატერიალური კულტურის ერთფეროვანი ფორმების დადგენა. რაც მათ საფუძველს აძლევს სამხრეთ კავკასიის ენეოლითური ძეგლები გაერთიანონ ცნებაში „არქეოლოგიური კულტურა“, რომლისთვისაც შემოაქვთ ტერმინი „სამხრეთ კავკასიის ენეოლითური კულტურა“<sup>82</sup>. მათი აზრით, ეს ტერმინი ფარავს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ცოტა ხნის წინათ შემოტანილ ტერმინებს — „შოპუ-თეფეს კულტურა“ და „შულავრის კულტურა“, რომელთაგან ერთი ტიპის მასალის მომცემი ძეგლებისათვის არის შემოღებული. ამ ტიპის ძეგლებს ავტორები აერთიანებენ ტერმინში „შოპუ-თეფეს ტიპის არქეოლოგიური კომპლექსი“, რომელიც, მათი აზრით, „ქიულ-თეფე I ტიპის კომპლექსთან“ ერთად, სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიური კულტურის ორ ლოკალურ ვარიანტს ქმნის. ავტორთა მიხედვით, შესამე ვარიანტი თითქოს ისახება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე<sup>83</sup>. „სამხრეთ კავკასიის ენეოლითის“ ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრისას, კ. კუშნარიოვა და ტ. ჩუბინიშვილი, რადიოკარბონული მონაცემების გარდა, ეყრდნობიან, ერთი მხრივ, პასუნას (თელუთა), პალაფის (თელუთა, ქიულ-თეფე I, გინჩი) და ობეიდის (თელუთა, გეოი-თეფე M) ტიპის იმპორტული კერამიკის აღმოჩენას. კავკასიის ძეგლებზე<sup>84</sup> და მეორე მხრივ — „პლანო-კონვექსური“<sup>85</sup> ალიზების აღმოჩენას (არუხლო, შოპუ-თეფე, იმირი). ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ენეოლითური პერიოდის ხანგრძლივობა დასტურდება დანაშრევთა სიმძლავრით, რომელიც ზოგ ძეგლზე 8—10 მ უდრის<sup>86</sup>.

საზგასმულია, რომ ენეოლითის ზედა თარიღი ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლოზე — IV—III ათასწლეულთა მიჯნაზე მოდის. ამის დასადასტურებლად აღნიშნულია, რომ 1. ზოგ ძეგლზე ენეოლითური ფენები უშუალოდ „ეხება“ მტკვარ-არაქსულს (შენგავითი, ბაბა-დერევიში, გეოი-თეფე, შრეშ-ბლური და სხვ.); 2. ზოგ ძეგლზე კი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული კერამიკული ფორმებისა და ენეოლითური კერამიკის შემცველი ფენები ერთმანეთშია არეული (ამირანის-გორა, ნაცარ-გორა, თეთრი წყარო, აბელია, დიდუბე)<sup>87</sup>.

<sup>81</sup> К. Х. Кушнарeва, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа. გვ. 5.

<sup>82</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 169—170.

<sup>84</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია თელუთაზე — ერთფენიან ძელზე, სადაც ერთი, მაქსიმუმ ორი, საშუენებლო პორიზონტია წარმოდგენილი, აღმოჩენილი იყოს პასუნას, პალაფისა და ობეიდის ტიპის ნაწარმი, რადგანაც ამ სამი კულტურის დიაპაზონი თითქმის ორი ათასი წელია.

<sup>85</sup> ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 22.

<sup>86</sup> К. Х. Кушнарeва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 171.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 181.

ავტორები მოუთითებენ, რომ „შომუ-თეფეს ტიპის კომპლექსისათვის“ დამახასიათებელია შურა ფერის, უხეში, გაუპრიალებელი კერამიკა, მრავალფეროვანი ქვის ინდუსტრია, რომელშიც შემონახულია ძველი, მეზოლითური (?) ტრადიციები და ძვლის იარაღების სიმრავლე<sup>98</sup>. აქვე აღნიშნულია, რომ ლითონი მეტად მცირერიცხოვანია<sup>99</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ მეზოლითური და ნეოლითური ტრადიციები „სამხრეთ კავკასიის ენეოლითური კულტურის“ დახასიათების დროს ნაშრომში რატომღაც ზედმეტად ხშირად იხსენიება (გვ. 7, 25, 36, 41, 46, 53, 54, 55, 170 და სხვ.).

კ. კუშნარიოვა და ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავენ, რომ სამხრეთის ზოლის, ე. ი. ქიულ-თეფე I ტიპის, ძეგლები (არაქსის აუზი, აღმ. ანატოლია, ვანისა და ურმიის ტბის ოლქები) შომუ-თეფურისაგან განსხვავებულ არქეოლოგიურ კომპლექსს იძლევა. მისთვის დამახასიათებელია ღია ფრად ანგობირებული, ჩვეულებრივ გაპრიალებული, ზოგჯერ მოხატულიც, მცენარეულმინარევიანი კერამიკა, აგრეთვე შემოტანილი ნივთებისა და ლითონის ნივთების არსებობა, რაც, მათი აზრით, სამხრეთთან ინტენსიურ კავშირზე მიუთითებს<sup>100</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორებმა ქიულ-თეფე I აღმოჩენილ მოხატულ კერამიკაში, ა. იესენის უკვე აღნიშნული პარალელების გარდა, პალაფურად თვლიან, აგრეთვე, დაბალ, პირგადაშლილ ქოთანს. დიდ მსგავსებას მესოპოტამიურ ნაწარმთან ხედავენ ქიულ-თეფეს მოხატულ თევზებში<sup>101</sup>, ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ქიულ-თეფე I გვიანი ფენები ებჯინება ძვ. წ. IV—III ათასწლეულთა მიჯნას<sup>102</sup>.

ავტორთა აზრით, ზემოდანახელებული ორი კომპლექსის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი თანადროულად მიმდინარეობდა, რისი მანიშნებელიც უნდა იყოს ერთმანეთისაგან ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულ ძეგლებზე მძლავრა კულტურული ფენების არსებობა. ამასთან, აღნიშნული აქვთ, რომ ამ პროცესზე მოქმედებდა სხვადასხვა ფაქტორი — სამხრეთით მოსახლე ტომებს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ წინა აზიის მალაღვანეთარებულ ქვეყნებთან; ისინი პირველნი იღებდნენ, ითვისებდნენ იქაურ მიღწევებს.

ჩრდილო რაიონის მოსახლეობამ, რომელიც ეშეულოდ არ იყო დაკავშირებული წინა აზიის ცენტრებთან, შექმნა კავკასიისათვის თვითმყოფადი კომპლექსი, რომელიც თავისი ფესვებით ადგილობრივ ნეოლითს უკავშირდება,

<sup>98</sup>К. Х. Кушнарєва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

<sup>99</sup> როგორც ჩანს, ავტორები 1952 წ. (ე. ი. იმ დროს, როცა მტკვარ-არაქსის კულტურა ითვლებოდა ენეოლითურად) ენეოლითურად განსაზღვრულ სტალინისის ნაყარგორის ფენას 1970 წელსაც ენეოლითურად მიიჩნევენ. თუნდაც რომ მისაღები იყოს ნაყარგორის ქვედა ფენის ენეოლითით დათარიღება, იქ აღმოჩენილი პორიზუნტალურ-შვერილიანი ქურჯლის ფრაგმენტის მიხედვით, რაც მეტად საღისკუსიოდ გვეჩვენება, მას მაინც არაფერი ექნებოდა საერთო კ. კუშნარიოვასა და ტ. ჩუბინიშვილს ე. წ. „შომუ-თეფეს ტიპის კომპლექსთან“, რადგანაც თვითონვე აქვთ აღნიშნული, რომ ნაყარგორის მსგავს ძეგლებზე აღმოჩენილი „ენეოლითური კერამიკა“ უფრო ქიულ-თეფე I ტიპის კერამიკულ კომპლექსს ემსგავსება (იხ. მათივე ნაშრომის გვ. 32, 33); ეს იმითომ აღენიშნეთ, რომ 1970 წლისთვის „შომუ-თეფეს ტიპის კომპლექსის“ არც ერთ ძეგლზე ლითონის კვალიც კი არ ყოფილა აღმოჩენილი.

<sup>100</sup> К. Х. Кушнарєва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

<sup>101</sup> იქვე, გვ. 50; შდრ. О. А. Абибуллаєв, Некоторые итоги..., СА. 1963, №3, გვ. 163, სურ. 6, 1, 4.

<sup>102</sup> К. Х. Кушнарєва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

განაგრძობენ ავტორები. ეს კომპლექსი პირველთან შეფარდებით, რამდენად-მე უფრო არქაულად გამოიყურება<sup>103</sup>.

ეს მოსაზრებანი უკრიტიკოდ მისაღები არ უნდა იყოს, რის შესახებაც უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი, მით უმეტეს, რომ საწინააღმდეგო მაგალითი თვით ავტორებსაც მოაქვთ: სამხრეთის ზონაში, როგორც ისინი აღნიშნავენ, გვხვდება განცალკევებულად მდგომი ზოგიერთი ნაშოსახლარი (შენგავითი, მაშტოცი-ბლური, კზიაკ-ბლური), რომლებიც პირველ რიგში კერამიკით, შომუ-თეფეს ტიპის ნამოსახლარებს უახლოვდება<sup>104</sup>. ამასთან ერთად: კ. ეშნარიოვასა და ტ. ჩუბინიშვილის ცნობით, ჩრდილოეთ რაიონების ზოგ ძეგლზე. უშუალოდ მტკვარ-არაქსის კულტურის ფენებს ქვეშ, თუ მასში არეულად, აღმოჩენილია ენეოლითური კერამიკა, რომელიც უფრო ემსგავსება ქულ-თეფე I კომპლექსს, ვიდრე შომუთეფურს<sup>105</sup>.

ტ. ჩუბინიშვილის კალამს ეკუთვნის 1970 წ. გამოხული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ენეოლითურ კულტურას ეძღვნება<sup>106</sup>.

იგი აღნიშნავს, რომ ენეოლითური ხანა ადრეული სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების მოგვიანო საფეხურს ეკუთვნის<sup>107</sup>. ტ. ჩუბინიშვილი მიუთითებს, რომ ადრეული ენეოლითური საფეხურისათვის განკუთვნილი მასალები ყველაზე მკაფიოდ გამოვლენილია დასავლეთ საქართველოში, სადაც თითქმის ჩანს კიდევ მათი გენეტიკური კავშირი ადგილობრივ ნეოლითურ კულტურასთან, გელისხშობს რა თეთრაპიწისა და საგვარჯილეს ენეოლითურ კომპლექსებს. საკუთრივ ენეოლითს აკუთვნებს ამ ტერიტორიის ისეთ ძეგლებს, როგორცაა სამელე-კლდე, სამერცხლე-კლდე და მაქარა<sup>108</sup>. ავტორი აღზოსაველეთ საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითურ ძეგლებად თვლის: მტკვრის მარცხენა ნაპირის გაყოლებით — ამირანის გორას, ცხინვალის ნაყარ-გორას, ხიზანანთ გორასა და დიდუბეს, მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით — შულავერს, არუხლოს, იმირს. წოფს, კიკეთს, აბელიასა და თეთრი წყაროს<sup>109</sup>.

საქართველოს ენეოლითურ ძეგლებზე აღმოჩენილ კერამიკაში ავტორი რამდენიმე ჯგუფს გამოპყოფს: 1. ძაბრისებურყელიანი ჭურჭელი, რომელიც მთელ საქართველოშია გავრცელებული. აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში ამ ჭურჭლის ფორმა რამდენადმე განსხვავებულია (სამელე-კლდე, სამერცხლე-კლდე, ვორონცოვის მღვიმე, აფხაზეთის ზღვისპირეთი და სხვ.) და რომ ეს ნაკეთობანი რიგი ნიშნებით მაიკოპის კულტურას უახლოვდება. თუმცა ქრონოლოგურად ბევრად უსწრებს წინ<sup>110</sup>; 2. ნაყარის ორნამენტით შემკული (თეთრი წყარო, შულავერი, იმირი), რაც ემსგავსება როგორც აზერ-

<sup>103</sup> ი ქ ვ ე, გვ. 58.

<sup>104</sup> К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили. დასახ. ნაშრ., გვ. 42, 46; ამ რიგის ძეგლებს ჩვენ შეგვიძლია დავუმტოთ არარატის ველის სხვა ნასოფლარებიც — ენგაჯა, ხათუნარხი და სხვ.

<sup>105</sup> ი ქ ვ ე, გვ. 32, 58.

<sup>106</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 129—151.

<sup>107</sup> ი ქ ვ ე, გვ. 129.

<sup>108</sup> ი ქ ვ ე, გვ. 130, 131.

<sup>109</sup> ი ქ ვ ე, გვ. 131, 132.

<sup>110</sup> ი ქ ვ ე, გვ. 136.

ბაჩანის (შაქორ-ჩაი, თაუზ-ჩაი), ისე დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ელეონითური (მაქარა) და ნეოლითური (ანასეული) ხანის ქურჭლის ორნამენტს<sup>111</sup>. 3. პორიზონტალური შვერილების მქონე კერამიკას, რომელიც აღმოჩენილია მაქარაში, ქობულეთ-ფიჭვნარში, ნაცარგორაზე, ამირანის-გორასა და არუხლოზე, ნახაქევანის ქიულ-თეფე I ანალოგიების საფუძველზე, შედარებით მოგვიანო ხანისად მიიჩნევის<sup>112</sup>; 4. ნაძერწი შემკულობის მქონე კერამიკას, რომელსაც ტ. ჩუბინიშვილი მცირე ტერიტორიალური გავრცელების, ადგილობრივ ნაწარმად თვლის<sup>113</sup>; 5. თხელკედლიან წითლად შეღებილ და გაპრიალებულ ზედაპირთან კერამიკასა და ნაძვანარეგ თიხის ქურჭელს (განსაკუთრებით პირველს) იგი შემოტანილად მიიჩნევის<sup>114</sup>.

ტ. ჩუბინიშვილი ენეოლითური კულტურის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ნიშნად ლითონის უძველეს ნაწარმს თვლის. აღნიშნავს, რომ ასეთი მასალა საქართველოს ტერიტორიაზე ჭერჭერობით მცირე რაოდენობითაა მოპოვებული. მათ შორის ასახელებს გუაღ-იხუს ნამოსახლარზე აღმოჩენილ ტყვიის ზოდებს<sup>115</sup>, იმირის გორაზე მოპოვებულ ლითონის სალობ „ცეცხლ-გამძღვ თიხის ტრეგელს“<sup>116</sup>, დარიშხანიანი სპილენძისაგან დამზადებულ ანკისსა და სადგისებს საგვარჯილედან<sup>117</sup>, იგი ენეოლითურ ხანას მიაკუთვნებს აგრეთვე ნაცარგორის უძველეს სამარხებში<sup>118</sup> ნაპოვნ ლითონის ნივთებს<sup>119</sup>.

ტ. ჩუბინიშვილს ენეოლითური კულტურის ქრონოლოგიური დიაპაზონის დასადგენად მოაქვს როგორც ქვედა, ისე ზედა თარიღის განმსაზღვრელი მონაცემები. იგი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონებში და ქვემო ქართლში დაღი რაოდენობითაა აღმოჩენილი თიხის ისეთი ქურჭელი, რომელსაც ზოგი რამ საერთო გააჩნია დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კერამიკასთან და ჰასუნას ტიპის უძველეს ნაწარმთან<sup>120</sup>. ქვის ინვენტარის და-

<sup>111</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 136; მაქარას ქვედა IV ფენის კერამიკა. ვ. ბეანია მიხედვით, უორნაშენტო. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ღარი შემოუყვება ქურჭლის პირს. იხ. В. В. Б ж а н и я, Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии, СА, 1966, № 1, გვ. 116—117. სხვათა შორის, ვ. ბეანია ამ ფენას III ათასწლ. I ნახევრით ათარიღებს. |

<sup>112</sup> ი ქ ვ ე, გვ. 137. არსად არ აღნიშნავს ვ. ბეანია პორიზონტალური შვერილების არსებობას.

<sup>113</sup> ი ქ ვ ე, გვ. 137.

<sup>114</sup> ი ქ ვ ე, გვ. 137, 138, ა. იესენისა და თავისივე წინა ნაშრომებისაგან განსხვავებით აქ აღნიშნულია, რომ ბუნარევი კერამიკის უადრესი ნიმუშები ჩრდილომესოპოტამიურ ნამოსახლარებზეა (ჰასუნა, სამარა) დადასტურებული.

<sup>115</sup> მათი ენეოლითურობა მეტ საბუთიანობას მოითხოვს; რასაც ვ. ბეანია აღნიშნავს, რომ ისინი ნაპოვნი ენეოლითური იერის მასალასთან ერთად, ამგვარი რთული საკითხისათვის არაღმაკმაყოფილებელია — იხ. В. В. Б ж а н и я, История археологического изучения памятников энеолита и ранней бронзы в Абхазии. აფხაზეთის არქეოლოგიის მასალები, თბ., 1967, გვ. 109.

<sup>116</sup> რომელც სინაღლეში უში თიხის ნივთია.

<sup>117</sup> ამასთან დაკავშირებით მითითებულია ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ენეოლითური კულტურა: საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959. ამ დროს მტკვარ-არაქსის კულტურა ითვლებოდა ენეოლითურად და საგვარჯილეს „ენეოლითური“ ფენაც მას უკავშირდება; იხ. აგრეთვე, დ. თ უ შ - ა ბ რ ა შ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის, მაღნე, იაგბი სერია, 1971, № 4, გვ. 76—83.

<sup>118</sup> ნაცარგორის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 26.

<sup>119</sup> ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 139.

<sup>120</sup> ი ქ ვ ე, გვ. 140; ეურდნობა ო. ჭაფარიძესა და ა. ჭავჭავაძის; იხ. „მაღნე“, 1967, № 3.

ხასიათებისას აღნიშნავს, რომ მათი მიხედვით აშკარად იგრძნობა იარაღის დაზნადების ნეოლითური ტრადიციები<sup>121</sup>. კიდევ მეტი, აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოსა და მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში ახლად აღმოჩენილი ნეოლითური კულტურის დასათარიღებლად საკმაოდ მეტყველი მასალა არსებობს, მათ შორისაა ნეოლითური ან კიდევ უფრო ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი ქვის ინდუსტრიის ისეთი კარგად ცნობილი ნიმუშები, როგორიცაა თეთრი წყაროს ნასახლარზე მოპოვებული, ე. წ. ნატუფის ტიპის ისრისპირები<sup>122</sup>. იგივე შეიძლება ითქვას მიკროლითური იარაღების შესახებაც<sup>123</sup>. ტ. ჩუბინიშვილი არუხლოს გორის ქვისსკულპტურულ გამოსახულებასაც ნეოლითთან დასაერთოდ, ქვის ხანის ხელოვნებასთან აჯავშირებს<sup>124</sup>. რადიოკარბონულ თარიღებთან დაკავშირებით ძვ. წ. VI ათასწლეულიცაა ნახსენები<sup>125</sup>. ზედა ქრონოლოგიური საზღვარი, ისევე როგორც წინა ნაშრომებში, არუხლოზე აღმოჩენილ „პლანოკონვექსურ“ ალიზებსა და „ბულაზე“ დაყრდნობით, ძვ. წ. IV—III ათასწლეულთა მიჯნითაა განსაზღვრული<sup>126</sup>.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი კავკასიის ნეოლითური და ენეოლითური კულტურების კვლევას რ. მუნჩაევის სადოქტორო დისერტაციაში<sup>127</sup>.

რ. მუნჩაევი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლების შესწავლის პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ არაა სათანადოდ დამუშავებული, დაკავშირებულია არა მარტო კავკასიის, არამედ მთლიანად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უძველესი ისტორიის მთელი რიგი კარდინალური პრობლემების გადაჭრასთან<sup>128</sup>.

ნაშრომის ერთი თავი (II) ეძღვნება კავკასიის ნეოლითის დახასიათებას, რომელიც, როგორც ავტორი შენიშნავს, ერთ-ერთი ყველაზე სუსტად შესწავლილი პერიოდია. იგი აღნიშნავს, რომ კავკასიაში ნეოლითური ძეგლები კონცენტრირებულია მხარის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში<sup>129</sup>. ამიერკავკასიის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებში, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ რაიონებში, ნეოლითური ძეგლები უკიდურესად მცირერიცხოვანია. აღმოსავლეთ საქართველოში იგი მხოლოდ ერთ პუნქტს (ულიანოვკა, ლაგოდების რ-ნი) ასახელებს, სადაც ნეოლითური ტიპის მასალებია ცნობილი<sup>130</sup>.

<sup>121</sup> ი ქ ვ ე, გვ. 135.

<sup>122</sup> ეს დასკვნა გაკეთებულია გ. გობეჯიშვილის ნაშრომზე მითითებით. ჯერ ერთი, თეთრი წყაროს ისრისპირებს ნატუფერთან ფორმალური მგავსების გარდა არაფერი აქვს საერთო; მეორეც, ასეთი შედარების დროს დიდ ანაქრონიზთან გვექნება საქმე.

<sup>123</sup> ი ქ ვ ე, გვ. 140.

<sup>124</sup> ი ქ ვ ე.

<sup>125</sup> ი ქ ვ ე, გვ. 141.

<sup>126</sup> ი ქ ვ ე, გვ. 142.

<sup>127</sup> P. M. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы (V—III тыс. до н. э.), М., 1970, машинопись: его же, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы (V—III тыс. до н. э.). Авт. дисс. на соис. уч. ст. док. ист. наук, Тбилиси, 1971.

<sup>128</sup> P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრ., ავტორეფრატი, გვ. 2.

<sup>129</sup> ი ქ ვ ე, გვ. 21.

<sup>130</sup> ვერ გაიზიარებთ ავტორის ამ შეხედულებას, ისევე როგორც მეტად სადავოდ მიგვაჩნია აზერბაიჯანში რ. მუნჩაევის მიერ დასახელებული № 133 საჯგომის, კილიჯალის ქვის იარაღების სახელოსნოს (ქვედა ფენისა), შამქორის რ-ნის ს. გოლიცინოს ყორღანისა და სტეპანაკერტის 119 და 125 ყორღანების უძველესი სამარხების ნეოლითურობა, იხ. ავტორეფ. გვ. 21, 22.

რ. მუნჩაიევი თვლის, რომ ადრენეოლითის ხანაში, რომელსაც გენეტიური კავშირი უჩანს ადგილობრივ მეზოლითურ კულტურასთან, მეურნეობის საფუძველს კვლავ მონადირეობა და შემგროვებლობა წარმოადგენდა. ახალ ეკონომიკაზე გადასვლას იგი ნეოლითის განვითარებულ ეტაპს უკავშირებს<sup>131</sup> და შესაბამისად მიაჩნია, რომ მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბება კავკასიაში წინა და შვირე აზიასთან შედარებით უფრო გვიან დაიწყო<sup>132</sup>. შესწავლის დღევანდელ დონეზე, ავტორის ძნელად გადასაწყვეტად მიაჩნია საკითხი, დამოუკიდებლად წარმოიშვა კავკასიაში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, თუ მეურნეობის ეს ფორმები მახლობელი აღმოსავლეთიდან არის შემოსული<sup>133</sup>. ამასთანავე, ითვალისწინებს რა მეტად ხელსაყრელი პირობების არსებობას ამიერკავკასიაში, საკითხის პირველი ვარიანტის სასარგებლოდ გადაჭრა საქმეოდ რეალურად ეჩვენება<sup>134</sup>. ნაშრომის მეორე თავის დასასრულს რ. მუნჩაიევი იძლევა კავკასიის ნეოლითის მეტად სავარაუდო თარიღს — ძვ. წ. IX—V ათასწლეულები V ათასწლ. ჩათვლით<sup>135</sup>.

მეტად საყურადღებოა ნაშრომის მომდევნო თავი „კავკასიის ენეოლითი“. სადაც მთლიანად კავკასიის მასალების გაანალიზების ცდაა მოცემული, მახლობელი აღმოსავლეთის მონაცემების გათვალისწინებით.

ამიერკავკასიის ენეოლითურ ძეგლებში რ. მუნჩაიევი ორ დიდ ჯგუფს განიჭყოფს. პირველს აკუთვნებს ნახიჭევანის ქიულ-თეფე I (ქვედა ფენას), ბილის, ყარაბაღისა და მულანის ველის ზოგიერთ ძეგლს და რამდენადმე პირობითად, თელუთას, არარატის ველზე<sup>136</sup>. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ცენტრალური ამიერკავკასიის — საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე რაიონებში მდებარე ძეგლები. რ. მუნჩაიევი აღნიშნავს, რომ ძეგლების ეს ჯგუფი ზოგი ავტორის მიერ ცალკე კულტურადაც კია გამოყოფილი: იგი ძეგლების ამ ორ ჯგუფს განიხილავს არა როგორც ცალკეულ კულტურებს, არამედ როგორც ამიერკავკასიის უძველეს მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურის ორ ლოკალურ და ქრონოლოგიურ ჯგუფს<sup>137</sup>. მითითებულია, რომ ძეგლების ამ ჯგუფთა არეალი არ შემოისაზღვრება აღნიშნული ტერიტორიებით: ზოგი მონაცემით შომუ-თეფე-შულავრის ჯგუფის ძეგლები გვხვდება სომხეთის ტერიტორიაზეც. ავტორის აზრით, განცალკევებულად დგას გინჩის ნამოსახლარი, რომელიც შესაძლოა დაღესტნისა და მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის უძველეს მიწათმოქმედ-მესაქონლეთა ცალკე კულტურას ასახავდეს<sup>138</sup>. ავტორი ცალკე ჯგუფად გამოჰყოფს თეთრამიწას, მაჰარას ქვედა ფენას, გუადიხუს, ვორონცოვის მღვიმის ცალკეულ კომპლექსებს და სხვ. მისი აზრით, ეს ჯგუფი აზასიათებს კავკასიის ენეოლითის თავისებურ კულტურას<sup>139</sup>.

რადიოკარბონული თარიღები და სხვა მონაცემები გვიჩვენებს, განაგრძობს იგი, რომ შომუ-თეფე-შულავრის ჯგუფის ძეგლები ძვ. წ. V ათასწლეულით თარიღდებიან და უფრო ადრეულია, ვიდრე ნახიჭევან-თელუთას კომპ-

<sup>131</sup> იქვე, გვ. 22—25.

<sup>132</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>133</sup> იქვე, გვ. 25, 26.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>135</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>136</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>137</sup> იქვე.

<sup>138</sup> იქვე.

<sup>139</sup> P. M. M u n c h a e v, Кавказ в эпоху..., საღისერტ. ნაშრომი, გვ. 181, 182.



ლექსი<sup>140</sup>. საყურადღებოა, აღნიშნავს ავტორი, ძვლის იარაღების შრავალფეროვნება შომუ-თეფეზე და ნეოლითური ტიპის იარაღების (საქრისები, საფხეკები, დანისებური ლამელები) სიმრავლე შულავერში, არუხლოზე და სხვ<sup>141</sup>. განიხილავს რა შომუ-თეფე-შულავერის კომპლექსის კერამიკულ ნაწარმს, შულავერის გორის სტრატეგრაფიის გათვალისწინებით, რ. მუნჩაივი აღნიშნავს, რომ შულავერის ნამოსახლარი უფრო ადრეულია, ალბათ, ვიდრე შომუ-თეფე, თორა-თეფე და დასავლეთ აზერბაიჯანის სხვა ძეგლები. ამავე დასკვნაშივე მცვეყართ ძვლისა და ქვის ინვენტარის განხილვასაც<sup>142</sup>.

ძეგლების მეორე ჯგუფის შესახებ მსჯელობისას, ითვალისწინებს რა ნახიკეანის ქიულ-თეფე I და თელუთას მასალებს, აღნიშნავს, რომ აქ აღმოჩენილი ქენსა და ძვლის ინვენტარი თითქმის არ განსხვავდება შომუ-თეფე-შულავერის ჯგუფის შესაბამისი მასალისაგან<sup>143</sup>; და რომ იგი საერთოა ძველი სამყაროს ადრეამიწათმოქმედო ძეგლების ფართო არეალისათვის<sup>144</sup>.

ხაზგასმულია, რომ ქიულ-თეფე I და თელუთაზე აღმოჩენილია მცირერიცხოვანი ლითონის ნივთები, რომლებიც უძველესია კავკასიისათვის<sup>145</sup>. ამ ჯგუფის კერამიკის დახასიათებისას აღნიშნულია, რომ ქიულ-თეფე I და თელუთას მასალა მიუხედავად ზოგერთი მსგავსებისა ერთგვაროვანი არ არის<sup>146</sup>. ქიულ-თეფეზე ძირითადად გავრცელებულია ბრტყედიარიაში. უპირატესად ნაშჷა ან ბალახნარევი თიხისაგან. უხეშად ნაქერწი ქურჭელი<sup>147</sup>. რ. მუნჩაივი საკვებთ ეთანხმება ო. აბიბულაევს, როდესაც მოხატულ კერამიკაში იმპორტულ და იმპორტულს ადგილობრივ მინაბაძებს გამოპყურს<sup>148</sup>. ქიულ-თეფე I აღმოჩენილ იმპორტულ, ერთადერთ მთელ ქურჭელში იგი ფორმით, ფერით, დამზადების ხარისხითა და მოხატულობის ხასიათით, ჰალაფური კერამიკის შესაბამისი ეგზემპლარების ზუსტ ანალოგიას ხედავს<sup>149</sup>. მისი აზრით, საეკვა, რომ ეს ქურჭელი უშუალოდ შუამდინარეთიდან იყოს შემოტანილი, შესაძლოა იგი აღმოსავლეთ ანატოლიიდან, კერძოდ, ვანის ტბის რაიონიდან (რგელისხეზა თიკლი-თეფეს ქვედა ფენა, სადაც ჰალაფური ნაწარმი ფართოდაა წარმოდგენილი) მიმდინარეობდეს<sup>150</sup>.

ავტორი დეტალურად განიხილავს შილის ველის ძეგლებს, სადაც აგრეთვე ჩანს მოხატული კერამიკა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ძეგლი გათხრილი არ არის. ამ ძეგლების კერამიკის ძირითადი ნაწილი, ისევე როგორც ქიულ-თეფეზე, წარმოდგენილია მარტივი ფორმის უხეში, სქელკედლიანი ქურჭლებით, რომლებიც ნაქერწია ნამჯანარევი თიხისაგან. ყველა ქურჭელი ბრტყედიარა და უყურთა (ზოგჯერ ყურებს ცვლის, ისევე როგორც ქიულ-

<sup>140</sup> P. M. Mykhayev, დასახ. ავტორეფერატი, გვ. 27—28.

<sup>141</sup> ი ქ ე ე, გვ. 28.

<sup>142</sup> მ ი ს ი ე ე, საღისერტაციო ნაშრომი, გვ. 199.

<sup>143</sup> რასაც ვერ დავეთანხმებით; დაწერილებით იხ. ქვემოთ.

<sup>144</sup> არც ამ დებულების გაზიარება შეიძლება, რადგანაც სინამდვილეში ძვლისა და ქვის ინვენტარები სხვადასხვა კულტურებში მეტად თავისებურ, და ხშირად ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებულ იერს ატარებს.

<sup>145</sup> მ ი ს ი ე ე, ავტორეფ., გვ. 29.

<sup>146</sup> ი ქ ე ე, გვ. 29.

<sup>147</sup> P. M. Mykhayev, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

<sup>148</sup> მ ი ს ი ე ე, საღისერტ. ნაშრ., გვ. 205.

<sup>149</sup> ი ქ ე ე, გვ. 206.

<sup>150</sup> ი ქ ე ე.

თეფე I-ზე. ცრუყურები ჰორიზონტალური დანაძერწების სახით). ღია ფერის ანგობზე. მუქი ყავისფერი, შავი და იშვიათად წითელი საღებავით შესრულებული მოხატულობა შედგება ირიბი ზოლებისა და ერთიმეორეში ჩასმული კეთხოვანი შევრონებისაგან<sup>151</sup>.

სრულად დასაშვებად მიაჩნია ავტორს ანალოგიური მოხატული კერამიკის აღმოჩენა ყარაბაღისა და განსაკუთრებით მულანის ველის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელის თიხის ჭურჭელი გარკვეულად განსხვავდება როგორც ნახიჭევანის ქიულ-თეფე I, ისე მილის ველის ძეგლების ნაწარმისაგან<sup>152</sup>. კერამიკის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მილის, ყარაბაღისა და მულანის ველის ძეგლები ეკუთვნის ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ერთ გარკვეულ წრეს, რომელშიც უძველესად შედის ნახიჭევანის ქიულ-თეფე I. რიგი ნიშნების მიხედვით, ამავე „კულტურულ-ისტორიულ ჯგუფს“ აკუთვნებს თელუთასაც<sup>153</sup>.

რ. მუნჩაევი აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილ ძეგლებს შორის არსებული უდავო მსგავსების მიუხედავად, შათი მთლიანად იდენტურობა და მით უმეტეს აბსოლუტური სინქრონულობა ნაკლებად დასაშვებია<sup>154</sup>. ძეგლების ამ ჯგუფს ის ათავსებს ძვ. წ. V—IV ათასწლ. მიჯნასა და IV ათასწლ. შუა ხანებს შორის, უფრო ზუსტად, ძვ. წ. IV ათასწლ. პირველი ნახევრით ათარიღებს<sup>155</sup>.

მეტად ლაინტერესოა რ. მუნჩაევის კვლევა კავკასიის ძეგლებზე ნაპოვნი იპორტული მოხატული კერამიკის წარმომავლობის შესახებ, რასაც საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნაშრომში. ამ კვლევის შედეგად ის მიდის დასკვნამდე, რომ მოხატული კერამიკა კავკასიაში სხვადასხვა ცენტრებიდან და სხვადასხვა პერიოდში შემოდის, ე. ი. იგი სხვადასხვა წარმომავლობისაა<sup>156</sup>. მაგალითად, ქიულ-თეფე I გვიჩვენებს კავშირებს ჰალაფის კულტურასთან, თელუთა კი — ობეიდთან. ეს კავშირები ჩრდილომესოპოტამურ სამყაროსთან, განსაკუთრებით ჰალაფთან, სუსტი იყო და აღმოსავლეთ ანატოლიის გავლით მოდიოდა, ამასთანავე V ათასწლეულშიც და IV ათასწლეულის პირველ ნახევარშიც, სამხრეთ კავკასია, მისი აზრით, უფრო მეტად მეორე, ჩრდილო-ირანულ სამყაროსთან ამკლავნებს ურთიერთობას<sup>157</sup>. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რ. მუნჩაევი მილის ველის, გინჩისა და თვით ქიულ-თეფე I ზოგიერთ მოხატულ (ჰალაფურის გარდა) ნაწარმს უკავშირებს აღმოსავლეთ ურმისპირეთის ძეგლებზე მოპოვებულ ანალოგიურ კერამიკას<sup>158</sup>. საყურადღებოა, შენიშნავს იგი, რომ დაღმავა-თეფეს უძველესი ფენები გარკვეულ მსგავსებას პოულობს ამიერკავკასიის ენეოლითის ადრეული ჯგუფის ძეგლებთან, მაშინ, როცა, ამავე ძეგლის ზემოთა ფენა იძლევა ამიერკავკასიის შედარებით მოგვიანო კომპლექსებთან ახლოს მდგომ მოხატულ ნაწარმს<sup>159</sup>.

<sup>151</sup> P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრ. გვ. 207.

<sup>152</sup> იქვე, გვ. 208.

<sup>153</sup> იქვე, გვ. 208—209.

<sup>154</sup> მისივე, ავტორეფ. გვ. 31.

<sup>155</sup> იქვე, გვ. 31, სადისერტ. ნაშრომ., გვ. 214.

<sup>156</sup> მისივე, ავტორეფ., გვ. 33.

<sup>157</sup> იქვე.

<sup>158</sup> მისივე, სადისერტ. ნაშრ., გვ. 251.

<sup>159</sup> P. M. Мунчаев, დასახ. ავტორეფ., გვ. 34. პრინციპში სწორი ამ მოსაზრების მიღება უკრიტიკოდ მაინც არ შეიძლება; იხ. ქვემოთ.

რ. მუნჩაივი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კავკასიის შავი-ზღვისპირეთში, უფრო ზუსტად, დასავლეთ ამიერკავკასიაში, ენეოლითური კულტურა განსხვავებული გზით ვითარდებოდა. აქ, ისე როგორც ნეოლითში, გავრცელებული იყო ერთიანი კულტურა, რომელიც განსხვავდებოდა ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურისაგან<sup>160</sup>. უდავოა, დასძენს იგი. რომ როგორც შავიზღვისპირეთი, რაც ჩრდილო კავკასია, თავისი განვითარებით ჩამორჩებოდა ამიერკავკასიას, რაც იმის მუწუხებელია, რომ ლითონის ეპოქის გარიჟრაჟზე კავკასიის სხვადასხვა ოლქი არათანაბრად ვითარდებოდა. დასავლეთ ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიაში ამ დროს არსებობდნენ თვითმყოფალი კულტურები, რომლებიც თავისი ფესვებით ადგილობრივ ნეოლითს უკავშირდებოდნენ და უფრო მეტი საერთო ჰქონდათ ამ ნეოლითთან. ვიდრე ამიერკავკასიისა და დაღესტნის ენეოლითურ კულტურებთან. მათი განვითარება მიმდინარეობდა „წყნარად“, შესამჩნევი „უცხო“ გავლენების გარეშე, თვით ამიერკავკასიიდანაც კი. როგორც ჩანს, ამგვარივე გზით ვითარდებოდა ჩრდილო-დასავლეთ კასპიისპირეთის ენეოლითური კულტურაც<sup>161</sup>.

ო. ჭაფარიძისა და ა. ჭავჭავაძის 1971 წ. დაბეჭდილ ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968—1969 წწ. ანგარიშში, სადაც ძირითადად იმირის გორის შედარებით ზედა ფენების მასალები განხილული, აღნიშნულია, რომ ადრე სტრატოგრაფიულ თხრილში მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით გამოთქმული ვარაუდი, რომ იმირის გორა უნდა ასახავდეს ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარებაში შულავერის გორის მომდევნო სტადიას. კიდევ უფრო გააძაგრა დამატებითმა მონაცემებმა<sup>162</sup>.

იმავე წელს დაიბეჭდა ამავე ავტორთა წიგნი „უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე“<sup>163</sup>, რომელიც წლების განმავლობაში ქვემო ქართლში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგების შეჯამებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის ძეგლები არა მარტო კავკასიის, არამედ მთლიანად მახლობელი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურების ფონზეა განხილული.

ავტორები, ითვალისწინებენ რა მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობების არსებობას, ვარაუდობენ, რომ „მეურნეობის ახალი, პროგრესული ფორმის წარმოქმნის ერთ-ერთი დამოუკიდებელი კერა უნდა არსებულიყო წინააზიური სამყაროს ჩრდილო ზოლში — ამიერკავკასიაში“<sup>164</sup>. ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ სავარაუდოა აქ მიწათმოქმედების რამდენიმე კერის არსებობა „და არც ისაა გამორიცხული, რომ ეს პროცესი აქ ერთდროულად არ მიმდინარეობდა“<sup>165</sup>.

ამავე ნაშრომში, ქვემო შულავერის ჭგუფის ძეგლების დახასიათების დროს, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჭერაჭერობით ისე ჩანს, თითქოს შულა-

<sup>160</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>161</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>162</sup> О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ Квемо-Картлийской археологической экспедиции (1968—1969 гг.), სსმე, II, თბილისი, 1971, გვ. 29.

<sup>163</sup> О. ჭაფარიძე, ა. ჭავჭავაძის, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971 წ.

<sup>164</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>165</sup> იქვე, გვ. 8.

ვერას გორაზე სოფელი უფრო ადრე წარმოიქმნა, ვიდრე მის მახლობლად მდებარე შედარებით მომცრო გორებზე<sup>166</sup> და რომ საბოლოოდ ცხოვრება ყველა მათგანზე ერთდროულად ქრება<sup>167</sup>. ო. ჭაფარიძე და ა. ჭავჭავაძე მიუთითებენ, რომ ყაზახის რაიონის შესწავლილი ძეგლების მასალა თითქმის არ განსხვავდება მარნეულის ველის უძველესი ნამოსახლარების მასალებისაგან<sup>168</sup>.

ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამიერკავკასიის ადრეულ ნამოსახლარებზეა და მათ კულტურაში ასახულია მიწათმოქმედი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის ბოლო საფეხური<sup>169</sup>. სხვა ადგილას აღნიშნულია, რომ ამ კულტურაში ასახულია ნეოლითური რევოლუციის ხანგრძლივი პროცესის ბოლო ეტაპი და მისი შედეგები<sup>170</sup>.

ო. ჭაფარიძე და ა. ჭავჭავაძე ზოგადად შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის არსებობის ხანას ძვ. წ. V—IV ათასწლეულებით ფარგლავენ<sup>171</sup>; რადიოკარბონული თარიღებიდან გამომდინარე, თვლიან, რომ ეს კულტურა უნდა ჩამოყალიბებულიყო ძვ. წ. V ათასწლ. შუა ხანებში<sup>172</sup>, აქვე მოცემულია ძეგლების ქრონოლოგიური ურთიერთშეფარდებაც: „ყველაზე უადრესი ჩანს შულავერის გორა და შომუ-თეფე, შემდეგ მოდის თორიე-თეფე და IV ათასწლ. დამდეგის იმირის გორა<sup>173</sup>. ქიულ-თეფე I ამავე დროისა უნდა იყოს. ამ კულტურის დასასრული ძვ. წ. IV ათასწლ. შუა ხანებზე უნდა მოდიოდეს“<sup>174</sup>. აქვე აღნიშნულია, რომ ამ ათასწლეულის შუა ხანებიდან უკვე ჩნდება მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტები<sup>175</sup>.

ავტორები V—IV ათასწლ. ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში ორ ლოკალურ ვარიანტს გამოჰყოფენ, რომელსაც, მათი აზრით, ადგილობრივი და საერთო ფესვები უნდა ჰქონოდათ, ხოლო მათ შორის გამსხვავებას ერთგვარი ქრონოლოგიური სხვაობითა და წინა აზიასთან ურთიერთობის ინტენსივობით ხსნიან. ამასთანავე, ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზოლში (მილისა და ყარაბაღის ველი, ნახიქევანის მხარე, არარატის ველი) არსებული ვარიანტი მათ რამდენადმე უფრო გვიანდელად მიაჩნიათ შომუ-თეფე-შულავერის კულტურასთან შედარებით<sup>176</sup>. მითითებულია, რომ განსხვავება პირველ რიგში კერამიკული ნაწარმის ხასიათში ვლინდება, სამხრეთ ზოლში კარბობს ბზენარევი კერამიკა, რომელიც უფრო სრულყოფილია და ფორმებითაც მეტად თავისებურია: ამ რაიონის დღეისათვის ცნობილ

<sup>166</sup> ო. ჭაფარიძე, ა. ჭავჭავაძე, აღსახ. ნაშრ. გვ. 95.

<sup>167</sup> ი. ქ ვ ე, 23. 96; ვარაუდის სახით გამოთქმულ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც უკანასკნელ ხანებში გამოვლენილ ფაქტორული მონაცემები „გორათა“ წარმოქმნის და არსებობის ბევრად უფრო რთულ სურათს გვიჩვენებს. დაწერილებით იხ. ქვემოთ.

<sup>168</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 96.

<sup>169</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 101.

<sup>170</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 37.

<sup>171</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 101.

<sup>172</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 102.

<sup>173</sup> ამავე ნაშრომის ბოლოს დართულ ქრონოლოგიურ ტაბულაზე მცირედ განსხვავებული აბსოლუტური თარიღებია ნაჩვენები. ამასთან ერთად, ჩვენის აზრით, სრულიად სამართლიანად, თელუთა ქრონოლოგიურად ზიზანაინ გორის ქვედა ფენასთან არის დაახლოებული.

<sup>174</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 102; ავტორთა მიერ მოცემულ ძეგლთა აშკარა დათარიღებას, ისევე როგორც აღნიშნულ თანმიმდევრობას ვერ დავეთანხმებით, რის შესახებაც დაწერილებით ქვემოთ გვექნება სუბარა.

<sup>175</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 102.

<sup>176</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 102—103.

თითქმის ყველა ძეგლზე მოპოვებულია მოხატული კერამიკა, რომელიც წინააზიურ, უფრო კი აღმოსავლურ-წინააზიურ-ირანულ წრესთან არის დაახლოებული. აქვე არის პალაფური (ქიულ-თეფე I) და ჩრდილო-თბილდური ტიპის (თელუთა) კერამიკაც — „როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ეს ნაწილი წინა აზიის კულტურების გარკვეული გავლენის სფეროში ექცევა... უფრო ჩრდილოეთით ეს გავლენა არ შეინიშნება“<sup>177</sup>. აღნიშნულია ისიც, რომ სამხრეთული ზოლის ზოგ ძეგლზე ჩნდება ლითონის პირველი ნივთებიც, რის გამოც აქ ქვა და ძვალი კარგავს პირვანდელ მნიშვნელობას. ავტორები ქიულ-თეფე I კულტურისათვის დამახასიათებელი ბუნარევი კერამიკის შემოსვლას შომუ-თეფე-შულავერის კულტურაში შამქორ-ჩაისა და თაუზ-ჩაის აუზის ძეგლების გავლით ვარაუდობენ<sup>178</sup>. ავტორთა აზრით, მიუხედავად რიგი მსგავსებებისა, სამხრეთ ამიერკავკასიის ადრეული კულტურა მაინც თავისებურია და განსხვავდება გეო-თეფე M, თილკი-თეფესა და აღმოსავლეთ ანატოლიის კულტურისაგან<sup>179</sup>.

აღსანიშნავია, რომ ო. ჭაფარიძე და ა. ჭავჭავაძე ამიერკავკასიის ადრესამიწათმომკმედო ძეგლებში, განსაკუთრებით, ადრეულ, შულავერ-შომუ-თეფეს კულტურაში, რიგ საერთო ნიშნებს ხედავენ მცირეაზიურ-სირია-პალესტინურ კულტურებთანაც<sup>180</sup>.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ შულავერის ჯორის თიხის ნაწარმი გარკვეულად უახლოვდება ოდიშის კერამიკას, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება ქვ-ს ინდუსტრიის შესახებ<sup>181</sup>. იგივეა ნათქვამი სამეღე კლდის შესახებაც<sup>182</sup>.

დაასრულ, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, ო. ჭაფარიძე და ა. ჭავჭავაძე აღნიშნულ ნაშრომში ეხებიან ამიერკავკასიის ამ ადრეული კულტურის მატარებელი ტომების ეთნიური კუთვნილების საკითხსაც. მათი აზრით, საკმაო საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ ამიერკავკასიაში ნეოლითური რევოლუციის ხანგრძლივ და რთულ პროცესში მონაწილეობას იღებდნენ კავკასიური ენობრივი და კულტურული ერთობის შექმნის ტომები. V—IV ათასწლეულებისათვის კავკასიური ერთობა ძირითადად დაშლილი უნდა იყოს. „ისახება კავკასიურ ენათა უმთავრესი ჯგუფები. ხურიტულენოვანი და მასთან რამდენიმე დაახლოებული ჩაჩურ-დღესტინურენოვანი ტომები იკავებენ ამიერკავკასიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებს. ამიერკავკასიის ცენტრალური ნაწილი ძირითადად ქართველურენოვანი ტომების ადგილსამყოფელი იყო. მათვე ეკავათ, ალბათ, დასავლეთ ამიერკავკასიის გარკვეული ტერიტორია. აქვე ბინადრობდნენ დასავლურ-კავკასიური ტომები“. ავტორთა ვარაუდით, კავკასიის ენობრივ-კულტურული ერთობის დაშლის

<sup>177</sup> ო. ჭაფარიძე, ა. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

<sup>178</sup> იქვე.

<sup>179</sup> იქვე, გვ. 104, უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი მხრივ, რ. მუნჩაივისა, ხოლო მეორე მხრივ ო. ჭაფარიძისა და ა. ჭავჭავაძის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, დაახლოებით ერთ დროს გამოსულ ნაშრომებში ზემოთ განხილული ძირითადი საკითხებისადმი ერთნაირი მიდგომა ჩანს, განსხვავებული ტ. ჩუბინიშვილისა და კ. კუშნარიოვას ნაშრომებისაგან. იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 16—26.

<sup>180</sup> იქვე, გვ. 9; 59; 80—83.

<sup>181</sup> იქვე, გვ. 38.

<sup>182</sup> იქვე, გვ. 100.

ანარეკლი უნდა იყოს ძვ. წ. V ათასწლ. ბოლოსა და IV ათასწლ. დასაწყისში ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში ლოკალური თავისებურებების ჩამოყალიბება<sup>183</sup>.

1971 წ. დაიბეჭდა, აგრეთვე, ტ. ჩუბინიშვილის წიგნი «К древней истории Южного Кавказа»<sup>184</sup>. ამ ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილია „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ჩამოყალიბების პრობლემაზე და ამ კუთხითაა განხილული უფრო ადრეული ძეგლებიც. ნაშრომის შესავალში აღნიშნულია, რომ ძეგლების პერიოდისათვის გადასინჯვა გამოწვეული იყო იმით, რომ კავკასიაში V—IV ათასწლ. ძეგლების აღმოჩენამ დაადასტურა ენეოლითური კულტურის შეცვლა მთელ ტერიტორიაზე ახალი, ადრებრინჯაოს ხანის „მტკვარ-არაქსული“ კულტურით<sup>185</sup>. ავტორი მიუთითებს, რომ რადიოკარბონული თარიღების მიხედვით, „მტკვარ-არაქსის“ წინაზე ხანის კულტურა მთლიანად VI—IV ათასწლეულებს ეკუთვნის<sup>186</sup>.

ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, რომ შომუ-თეფეს კულტურაში გაერთიანებულ ზოგიერთ ძეგლსა (შომუ-თეფე, თოირა-თეფე, გარგალარ-თეფესი) და სამხრეთ საქართველოს რიგ ნაშთსახლარს (შულავერი, იმირი) უფრო არქაული იერა აქვს, ვიდრე ქიულ-თეფესა და თელუთას ტიპის ენეოლითურ ძეგლებს<sup>187</sup>.

განუსაზღვრელად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი სამხრეთ კავკასიის V—IV ათასწლ. კულტურის შესასწავლად ისეთ მრავალფენიან (?) ძეგლებს, როგორცაა — ბაბა-დერვიში, წოფი, არუხლო I, ახალციხის ამირანის გორა<sup>188</sup>.

ავტორი შენიშნავს, რომ შულავერის გორაზე და იმირის გორის ქვედა პორიზონტებში გამოვლენილია უფრო ადრეული ფენები, ვიდრე არუხლო I, ამირანის გორაზე და ნახიქეანის ქიულ-თეფეზე. ამრიგად, განაგრძობს იგი, მტკვარის აუზში არსებობს მრავალფენიანი ძეგლები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება ახალი კულტურის ძირითადი ელემენტების განვითარების თვალის გადევნება დროის სხვადასხვა მონაკვეთში. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, შესაძლებელია სამ ძირითად კულტურას — შომუ-თეფეს, ქიულ-თეფესა და „მტკვარ-არაქსის“ შორის კულტურულ-ქრონოლოგიური კავშირების დადგენა<sup>189</sup>.

არსებული მონაცემების მიხედვით, აღნიშნავს იგი, სამხრეთ საქართველოში გამოვლენილი ენეოლითი ასახავს უკვე ჩამოყალიბებულ ადრესამიწათმოქმედო კულტურას, რომლის განვითარების საწყისი ეტაპები, არა მარ-

<sup>183</sup> ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ა. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

<sup>184</sup> Таризл Ч у б и н и ш в и л и, К древней истории Южного Кавказа, I, Древняя культура Южной Грузии (V—III тыс. до н. э.) и проблема становления «Куро-Араксской» культуры на Южном Кавказе, Тбилиси, 1971.

<sup>185</sup> ი ქ ვ ე, გვ. 21.

<sup>186</sup> ი ქ ვ ე, გვ. 25.

<sup>187</sup> ი ქ ვ ე.

<sup>188</sup> Т. Ч у б и н и ш в и л и, დასახ. ნაშ., გვ. 25; ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, ცოტა გზავიადებულია, რადგანაც თითო ამ ძეგლების მრავალფენიანობა სადავო, ზოგიერთი მათგანის ხასიათიც გაურკვეველია.

<sup>189</sup> ი ქ ვ ე, გვ. 25.

ტო აქ, არანედ მთელს სამხრეთ კავკასიაში ჯერჯერობით შეუსწავლელთა<sup>190</sup>. იხილავს რა ქვემო ქართლის ძეგლებზე მოპოვებულ მასალებს, ტ. ჩუბინიშვილი თვლის, რომ ისინი შეიძლება გაერთიანდეს ცნებაში „შომუ-თეფეს კულტურა“<sup>191</sup>, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ბაზალტური მისისა და ქიულ-თეფეს ნაწარმებისაგან<sup>192</sup>. შულავერის გორის მასალებს, აგრძელებს იგი, ბევრი აქვს საერთო პირველ ჯგუფთან, და ნაწილობრივ იმირის გორის მონაპოვართან<sup>193</sup>. ხოლო არუხლოს გორის გვიანდელ მასალებში შეინიშნება შომუთეფური და ქიულთეფური კულტურების ელემენტების შერწყმა ისევე, როგორც ბაზალტური<sup>194</sup>.

ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, რომ არუხლო I, ამირანის გორისა და წოფის მასალებში ნათლადაა წარმოდგენილი გვიანი ენეოლითის ხანის ნიშნები: ნამჯიანი კერამიკის გაჩენა, ზოგჯერ ჩარხზე ნაკეთებისაც (წოფი), იმპორტული საბეჭდავის აღმოჩენა, სხვადასხვა ფორმის ალიზების გამოყენება და ბოლოს ქვის სკულპტურული გამოსახულება (მამაკაცის). ამასთან ერთად, იგი ხაზს უსვამს, რომ ამავე კომპლექსებში აღმოჩენილია ისეთი კერამიკა, რომელსაც ამიერკავკასიის აღმოსავლეთ რაიონებში თან ახლავს საკმაოდ გვიანი ტიპის მოხატული ნაწარმი (ნახიკევანის ქიულ-თეფე)<sup>195</sup>. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ქიულ-თეფეს ქვედა ფენის შესახებ ავტორი წერს, რომ ეს ფენა მისი კლასიფიკაციით გვიანენეოლითურია<sup>196</sup>. ექვს ქვეშ აყენებს იგი ამავე ძეგლზე I და II ფენას შორის სტერილური ფენის არსებობას ნამოსახლარის მთელ ფართობზე<sup>197</sup>.

იანი-თეფეს, გეოი-თეფეს და სხვ. განხილვის შემდეგ, ავტორი აღნიშნავს, რომ „წინარე მტკვარ-არაქსული“ კულტურის ფინალი უნდა დაუახლოვდეს IV—III ათასწლ. მიჯნას<sup>198</sup>.

დასასრულ, ცალკე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტ. ჩუბინიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ე. წ. გარდამავალი ჯგუფის ძეგლების გამოყოფას, რომელსაც აკუთვნებს პირველ რიგში სამშვილდეს, დიდუბეს, კიკეთს, ხიზანანთ-გორას, ილტოს, სიონს და აგრეთვე სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ ძეგლებს<sup>199</sup>.

<sup>190</sup> ი ქ ე ე, გვ. 29.

<sup>191</sup> შტრ. К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., სადაც უარყოფილია ეს ტერმინი; იხ. ზემოთ, გვ. 25.

<sup>192</sup> Т. Чубинишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 35. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ბაზალტური ვეველა მკვლევარის მიერ, მთ შორის ტ. ჩუბინიშვილის ადრეულ ნაშრომებშიც, შომუთეფეს ტიპის კომპლექსისადმი მიკუთვნებული.

<sup>193</sup> ვაუღებარია, რომ არ გულისხმობს ატლარი, რომ იმირის გორა სხვა წრეს უკავშირდება.

<sup>194</sup> ი ქ ე ე, გვ. 35—36.

<sup>195</sup> Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 83. ამ ნიშნებთან დაკავშირებით ორ მომენტზე გვინდა ვაგვახვილოთ ყურადღება: 1) ბევრად უფრო მაკრალი იყო ტ. ჩუბინიშვილი, როდესაც აღნიშნავდა, რომ ნამჯიანი კერამიკა მესოლითის ადრეულ კულტურებში ჩნდება, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 150; 2) ცოტა ვაუღებარია, თუ რატომ მიიჩნია ავტორმა ამ ნაწარმში საკმაოდ მოგვიანო ტიპისად ქალაქური მოხატული კერამიკა.

<sup>196</sup> ი ქ ე ე, გვ. 130; აქვე (გვ. 131) რატომღაც აღნიშნულია, რომ ლითონის ნივთები აღმოჩენილია ენეოლითური ფენის ქვედა ნაწილში.

<sup>197</sup> ი ქ ე ე, გვ. 133.

<sup>198</sup> ი ქ ე ე, გვ. 135.

<sup>199</sup> ი ქ ე ე, გვ. 41, 51—52, 85, 90—97.

არარატის ველის ადრესამიწათმოქმედო ძეგლების, ძირითადად თელუთას შესწავლას ეძღვნება რ. ტოროსიანის საკანდიდატო დისერტაცია<sup>200</sup>. ნაშრომში, მეტად ზოგადი მსჯელობის შედეგად, არარატის ველის ძეგლები მიჩნეულია ვრცელი წინააზიური ადრესამიწათმოქმედო სამყაროს ლოკალურ ვარიანტად<sup>201</sup>. და აღნიშნულია, რომ თელუთას ნამოსახლარი ერთი მხრივ უკავშირდება სომხეთის ზეგნის ადრესამიწათმოქმედო კულტურებს (?), ხოლო მეორე მხრივ — წინააზიურს<sup>202</sup>. თელუთას ტიპის მატერიალური კულტურის არსებობას სომხეთის სსრ ტერიტორიაზე ავტორი ვარაუდობს ძვ. წ. V ათასწლეულის მეორე ნახევრისა და IV ათასწლ. პირველი ნახევრის განმავლობაში; საკუთრივ თელუთას ნამოსახლარს კი ათარიღებს ძვ. წ. 3800—3600 წლებში<sup>203</sup>.

თელუთაზე აღმოჩენილი მოხატული ჭურჭლის ერთ ნაწილს რ. ტოროსიან უკავშირებს ჰალაფურ და ობეიდურ ცენტრებს, მეორე ნაწილს კი — ხარბერდ-შალათის. შამირაპალტის (თილკი-თეფე) I ფენისა (?) და ნახიქევანის ქიულ-თეფე I კერამიკას და გაჰოაქეს დასკვნა, რომ თუ პირველი ორი ჯგუფი გვიჩვენებს იმპორტს ჩრდილო მესოპოტამიიდან, უკანასკნელი ადგილობრივ ენეოლითურ ნაწარმს წარმოგვიდგენს<sup>204</sup>.

მეტად ზოგადი და გაუგებარია ავტორის მსჯელობა თელუთას ტიპის კომპლექსის ევოლუციის შესახებ ნეოლითიდან ენეოლითზე<sup>205</sup>, იმ დროს, როდესაც ძეგლზე ნაპოვნი ლითონის ნივთების შესახებ წერს, რომ მეტალურგია იქ იმდენად განვითარებული იყო, რომ ცნობილი იყო დარიშხანიანი სპილენძის მიღების პროცესი<sup>206</sup>.

ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის შესახებ საყურადღებო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ვ. მასონს ნაშრომში „Поселение Джейтух“<sup>207</sup>. ნეოლითური რევოლუციის გზების (განვითარების ფორმების) მოდელირებასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ სსრკ ტერიტორიაზე არსებულ შუარმოებლური მეურნეობის მეორე მძლავრ კერაში, კავკასიურში, უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა ნასახლარები ასახავს ახალი მეურნეობის შედარებით განვითარებულ ფორმებს<sup>208</sup>. იგი მიუთითებს, რომ ამიერკავკასიაში გარკვეულად გამოირჩევა ორი კომპლექსი. შესაძლოა ორი კულტურაც — შომუ-თეფეს ტიპის და ქიულ-თეფეს ტიპის<sup>209</sup>.

ავტორი პირველ კომპლექსში აერთიანებს დასავლეთ აზერბაიჯანისა და სამხრეთ საქართველოს რიგ (შულავერი, არუხლო, იმირის გორა) ძეგლებს.

<sup>200</sup> P. M. Торосян, Раннеземледельческая культура Армении (по материалам поселения Техут). Автореферат дисс. на соиск. уч. ст. кандидата ист. наук. Ереван, 1971.

<sup>201</sup> ი ქ ვ ე, გვ. 20; რაც, ჩვენი აზრით, მეტად ზოგადი და გაუგებარი (ბუნდოვანი) განსაზღვრაა.

<sup>202</sup> ი ქ ვ ე, გვ. 21.

<sup>203</sup> ი ქ ვ ე.

<sup>204</sup> ი ქ ვ ე, გვ. 17.

<sup>205</sup> ი ქ ვ ე, გვ. 20.

<sup>206</sup> ი ქ ვ ე, გვ. 13.

<sup>207</sup> В. М. Массон, Поселение Джейтух, МИА, 180, Л., 1971.

<sup>208</sup> ი ქ ვ ე, გვ. 122—123.

<sup>209</sup> ი ქ ვ ე, გვ. 123.



აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ძეგლებზე, უხეშ კერამიკასთან ერთად მრავალრიცხოვანია ძვლისა და რქის ნაკეთობანი, და აგრეთვე, დიდი რაოდენობითაა ობსიდიანის იარაღები (საფხეკები, საქრისები, სახვრეტები, დანისებური ლამელები, სეგმენტები<sup>210</sup>).

მეორე კომპლექსს, მისი აზრით, ეკუთვნის საკუთრივ ნახიქვანის ქიულ-თეფე, მილის ველის ზოგიერთი ნამოსახლარი და სომხეთის სსრ რიგი ძეგლები (თელუთა, შენგავითის ქვედა ფენა და სხვ.). ვ. მასონი შენიშნავს, რომ განსხვავებით შომუ-თეფეს კომპლექსებისაგან, აქ აღმოჩენილია ლითონის ნივთებიც. საკმაო განსხვავებას ხედავს იგი ამ ორი კომპლექსის კერამიკაშიც. ქიულ-თეფეს ტიპის ძეგლებზე აღმოჩენილ მცირერიცხოვან მოხატულ კერამიკას ავტორი გარკვეულად უკავშირებს პალაფ-ჩრდილო ობეიდის ტიპის მოხატულ ქურქლებს<sup>211</sup>.

რადიოკარბონული თარიღების გათვალისწინებით, იგი შომუ-თეფეს ტიპის ძეგლებს ძვ. წ. V ათასწლ. შუა ხანებსა და IV ათასწლ. დასაწყისს აკუთვნებს, ქიულ-თეფეს ქვედა ფენებს კი — IV ათასწლ. დასაწყისს. რადგან მთელ რიგ ძეგლებზე, ორივე კომპლექსის ფენებს ფარავს III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კულტურა, ვარაუდობს, რომ მათი არსებობა მთლიანად IV ათასწლეულსაც უნდა მოიცავდეს.

კავკასიის ამ კომპლექსების დახასიათების დროს ვ. მასონი ასახელებს სამ დამახასიათებელ ნიშანს: 1. მკვიდრად მოზინდრე მიწათმოქმედ-მესაქონლეთა ჩამოყალიბებული ეკონომიკის არსებობა, 2. კულტურაში არქაული ელემენტების არსებობა, რაც კერამიკაშია ასახული, რომელიც სამეთუნეო წარმოების განვითარების პირველი ნაბიჯების შთაბეჭდილებას ტოვებს; ქვისა და ძვლის იარაღების მრავალფეროვანი და მდიდარი ასორტიმენტი, განსაკუთრებით შომუ-თეფეს ტიპის კომპლექსში; 3. ძველი აღმოსავლეთის მაღალ განვითარებულ კულტურებთან კავშირების არსებობა (პალაფ-ობეიდური წრის მოხატული კერამიკა, ბელის ანაბეჭდი არუხლოდან, შესაძლოა მეტალურგიაც).

ამ დამახასიათებელი, და აგრეთვე სხვა, ნიშნების საფუძველზე ავტორი იძლევა კავკასიაში ნეოლითური რევოლუციის განვითარების გზის (მიმდინარეობის) რეკონსტრუქციას, თუმცა აღნიშნავს, რომ გამოვლენილი კომპლექსები ეკუთვნის მწარმოებლური მეურნეობის სრული და საბოლოო გამარჯვების ხანას. ნეოლითური რევოლუციის განვითარება, როგორც განაგრძობს ვ. მასონი, ყოველ შემთხვევაში კავკასიონის სამხრეთით მაინც, მიმდინარეობდა პირველი მოდელის მიწათმოქმედების უპირატესობის ვარიანტით<sup>212</sup>. მიუხედავად იმისა, აღნიშნავს ავტორი, რომ მწარმოებლური მეურნეობა აქ ადგილობრივ საფუძველზეა ჩამოყალიბებული, რასაც, მისი აზრით, აქაური, განსაკუთრებით შომუ-თეფეს ტიპის კომპლექსის კერამიკის თვითმყოფადი სახე გვიჩვენებს, იგი მაინც განიცდიდა მახლობელი აღმოსავლეთის უკვე არსებული, მაღალგანვითარებული კულტურების ზეგავლენას. ამასთან ერთად, უფრო ჩრდილოური, შომუ-თეფეს ტიპის კომპლექსი უფრო ადრეულსა და უფრო არქაულის შთაბეჭდილებას ტოვებს; თუმცა სინამდვილეში, განაგრ-

<sup>210</sup> 1971 წლისათვის არც ერთ დასახელებულ ძეგლზე (როგორც აზერბაიჯანის, ისე სამხრეთ საქართველოს) გეომეტრიული მიკროლითები ნაპოვნი არ ყოფილა. მხოლოდ შემდეგ წლებში აღმოჩნდა ისინი ზოგ ძეგლზე, ისიც — ერთეული ცალი.

<sup>211</sup> B. M. Maccou, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

<sup>212</sup> მოდელის შესახებ იხ. B. M. Maccou, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

ძობს, იგი, ალბათ, ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ეთნოკულტურული ჯგუფების ურთიერთგავლენათა რთულ სურათს<sup>213</sup>.

ამავე წელს, თეზისების სახით დაბეჭდილ ნაშრომში „საქართველოს. ნეოლითური კულტურის საკითხისათვის“, ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „შულავერის გორა, ობსიდიანის ზოგი იარაღით და რაც მთავარია დაპუშავების ტექნიკით ზსგავსი ჩანს ადგილობრივ (თრიალეთის ზეგანი) მეზოლითური ძეგლებსა<sup>214</sup>. ვფიქრობთ, განაგრძობს ავტორი, შოკს არ ექნებით ქვეშაირტებისაგან, თუ შულავერის გორას ქვეშო ქართლის ნეოლითური კულტურის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის ძეგლად ჩავთვლით<sup>215</sup>.

მეტად საინტერესო საკითხებს ეხება შ. დედაბრიშვილი ნაშრომში „აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითის საკითხისათვის“, რომელიც, სამწუხაროდ, აგრეთვე მხოლოდ მოკლე შინაარსის სახითაა გამოქვეყნებული<sup>216</sup>. ავტორი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში აღმოსავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში აღმოჩენილ, ნახიქევანის ქიულ-თეფეს I ფენის ტიპის მთელ რივ ძეგლებს (შულავერი, იმირის გორა, შომუ-თეფე და სხვ.), რომლებიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. VI—IV ათასწლ. ფარგლებში ექცევა, მკვლევართა ნაწილი ენეოლითს აკუთვნებს, ნაწილი კი — ნეოლითს<sup>217</sup>.

შ. დედაბრიშვილის აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითს უნდა მიეკუთვნოს ძეგლების ერთი წყება, რომლებიც ძირითადად კახეთისა და ქართლის (ქვემო და შიდა ქართლის აღმ. ნაწილი) ტერიტორიაზეა გამოვლენილი. ესაა თეთრი წყაროს ქვედა ფენა, ზიონი, გრემი, არაშენდა და სხვ. ამ წრის ძეგლებს იგი ზოგადად ძვ. წ. IV ათასწლ. მეორე ნახევრით ათარიღებს<sup>218</sup>. მისი აზრით, მკვლევართა ის ჯგუფი, რომელიც ქიულ-თეფე I ხასიათის ძეგლებს ნეოლითს მიაკუთვნებს, უფრო მართალი ჩანს<sup>219</sup>.

ამ ორ უკანასკნელ ნაშრომთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ რ. ტროსიანმა ხათუნარხი, რომელიც იმირის გორის თანადროულ მასალებს შეიცავს (თუ უფრო გვიანდელს არა), ნეოლითს მიაკუთვნა და სავარაუდოდ ძვ. წ. VII—VI ათასწლეულებით დაათარიღა<sup>220</sup>.

ი. ნარიშანოვიც, რომელიც ამიერკავკასიის აღრესამიწათმომქმედო ძეგ-

<sup>213</sup> ი ქ ვ ე, გვ. 124.

<sup>214</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ნეოლითური კულტურის საკითხისათვის, თე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XX სამეცნ. სესია, თბ., 1971, მოხსენებ. თეზისები, გვ. 15; ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, შუალედური ძეგლების გამოვლენამდე მხოლოდ ჰაოთეზის სახით შეიძლება მივიღოთ. ყურყურობით კი მისი წამოყენება რამდენადმე ნაადრევად გვეჩვენება, რადგანაც მისი არც დამტკიცება შეიძლება და არც უარყოფა.

<sup>215</sup> ი ქ ვ ე, გვ. 16; შდრ. თ. კილურაძე. შულავერის გორის ქვის ინდუსტრია, სსრ XVII სამეცნ. სესიის მასალები, თბილისი, 1969, გვ. 15.

<sup>216</sup> შ. დედაბრიშვილი, აღმოს. საქ. ნეოლითის საკითხისათვის, გურჯაანის მხარეთმც. მუზეუმისა და საქ. მეცნ. აკად. თე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნ. ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნ. სესია, III, (მოხსენ. მოკლე შინაარსი), თბ., 1971, გვ. 16—17.

<sup>217</sup> ი ქ ვ ე, გვ. 16.

<sup>218</sup> ი ქ ვ ე, გვ. 16—17.

<sup>219</sup> ი ქ ვ ე, გვ. 17.

<sup>220</sup> Р. М. Торосян, Г. А. Микаелян, С. Г. Деведжян. Разведки древнейших памятников Армении, АО 1969 года, М., 1970, გვ. 386.

ლების ენეოლითურობას უპერდა მხარს, შოპუ-თეფესა და ქიულ-თეფეს ტიპის კულტურების შესახებ 1971 წ. დაბეჭდილ ნაშრომში ახსენებს გვიანეოლითურ მოვლენება<sup>221</sup>. სააწუხა-ოდ, ეს ნაშრომიც მხოლოდ თეზისების სახითაა დატანებული, მოხსენება ავტორს არ წაუციტხავს და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით თუ რომელ ძეგლს ან რა მოვლენებს გულისხმობს იგი გვიანეოლითურად. ამავე ნაშრომში ი. ნარიმანოვი თელუთასა და წოფს ამიერკავკასიის შედარებით მოგვიანო ენეოლითურ ნამოსახლართა რიცხვს ჰიაკუთენებს<sup>222</sup>. აქვე, ძირბრტყელი-ამოზურგული ალიზების შესახებ მსჯელობისას, აღნიშნავს, რომ მესოპოტამიაში ამ ფორმის ალიზები ამიერკავკასიასთან შედარებით რაზდენადმე გვიან ვრცელდება და შესაძლებლად მიაჩნია მათი გავრცელება როგორც ამიერკავკასიაში, ისე შუამდინარეთში. სირია-კილიკიის ენოლითის ზონას დაუკავშიროს<sup>223</sup>.

გ. ლისციანა, სსრკ უკიდურეს სამხრეთ ზონაში არსებულ მიწათმოქმედების ჩასახვისა და განვითარების ორ უძველეს ცენტრს, სამხრეთ თურქმენეთისა და ამიერკავკასიურს, უკავშირებს ნ. ვავილოვის მიერ გამოყოფილ კულტურულ მკენარეთა ფორმათწარმოქმნის წინააღიური კერის ორლოკალურ ცენტრს. იგი მიუთითებს, რომ სამხრეთ თურქმენეთი და ამიერკავკასია ძვ. წ. VI ათასწლეულიდან მოყოლებული ხდება დაძვდარი, სამიწათმოქმედო კულტურების ჩამოვლიბებისა და განვითარების არენა, რომელიც მკიდრო კავშირს იჩენს ახლოაღმოსავლურ სამყაროსთან და პირველ რიგში ჩრდილო-დასავლეთ ირანთან<sup>224</sup>.

აღ. ჯავახიშვილი 1972 წ. გავოსულ ნაშრომში წერს, რომ შულავერის გორა ენეოლითური პერიოდით უნდა განისაზღვროს, „კიდევ მეტი, ის ზოგიერთი ნიშნით უახლოვდება ენოლითური ხანის ძეგლებს და შესაძლოა ამ ხანის ბოლო საფეხურსაც კი ეკუთვნოდეს“<sup>225</sup>.

ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლების კულტურული კუთვნილების საკითხს შეეხო გ. არეშიანი 1972 წ. დაბეჭდილ ნაშრომში. იგი აღნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიაში გამოვლენილი ძვ. წ. V—IV ათასწლ. ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების მანამდე უცნობი არქეოლოგიური კომპლექსის გამოჩენამ გამოიწვია ახალი განსაზღვრების — „შოპუ-თეფეს კულტურა“, „შულავერის გორის კულტურა“, „ქზიაკ-ბლურის კულტურა“ და სხვ. გაჩენა, რომლებიც, მისი აზრით, არსებითად ერთგვაროვანი იერის მასალებს შეეხება.

„ადრესამიწათმოქმედო კულტურის“ ცნება, მართალია, სწორად გადმოსცენა ისტორიული პროცესის არსს, მაგრამ მეტისმეტად ფართოა; ამავე დროს ტერმინები „ენოლითი“ და „ენეოლითი“, განაგრძობს იგი, მხოლოდ სამუშაო როლს ასრულებს და კიდევ უფრო ნაკლებად მისაღებია განსაზღვრისათვის<sup>226</sup>.

<sup>221</sup> И. Г. Нариманов. О некоторых поздненеолитических и энеолитических археологических явлениях в Азербайджане. Тезисы докладов ПИПАИ в 1970 году в СССР, Тбилиси, 1971, зб. 39.

<sup>222</sup> И. Г. Нариманов, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

<sup>223</sup> იქვე.

<sup>224</sup> Г. Н. Лисицкая, Становление и развитие оседлого земледелия в южных районах СССР, Тезисы докладов, ПИПАИ в 1970 году в СССР, Тбилиси, 1971, зб. 116.

<sup>225</sup> ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის უძველესი ნასოფლარები. „ძეგლის მეგობარი“, № 30, თბილისი, 1972. გვ. 30.

<sup>226</sup> Г. Е. Арешян. К выделению раннеземледельческих культур Армянского нагорья и Южного Кавказа, გვ. 57.

გ. არეშანი ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ნასახლარების ერთ-ერთი არსი — ადაბლური, წახუენქი, ენგიჯა, შულავერის გორა, არუხლო, შომუ-თეფე და სხვ. — აერთიანებს ქრონოლოგიურად „მტკვარ-არაქსის“ წინამორბედ, განსაზღვრული არეალის მქონე ერთ არქეოლოგიურ კულტურაში, რომლისთვისაც ყველაზე დამახასიათებელი ნიშნის, კერამიკის ორნამენტაციის საფუძველზე, გვათვაზობს ტერმინს „პროტორელიეფური კერამიკის კულტურა“<sup>227</sup>.

1973 წ. ჩვენ გამოვაქვეყნეთ მოხსენების — „ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარების პერიოდიზაციისათვის“ — მოკლე შინაარსი<sup>228</sup>, სადაც აღვნიშნავდით, რომ შულავერის კულტურაში შესაძლებელია საჩი ქრონოლოგიური ეტაპის გამოყოფა: I — შულავერის გორის ეტაპი, II — იმირის გორის და III — არუხლოს გორის (არუხლო I) ეტაპი. წინამდებარე ნაშრომში რამდენადმე უფრო დაზუსტებული და დაკონკრეტებულია ეს „ეტაპები“, ამიტომ მასზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (იხ. თავი III).

ქვემო ქართლის „ქვის ხანის მომდევნო პერიოდის“ ძეგლების თანმიმდევრობის საკითხს შეეხნენ ტ. ჩუბინიშვილი და ლ. ჰელიძე 1973 წ. დაბეჭდილ ნაშრომში<sup>229</sup>. ავტორები აღნიშნავენ, რომ მკვლევართა ერთი ჯგუფი უძველესად მიიჩნევს შულავერს, მომდევნოდ კი — იმირის გორას, არუხლო I და წოფს. ამასთანავე პირველ ორ ძეგლს თითქმის განვითარებულ ნეოლითს აკუთვნებენ, დანარჩენ ორს კი — ენეოლითს. ავტორთა აზრით, ძეგლთა ქრონოლოგიური განლაგება პირველად და ყველა მათგანი ენეოლითური ხანისაა<sup>230</sup>. კიდევ უფრო მეტი, ერთი მხრივ შულავერსა და იმირს, მეორე მხრივ არუხლო I და წოფს შორის საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური ხარვეზის არსებობას ვარაუდობენ, ამასთანავე შესაძლოდ მიაჩნიათ არუხლო I და მით უფრო წოფა ენეოლითის პირველ ნახევარს მიაკუთვნონ<sup>231</sup>. თუ რამდენად მართებულია ეს მოსაზრებანი, ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა. აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: ავტორთა მიერ შემოთავაზებულ „ახალ პერიოდიზაციას“ მყარი საფუძველი არ გააჩნია. შულავერისა და იმირის გორების მყარ სტრატეგრაფიაზე დამყარებული პერიოდიზაცია რომ შესცვალო, საჭიროა ჭერ დაამტკიცო მისი მცდარობა და შემდეგ დაასაბუთო ახლანდელი კვლევების შედეგები: ამავე დროს, როგორც თვით ტ. ჩუბინიშვილი და ლ. ჰელიძე აღნიშნავენ, „ამა თუ იმ ძეგლის ასაკის განსაზღვრისას აუცილებელია მხედველობაში მიღებულ იქნას მატერიალური კულტურის ყველა მხარე“<sup>232</sup>, ნაშრომში კი სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ — ამ მნი-

<sup>227</sup> ი ქ ე ე, გვ. 58; უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ტერმინი მთლად მოხერხებული ვერ არის. რადგანაც ოგივე განსაზღვრა უდგება ქასუნას Ia ფენის, ჩათალ-კუთუის და სხვა კულტურებში გავრცელებულ კერამიკასაც.

<sup>228</sup> თ. კ ი ლ რ ა ძ ე, ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო..., ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნ. სესია, მიძღვნილი სეპირთე. ისტორიის პრობლემებისადმი (სიღნაღი, 1973 წ. 30—31 პარტი), თბ.. 1973, გვ. 11—12.

<sup>229</sup> ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ჰ ე ლ ი ძ ე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს, მოკლე ანგარიშები, თბილისი, 1973.

<sup>230</sup> ი ქ ე ე, გვ. 33.

<sup>231</sup> ი ქ ე ე, გვ. 30.

<sup>232</sup> ი ქ ე ე, გვ. 33.

შენელოვანი საკითხის გადასაჭრელად აღებულია მხოლოდ არუხლო I-ის ზედა „ფენის“ ობსიდიანის მასალა.

თავი რომ დავანებოთ ავტორთა არგუმენტაციის არსებით მხარეს, თითქმის არუხლო I ზედა ფენის ქვის ინვენტარი შულავერ-იმიერთან შედარებით უფრო არქაულად გამოიყურება, რისი მტკიცების საფუძველიც არ არსებობს. არუხლოს უფრო ქვედა დონეებიდან მომდინარე არც თუ ისე მცირერიცხოვანი ქვით ნაწარმი ანალოგიურია იმიერის გორის ზედა პორიზონტების ნატეცი ქვის ინვენტარისა და ისევე განსხვავდება არუხლოსავე ზედა ფენის ინვენტარისაგან, როგორც იმიერის გორის მასალა. ავტორთა მსჯელობას თუ მივყვებით, გამოვა, რომ თვით არუხლოს გორაზე არქაული მასალები ზედა დონეებზე გვაქვს, უფრო განვითარებული კი — ქვედაში.

ამავე წელს გამოსულ სხვა ნაშრომში ტ. ჩუბინიშვილი წერს, რომ სამხრეთ კავკასიის ადრესაპროტოქმედო კულტურის (ძვ. წ. V—IV ათასწლ.) ყველა დამახასიათებელი ნიშნის განსაზღვრისათვის საკმარისი არქეოლოგიური მასალა არ არსებობს. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, განაგრძობს ავტორი, რომ ახლადგამოვლენილი ენეოლითური ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელია წრიული არქიტექტურა, რელიეფურორნამენტიანი კერამიკის სიმრავლე და ნეოლითური ქვის ინდუსტრიის არარსებობა. ეს ელემენტები, ძირითადად, შომუ-თეფეს კულტურისათვის დამახასიათებელი, ტ. ჩუბინიშვილს აზრით, სინქრონულია არაქსის აუზში არსებული (ქიულ-თეფე I და თელუთას ტიპის) გვიანენეოლითური კულტურისა<sup>233</sup>.

ავტორი აღნიშნავს, რომ გვიანენეოლითური შომუ-თეფეს კულტურის არეალშიც გვხვდება, მეორე. ქიულ-თეფეს კულტურისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებანიც; ამ შემთხვევაში, მისი აზრით. მხედველობაში მისაღებია ქალისებური და კასრისებური ქურქვლები, დაბალი და ღრმა ჯამები, რომელთაც პირს ქვევით ყურების ნაცვლად დაძერწილი აქვს სხვადასხვა ზომის შვერილები<sup>234</sup>.

ტ. ჩუბინიშვილი „აღნიშნული კულტურის გვიანდელ ფენებში“ ჩარხზე დამზადებული ნამჭიანი კერამიკის, ბულის ანაბეჭდის, ბორბლის მოდულებს, იმპორტული ფირუზისა და „მესოპოტამური ტიპის პლანო-კონვექსური ალიზების“ პოვნის საფუძველზე, - გვიანენეოლითური კულტურის ფინალს“ ძვ. წ. IV—III ათასწლ. მიჩნით განსაზღვრავს<sup>235</sup>. ძნელია დავეთანხმოთ როგორც ამ თარიღს, ისე ცალკეული კულტურების არსებობისა და „ორივე“ კულტურის გვიანენეოლითურობის ავტორისეულ განსაზღვრას.

1973 წ. დაიბეჭდა ა. ჭავჭავაძის მონოგრაფიული გამოკვლევა «Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э.»<sup>236</sup>

<sup>233</sup> Т. Н. Чубинишвили. Некоторые особенности древних культур Южного Кавказа и их взаимоотношения с переднеазиатскими культурами в IV—III тыс. до н. э., Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник, IV), Тбилиси, 1973, 83-88.

<sup>234</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>235</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>236</sup> А. И. Джавахишвили. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тбилиси, 1973.

რომელშიც, სათაურში ასახული ძირითადი პრობლემის გარდა, აღნიშნული პერიოდის ამიერკავკასიის კულტურათა ყველა მნიშვნელოვანი საკითხია განხილული. ნაშრომში დასახული პრობლემები მეტად აქტუალურია კავკასიის არქეოლოგიისათვის, უფრო ჰქვია, თავისი მნიშვნელობით იგი ბევრად სცილდება კავკასიის არქეოლოგიის ფარგლებს.

წიგნი შრავალმხრივ საყურადღებოა, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ იმ საკითხებზე გავანახილებთ ყურადღებას, რომელიც უშუალოდ ჩვენი კვლევის სფეროს შეეხება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომში საუბარია იმავე კულტურასა და იმავე ძეგლებზე, რომლებიც, ძირითადად, ჩვენს შრომას უღევს საფუძვლად. თანმიმდევრულადაა განხილული ქვემო შულავერის ჯგუფის ნასოფლარები — შულავერის გორა, იმირის გორა, დანგრეული გორა და გადაჭრილი გორა. დეტალურადაა განხილული ძეგლთა ხასიათი, შულავერისა და იმირის გორების სტრატეგრაფია, სამშენებლო „მასალა“, მშენებლობის ტექნიკა და ხერხები, ცალკეული შენობები თუ შენობათა კომპლექსები, მათი კონსტრუქცია, ცალკეული დეტალები, ინტერიერის მოწყობილობა, ცალკეულ ნაგებობათა თუ საამშენებლო ჰორიზონტთა გეგმარება და ა. შ. საფუძვლიანადაა დახაზილი ნივთიერი მასალა და სხვა მონაცემები<sup>237</sup>.

მთელი სისრულით, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა არსებული მონაცემები, განიხილავს ავტორი ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა ადრესამიწათმოქმედო ძეგლების სამშენებლო საქმესა და ნივთიერ მასალას<sup>238</sup>.

აღ. ჭავჭავიძე, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ადრესამიწათმოქმედო ძეგლების უმეტესობა ნამოსახლარ ბორცვებს — თეფე, ტელის ტიპის გორებს წარმოადგენს<sup>239</sup> და რომ ცენტრალური ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარები, ძირითადად, მტკვრის შუა წელისა და მისი მარჯვენა შენაკადების — ხრამის, დებედას და აღსტაფას ვრცელ, მდინარისპირა ველებზე მდებარეობს, იგივე სურათი შეინიშნება სამხრეთ კავკასიის სხვა ოლქებშიც — არქაული მასალის აღმოჩენის პუნქტების დიდი უმრავლესობა ლოკალიზებულია დაბლობ რაიონებში — მილის, ყარაბაღის, მულანის და არარატის ველებზე<sup>240</sup>.

აღ. ჭავჭავიძე იძლევა ძეგლთა გარკვეულ პერიოდიზაციას — ქვემო ქართლის ძეგლებიდან მას უადრესად მიაჩნია შულავერის გორა; იმირის გორა ასახავს შულავერის გორის მომდევნო სტადიას ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარებაში<sup>241</sup>, დანგრეული გორა იმირის სინქრონული უნდა იყოს<sup>242</sup>, გადაჭრილი გორა კი იძლევა შულავერისა და იმირის გორების იდენტურ მასალას; ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ გადაჭრილი გორა შულავერის გორის შემდეგ უნდა წარმოქმნილიყო<sup>243</sup>.

<sup>237</sup> А. И. Джавахишвили, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 13—14.

<sup>238</sup> *ოქცე*, გვ. 74—101.

<sup>239</sup> *ოქცე*, გვ. 5.

<sup>240</sup> *ოქცე*.

<sup>241</sup> *ოქცე*, გვ. 69.

<sup>242</sup> *ოქცე*, გვ. 72.

<sup>243</sup> *ოქცე*, გვ. 73, 74; ჩვენ მისი „ასაკის“ შესახებ რამდენიმე განსხვავებული თეორიის გვექვს, ისევე როგორც შულავერისა და იმირის თანმიმდევრობის შესახებ — იხ. ქვემოთ.

არუხლო I-თან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მისი მასალები უახლოვდება იმირის გორას და აგრეთვე ამ კულტურის ისეთ მოგვიანო ძეგლს, როგორცაა ქიულ-თეფე I, და არა შულავრის გორას, რომელთანაც მას მხოლოდ საერთო წარმოშობა აკავშირებს<sup>244</sup>. ამავე დროს ავტორს მისაღებად, უფრო ზუსტად, სწორად არ მიაჩნია „პლანო-კონვექსური“ ალიზის საფუძველზე ძეგლის თარიღის ძვ. წ. IV—III ათასწლეულის მიჯნაზე გაღმობა. აღნიშნულია, რომ შესაძლებელია „პლანო-კონვექსური“ და შოპუ-თეფე-შულავრის კულტურაში გავრცელებული ალიზები სრულიად განსხვავდება როგორც ზომებით, ისე დაშვადების წესით, საერთოდ კი ძირბრტყელი-ამოზრგული ალიზები ბევრ ადრეულ კულტურაშია გავრცელებული. აღნიშნულის საფუძველზე ალ. ჭავჭავიძელის თვით ტერმინის „პლანო-კონვექსური“ გამოყენებაც არ მიაჩნია მიზანშეწონილად<sup>245</sup>, რაც უდავოდ მართებულა.

„არქიტექტურული“ მონაცემების გათვალისწინებით შოპუ-თეფე, ზოგადად, იმირის ანალოგიურია, აღნიშნავს ავტორი. იქვე მითითებულია, რომ თორია-თეფეს ერთ-ერთი სამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობას განივად დადებული ალიზებით გამოყვანილი ოთხი პილასტრი გააჩნია<sup>246</sup>.

ალ. ჭავჭავიძელის აზრით, დასავლეთ აზერბაიჯანის ნამოსახლარები, რომლებიც უძველესად უკავშირდება ქვემო ქართლის ნასოფლარებს, ნივთიერი მასალით უახლოვდება ქიულ-თეფე I-საც, რაც განსაკუთრებით კერამიკაში შეიმჩნევა<sup>247</sup>.

ქიულ-თეფეს მსგავსი კერამიკული ნაწარმი ქვემო ქართლის შედარებით მოგვიანო ძეგლებზე — იმირის გორასა და არუხლო I გვხვდება; შესაბამისად, განაგრძობს ავტორი, დასავლეთ აზერბაიჯანის, ე. წ. შოპუ-თეფეს კულტურის ძეგლები უნდა მიეკუთვნებოდეს ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების იმ სტადიას, რომელზეც მისთვის ადრე უცნობი ზოგიერთი ნიშანი შეიმჩნევა, კერძოდ, უფრო მოწესრიგებული გეგმარება, აქანდე უცნობი ტიპისა და კონსტრუქციის ნაგებობები და ღია ფერის, გაპრიალებულზედაპირიანი კერამიკა, ზოგჯერ ორგანული მინარევით, ე. ი., ა. ჭავჭავიძელის აზრით, დასავლეთ აზერბაიჯანის ნასოფლარები შეესაბამება იმირის გორისა და არუხლო I სტადიას<sup>248</sup>.

ქიულ-თეფე I-ზე წრიული და ოთხკუთხა ნაგებობების თანაარსებობა და სხვა სამშენებლო მონაცემების არსებობა ალ. ჭავჭავიძელის სამშენებლო საქმის უფრო მაღალი დონის ამსახველად მიაჩნია. ამასთანავე, ჰალაფური ტიპის მოხატული ნაწარმის შექცეული დონეების რადიოკარბონული თარიღი და ქიულ-თეფე I-ის ნივთიერი მასალის შედარება ქვემო ქართლის ნამოსახლარების მასალასთან, ავტორის აზრით, მიუთითებს, რომ ქიულ-თეფე I ე. წ. შოპუ-თეფე-შულავრის კულტურის განვითარების გვიანდელ სტადიას ეკუთვნის. ქიულ-თეფე I, განაგრძობს ავტორი, უფრო უახლოვდება იმირის გორასა და არუხლო I, ვიდრე შულავრის გორას; ლითონის (სპილენძის)

<sup>244</sup> ი ქ ვ ე, გვ. 79—80.

<sup>245</sup> ი ქ ვ ე, გვ. 80—81, 203—205, 254.

<sup>246</sup> ი ქ ვ ე, გვ. 85—87.

<sup>247</sup> ჩენი აზრით, ეს მსგავსება დასავლეთ აზერბაიჯანის ძეგლებთან, ისევე როგორც იმირის გორასთან, მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა.

<sup>248</sup> А. И. Джавахишвили, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 89—90.

რანდენიმე ნივთის აღმოჩენა კი ქიულ-თეფე I-ის ზედა ჰორიზონტებში მისი უფრო გვიანდლობის მანიშნებელი ჩანს<sup>249</sup>.

ა. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ თელუთაზე მოპოვებულია საკმაოდ განვითარებული და თავისებური კერამიკა, კერძოდ მოხატული, ჰალაფ-თბეიდის ტიპისა და დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან ნაკეთები ნივთები. ამის გამო „განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ თელუთას კულტურულ-ქრონოლოგიურ განსაზღვრას და ახალი მონაცემების მოპოვებაზე თავი უნდა შევიკავოთ საპირთ კავკასიაში აღრესამიწათმომქმედო ნასოფლარების ჩასახვისა და განვითარების პროცესის შესწავლაში მისი მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასებისაგან. შესაძლოა ის უფრო მნიშვნელოვანი გამოდგეს ადრე-ბრინჯაოს ეპოქის საწყისი ხანის ნაშთსახლართა ხასიათის გასარკვევად“<sup>250</sup>.

ნიშანდობლივია, რომ ალ. ჯავახიშვილი არ განიხილავს ტ. ჩუბინიშვილისა და კ. კუშნაროვას მიერ „ენეოლითური კულტურის“ კატეგორიისადმი მიკუთვნებულ ძეგლებს, როგორცაა თეთრი წყარო, სადახლო, წოფი, აბელია, დიდუბე, ნაცარ-გორა, ხიზანანთ გორა, ახალციხის ამირანის გორა, საგვარჯილე, სამელე-კლდე, სამერცხლე-კლდე, საქართველოს ტერიტორიაზე — იანიკ-თეფე, გეოი-თეფე, თილკი-თეფე, ფიქლეი-თეფე და მუში—ურშიისა და ვანის ტბის მიდამოებში, რასაც იპით ხსნის, რომ ზოგიერთი მათგანი არ იძლევა უზოგადეს მონაცემსაც კი ნაშთსახლართა დასახასიათებლად, ზოგიერთი კი არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს განსახილველ კულტურას, ამისათვის საკმაო საფუძვლის უქონლობის გამო<sup>251</sup>.

ალ. ჯავახიშვილი თვლის, რომ მართალი იყო ა. იესენი, როდესაც აზერ-ბაიჯანის, ვანისა და ურჩისპირეთის ტერიტორიას გამორიცხავდა მტკვარ-არაქის კულტურის ჩამოყალიბების სფეროდან. როგორც ჩანს, განაგრძობს ავტორი, იმ დროს, როცა მტკვრის ზემო და შუაწელის მიმდებარე ოლქებში უკვე ყალიბდებოდა მტკვარ-არაქის კულტურის ადრეული ნიშნები (ამირანის გორა, ოზნი, კიკეთი, ხიზანანთ გორა, დიდუბე, დილომი და სხვ.), ავიერკავასიის საპირეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში ვითარდებოდა სხვა, აღმოსავლეთ წინააზიასთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი კულტურა (ქიულ-თეფე I, თელუთა და სხვ.), რომელიც ყველა ნიშნით მიეკუთვნება ძვ. წ. IV—III ათასწლეულთა მიჯნას<sup>252</sup>, ისევე როგორც ხიზანანთ გორა და ადრეული მტკვარ-არაქის ანალოგიური ძეგლები. სამხრეთ კავკასიის დასავლეთში — დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — ამავე დროს არსებობდა ჩრდილო კავკასიასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა კულტურა (სამელე კლდე, სამერცხლე-კლდე, საგვარჯილე)<sup>253</sup>.

ფაქტობრივი მონაცემების განხილვის შედეგად ალ. ჯავახიშვილს გამოაქვს ზოგადი ხასიათის შემდეგი დასკვნები:

შულავერ-მომუ-თეფეს უადრესი ნაშთსახლარებიც კი არ ასახავს მკვიდრად ბინადრობის საწყის საფეხურს. თეფეს ტიპის მრავალფენიანი ნასოფ-

<sup>249</sup> А. И. Джавахишвили, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 92, 93.

<sup>250</sup> იქვე, გვ. 95—96.

<sup>251</sup> იქვე, გვ. 98—99.

<sup>252</sup> ვერ დაეთანხმებით ალ. ჯავახიშვილის შემოთავაზებულ თარიღს, განსაკუთრებით ქიულ-თეფეს მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ოლქებში იმ დროს, როცა ჩრდილო რაიონებში მტკვარ-არაქის კულტურა ვითარდებოდა, განაგრძობდა არსებობას ქიულ-თეფე I ტიპის კულტურა, მაგრამ არა საკუთრად ქიულ-თეფე I და თელუთა.

<sup>253</sup> А. И. Джавахишвили, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 100—101.



ლარები აღმოცენებულია სავსებით ჩამოყალიბებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა პრიმიტიულ მორწყვასაც იცნობდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, აღნიშნავს ავტორი, ნასოფლარების მდებარეობა სტეპურ ზონაში, რომლის სამეურნეო ათვისებას და მუდმივ დასახლებას სჭირდება წარმოების კულტურის საქმოდ მაღალი დონე, მიუთითებს ბინადრობის მნიშვნელოვანი ტრადიციის არსებობაზე, რომელიც შექმნილი უნდა იყოს სხვა გეოგრაფიულ გარემოში, ალბათ მივდებარე მთისწინა ზოლში.

სამხრეთ კავკასიის მეზოლითური და ნეოლითური კულტურების შესწავლის დაბალი დონე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მათ უშუალოდ დავუკავშიროთ ე. წ. შომუ-თეფე-შულავრის კულტურა, თუმცა ამ უკანასკნელის ნეოლითისადმი, და არა ენეოლითისადმი მ-საკუთვნებლად დასაჯერებელი საბუთიანობა არსებობს. ამრიგად, ავტორს მიაჩნია, რომ შულავრის ტიპის ძეგლები, გარკვეული დათქმით წარმოდგენას გვიქმნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური პერიოდის „სახლშმენებლობაზე“. აქვე შენიშნულია, რომ ტერმინები „მეზოლითი“, „ნეოლითი“, „ენეოლითი“, „ქალკოლითი“ და ა. შ. კარგავენ სიპყვეთრესა და განმსაზღვრელ მნიშვნელობას და იღებენ ან პირობით, ან არადა ლოკალურ, კერძო ხასიათს: ეს განსაკუთრებით საგრძნობია მცირე აზიაში, სირია-პალესტინასა და ამიერკავკასიაში, მათი ცალკეული ოლქების სპეციფიკისა და არათანაბარი განვითარების გამო<sup>254</sup>.

სადღეისოდ ავტორს ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნია შომუ-თეფე-შულავრისა და სამხრეთ კავკასიის მსგავსი კულტურების მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბების ბოლო სტადიისადმი მიკუთვნება<sup>255</sup>.

ალ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ნაშროსახლარები ერთნაირ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში — უკვე ჩამოყალიბებული მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგ მდინარისპირა დაბლობებში გვხვდება. რელიეფის დანაწევრებულობა ხელს უწყობდა ნამოსახლართა დიდი თუ მცირე ლოკალური ჯგუფების გამოყოფას<sup>256</sup>.

საწარმოო ძალთა მიღწეული დონე ხელს უწყობდა ერთ ადგილზე მუდმივ ბინადრობასა და მოსახლეობის გამრავლებას. გარკვეულ მომენტში ხდება გეაროვნული ნამოსახლარების სეგმენტაცია — მოსახლეობის ნაპატი ქმნის ახალ ნამოსახლარებს, რისი მაჩვენებელიცაა ძეგლთა ჯგუფური განლაგება<sup>257</sup>.

ამ ხანის საამშენებლო ტრადიციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი არის სამშენებლო მასალად თიხის გამოყენება, უმთავრესად ძირბრტყელ-ამოზურგული ალიზის სახით. მშენებლობაში ქვა თითქმის არ გამოიყენება, რაც შეეხება ხეს, უშუალოდ იგიც არ ჩანს. გამოყენებული სამშენებლო საქმეში, ე. ი. სამხრეთ კავკასიაში საქმე გვაქვს თიხის — ალიზის არქიტექტურის გარკვეულ ტრადიციასთან, რომლის საწყისებიც ჯერ მთლად ნათელი არ არის. საუარაუდოა, რომ იგი ადგილობრივია და ნეოლითურ კულტურას უკავშირდება.

მეორე დამახასიათებელი ნიშანი სამხრეთ კავკასიის ადრეული ნამოსახლარებისა ნაგებობათა წრიულობაა; უფრო მეტიც, იმირის გორის მაგალითზე

<sup>254</sup> А. И. Джавахишвили, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 199—200.

<sup>255</sup> იქვე, გვ. 201.

<sup>256</sup> იქვე.

<sup>257</sup> იქვე, გვ. 202.

ჩანს, რომ თვით ნაგებობებიც წრიულადაა განლაგებული წრიულივე ცენტრალური მოედნის გარშემო<sup>258</sup>.

ალ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ცენტრალური ამიერკავკასიის ერთ-ერთ ოლქში, ძვ. წ. V ათასწლეულში მაინც, არსებობს უკვე ჩამოყალიბებული საამშენებლო-არქიტექტურული ტრადიცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია აღიზის წრიულ-გუმბათური ნაგებობანი<sup>259</sup> და რომ სამხრეთ კავკასიის წრიულ-გუმბათური ნაგებობანი გენეტიკურად არ უკავშირდება წინა აზიის არც ერთ საამშენებლო ტრადიციას<sup>260</sup>.

ავტორის აზრით, განსხვავებანი ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლთა ორ ჯგუფს (შულავერ-შომუ-თეფე და მილ-ნახიჭევანი) შორის ლოკალურობის გარდა, ქრონოლოგიური სხვაობითაც უნდა აიხსნას<sup>261</sup>.

ნაშრომში განხილულია ადრესამიწათმოქმედო კულტურის აბსოლუტური დათარიღების საკითხი. ა. ჯავახიშვილი, შომუ-თეფე-შულავერის კულტურის, შულავერის საფეხურის საწყის თარიღად ძვ. წ. VI—V ათასწლ. მიჯნას მიიჩნევს. ავტორს ძნელად გადასაწყვეტად მიაჩნია თუ რაპდენად მისაღები უნდა იყოს შომუ-თეფეს C<sub>14</sub>-ის თარიღი, თუმცა აღნიშნავს, რომ მისი ხელაღებით უგულვებელყოფა არ შეიძლება. მოპდევნო საფეხურის, რომელსაც შეესაბამება იპარის გორა, საწყის თარიღად, შულავერის გორის ზედა ჰორიზონტებია და ქიულ-თეფე I შუა ჰორიზონტების რადიოკარბონული თარიღის გათვალისწინებით, ა. ჯავახიშვილი მიიჩნევს V—IV ათასწლეულთა მიჯნას<sup>262</sup>.

\* \* \*

როგორც ზემოჩამოთვლილი ნაშრომების განხილვიდან დავინახეთ, ამიერკავკასიაში გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო ძეგლების ინტერპრეტაციის საქმეში ერთიანი აზრი არ არსებობს. თითქმის ყველა საკითხი პრობლემანაქურია.

მკვლევართა ერთი ნაწილი მათ ერთ კულტურაში აერთიანებს, მეორე ნაწილი ცალკეული კულტურების გამოყოფას თვლის შესაძლებლად. მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ ყველა ძეგლი ენეოლითურადაა მიჩნეული, რასაც სხვები არ იზიარებენ. გარკვეული სხვადასხვაობა ჩანს ძეგლთა აბსოლუტურ დათარიღებაშიც.

ჩვენ შევეცდებით ყველა ზემოდსახელებული საკითხი განვიხილოთ შეძლებისდაგვარად, და გამოვთქვათ ჩვენი შეხედულებანი ძეგლების, ძეგლთა ჯგუფებისა და მთლიანად „ადრესამიწათმოქმედო კულტურის“ მიმართ. მაგარამ სანამ უშუალოდ ამ საკითხების კვლევას შევუდგებოდეთ, აუცილებლად მივჯანაა მოვტანოთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა ობიექტური მონაცემი: ამათან ერთად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ნაკლებშესწავლილ, ზოგჯერ თითქმის შეუსწავლელ მატერიალური კულტურის განმსაზღვრელ ისეთ ელემენტებზე, როგორცაა რქის, ძვლისა და განსაკუთრებით, ქვის ნაწარმი, რომელიც ძეგლების დიდ ნაწილზე მოპოვებული მასალის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს.

<sup>258</sup> А. И. Джавахишвили, *დასახ. ნაშრ.* გვ. 205.

<sup>259</sup> იქვე, გვ. 269—270.

<sup>260</sup> იქვე, გვ. 349.

<sup>261</sup> იქვე, გვ. 255.

<sup>262</sup> იქვე, გვ. 255, 256; ჩვენ ვერ დავთანხმებით იპარის გორის ზედა თარიღის ავტორულ განაზღვრას, რის შესახებაც იხ. ქვემოთ.

ძეგლებსა და მოპოვებულ მასალას დავახასიათებთ ქრონოლოგიურ-ტერიტორიული პრინციპით.

რადგანაც მკვლევართა აბსოლუტური უმეტესობის მიერ ყველაზე ადრეულად ქვემო ქართლის ძეგლებია მიჩნეული, მათ შორის კი შულავრის და იმირის გორა, ჩვენს თხრობასაც მათი დახასიათებით დავიწყებთ. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის გარემოება, რომ აქ, შედარებით მცირე ტერიტორიაზე მიგნებულია კომპაქტურად განლაგებული რამდენიმე ნაშთაბუნარი, რომელთაგან შულავრის გორა, იმირის გორა და არუხლო I რამდენიმე წელია რაც ისწავლება. 1972—1973 წწ. გათხრების შედეგად ახალი, მეტად საინტერესო მასალებია მოპოვებული ხრამის დიდ გორაზეც. შულავრისა და იმირის გორები კი გათხრების მასშტაბურობით, მოპოვებული მასალის მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით საეტალონო ძეგლებად შეიძლება ჩაითვალოს.

## აღმოსავლეთ ამიერკავკასიის აღრესამიწათმოქმედო ნასახლარები

### ქვემო ქართლის ნამოსახლარები

ქვემო ქართლში მიკვლეულია აღრესამიწათმოქმედო ხანის რამდენიმე ნამოსახლარი, რომლებიც მეტ-ნაკლებად კომპაქტურად განლაგებულ ძეგლოთხ ჯგუფს ქმნიან: 1. ქვემო შულავრის ჯგუფი, შედგენილი ოთხი ბორცვისაგან; 2. არუხლოს ჯგუფი, აგრეთვე 4 ბორცვისაგან შედგენილი; 3. წითელი სოფლის ჯგუფი (5 ბორცვი) და 4. ყაჩაღანის ჯგუფი, რომელიც 4 თუ 5 ბორცვისაგან შედგებოდა<sup>1</sup>.

ძეგლების ჯგუფებად განლაგება დამახასიათებელია ამიერკავკასიის სხვა რაიონებისთვისაც<sup>2</sup>. ხშირია იგი წინააზიური სამყაროს სხვადასხვა ძველ ცენტრში<sup>3</sup>. ძეგლების ამგვარი განლაგება, როგორც ჩანს, ასახავს თავდაპირველი სამოსახლოდან მოსახლეობის ნამატის გადასვლას ახალ ადგილზე, რაც სავარაუდოა, რომ ძეგლთა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასაც გვიჩვენებდეს.

აქვე გვინდა წინასწარ შევხებით „გორათა“ წარმოქმნის საკითხს, რომლის შესახებაც ვიზიარებთ ალ. ჯავახიშვილის, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულ მოსაზრებას, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის აღნიშნული პერიოდის ნამოსახლარებზე, ძირითადად, ცხოვრების თანმიმდევრულ, უწყვეტ განვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე<sup>4</sup>.

როგორც აღნიშნული იყო, სამხრეთ კავკასიის ნამოსახლართა შორის ყველაზე სრულად შესწავლილია ქვემო შულავრის ჯგუფის ძეგლები.

500-მდე ჰა ფართობის ვაკეზე, რომელიც ბუნებრივადაა შემოფარგლული სამხრეთიდან სომხეთის ქედის ჩრდილო კალთებით, ჩრდილოეთიდან —

<sup>1</sup> ო. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ა. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, უძველესი მიწათმოქმედი..., გვ. 41; А. И. Джавახишвили, Строительное дело и архитектура..., გვ. 6—7.

<sup>2</sup> А. И. Джавახишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 6, 202; А. А. Иессен, Исторического прошлого..., გვ. 13—15; ქსურ. [2 (რუკა)]; И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, Энеолитические памятники на Мугани, გვ. 88—91.

<sup>3</sup> Н. Я. Мерперт, Р. М. Мунчаев, Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии, СА, 1971, № 3, გვ. 144; S. Lloyd, F. Safar, Tell Hassuna, JNES, v. IV, № 4, 1945, p. 260; F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, Prehistory and Human Ecology of the Deh Luran Plain. An Early Village Sequence from Khuzistan, Iran. Ann Arbor, 1969.

<sup>4</sup> А. И. Джавახишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 3—5, 202; მ ი ს ი ე ე, ქვემო ქართლის უძველესი ნასოფლარები, „ძეგლის მეგობარი“, № 30, გვ. 23.

მდ. ხრამით, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, შესაბამისად — შულავრისა და საღზაღანის („კაქკაქის“) ლეღეებით, მდებარეობდა ოთხი უძველესი ნასოფლარი — შულავრის გორა, იმირის გორა, „გადაჭრილი გორა“ და „დანგრეული გორა“<sup>5</sup>. ამ ძეგლებიდან ყველაზე ადრეულად ამ ჭგუფის ცენტრალური ნამოსახლარი — შულავრის გორა გვევლინება. ჩვენს თხრობასაც მისი დახასიათებით დავიწყებთ.

## შულავრის გორა

ძეგლი ექსპედიციას დაზიანებული დახვდა<sup>6</sup>. როგორც გაირკვა, იგი საკმაოდ მძლავრ გორა-ნამოსახლარს წარმოადგენდა — დაახლოებით 100 მ დიამეტრითა და 7 მეტრამდე სიმაღლის კულტურული ფენებით. აქ გათხრილია 252 კვმ ფართობი (ტაბ. 1), საშუალოდ 2,5—3 მ სიღრმეზე. გათხრები ყამირამდე დაყვანილ იქნა შედარებით მცირე (32 კვმ) ფართობზე (ტაბ. 2). გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ბორცვის გადაჩენილ ნაწილში 4,5 მ სიმაღლის ადრესამიწათმოქმედო ხანის ფენა მდებარეობდა, რომლის ზედა პორცენტები ზოგჯერ დარღვეული იყო ანტიკური თუ ფეოდალური ხანის სამეურნეო ხარობითა და სამარხებით<sup>7</sup>. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბუღლოზერით მოჭრილი, ზედა ორმეტრიანი ფენაც მთლიანად ადრეულ პერიოდს ეკუთვნოდა<sup>8</sup>.

გათხრილი ფართობის სხვადასხვა დონეზე ფიქსირებულია ალიზის 40-მდე საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობა (ტაბ. 1,2).

ჩვენ არ შევჩერდებით არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის განხილვაზე, რადგანაც იგი უკვე სრულად და დეტალურად არის ასახული ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშებსა და განსაკუთრებით ალ. ჯავახიშვილის ზემოგანხილულ ნაშრომში<sup>9</sup>; ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ძირითად მომენტებზე. აღსანიშნავია, რომ შულავრის გორაზე გამოვლენილი ყველა ნაგებობა, საცხოვრებელი თუ სამეურნეო, წრიული ან ელიფსური გეგმისაა, კონუსური და ცრუგუმბათური გადახურვით<sup>10</sup>. აღსანიშნავია, რომ აქაური ნაგებობები მეტად პრიმიტიულია, არ გააჩნია ცალკე კედელი-კორპუსი და ცალკე გადახურვა; ფაქტიურად, არადიფერენცირებულ „სახურავს“ წარმოადგენს<sup>11</sup>. საცხოვრებელი შენობების დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს კედლის გასწვრივ გამართული თიხის კვერცხისებური მოყვანილობის კერა უჭრობი ცეცხლისათვის<sup>12</sup>. ნაგებობები ნაშენებია, ძირითადად, ძირბრტყელი-ამოზურგული ალიზით<sup>13</sup>. ბრტყელი ალიზი მხოლოდ ერთ

<sup>5</sup> იხ. ო. ჯავახიშვილი, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი..., გვ. 42, რუკა 43-ე გვერდზე.

<sup>6</sup> იხ. ო. ჯავახიშვილი, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), „მაცნე“, 1967, № 3, გვ. 293.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> რასაც გარკვეულად საკვოდ ხდის გადაჩენილ ფენებში სამარხების არსებობა; თუმცა აქვე უნდა შეინიშნოს, რომ სამარხები მაინც ბორცვის ფერდობზე მდებარეობდა.

<sup>9</sup> ო. ჯავახიშვილი, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის..., გვ. 293—294; მათივე, უძველესი მიწათმოქმედი..., გვ. 47—57; А. И. Джавახишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 13—32.

<sup>10</sup> ო. ჯავახიშვილი, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის..., გვ. 293. А. И. Джавახишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

<sup>11</sup> А. И. Джавახишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 210.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 18.

შემთხვევაშია შემჩეული<sup>14</sup>. იმირის გორისაგან განსხვავებით, აქ სოფლის შედარებით მოუწესრიგებელ გეგმარებასთან და უფრო მკიდრო დასახლებასთან უნდა გვექონდეს საქმი<sup>15</sup>. იმირის გორისაგან განსხვავებით აქ გვხვდება, აგრეთვე, მცირე ზომის (0,5—0,75 მ დიამეტრის) ცილინდრული სამეურნეო ნაგებობანი. რომელთაც ა. ჯავახიშვილი, ძირითადად, წყლის რეზერვუარებად მიიჩნევს<sup>16</sup>.

ამჟერად ყურადღებას გაავამახვილებთ ნივთიერი მასალის საამშენებლო ჰორიზონტების მიხედვით განხილვაზე, რადგანაც ამ რიგის სამუშაო, სრული სახით, ჯერჯერობით ჩატარებული არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ამგვარი მიდგომა იძლევა საშუალებას გავარკვიოთ არის თუ არა ცალკეულ ჰორიზონტებს შორის განვითარების მანიშნებელი სხვაობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად საკმაოდ ძნელდება ერთი საამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობათა გამოყოფა, რასაც შენობათა წრიულობაც ართულებს, რადგანაც ამ ტიპის შენობები, ოთხკუთხასაგან განსხვავებით ორგანულად არასდროს ერწყმის ერთმანეთს<sup>17</sup>. ამასთან ერთად, ზოგჯერ აშკარად მოგვიანო ნაგებობანი აბსოლუტური დონის მიხედვით უფრო დაბლა მდებარეობს, ვიდრე მასზე აღრეული. ყოველივე ამის გამო, ზოგჯერ ურთიერთმონაცვლე ჰორიზონტების გამიჯვნა, განსაკუთრებით ნაგებობათა შორის ფართობზე, ძნელდება. მიუხედავად ზემოთქმულისა, მეტ-ნაკლები სიზუსტით მთელ გათხრილ ფართობზე ხერხდება 9 ურთიერთმონაცვლე საამშენებლო ჰორიზონტის გამოყოფა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი შულავერის გორის სტრატეგრაფია ნაჩვენებია I ცხრილში.

ცხრილი 1

საამშენებლო ჰორიზონტები	ნაგებობები	ღონე
I	ნაგებობა № 8, მასთან აბლო მდებარე ფართობი და სხვ.	+1,0 მ და უფრო ზემოთ
II	№№ 2, 7, 13 ნაგებობები; № 1 და № 3 ნაგებობების ზედა „ჰორიზონტები“ <sup>18</sup> .	+1,0 — +0,4 — +0,2 მ
III	№№ 4, 10, 11, 12 ნაგებობები; № 1 და № 3 ნაგებობების შუა „ჰორიზონტები“	+0,4 — —0,4 მ
IV	№№ 16, 20 ნაგებობები; № 1 და № 3 ნაგებობების ქვედა „ჰორიზონტები“	—0,4 — —1,2 მ
V	№ 19 ნაგებობა	—0,9 — —1,2 მ
VI	№№ 22, 25, 26(?) ნაგებობები	—1,1 — —1,5 — 1,7 მ
VII	№ 23 ნაგებობა	—1,25 — —1,9 მ
VIII	№№ 24, 29(?) ნაგებობები	—1,5 — —1,9 მ
IX	№№ 30, 31, 32 ნაგებობები	—1,9 — —2,4 მ

<sup>14</sup> А. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 15 და შემდეგ.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>18</sup> ნაგებობანი № 1 და № 3 საამშენებლო ტრადიციის უწყვეტობის კარგ მაგალითს წარმოადგენს; ორსავე შემთხვევაში ძველი ნაგებობის აღგობზე ხდება ახლის დაშენება; იხ. ო. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 25—31.

ვინაიდან შულავრისა და იმირის გორების მასალის დეტალური აღწერა ცალკეული ჰორიზონტების მიხედვით უკვე იბეჭდება ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965—1971 წწ. ანგარიშში, აქ მხოლოდ ზოგადი დახასიათებით შემოვიფარგლებით.

IX სააშმე ნებლო ჰორიზონტი მეტად მცირე ფართობზეა (32 კვ. მ) გათხრილი და შესაბამისად მასალაც მცირერიცხოვანია. კერამიკა წარმოდგენილია მხოლოდ სამი ფრაგმენტით (ტაბ. 3:18, 19); ნატეცი ქვის მასალაში გვხვდება ობსიდიანის კონუსური ნუკლეუსის წვერის ფრაგმენტი (ტაბ. 3:11), ობსიდიანის ლამელები, ანატეცები და ანამტერეცები. მათ შორის აღსანიშნავია: თავრეტუშირებული (ტაბ. 3:14), გვერდამოღარული (ტაბ. 3:4) და გვერდდაკბილული ლამელები (ტაბ. 3:6,8), საქრისი (ტაბ. 3:5), საფხეკები (ტაბ. 3:9,16), სახოკი (ტაბ. 3:17) და სათლელისებური იარაღი ანუ ხოწი (ტაბ. 3:10). აქვეა აღმოჩენილი ხელსაფქვავის ზედა ქვის ფრაგმენტი და რიყის ქვები გამოყენების კვალით. ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია ორი სადგისითა (ტაბ. 3:2,3) და მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლის ქედზე ნაკეთები კონუსური მოყვანილობის „საჩიჩქნით“ (ტაბ. 3:1).

VIII ჰორიზონტი. კერამიკა ამ ჰორიზონტშიც მეტად მცირერიცხოვანია (ტაბ. 4:5). ნატეცი ქვის მასალაში აღსანიშნავია თავრეტუშირებული (ტაბ. 4:7), გვერდამოღარული (ტაბ. 4:13; 5:2) და გვერდდაკბილული (ტაბ. 5:10) ლამელები. „თავგამოყვანილი“ ლამელა (ტაბ. 4:9), საქრისები (ტაბ. 4:1,2, 3,4, 11), ლამელაზე ნაკეთები ბოლოკიდურა საფხეკი (ტაბ. 4:14), ხოწი (ტაბ. 4:6), რეტუშორი (ტაბ. 5:1), ნუკლეუსისებრი სახოკები (ტაბ. 4:15, 16) და ორმხრივდამუშავებული უხეში საჩეხ-საბეგვი იარაღი (ტაბ. 4:12). აქვეა ნაპოვნი ძვლის სადგისი და ირმის რქის თოხი თუ საჩიჩქნი იარაღი (ტაბ. 15:19).

VII ჰორიზონტი. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლს ფრაგმენტები ერთ ან ორ ჭურჭელს ეკუთვნის (ტაბ. 5:10). ნატეცი ქვის მასალაში გამოიყოფა უტილიზებული ნუკლეუსი (ტაბ. 5:6), ბოლორეტუშირებული ლამელა (ტაბ. 5:7), სახოკი (ტაბ. 5:9), ხოწი (ტაბ. 5:5) და უხეში საჩეხ-საბეგვი იარაღი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორმხრივდამუშავებული, მთლიანად გახეხილ-გაპრიალებული სატეხის აღმოჩენა (ტაბ. 5:8).

VI ჰორიზონტი. კერამიკა აქ უფრო მრავლადაა აღმოჩენილი, ვიდრე წინა ჰორიზონტებში. წარმოდგენილი უნდა იყოს სულ მცირე 5 ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. 6:1, 3, 4, 5). ნატეცი ქვის მასალაში გვხვდება ნუკლეუსები და მათი ნაშადები (ტაბ. 6:7), ანამტერეცები, ანატეცები (მათ შორის ერთი გვერდებდაბლაგვებული — ტაბ. 7:12) და მრავალრიცხოვანი ლამელები. მათ შორის გამოიყოფა თავგამოყვანილი (ტაბ. 7:15), თავრეტუშირებული (ტაბ. 7:14, 16, 21, 22), გვერდამოღარული (ტაბ. 7:10) და გვერდდაკბილული ლამელები. იარაღები წარმოდგენილია საქრისებით (ტაბ. 7:6, 7, 9, 16), საფხეკებით (ტაბ. 7:17, 19, 20), სახოკებით (ტაბ. 6:2,6), ხოწებით (ტაბ. 7:23), ბურღით (ტაბ. 7:13), კომბინირებული იარაღითა და საჩეხ-საბეგვი იარაღებით (ტაბ. 6:8). ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია სადგისებით, რომელთა შორისაც გამოიყოფა მრგვალდეროიანი, „ბიკონუსური“ სადგისი (ტაბ. 14:7), მრგვალდეროიანი ძვლის ნივთის ფრაგმენტი (ტაბ. 14:6). განსაკუთრებით აღსანიშნავია ამავე ჰორიზონტში ძვლის კოვზის აღმოჩენა, რომელსაც პირის დიდი ნაწილი აკლია (ტაბ. 14:24).

V ჰორიზონტი. ამ ჰორიზონტში თიხის ჭურჭლის მხოლოდ სამი ნა-

ტეხია ნაპოვნი. ნატყეცი ქვის მასალიდან აღსანიშნავია ამორფული დაბრტყელებული ნუკლეუსი (ტაბ. 8:15), თავრეტუშირებული ლამელები (ტაბ. 7:1,2), თავგამოყვანილი ლამელა (ტაბ. 7:5), საჭრისები (ტაბ. 7:3,4; 9:29, 30), ბოლოსაფხეკები (ტაბ. 9:28), სახოკები (ტაბ. 8:13, 14, 17; 9:27) და სხვ. ქვის მასალა წარმოდგენილია ხელსაფქვავის ზედა და ქვედა ქვებით, სახეხით, მინიატურული სანაყით და საჩიჩქნი ჯოხის დასამძიმებლით — შუაში გახვრეტილი მასიური ოვალური ქვით (ტაბ. 8:16, ჩახატულია 1/2). ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია სადგისებით, რომელთა შორის გვხვდება „ბიკონუსურიც“ (ტაბ. 14:16), საპრიალებლით, ე. წ. „დანა-საპრიალებლით“ (ტაბ. 14:18) და თავბოლოწაქრილი და გაპრიალებული ფრინველის ლულოვანი ძვლით. ამ ჰორიზონტში ნაპოვნი ირმის რქის თოხიც (ტაბ. 15:17).

IV ჰორიზონტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰორიზონტი შედარებით დიდ ფართობზეა გათხრილი, თიხის კურკლის მხოლოდ ოციოდე მცირე ზომის ფრაგმენტია ნაპოვნი. ნატყეცი ქვის მრავალრიცხოვან მასალაში აღსანიშნავია თავრეტუშირებული, გვერდამოღარული და გვერდდაკბილული ლამელები. იარაღებს შორის გვხვდება: საჭრისები (ტაბ. 8:2; 9:14), საფხეკები (ტაბ. 8:1, 3, 7, 9; 9:16), სახოკები (ტაბ. 8:10, 11, 12), ხოწები (ტაბ. 8:5), სახვრეტები და ბურლები (ტაბ. 8:4, 8; 9:22), კომბინირებული (ტაბ. 9:20) და საჩეხ-საბეკვი იარაღი. ქვის სხვა ნაწარმი წარმოდგენილია ხელჩაქუჩებით, ხელსაფქვავის ზედა და ქვედა ქვებით. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ჰორიზონტში ლახტისთავის ფრაგმენტის (შუაზე გამობილი ნახეუარი) აღმოჩენის ფაქტი (ტაბ. 16:1) ძვლის ნაწარმში გვხვდება სხვადასხვა ტიპის სადგისები (ტაბ. 13:24, 28, 30; 14:14; 15:7), საპრიალებლები (ტაბ. 14:26 — 29, 31, 34), „დანა-საპრიალებლები“ (ტაბ. 13:3; 14:26) და სხვა. რქის ნაწარმი წარმოდგენილია თოხით (ტაბ. 15:21), „საჩიჩქნით“ (ტაბ. 15:18), „მუფტიანი კვერთხებით“ (ტაბ. 15:22) და თოხის ნამზადით.

III ჰორიზონტი. კერამიკა აქაც მცირერიცხოვანია. ნატყეცი ქვის მასალიდან აღსანიშნავია თავრეტუშირებული (ტაბ. 9:1, 2; 10:50, 56, 57), გვერდამოღარული (ტაბ. 9:12, 13; 10:41) და გვერდდაკბილული ლამელები (ტაბ. 10:43), საჭრისები (ტაბ. 9:3—7; 10: 46—49, 51, 52), საფხეკები (ტაბ. 10:42), სახოკები (ტაბ. 10:53—55), ხოწები (ტაბ. 9:8,9), სახვრეტები (ტაბ. 9:43; 10:37), კომბინირებული იარაღები (ტაბ. 9:5), საჩეხ-საპოხი იარაღები და სხვ. ქვის სხვა ნივთებიდან გვხვდება ხელჩაქუჩები, ხელსაფქვავის ზედა და ქვედა ქვები და საჩიჩქნი ჯოხის დასამძიმებელი (ტაბ. 9:31, ჩახატულია 1/2). ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია სადგისებით (ტაბ. 13:10, 14, 26, 29), ღუბლირებული საპრიალებლით (ტაბ. 13:4), კოვზის ფრაგმენტით (ტაბ. 14:25). „ისარსპირით“ (ტაბ. 14:10) და სხვა. ამავე ჰორიზონტში ნაპოვნი ირმის რქის თოხიც (ტაბ. 15:14).

II ჰორიზონტი. კერამიკა შედარებით მრავალრიცხოვანია. წარმოდგენილია ერთი მთელი კურკლით (ტაბ. 12:4), რამდენიმე მოზრდილი ფრაგმენტით და წინა ჰორიზონტებთან შედარებით, მრავალრიცხოვანი წვრილი ნატეხებით. ისევე როგორც III ჰორიზონტში, ზოგიერთი კურკელი რელიეფურს გარდა ქლეული ორნამენტითაა შემკული (ტაბ. 12:1—4). ნატყეცი ქვის მასალაში აღსანიშნავია ნუკლეუსები (ტაბ. 11:33), თავრეტუშირებული (ტაბ. 10: 10, 11, 14, 24), გვერდამოღარული (ტაბ. 10:13, 35), გვერდდაკბი-



ლული ლამელები, საქრისები (ტაბ. 10:1—8), საფხეკები (ტაბ. 10:9, 15, 21, 28, 34), სახოკები (ტაბ. 10:30—32), ხოწები (ტაბ. 10:18, 26, 29), სახვრეტე-ბი და ბურლები (ტაბ. 10: 20, 22, 25) და კომბინირებული იარაღი (ტაბ. 10: 27). ამ პორიზონტში აღმოჩენილია გახეხილ-გაპრიალებული სატეხი (ტაბ. 9:32). ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია სადგისებით, საპრიალებლებით (ტაბ. 15:13), „დანა-საპრიალებლით“ (ტაბ. 14:8), ხოლო რქის ნაწარმი — ორი თო-ხითა და ერთი ნამზადით.

I პორიზონტი. კერამიკა II პორიზონტთან შედარებით უფრო მრავ-ლადაა. ნატეცი ქვის მასალა წარმოდგენილია ნუკლეუსებით (ტაბ. 11:37, 38, 39), ანატეცი — ანამტერევეებითა და ლამელებით. ლამელებს შორის გამოიყო-ფა თავრეტუშირებული (ტაბ. 11:8, 20, 29, 35), გვერდამოღარული (ტაბ. 11:18, 19, 34) და სხვა ჯგუფები. იარაღები წარმოდგენილია საქრისებით (ტაბ. 11:2, 6, 9, 10, 24—27), საფხეკებით (ტაბ. 11:3, 4, 7, 15, 36, 40), სახოკებით (ტაბ. 11:32, 33), ხოწებით (ტაბ. 11:5, 17), სახვრეტებითა და ბურლებით (ტაბ. 11:11, 22) და კომბინირებული იარაღებით. ამ პორიზონტიდან მომ-დინარეობს ერთი გახეხილ-გაპრიალებული სატეხი და მინიატურული თავთან გახვრეტილი ცულისებური ნივთი, ქვიშაქვისა, ცალმხრივლესილი (ტაბ. 9:33); ძვლის ნაწარმში გვხვდება სადგისები (ტაბ. 13:5, 6, 8, 10, 17, 19, 20, 22, 23, 25, 27, 14:13, 17; 15:1, 2, 5, 6), საპრიალებლები (ტაბ. 14:32), „ისრისპირები“, „სა-ჩიჩქნი იარაღები“ (ტაბ. 15:10, 15), თხელფირფიტოვან ძვალზე ნაკეთები და-ნისებური ნივთები (ტაბ. 14:2, 3), გაპრიალებული ეშვის საკიდი (ტაბ. 14:21) და სხვა. ამ პორიზონტში ირმის რქის ორი ფრაგმენტირებული იარაღია ნა-პოვნი — თოხი და „ცული“.

ზედაპირულად აკრეფილი მასალიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „შო-მუ-თეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართები, ერთადერთი მაკროლითი (ტაბ. 16:3) და გამომწვარი თიხის ანთროპომორფული ქანდაკება ქალისა (ტაბ. 16:3).

შულავერის გორის მონაცემების მთლიანობაში შესწავლის შედეგადაც აშკარა ხდება, რომ ეს ნამოსახლარი მნიშვნელოვნად განსხვავდება აღმოსავ-ლეთ ამიერკავკასიის ყველა ადრესამიწათმოქმედო ძეგლისაგან და ბევრად უფრო არქაულად გამოიყურება მათ შორის. ამასთან ერთად, საამშენებლო დონეების ცალ-ცალკე შესწავლამ დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავე-ბანი შეინიშნება არა მარტო ამ ძეგლსა და სხვა ნასოფლარებს შორის, არა-მედ თვით შულავერის გორის სხვადასხვა საამშენებლო პორიზონტებს შო-რისაქ<sup>15</sup>.

შულავერის გორის სტრატეგრაფიამ შემდეგი სურათი მოგვცა: საერთოდ ძველზე, განსაკუთრებით კი ქვედა პორიზონტებში თიხის ჭურჭელი მეტად იშვიათია; ამასთან აქაური კერამიკა ფორმების სიმარტივით გამოირჩევა. ქვე-და დონეების ჭურჭელი სუსტადაა გამომწვარი, ძირითადად მოყავისფრო-მონაცრისფროდ; ჭურჭლის ზედაპირი მხოლოდ სველი ხელითაა მოგლუვებუ-ლი. VI საამშენებლო პორიზონტში ამ სახის ნაწარმთან ერთად ჩნდება ერთად-ერთი სუსტად გაპრიალებულზედაპირიანი ფრაგმენტი. კარგად გაპრიალებულ-ზედაპირიანი, მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭელი კი, მხოლოდ II პორი-ზონტიდან ჩანს. ზედა პორიზონტების ნაპრიალებ კერამიკასაც ზედაპირი არა-თანაბარი და უსწორმასწორო აქვს. აღსანიშნავია, რომ ამ პორიზონტებშიც

<sup>19</sup> იხ. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.) (ე-ტრატოა ჯგუფი), თბილისი, 1975 (აღნიშნული ანგარიში გამოქვეყნდა ჩვენი ნაშრომის აწყუ-რის დროს, ამდენად მისი სათანადოდ მითითება ვერ მოეხერხა).

გაპრიალებულზედაპირიანი ქურქლის წილი საერთო მასაში მეტად უმნიშვნელოა.

შულავრის გორის მარტივ, კვერცხისებურტანიან, ქილისებურ ქუსლიან ქურქლებზე პირის „გაფორმების“ ორი ვარიანტი გვხვდება — ერთი ოდნავ გადაშლილი და მეორე — რკალისებურად, თანაბრად მოყრილი (პირმოყრილი ქურქლისა). ორივე ვარიანტი ჩანს როგორც ქვედა, ასევე ზედა ჰორიზონტებშიც. ქურქლის ძირება ყველა ჰორიზონტში მასიური და მკვეთრად (ნაპირები-საკენ განზიდულ, გამოყვანილქუსლიანია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა შრგვალია და ქვევიდანაც მოგლუვებულა.

მცირედ განსხვავებულად გამოიყურება I ჰორიზონტის ნაწარმი, სადაც ჩნდება განსხვავებული ფორმებიც: მაგ., ერთი მოყავისფროდ გამომწვარი მცირე ზომის ქილისებური ქურქელია განიერი პირით, ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული სწორი კედლებით, ფართო ბრტყელი ძირით. ერთიც მაღალი ცილინდრულუცვლიანი მოყავისფროდ გამომწვარი ქურქლის პირგვერდის ფრაგმენტია — პირგადაშლილი, საგრძნობლად პროფილირებული, სუსტად გაპრიალებული ზედაპირითა და შიდაპირით. ამავე ჰორიზონტში ჩნდება შულავრის გორის კერამიკისათვის „უცხო“ ძირებიც: მაგ., ზემოაღწერილი ქილისებურ ქურქელს უქუსლო ძირი აქვს; ერთი დაბალქუსლიანია, ორმხრივგაპრიალებული ქურქლის ძირის ფრაგმენტი კი დაკეთებულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ II ჰორიზონტში აღმოჩენილ ერთ და I ჰორიზონტში ნაპოვნ ორიოდ ძირის ფრაგმენტს ეტყობა ლასტის სპირალური ანაბეჭდი, რაც ქვედა ჰორიზონტების მასალებში არ ჩანდა.

მოკლედ შევჩერდებით შულავრის გორის ქურქლის შემკულობაზე. ორნამენტი გვხვდება რელიეფური და ქდეული. რელიეფური ორნამენტი უკვე VI ჰორიზონტიდან ჩანს, ქდეული კი, მხოლოდ III საამშენებლო ჰორიზონტიდან.

რელიეფური ორნამენტი წარმოდგენილია მხოლოდ პირის გასწვრივ ერთ-ჰორიზონტალურ რიგად დაძვრწილი, ხან ირგვლივ, სიმეტრიულად განლაგებული, ხან კი — ორი, სამი ან მეტი კოპისაგან შემდგარი ჭვუფებად დატანილი მაღალი კონუსური კოპებით. ამ სახის შემკულობა მხოლოდ პირმოყრილ ქურქლებს ახასიათებს.

ქდეული ორნამენტით შემკულია ზოგიერთი ქურქლის პირი ან მხარი, ზოგჯერ კი — ორივე. პირი დაქდეული აქვს უმეტესად ირიბი ზოლებით როგორც პირმოყრილ, ასევე პირგადაშლილ ქურქლებს; ხოლო მხარზე (კორპუსზე) დატანილი ქდეული ორნამენტი გვხვდება მხოლოდ პირგადაშლილ ქურქლებზე.

ქდეული ორნამენტი კორპუსზე წარმოდგენილია, ძირითადად, ვერტიკალურად განლაგებული „თევზიფხური“ სახეებით. თუმცა იშვიათად გვხვდება ვერტიკალურად დატანილი ტალღისებური ხაზები ან სხვა სახის გეომეტრიული ორნამენტი.

ქდეული და რელიეფური ორნამენტის კომბინაცია მეტად იშვიათია. ისიც მხოლოდ პირმოყრილ ქურქლებზე, რომელთაც პირი ირიბად აქვთ დაქდეული, პირის გასწვრივ კი კოპები შემოუყვება.

შულავრის გორის კერამიკაში შეიმჩნევა ერთი საყურადღებო გარემოება — IX—VII ჰორიზონტებში თიხაში გასამქლევებლად შერეულია მხოლოდ არაორგანული მინარევი — დანაყილი ბაზალტი, ხეინჯა, ზოგჯერ ქარ-

სიკ. VI—IV პორიზონტების ქერქელს მხოლოდ ზედაპირზე ეტყობა ბზის უმნიშვნელო მინარევი, რაც კეცში არ ჩანს; III პორიზონტში კი უკვე კეცშიც შეიმჩნევა არაორგანულ მინარევთან ბზის კომბინაცია. II პორიზონტში ცალკე გამოყოფა მცირერიცხოვანი ნაშანარევი ნაწარმი; მათი რაოდენობა I პორიზონტშიც უმნიშვნელოა, მაგრამ ზედაპირულ მასალაში უკვე საგრძნობლად ვაჭვლობს.

გარკვეული განსხვავებანი შეინიშნება სხვადასხვა პორიზონტებში მოპოვებულ ძვლისა და რქის ინვენტარში. საერთოდ ძვლსა და რქის იარაღები შულავრის გორის მასალებში ცოტაა; განსაკუთრებით იშვიათია ისინი ქვედა პორიზონტებში, სადაც თითქმის ერთადერთ იარაღად გვევლინება სადგისი. ძვლისა და რქის ნივთების რაოდენობა თანდათანობით იზრდება პორიზონტებია მიხედვით (ქვევიდან ზევით) და უფრო მნიშვნელოვანიც ხდება (იხ. ცხრილი 2). ასე მაგალითად: VI პორიზონტში გვხვდება მრგვალღეროიანი „ბიკონუსური“ სადგისი; აქვეა აღმოჩენილი მრგვალღეროიანი „დანაპარიალბელი“ და კოვზის ფრაგმენტი. ლულოვან ძვალზე ნაკეთები ტიპური საპრიალებელი პირველად V პორიზონტში იხდება, ხოლო მსხვილფეხა საქონლის ნეკნზე ნაკეთები საპრიალებლები მხოლოდ II და I პორიზონტშია აღმოჩენილი. III და II პორიზონტში ნაპოვნია „ოვალურთავიანი იარისპირები“, „რომბულთავიანი“ კი — I-ში. მხოლოდ I პორიზონტში გვხვდება, აგრეთვე, თხელფირფიტოვან ძვალზე ნაკეთები დანისებური მოყვანილობის ნივთები. რომელთაც გვარდები დაკბილული აქვთ. ამ ტიპის ნივთები, სრულიად უცხო შულავრის გორის IX—II პორიზონტებისათვის, პარალელებს პოულობს იმირის გორის V—I პორიზონტების ძვლის ნაწარმში, მიუხედავად იმისა, რომ შთშორის საგრძნობი ტიპოლოგიური განსხვავებაც შეინიშნება. ასევე სიახლესწარმოადგენს შულავრის გორის რქის ნაწარმში ერთადერთი გამქოლსატარენახვრეტიანი ირმის რქის იარაღი — „ცულა“, აღმოჩენილი I პორიზონტში. ეს იარაღიც იმირის გორის მასალებში პოულობს პარალელს.

შედარებით უფრო ნაკლებად საგრძნობია განსხვავებანი ნატკეცი ქვის მასალაში, თუმცა აქაც შეიძლება გარკვეულ ცვლილებათა შესახებ მსჯელობა. შულავრის გორის ყველა პორიზონტში, ისევე, როგორც იმირის გორაზე, ერთიანი ქვის ინდუსტრია გვხვდება. იარაღების დასამზადებელ ძირითად ნედლეულად გამოყენებულია ობსიდანი (ნატკეცი ქვის მასალის საერთო რაოდენობის 89, 24% — იხ. ცხრილი 3), რომელიც წარმოდგენილია ნუკლეუსებით, ანამტვრეე-ანატკეციებითა და ლამელებით. შულავრის გორის ქვის ინდუსტრიის დამახასიათებელი ნიშანია მკვეთრად გამოსახული ლამელარული ტექნიკა, ე. ი. ლამელების სიქარბე ანატკეცი-ანამტვრეეებთან შედარებით (იხ. ცხრილი 4), აქ აღმოჩენილი ლამელები წაგრძელებული, სწორი დანისებური მოყვანილობისაა; გავრცელებულია საშუალო და ფართო ლამელები; ვიწრო ლამელები იშვიათია; მიკროლამელები თითქმის არ გვხვდება (სულ მთელ მასალაში 6 ცალია). საერთოდ არ ჩანს გეომეტრიული ფორმის მიკროლითები.

ლამელებს შორის გვხვდება თავრეტეშირებული ცალები, მრავლადაგვერდამოღარული ეგზემპლარები. ლამელების უმეტესობას ეტყობა დამუშავების ან გამოყენების კვალი.

ობსიდანიის ლამელებზეა ჩამოყალიბებული იარაღთა უმეტესობაც, რომელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია სხვადასხვა სერიებით წარმოდგენილი საჭრისები. შედარებით ნაკლებია ლამელის ბოლოზე ჩამოყალიბებუ-

1. სადგისები ნაკეთები გაპობილ მეტაპოდიებზე
2. სადგისები ნაკეთები გაუპობელ ლულოვან ძვალზე
3. სადგისი მრგვალღეროიანი „ბიკონუსური“
4. სადგისი წახნაგოვანღეროიანი
5. სადგისი მასიური, ატიბიური
6. სადგისი ატიბიური „მტკვარ-არაქსულის“ მსგავსი
7. საპრიალებელი ნაკეთები გაუპობელ ლულოვან ძვალზე
8. საპრიალებელი ნაკეთები გაპობილ ლულოვან ძვალზე
9. საპრიალებელი ნაკეთები მსხვილფეხა საქონლის ნეკნის ძვალზე
10. საპრიალებელი ნაკეთები მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვალზე
11. „დანა-საპრიალებელი“ ნაკეთები ლულოვან ძვალზე
12. „დანა-საპრიალებელი“ მრგვალღეროიანი
13. საპრიალებელი დუბლირებული
14. საპრიალებელი თხელფირფიტოვანი (ნაკეთები გაპობილ ნეკნზე)
15. „ისრისპირი“ ოვალურთავიანი
16. „ისრისპირი“ რომბულთავიანი
17. კოვზები თუ მათი ფრაგმენტები
18. ფრინველის ძვალი, თავბოლოწაქრილი
19. „საბეჭავი“
20. „საჩიჩქნი იარაღები“
21. გვერდდაკბილული იარაღები ნაკეთები თხელფირფიტოვან ძვალზე
22. დანისებური მოყვანილობის თხელფირფიტოვანი ნივთი
23. საკინძისებური ნივთი
24. მახათისებური ნივთი
25. „ფიგურული“ საკიდი
26. „ფიგურული კოვზი“
27. „თოხი“ ნაკეთები მსხვილფეხა საქონლის ლულოვან ძვალზე ზემოდან ჩახერტილი სატარეთი
28. „თოხი“ ნაკეთები მსხვილფეხა საქონლის მეტაპოდიზე გამჭოლი სატარე ნახერტით
29. „თოხი“ ნაკეთები მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვალზე
30. „მუფტა“ ძელისა
31. ფრაგმენტები მრგვალღეროიანი ძელის იარაღებისა
32. ნამზადები და ფრაგმენტები განუსაზღვრელი ძელის იარაღებისა
33. საკიდი ნაკეთები ტახის გაპობილ ეშვზე
34. ეშვი დამუშავებული
35. „თოხი“ ირმის რქისა სატარე ნახერტის გარეშე
36. „თოხი“ ირმის რქისა გამჭოლი სატარე ნახერტით
37. „საჩიჩქნი“ იარაღი ნაკეთები ირმის რქის წანახარდზე
38. „ცული“ ირმის რქისა მრგვალი გამჭოლი სატარე ნახერტით
39. „კვერთხი-მუფტა“ ირმის რქისა
40. „კვერთხისთავი“ ირმის რქისა
41. „მუფტა“ ირმის რქისა
42. ნამზადი ირმის რქის თოხისა
43. ფრაგმენტები სატარენახერტეიანი ირმის რქის იარაღებისა
44. ფრაგმენტები ირმის რქის განუსაზღვრელი იარაღებისა



საამშენებლო პორიზონტები	ატკეცვის შედეგად მიღ- ბული ქვის ნივთების საერთო რაოდენობა	მ ა თ შ ო რ ი ს		% შე ფ ა რ დ ე ბ ა	
		ობსლ.	სხვ. ქანი	ობსლ.	სხვ. ქანი
I	182	179	3	98,5	1,5
II	237	235	2	99,11	0,89
III	244	228	16	93,44	6,56
IV	508	445	63	87,3	12,7
V	152	136	16	89,47	10,53
VI	492	405	87	82,31	17,69
VII	65	58	7	89,23	10,77
VIII	91	78	13	85,49	14,51
IX	50	41	9	82,00	18,00
ს უ ლ	2021	1805	216	89,24	10,76

ნატკეცი ქვის მასალის ძირითადი ჯგუფები

საამშენებლო პორიზონტები	ჯგუფები									სულ
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	
ნუკლეუსები	5	2	6	6	5	8	1	1	1	35
ლამელები და მათზე ნაკეთები იარაღები	122	161	151	277	97	211	32	52	25	1128
ანატკეცები და მათზე ნაკეთები იარაღები	37	55	73	196	44	232	26	34	21	718
ანატკეცრეგები	18	19	12	28	4	37	5	3	3	129
საჩეხ-საპოზი იარაღები	—	—	2	1	2	4	1	1	—	11
ს უ ლ	182	237	244	508	152	492	65	91	50	2021

ლი საფხეკები და სათლელისებური იარაღები (ხოწები). იშვიათია ბურღები თუ სახვრეტები. ძეგლისათვის დამახასიათებელია გაკაეებული ქანის, ძირითადად არგილიტის, ოვალური მოყვანილობის მასიურ ანატკეცებზე ნაკეთები, ოვალურსამუშაოპირიანი სახოკები, რომელთა მსგავსი სხვა ძეგლებზე არ გვხვდება. მათთან ერთად უკვე VIII საამშენებლო პორიზონტიდან მოკიდებული ჩანს კაისებური ქანის, უფრო ხშირად კი ობსიდიანის, ნუკლეუსისებური, მაღალსამუშაოპირიანი სახოკებიც, რომლებიც იმირის გორის მასალაშიც საკმაოდ გავრცელებული ჩანს. შულავრის გორის ქვედა პორიზონტებში (III—VII) გვხვდება უხეში ორმხრივდამუშავებული საჩეხ-საპოზი იარაღები (იხ. ცხრილი 7).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზედაპირულ მასალაში ჩანს გაკაეებული არგილიტის ზურგდაბლაგვებული ლამელები თუ ლამელისებური ანატკეცები — „შომუ-თუფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართები, რომელიც ფართოდ ვრცელდება იმირის გორის V და მომდევნო საამშენებლო პორიზონტებში.

ვახეხილ-ვაპრიალებული ქვის იარაღები შულავრის გორის უძრავ ფენებში მეტად იშვიათია (სამი მთლიანად ვახეხილ-ვაპრიალებული, მალალი ტრაპეციის მოყვანილობის ბრტყელი სატეხი და ერთი მინიატურული „მოდელი“); ბევრად მეტი ჩანს ისინი ზედაპირულ მასალაში.

ცალკე აღსანიშნავია შულავრის გორის ხელსაფეკვაები. აქ აღმოჩენილ ყველა ქვედა ქვას ვარცლისებურად ჩაღრმავებული სამუშაო ზედაპირი აქვს. მათი შესაბამისი კურანტები (ზედა ქვები) მცირე ზომით გამოირჩევა. კურანტები გვხვდება როგორც ცალმხრივი — ძირბრტყელი-აპოზურგული, ისე ორმხრივი — ორმხრივბრტყელი; ყველა მათგანი ოვალური მოყვანილობისაა. ორმხრივგამოყენებული კურანტები სამ შემთხვევაში შემდგომში გახერგეტილია და, როგორც ჩანს, მარგილის („საჩიქნი ჯოხის“) დასამძიმებლად ყოფილა გამოყენებული. ანალოგიური იარაღი იმირის გორის VII—VI პორიზონტების მასალაშიც გვხვდება.

დასასრულ მოვიხსენიებთ შულავრის გორის II პორიზონტში ნაპოვნ ქვის ერთ იარაღს — კვერცხისებური მოყვანილობის რიყის ქვას შუაში განივი ღარით — ძვლის იარაღების სახეხ-სალესს, რომლის ანალოგიები ქვემო ქართლის ძეგლებიდან მხოლოდ იმირის გორაზე გვხვდება.

#### იმირის გორა

მეორე ძეგლი, ქვემო შულავრის ჯგუფის ნასოფლარებიდან, რომელიც ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა, იმირის გორა იყო. იგი ქვემო შულავრის ჯგუფში სიდიდით მეორე ძეგლია და ყველაზე სრულად გათხრილი აღრესამიწათმოქმედო ნამოსახლარია მთელს კავკასიაში (ტაბ. 17).

იმირის გორა ოდნავ წაგრძელებული ოვალის მოყვანილობის ბორცვია, რომლის სიგრძე უდრის 90 მეტრს, სიგანე — 80 მ; სიმაღლე ველის თანავედროვე დონიდან 4 მ აღემატება. ძეგლი, შეიძლება ითქვას, დაუზიანებელი იყო. იგულისხმება, რომ მას არ განუცდია ისეთი ნგრევა, როგორც „დანგრეულმა გორამ“, შულავრის გორამ და ქვემო ქართლის სხვა ნამოსახლარებმა“<sup>20</sup>.

თავდაპირველად გორაზე გაიჭრა ორი საცდელი შურფი, რომლებიც შემდეგ გაფართოვდა, გაგრძელდა და რადიალური სტრატეგრაფიული ტრანშეის სახე მიიღო. როდესაც დადგინდა ძეგლის სტრატეგრაფია (4,5 მ სიღრმეზე შეიღი საამშენებლო პორიზონტი გამოიყო<sup>21</sup>), გათხრები გაფართოვდა სივრცე, ძირითადად, ერთ საამშენებლო (ზემოდან V) დონეზე (ტაბ. 18), სულ ნამოსახლარზე გაითხარა 1200-მდე კვ ფართობი, რომლის სხვადასხვა საამშენებლო დონეზე ფიქსირებულია 60-ზე მეტი ნაგებობა (ტაბ. 17, 18).

შულავრის გორასთან შედარებით, აქ ნაგებობები ბევრად მოწესრიგებულადაა განლაგებული და მათ შორის ფართობიც მეტია. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ერთმანეთს უკავშირდება მორკალული კედლებით, რომლის საშუალებით მოზღუდულია „ეზოც“ — შეკრულია ერთიანი კომპლექსი. ხშირად რამდენიმე კომპლექსი ერთმანეთს ებმის და, როგორც

<sup>20</sup> იხ. ო. ჯ ა ვ ა რ ი ძ ე, ა. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, უძველესი მიწათმოქმედი... გვ. 64; A. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

<sup>21</sup> ძეგლის სტრატეგრაფიის შესახებ იხ. A. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 45—46.

ჩანს, წრიულად არის განლაგებული მოზრდილი ცენტრალური მოედნის გარშემო. გარდა ტრადიციული წრიული ფორმის ცრუგუმბათური ნაგებობებისა, იმირის გორაზე გვხვდება პრინციპულად განსხვავებული გეგმისა და კონსტრუქციის რამდენიმე შენობაც (№№ 8,9—10, 47)<sup>22</sup>.

სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ზოგჯერ არ მოხერხდა მასალის კანხილვა ცალკეული საამშენებლო ჰორიზონტების მიხედვით — იმირის გორა, გარკვეული ქრონოლოგიური წყვეტილებით, ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით სასაფლაოდ ყოფილა გამოყენებული (იხ. ტაბ. 18)<sup>23</sup>; საპირხები ხშირ შემთხვევაში IV საამშენებლო ჰორიზონტამდე (ჰორიზონტები დანომრილია ზევიდან ქვევით) აღწევდა, რის გამოც ძეგლის ზედა ოთხი ჰორიზონტი ძლიერ იყო დარღვეული. შესაბამისად, ამ ზედა დონეების მასალაც არეული იყო და ხშირად ძნელდებოდა მასალის ექვმიუტანლად მიკუთვნება ამა თუ იმ საამშენებლო ჰორიზონტისადმი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ I—IV („დარღვეული“) ჰორიზონტების მონაპოვარი ერთად გაგვეხილა.

ცალკე ვიხილავთ მხოლოდ V საამშენებლო ჰორიზონტის მასალას, რადგანაც იგი, როგორც აღნიშნული იყო, ყველაზე დიდ ფართობზეა გათხრილი და კარგად გამოიყოფოდა როგორც უფრო ზედა, ისე ქვედა ჰორიზონტებისაგან. უფრო ქვეშ მდებარე VI და VII ჰორიზონტების მასალას, გათხრილი ფართობისა და მონაპოვრის შედარებითი სიმცირის გამო, აგრეთვე ვაერთიანებთ.

ცალკე განვიხილავთ ე. წ. „არასტრატოფიციკრებული ფენების“ (რომელსაც ძირითადად ეკუთვნის „დიდი ნაციონალი მოედნიდან“ — ცენტრალური ეზოდან მომდინარე მასალა) და გორის ნაპირზე გაჭრილი შურფიდან მომდინარე მასალას. უკანასკნელ ორ კატეგორიაში ჩათვლილი მასალის აბსოლუტური უმრავლესობა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ზედა (I—IV) საამშენებლო ჰორიზონტებს ეკუთვნის, მაგრამ რადგანაც უფრო ქვედა ფენებიდან მომდინარე მასალის შერევაც არ არის გამორიცხული, მათი ცალ-ცალკე განხილვა მივიჩნიეთ მიზანშეწონილად.

იმირის გორის ქვედა ორი, VII—VI საამშენებლო ჰორიზონტის კერამიკა მკერერციხოვანია (ტაბ. 35:1—8). ნატეცი ქვის მასალაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ნუკლეუსების მთელი სერია (ტაბ. 19:1, 2, 4, 5, 7—9, 11—19; 20:4,6—8, i1). იარაღებიდან გვხვდება: საჭრისები (ტაბ. 25:8), საფხეკები (ტაბ. 21:10; 22:34), სახოკები (ტაბ. 22:17, 25, 35), ხოწები, ბურღები (ტაბ. 21:6) და რეტუშორი. გახეხილ-გაპრიალებული იარაღები (ტაბ. 27:2, 3, 9) მკერერციხოვანია. ქვის სხვა ნაწარმიდან აღმოჩენილია „საჩიქნი ჯოხის“ საწაფი (ტაბ. 27:11). ძვლის იარაღების სახეხ-სალესი — ოვალური მოყვანილობის რიყის ქვა, შუაში განივი ღარით, ხელსაფქვავის ზედა და ქვედა ქვის ფრაგმენტები და სხვადასხვა სახის ნაშადები (ტაბ. 27:1, 4, 6, 10). ძვლის ნაყოთობანი წარმოდგენილია სადგისებით (ტაბ. 30:1, 3, 16, 17, 23, 37), საპრიალებლებით (ტაბ. 31:3, 18, 21), „დანა-საპრიალებლებით“ (ტაბ. 31:6, 8) და სხვადასხვა იარაღთა ფრაგმენტებით.

V ჰორიზონტი. ეს ჰორიზონტი იმირის გორაზე ყველაზე უფრო დიდ ფართობზე და სრულადაა შესწავლილი. კერამიკა შედარებით მრავალრიცხო-

<sup>22</sup> ი ქ ვ ე, გვ. 44.

<sup>23</sup> ი ქ ვ ე.



ვანია. ჭურჭლის ორნამენტაცია მხოლოდ რელიეფურია (ტაბ. 36:1—7; 37:1—8; 38:1,3,—17). ნატეცი ქვის მასალიდან აღსანიშნავია თავრეტუშირებული (ტაბ. 23:13; 24:2,12,18, 19; 25:1,25), გვერდამოღარული (ტაბ. 23:3,16; 24:1,16), გვერდდაკბილული (ტაბ. 23:4) და „თავგამოყვანილი“ ტაბ. 25:13) ლამელები, საქრისები (ტაბ. 24: 11, 13, 14), საფხეკები (ტაბ. 21:27, 57; 22:9, 11; 24:17), სახოკები (ტაბ. 22:24, 27), ხოწები (ტაბ. 24:7), ბურლები თუ სახვრეტები, (ტაბ. 21:47; 23:2; 25:5), კომბინირებული იარაღი (ტაბ. 21:45), რეტუშორი. საჩეხ-საპობი იარაღები (ტაბ. 23:19) და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, „შომუ-თეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართები. ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია სადგისებით (ტაბ. 30:4,25, 28, 34, 38—40, 43, 47), საპრიალებლებით (ტაბ. 31:1, 5, 7, 11, 13, 14, 18), თხელფირფიტოვან ძვალზე ნაკეთები საპრიალებლებით (ტაბ. 31:22, 23, 25, 27), „ფიგურული“ საკიდით (ტაბ. 33:12), დანისებური ნივთის ფრაგმენტით, „ირისპირით“ (ტაბ. 33:11), დაუშთავრებული საკიდით (ტაბ. 33:8), მსხვილფეხა საქონლის ლულოვან ძვალზე ნაკეთები თოხის ფრაგმენტითა და სხვ. რქის ნაწარმიდან გვხვდება: მრგვალგამკოლ-სატარენახვრეტნიანი თოხები, ასეთივე სატარიანი „ცული“, ირმის რქის წანაზარდებზე ნაკეთები საჩიჩქნები, „კვერთხისთავი“, „ჰუფტა“ და სხვადასხვა იარაღის ფრაგმენტები.

იმირის გორის ზედა, IV—I პორიზონტები ძლიერ იყო დაზიანებული ეროზიითა და ჩაშვებული საპარხებით, რის გამოც, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ერთად, მთლიანობაში გაგვეხილა ამ პორინტთა მასალები. კერამიკა საკმაოდ მრავალრიცხოვანია (ტაბ. 38:2; 39:1—12; 40:1—19; 41:1—7; 42:1—6; 43:8). ნატეცი ქვის მასალაში აღსანიშნავია ნუკლეუსები (ტაბ. 20:2,5, 9), თავრეტუშირებული (ტაბ 21:16; 2,3:8; 25:29), გვერდამოღარული (ტაბ. 24:23,24) და გვერდდაკბილული ლამელები. იარაღებს შორის გვხვდება საქრისები (ტაბ. 19:3; 21:46; 22:10; 25:9), საფხეკები (ტაბ. 21:28, 36, 49, 54—56; 22:15, 16; 25:31), სახოკები (ტაბ. 22:14, 19, 21, 29,32; 24:31), ხოწები, ბურლები თუ სახვრეტები (ტაბ. 21:38, 39; 25:3), კომბინირებული იარაღები (ტაბ. 22:13), ნამგლის ჩასართები (ტაბ. 21:12.26) და უხეში საჩეხ-საპობი იარაღები (ტაბ. 23:18). გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღი ამ პორიზონტებშიც მეტად მცირერიცხოვანია და წარმოდგენილია ორმხრივლესილი, სოლისებური ცულით (ტაბ. 29:5) და მაღალი ტრაპეციის მოყვანილობის სატეხით (ტაბ. 29:6), რომლის მთელი ზედაპირი ბრწყინვალედაა გახეხილ-გაპრიალებული. ცალკე აღსანიშნავია კირქვის ერთი იარაღი, როჰელიც დუბლირებულია — ბრტყელი ფილის ერთ ბოლოზე გახეხვა-გაპრიალებს გზით ჩამოყალიბებულია მკრელსამუშაობირიანი დანა „მეწალის დანის“ ფორმისა. პიორე ბოლოზე კი გაფორმებულია მრავალფაქტურიანი შუალა საქრისი (ტაბ. 29:4). ქვის სხვა ნაწარმს შორის გვხვდება კვერცხისებური მოყვანილობის ცენტრში გახვრეტილი ქვები, ხელჩაქუჩები, სახეხები, ხელსაფქვავის ზედა და ქვედა ქვები და სხვ. ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის სადგისებით (ტაბ. 30:13, 19, 20, 26, 29, 33, 35, 45; 33:20), საპრიალებლებით (ტაბ. 31:10, 12, 19), თხელფირფიტოვან ძვალზე ნაკეთები საპრიალებლებით (ტაბ. 31:20, 24, 33:15), დანისებური ნივთებით (ტაბ. 33:2—4, 13), „ირისპირით“ (ტაბ. 32:12), თავგამოყვანილი, უყუწწო, მახათით (ტაბ. 33:10), მსხვილფეხა საქონლის მეტაპოლიაზე, ლულოვან და ბეჭის ძვალზე ნაკეთები თოხებით თუ მათი ფრაგმენტებით, ეშვის საკიდით (ტაბ. 33:16) და სხვ. რქის

ნაწარში წარმოდგენილია ირმის რქის ფუძეზე თუ წანახარდებზე ნაკეთები გამჭოლსატარენახვრეტისანი თოხებით, ცულით, მუფტით და სხვადასხვა იარაღის ფრაგმენტებით. ამავე პერიოდებიდან მომდინარეობს ფრაგმენტირებული ანთროპომორფული თიხის ქანდაკება ქალისა.

ცალკე ვიხილავთ არასტრატოციფირებულ მასალას, ე. ი. ისეთ ზონაოვანს, რომლის მიკუთვნებაც რომელიმე გარკვეული ფენისადმი ჰქონდა. კერამიკა აქაც მრავალიცხოვანია (ტაბ. 34:1—13; 35:9—14). განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი, ვარდისფერ ფონზე ფართო ალუბლისფერი ზოლებით მონატური ფრაგმენტი (ტაბ. 35:12). არასტრატოციფირებულ ღონეებშია ნაპოვნი გამოწვარი თიხის ორი ფრაგმენტირებული ანთროპომორფული ქანდაკებაც (ქალისა). მრავალიცხოვან ნატყეცი ქვის მასალაში გამოიყოფა ნუკლეუსები (ტაბ. 19:6, 20:1), ზურგდაბლაგებული ლამელისებური ანატყეცი (ტაბ. 24:8), თავრეტშირებული (ტაბ. 21:51; 23:12; 24:15, 20; 25:15; 26:9, 18, 26), „თავგამოყვანილი“ (ტაბ. 21:1, 35), გვერდამოღარული (ტაბ. 23:1; 24:5, 25; 25:10, 22, 30; 26, 19), ვვერდდაკბილული (ტაბ. 21:5; 25:33) და ზურგდაბლაგებული (ტაბ. 26:2, 6) ლამელები. იარაღებიდან გვხვდება საჭრისები (ტაბ. 21:2, 3, 8, 37, 48, 52, 53; 23:5, 15; 24:29, 32; 25:11, 17, 27; 26:3, 4, 7, 16), საფხეკები (ტაბ. 21:7, 29—33, 42—44; 22:4, 12, 28, 33; 23:9; 24:4, 27; 25:16; 26:5, 10, 11, 14, 15, 21, 23, 24), სახოკები (ტაბ. 22:20, 22, 23, 26, 30, 31), ხოწები (ტაბ. 22:1; 23:10; 24:9, 10; 26:17), ბურღები თუ სახვრეტები (ტაბ. 21:34, 40; 23:14; 25:12; 26:22, 25), ნამგლის ჩასართები (ტაბ. 21:11, 15, 17—22, 25; 22:6; 24:28), კომბინირებული იარაღები (ტაბ. 25:2, 7, 21). უხეში საჩეხი იარაღები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზურგათილი ტრაპეცია (ტაბ. 26:1) და ორმხრივდაკუშავებული ისრისპირი (ტაბ. 26:12). გახეხილ-გაპრიალებული იარაღი იშვიათია (ტაბ. 29:3). ქვის სხვა ნაწარში გამოიყოფა ტუფის „ლახტისთავი“ (ტაბ. 29:2), ანალოგიურივე ნივთების ფრაგმენტი და ნამზადი და თავთან გახვრეტილი კირქვის წაგრძელებული მოყვანილობის ნივთი (ტაბ. 29:1).

არასტრატოციფირებული მასალის ძვლის ნაწარში აღსანიშნავია მსხვილფეხა საქონლის ლულოვან და ბეჭის ძვალზე ნაკეთები თოხები (ფრაგმენტები) და განსაკუთრებით ორი ხელშუბისპირი (ტაბ. 34:11). ამ უკანასკნელთა აღმოჩენის ვითარების გათვალისწინებით მათი მიკუთვნება საერთოდ ადრესამიწათომოქმედო ფენისადმი საეჭვოა. რქის იარაღებს შორის აღსანიშნავია შუაზე გამოხილი ირმის რქისაგან ნაკეთები გამჭოლსატარენახვრეტისანი წერძკვისებური იარაღები (ტაბ. 32:23).

როგორც აღნიშნული იყო, ცალკე ვიხილავთ იმირის გორის დასავლეთ ნაპირთან გაჭრილი შურფის მასალებსაც. აქ მოპოვებული კერამიკიდან (ტაბ. 44) განსაკუთრებით აღსანიშნავია ორფრად მონატული — მუქ წითლად და შავად შეღებილზედაპირიანი ფრაგმენტი (ტაბ. 44:9; დაშტრახულია შავად შეღებილი ნაწილი). ამ ფრაგმენტს შუაში ჩადარული არელიფური ლილვებით შეღგენილი გეომეტრიული ორნამენტიც აქვობს. ნატყეცი ქვის მასალა წარმოდგენილია საჭრისებით, საფხეკებით (ტაბ. 22:7, 8; 24:22; 25:20), სახოკებით (ტაბ. 22:37), ხოწებით (ტაბ. 24:8, 21), ბურღებით (ტაბ. 25:6) და ნამგლის ჩასართებით (ტაბ. 22:3). აქვეა ნაპოვნი გახეხილ-გაპრიალებული სატყეხი. ქვის დანარჩენი მასალიდან აღსანიშნავია მარმარილოს ლახტისთავის ფრაგმენტი, ტუფის კონუსური და პრიზმისებური ნივთები,

ბრტყელზედაპირიანი ხელსაფქვაეი, შუაში სანაყისებური ღრმულით და ავლის იარაღებ-ს სახეხ-სალესი — თვალური მოყვანილობის რიყის ქვა განეი ღარიო. ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია საღვანებოთ (ტაბ. 30:9, 12, 27, 31.4!), სპარიალებლებოთ (ტაბ. 30:27), კოვზისებური ნივითო (ტაბ. 33:1) და მუფტის, თოხებისა და სხვ. ფრაგმენტებოთ. რქის ნაწარმი კი — თოხების ფრაგმენტებო. შურფიდანვე მომდინარეობს სუსტად გამომწვარი თიხის კონუსიო.

იმირის გორის ყველაზე ქვედა (VII—VI), ისე როგორც შულავრის გორის სულ ზედა (II—I) პორიზონტებში, გვხვდება სამი სახის კერამიკული ნაწარმი:

1. შედარებით სქელკედლიანი, უხეშზედაპირიანი, ძირითადად მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი ქურჭელი. ამ ჯგუფის ქურჭელი ნაძერწია მსხვილ-მარცვლოვანი თიხისაგან, რომელშიც გასაპქლევებლად შერეულია ზვინჭა ან მსხვილად დანაყილი ბაზალტი, ზოგ შემთხვევაში შამოტიც. გამოწვა შედარებით: სუსტია. აქ აღმოჩენილი ქურჭლის ძირები ყველა ქუსლიანია (ხშირად მღალი, მკვეთრად მოყვანილი ქუსლით) და ქვევიდან მოგლუვებულია. ძირის მოგლუვების ტექნიკაც „აგრძელებს“ შულავრის გორის ტრადიციას. ამ ჯგუფის ქურჭლის პირის ერთი ფრაგმენტი შემკულია პირის გასწვრივ დამკრწილ ნუშისგულისებური კოპებით.

2. კარგად მოგლუვებულ, ოლონდ გაუპრიალებელზედაპირიანი ქურჭელი, რომელიც საკმაოდ მტკიცედ, ძირითადად ღია ფრად არის გამომწვარი. თიხაში გასაპქლევებლად შერეულია დანაყილი ბაზალტი. ამ ჯგუფის ქურჭლის კორპუსის ერთი, სამწუხაროდ, მეტად მცირე ზომის ფრაგმენტი, ირიბად დატანილი პარალელური ღრმა ნაქდევებითაა შემკული, ირთაც შულავრის გორის III—I პორიზონტების ნაწარმს უკავშირდება.

3. შედარებით თხელკედლიანი, ღიაფრად (ღიავარდისფრიდან-მონაცრისფრო-მოვარდისფრომდე), საკმაოდ მტკიცედ გამომწვარი ქურჭელი, გაპრიალებული ზედაპირითაა და ხშირად შიდაპირითაც. ამ ჯგუფის კერამიკა ნაძერწია წმინდა (კარგად განლექილი) თიხისაგან, რომელშიც გასაპქლევებლად შერეულია წმინდად დანაყილი ბაზალტი, ზოგჯერ კი წვრილად დაკეპილი ნამჭა.

ძნელია ამ პორიზონტების კერამიკის ფორმების შესახებ მსჯელობა ფრაგმენტულობის გამო.

იმირის გორის ზედა პორიზონტებში (V—I) განაგრძობს არსებობას სამივე ჯგუფის ნაწარმი, მაგრამ შესამჩნევად მატულობს მეორე და მესამე ჯგუფის ქურჭლის წილი. საერთოდ, საგრძნობლად იზრდება კერამიკის რაოდენობა. მრავალრიცხოვნებასთან ერთად ჩნდება ბევრი ახალი ფორმა:

1. საშუალო ზომის კასრისებური მოყვანილობის ქურჭელი — საგრძნობლად პირმოყრილი, შებერილი მუცლითა და ფართო ბრტყელი, თითქმის უქუსლო ძირით, რომლის კედლებიც თანაბრადაა მორკალული პირიდან ძირამდე, ყოველგვარი გარდატეხის გარეშე.

2. ქილისებური ქურჭლები, მცირედ შებერილი მუცლით, სუსტად პროფილირებული დაბალი ცილინდრული (უფრო კონუსური) ყელით, ბრტყელი, იშვიათად დაბალქუსლიანი ძირით;

3. ფართობიანი ძირისაქენ ოდნავ შევიწროებული, თითქმის სწორკედლიანი ქილები, ბრტყელი, დაბალქუსლიანი ძირით;

4. დაბალყელიანი, ოდნავ პირგადაშლილი, ზოგჯერ საგრძნობლად პროფილირებული, ბრტყელიძირიანი ქილები, შებერილი მუცლით.

პირველი და მეოთხე ტიპის ქურჭლები შულავრის გორაზე დამოწმებული ფორმების განვითარებული სახესხვაობაა; როგორც ჩანს, მეორე და მესამე ტიპის ნაწარმის სახითაც შულავრის გორის ტრადიციული კერამიკის კიდევ უფრო მეტად განვითარებულ ფორმებთან გვაქვს საქმე.

პირველი და მეორე ჯგუფის, ე. ი. — უხემ და მოგლუვებულზედაპირიანი კერამიკისათვის დამახასიათებელია ქუსლიანი ძირები, მაგრამ განსხვავებით ქვედა ფენებისაგან და განსაკუთრებით შულავრის გორისაგან, აქაური ძირები ნაკლებმასიურია, ქუსლი უფრო დაბალი და სუსტად გამოსახულია. ძირზე ხშირად შეიმჩნევა ლასტისა და ქილოფის სპირალური ანაბეჭდი (აღსანიშნავია, რომ არასტრატოციტირებულ დონეზე ნაპოვნ ერთ-ერთი ქურჭლის ძირს თითქოს ქაოვილის ანაბეჭდიც აქვს). მესამე ჯგუფის ქურჭელზე ქუსლის გამოყვანა ნაკლებად შეიმჩნევა.

სამივე ჯგუფის კერამიკაში გვხვდება ოვალური ქურჭლები, რომელთაც ძირები და, შესაბამისად, პირებიც ოვალური მოყვანილობისა აქვთ.

პირველი და მეორე ჯგუფის კერამიკისათვის დამახასიათებელი რელიეფური ორნამენტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქვედა პორიზონტებისა და შულავრის გორის მსგავსად ხშირია პირის გასწვრივ დაძერწილი კონუსური კოპები ან ვერტიკალურად დატანილი ნუშისგულისებური რელიეფები; გარდა ამისა, ჩნდება ახალი ორნამენტული სახეები, მაგალითად, ორ ან სამ რიგად დატანილი კონუსური კოპები, ქურჭლის მხარზე დაძერწილი მაღალი ზოგზაგისებური (გველისებური) რელიეფები. ზოგჯერ მაღალი რელიეფური რკალით „მოზღუდულია“ რამდენიმე კოპი, იშვიათად გვხვდება რელიეფური წრეები და ნახევარწრეები (ნალისებური) დაძერწილი ქურჭლის პირთან თუ კორპუსზე; წრეები და უპირატესად ნახევარწრეები, მოგრძო ვერტიკალურ რელიეფებთან კომბინაციაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბალი, ვიწრო რელიეფით გამოყვანილი „თევზიფხური“ ორნამენტი და ქურჭლის პირთან დაძერწილი, ასევე რელიეფურად გამოსახული ანთროპომორფული ფიგურა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იმირის გორის ძვლის ნაწარმი. აქ ფაქტიურად იმავე, ოღონდ უფრო განვითარებულ ძვლის ინდუსტრიასთან გვაქვს საქმე, რაც შულავრის გორაზეც იყო დამოწმებული (იხ. ცხრილი № 2).

ხველზე გავრცელებული იარაღი აქაც გაპობილ ლულოვან ძვალზე ნაკეთები სადგისია. გაუპობელ ლულოვან ძვალზე ნაკეთები სადგისები იშვიათია. ნაკლებად გავრცელებულია „ბიკონუსური“ სადგისებიც. მასიური, აბიპიურც სადგისები, რომელიც შულავრის გორაზე მხოლოდ I საამშენებლო პორიზონტში ჩანდა, მრავლადაა აქ V—I პორიზონტების მასალაში. ასევე ბევრია გაპობილ ლულოვან ძვალზე ნაკეთები საპრიალებლები, რომლებიც შულავრის გორაზე ერთეული ცალკებითაა წარმოდგენილი. მსხვილფეხა საქონლის ნეკნზე ნაკეთები საპრიალებლები, რომელიც შულავრის გორის მხოლოდ II—I პორიზონტშია დამოწმებული, აქაც ზედა, IV—I პორიზონტებშია. მხოლოდ იმირის გორის მასალაში გვხვდება მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლის

ქედისაგან ნაკეთები საპრიალებლები და გაპოზილ ნეკნზე ნაკეთები თხელფირფიტოვანი „საპრიალებლები“.

ლულოვან ძვალზე ნაკეთები — „დანა-საპრიალებლები“ იმირის გორის IV—I ჰორიზონტებში აღარ ჩანს, ხოლო მრგვალდეროიანი „დანა-საპრიალებელი“ საერთოდ არ გვხვდება იმირის გორის მონაპოვარში, ისევე, როგორც შულავრის გორის III და I საამშენებლო ჰორიზონტებში დამოწმებული „ოვალურთავიანი ისრისპირები“. „რომბულთავიანი ისრისპირი“, რომელიც პირველად შულავრის გორის I ჰორიზონტში შეგვხვდა, განავრძობს არსებობას იმირის გორის V—I ჰორიზონტებში, ისევე როგორც თხელფირფიტოვან ძვალზე ნაკეთები დანისებური მოყვანილობის ნივთები.

პირველად მხოლოდ იმირის გორის V საამშენებლო ჰორიზონტში გვხვდება მსხვილფეხა საქონლის დიდი წვივის ძვალზე ნაკეთები „თოხი“, ზემოდან ჩახვრეტილი სატარეთი; მათი რაოდენობა მომდევნო ჰორიზონტებში იზრდება. მხოლოდ IV—I ჰორიზონტების მასალაში ჩნდება პირველად მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვალზე ნაკეთები, ზემოდან ჩახვრეტილსატარეიანი „თოხისა“ და მსხვილფეხა საქონლის მეტაპოლიაზე ნაკეთები, გამჭოლ, მრგვალსატარენახვრეტიანი — „თოხის“ ერთეული ცალები. ლულოვან და ბეჭის ძვალზე ნაკეთები „თოხების“ რიცხვი „შურფის“ მასალებში მატულობს.

იმირის გორის მხოლოდ V ჰორიზონტშია ნაპოვნი მახათისებური და საკინძისებური ნივთები.

საგრძობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ ორ ნამოსახლარ ბორცვზე მოპოვებული რქის ნაწარმი; როგორც აღვნიშნეთ, შულავრის გორაზე გავრცელებული „თოხები“ დამზადებულია ირმის რქის ფუძისაგან და სატარე ნახვრეტი არა აქვს, ხოლო იმირის გორის „თოხები“, ერთის გარდა, ყველა წანაზარდებზეა ნაკეთები და უმეტესობა გამჭოლსატარენახვრეტიანია. ირმის რქის ცულები, რომლის ერთადერთი ეგზემპლარი შულავრის გორის მხოლოდ I საამშენებლო ჰორიზონტში შეგვხვდა, იმირის გორაზე შედარებით მრავლადაც გვხვდება და ბევრად უფრო კარგად დამუშავებულიცაა, იმირის გორის მასალაში გვხვდება სხვადასხვა მოყვანილობის რამდენიმე „მუფტა“. აქვე, არასტრატოფიციკრებულ ფენებში, გვხვდება შუაზე გაპოზილი ირმის რქისაგან ნაკეთები წერაქვისებური იარაღები მრგვალი სატარე ნახვრეტით.

განსხვავებულია ამ ორ ძეგლზე მოპოვებული ხელსაფეკვაებიც — იმირის გორის V საამშენებლო ჰორიზონტიდან მოკიდებული, ვარცლისებურად ჩაღრმავებულსამუშაოპირიანი ხელსაფეკვაებთან ერთად უკვე გვხვდება უფრო განვითარებული ფორმის ხელსაფეკვაები, რომლებიც თავისი ფორმით გარდამავალია შულავრის გორაზე გავრცელებულ ხელსაფეკვაებსა და ნავისებურ ხელსაფეკვაებს შორის.

ნაკლებად შესამჩნევია განსხვავებანი ამ ორი ძეგლის ნატეცი ქვის მასალაში. იმირის გორაზე იგივე ქვის ინდუსტრიაა წარმოდგენილი, რაც შულავრის გორაზე. აქაც ძირითადი ლამელარული ტექნიკაა გავრცელებული. ლამელები ფორმა-მოყვანილობით, ზომებით და დამუშავებით ანალოგიურია შულავრის გორაზე მოპოვებულისა. საერთოა იარაღთა ძირითადი ტიპებიც, როგორც აღნიშნული იყო, იმირის გორაზე აღარ გვხვდება შულავრის გორის ქვედა ჰორიზონტებისათვის დამახასიათებელი არგილიტის ოვალური მოყვანილობისა და ოვალურსამუშაოპირიანი საზოკები, რომელთაც აქ ცვლის მალალსამუშაოპირიანი ნუკლეუსისებური იარაღები. იმირის გორის V და მომდევ-

ნო საამშენებლო პორიზონტებში გვხვდება „შომუ-თეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართები. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ იმირის გორის ზედა „პორიზონტებში“ ნაპოვნია ობსიდიანის ერთი ტრაპეცია და ერთი სამკუთხა მოყვანილობის სწორეუძიანი, ორმხრივდამუშავებული ისრისპირი (იხ. ცხრილები 5, 6, 7).

გაჩვეულად განსხვავდება შულავრის გორის ნაწარმისაგან იმირის გორის განეხილ-გაპრიალებული იარაღებიც, რომელიც შულავრის გორასთან შედარებით მეტია, მაგრამ აქაც მეტად მცირერიცხოვანია.

ცხრილი 5

იმირის გორა  
ობსიდიანისა და სხვა ქანის პროცენტული შეფარდება

საამშენებლო პორიზონტები	ატკეციის შედეგად მრღებული ქვის ნივთების საერთო რაოდენობა	შ ა თ შ ო რ ი ს		% შე ფ ა რ დ ე ბ ა	
		ობსიდ.	სხვ. ქანი	ობსიდ.	სხვ. ქანი
I—IV	1339	1242	97	92,76	7,24
V	1851	1776	75	95,95	4,05
VI—VII	560	544	16	97,14	2,86
შურფი	593	488	105	82,29	17,71
არასტრ. პორ.	2825	2572	253	91,04	8,96
<b>ს უ ლ</b>	<b>7168</b>	<b>6622</b>	<b>546</b>	<b>92,39</b>	<b>7,61</b>

ცხრილი 6

ნატეცი ქვის მასალის ძირითადი ჯგუფები

	სულ	I—IV	V	VI—VII	შურფი	არასტრ. პორ.
ნუკლეუსები	60	10	12	26	2	10
ლაშკლები და მათზე ნაკეთები იარაღები	3700	676	930	379	212	1503
ანატეცები და მათზე ნაკეთები იარაღები	3186	602	849	145	335	1255
ანამტერევეები	214	46	58	10	44	56
საჩეხ-საპობი იარაღები	8	5	2	—	—	1
<b>ს უ ლ</b>	<b>7168</b>	<b>1339</b>	<b>1851</b>	<b>560</b>	<b>533</b>	<b>2825</b>

### გ ა დ ა ჯ რ ი ლ ი გ ო რ ა

ამ ძეგლზე ექსპედიციას გათხრები არ უწარმოებია<sup>24</sup>, მაგრამ ის მასალა, რომელიც ზედაპირულად, თუ მდინარის მიერ ჩამოჭრილ ბორცვის ნაპირზე იქნა შეგროვებული, ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ძეგლის ასაკისა და ხასიათის შესახებ.

კერამიკა მეტად საინტერესოა. ერთი მოზრდილი პირ-გვერდის ფრაგმენტის მიხედვით თითქმის მთლიანი ფორმის „აღდგენა“ შეიძლება — ქურქელი ოდნავ პირგადაშლილი, თითქმის სწორკედლებიანი, მცირედ შებერილტანიანია; აკლია ძირი (ტაბ. 45:19).

<sup>24</sup> ძეგლის აღწერა იხ. A. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრ. გვ. 72, 73.

	საქართველოს სსრ-ის მთლიანი შიდა პროდუქტის ცხრილი								საქართველოს სსრ-ის მთლიანი შიდა პროდუქტის ცხრილი							
	IX	VIII	VII	VI	V	IV	III	II	I	სულ	VII-VI	V	IV-I	დასრულებული	სულ	
1. ნაკლები	1	1	1	8	5	6	6	2	5	34	26	12	10	10	2	60
2. ნაკლები ბოლო	1	1	1	2	1	2	2	1	1	5	5	2	14	2	2	5
3. ნაკლები გარე	3	1	5	37	3	2	2	16	14	115	8	5	14	9	2	35
4. ანტიკონსტრუქციული	10	20	19	173	29	141	27	18	12	419	91	521	338	875	20	13
5. ანტიკონსტრუქციული	4	4	4	33	6	25	24	18	14	132	22	212	170	222	727	2015
6. ანტიკონსტრუქციული	2	1	2	1	1	4	1	2	2	10	2	9	7	9	2	29
7. ანტიკონსტრუქციული	1	1	1	7	1	4	4	2	2	22	2	11	11	27	7	58
8. ანტიკონსტრუქციული	1	1	1	3	1	4	4	3	2	1	1	3	5	14	2	6
9. ანტიკონსტრუქციული	1	1	1	3	1	5	4	3	2	23	6	30	6	15	2	23
10. ანტიკონსტრუქციული	14	8	14	83	39	100	3	51	31	382	146	272	175	392	59	1044
11. ანტიკონსტრუქციული	1	2	1	12	3	13	9	10	7	58	22	21	22	36	3	107
12. ანტიკონსტრუქციული	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	3	2	3	1	10
13. ანტიკონსტრუქციული	1	5	2	9	9	25	22	15	14	102	18	56	43	166	21	304
14. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	9	9	19	15	9	11	78	20	68	17	137	17	259
15. ანტიკონსტრუქციული	6	23	10	58	21	79	36	44	34	314	117	396	299	558	69	1439
16. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	13	4	13	9	6	4	3	8	4	4	55	19	146
17. ანტიკონსტრუქციული	3	2	2	3	3	2	2	1	1	6	5	37	4	3	2	16
18. ანტიკონსტრუქციული	2	3	2	2	2	2	2	1	1	1	1	1	1	1	1	2
19. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
20. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
21. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
22. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
23. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
24. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
25. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
26. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
27. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
28. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
29. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
30. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
31. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
32. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
33. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
34. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
35. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
36. ანტიკონსტრუქციული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
<b>სულ</b>	<b>50</b>	<b>91</b>	<b>86</b>	<b>492</b>	<b>152</b>	<b>508</b>	<b>244</b>	<b>237</b>	<b>182</b>	<b>2021</b>	<b>560</b>	<b>1851</b>	<b>1339</b>	<b>2825</b>	<b>593</b>	<b>7168</b>

აქ მოპოვებული ჭურჭლის პირები (ქობა) მხოლოდ მომრგვალებულია, ძირები ყველა მასიურ, ნაპირებისაკენ მკვეთრად განზიდულქუსლიანია (ტაბ. 45: 22, 23).

ჭურჭლების უმეტესობა ნაძერწია არაორგანულმინარევიანი (დანაყილი ბაზალტი, ხვინჭა, სილა, ზოგჯერ ქარსიც კი) თიხისაგან; იშვიათია ბზენარევი ჭურჭლის ფრაგმენტები, ნამქანარევი კი მხოლოდ ერთია. გამოწვა უმეტესად მუქი მოყავისფერია.

ფრაგმენტების უმეტესობა ეკუთვნის ზედაპირმოსწორებულ ჭურჭლებს. დანარჩენი უხეშზედაპირიანია. აღსანიშნავია, რომ აქ ჭერჯერობით არ ჩანს ემირის გორისათვის დამახასიათებელი III ჯგუფის, ე. ი. შედარებით თხელკედლიანი, მოვარდისფროდ გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული კერამიკა.

სამი ფრაგმენტი შემკულია ჩადარული ორნამენტით. მათგან ერთ, შედარებით მოზრდილ, ოდნავ პირგადაშლილი ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტის პირი დაქდეულია ირიბი ხაზებით, ხოლო პირს ქვემოთ ორმაგი (პარალელური) ხაზებით შესრულებული ტუხილხაზოვანი ორნამენტი „ამკობს“ (ტაბ. 45: 20). დანარჩენი ორი ფრაგმენტი მეტად მცირე ზომისაა (ტაბ. 45:21).

მიუხედავად მასალის ფრაგმენტალურობისა და სიმცირისა, ჩანს, რომ აქაურ თიხას ჭურჭელს შულავრის გორის კერამიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

„გადაჭრილი გორის“ მასალებში ფორმის მიხედვით განცალკევებითა დგას მხოლოდ ერთი, თითქმის მთელი, წითლად გამომწვარი ჯამი, რომელსაც მაღალი, მასიური ქუსლი, საკმაოდ კარგად გამოყვანილი ყელი და საერთოდ მკვეთრი, დანაწევრებული პროფილირება ახასიათებს. ამ ჯამის ფორმა, დამუშავების ხარისხი (თითქოს ჩონჩხზე დამზადების კვალიც ეტყობა) და აღმოჩენის ვითარება მეტად საეჭვოსა ხდის მის მიკუთვნებას ძეგლის ძირითადი, ადრესამიწათომოქმედო ფენისადმი, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ მისი მოხსენიება.

ნ ა ტ კ ე ც ი ქ ე ი ს მ ა ს ა ლ ა (114 ც.; აქედან 103 ობსიდიანისაა, 11 კი — სხვა ქანისა). მათ შორისაა:

1. ნუკლეუსის ნალევი, ამორფული (1 ც.).
2. ანამტერევეები (2 ც.), ურეტუშო.
3. ანატკეცები (34 ც.), დაუმუშავებელია 15 ცალი, რეტუშირებულია — 10 ცალი (მათ შორის ერთი გვერდამოღარულია): 9 ანატკეცზე კი იარაღია ჩამოყალიბებული.
4. ლამელები (77 ც.); მათ შორის ურეტუშოა 25 ცალი, ირგვლივრეტუშირებული — 1, თავირბრეტუშირებული — 2, თავამოღარული — 1 (ტაბ. 45, 17), გვერდამოღარული — 6 (რომელთაგან 1 ე. წ. „თავგამოყვანილია“), გვერდაბილული — 7, გვერდრეტუშირებული — 20. 13 ლამელაზე ჩამოყალიბებულია იარაღი, 2 ცალს კი „უხეირო“ სასაჭრისე ჩამონატეხი აქვს.

ი ა რ ა ლ ე ბ ი წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით:

1. საჭრისები (11 ც.); მათგან 9 ლამელაზეა ნაკეთები, 2 კი ანატკეცზე. გვეხდება შემდეგი ტიპები: ა) თავგადამტვრეული სწორი (4 ც. ტაბ. 45: 2,5), ბ) თავგადამტვრეული ირიბი (2 ც., ტაბ. 45: 1,3), გ) შუალა (3 ც., ტაბ., 45: 10, 14), მათგან ორი ანატკეცზეა ნაკეთები, დ) თავრეტუშირებული



სწორი (1 ც., ტაბ. 45:6) და ე) დუბლირებული (1 ც., ლამელის მოპირდაპირე ბოლოებზე ნაკეთები თავგადამტვრეული ხიწვიანი; ტაბ. 45:9).

2. საფხეკები (4 ც.); მათ შორის ერთი ლამელის ბოლოზე ჩამოყალიბებული ოვალურსამუშაოპირიანი იარაღია (ტაბ. 45:13), 2 — ანატკეცზე ნაკეთები ოვალურსამუშაოპირიანი (ერთი სქელი, ფართო ლამელისებურ ანატკეცზე ნაკეთები თითქმის მრგვალსამუშაოპირიანი იარაღი გამოირჩევა ბეჯითი დამუშავებით. ტაბ. 45:15), მეოთხე — ამოღარულსამუშაოპირიანი იარაღია, ნაკეთები პირამიდული ფორმის ანატკეცზე (ტაბ. 45:11).

3. სახოკები (3 ც.); მათგან ერთი არგილიტის მასიურ ანატკეცზე ნაკეთები ოვალურსამუშაოპირიანი იარაღია, მეორე — ობსიდიანის მასიური ანატკეცის გვერდზე ნაკეთები ოვალურსამუშაოპირიანი სახოკია, მესამე კი დაკბილულ-ამოღარულსამუშაოპირიანი, ობსიდიანის მასიურ ანატკეცზე გაფორმებული ნუკლეუსისებრი იარაღია (ტაბ. 45:16).

4. ხოწი (3 ც.); მათ შორის ერთი ანატკეცზეა ჩამოყალიბებული, 2 კი — ლამელაზე.

5. ბურღი (1 ც.), ნაკეთებია ობსიდიანის ლამელაზე, რომლის სიმეტრიული, გრძელი წვერი მიღებულია ურთიერთსაწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტეშით (ტაბ. 45:7).

გახეხილ-გაპარიალებული ქვის იარაღთაგან მხოლოდ ერთი, სოლისებური ცულის პირის ფრაგმენტია მოპოვებული. იარაღის სამუშაო პირი ორმხრივგაპარიალებულია, ზედა ნაწილი კი, როგორც ჩანს, მხოლოდ მოკოდილო ყოფილა (ტაბ. 45:18).

ძველი იარაღები წარმოდგენილია შუაზე გაპობილ მეტაბოლიტაზე ნაკეთები ოთხი სადგისითა (ტაბ. 45:24, 25) და ერთი მრგვალდეროვანი ძვლის „იარაღის“ ფრაგმენტით, რომელსაც „სამუშაო წვერი“ მოტეხილი აქვს (ტაბ. 45:26).

## დანგრეული გორა<sup>25</sup>

სტრატეგრაფიის თვალსაზრისით ქვემო შულავერის ჯგუფის ძეგლებიდან ყველაზე საინტერესო სწორედ დანგრეული გორა უნდა ყოფილიყო. იგი დანარჩენი ნამოსახლარებისაგან განსხვავებით, რომლებიც კულტურულად ერთფენიან ძეგლებს წარმოადგენენ, ორფენიანი ყოფილა. ქვედა, ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენას ზემოდან მტკვარ-არაქსის კულტურის მძლავრი ნაშთები ფარავდა<sup>26</sup>. სამუშაოროდ, როდესაც ექსპედიციამ გაშალა სავლე მამუშაოები, გორის მხოლოდ კვალია არსებობდა. გორის ნაალაგევზე გავლებულ იქნა ორი ურთიერთგადამკვეთი თხრილი. კულტურული ფენა ველის

<sup>25</sup> ეს ძეგლი ტ. ჩუბინივილისა და კ. კუმნარიუას ნაშრომებში თავდაპირველად მოიხსენიებოდა როგორც შულავერი II (იხ. ტ. ჩუბინივილი, მტკვრის და არაქსის ორმდინარეთის..., გვ. 28; Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарева, Новые матери-алы..., გვ. 339; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., გვ. 26), ხოლო ტ. ჩუბინივილის წიგნში «К древней истории Южного...», როგორც შულავერი I, ამასთან იგი ძეგლს „მთლიანად განადგურებულ, ადრებრინჯაოს ნამოსახლარს“ უწოდებს, იხ. გვ. 33.

<sup>26</sup> ლ. ლონტი, თ. კიდურაძე, დანგრეული გორა, „ძველის მეგობარი“, № 30, 1972, გვ. 50—57.

დონიდან, 1,2 მ სიღრმეზე ჩადიოდა. საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები აქ აღმოჩენილი არ ყოფილა. სამაგიეროდ ფიქსირებულ იქნა ერთი მიწური თუ საშუალო ორმო, რომლის დიამეტრი 1,2—1,4 მ უდრიდა. ორმო ქვევით თანდათან ფართოვდებოდა. კედლები და ძირი თიხის ხსნარით იყო შეღესილი. აქ სხვადასხვა ღონეზე აღმოჩნდა რამდენიმე თიხის კურკლის კორპუსის ფრაგმენტი, ძირითადად ღიაფრად გამომწვარი, გაპრიალებულზედაპირიანი. აქვე იყო „შეთხუპნილზედაპირიანი“ კურკლის ფრაგმენტიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორმოს ძირზე მცენარეთა თესლისა და ყურძნის წიბის აღმოჩენის ფაქტი. წარმოდგენილია შემდეგი სახეობები<sup>27</sup>:

1. *Cucumis melo* L. — ნესვი;
2. *Rumex crispus* L. — ლოლო;
3. *Setoria viridis* — მწვანე ძურწა;
4. *Atriplex palulum* L. — თათაბო;
5. *Amarantus retroflexus* L. — ჯიჯილაყა;
6. *Poligonum Convolvulus* L. — ყანის კლექი;
7. *Andropogon-Urlepensis* Brot. — შალაფა (ვალამი);
8. *Tumaria officinalis* L. — ზავთარა;
9. *Chenopodium album* L. — ნაცარქათამა;
10. *Onopordon acathium* L. — ბრტყელი ნარი.

სპეციალისტთა აზრით, ამ მცენარეთა ერთად აღმოჩენის ფაქტი მებაღეობის არსებობაზე მიუთითებს.

ორმოს გარდა კულტურული ნაშთები ვრცელდებოდა მთელ გათხრილ ფართობზე, ორივე თხრილში, მეტ-ნაკლებად თანაბარი რაოდენობით.

კერამიკა. იმ მწირი არქეოლოგიური მასალიდან, რაც დანგრეული გორის ქვედა ფენაშია მოპოვებული, უმეტესი ნაწილი კერამიკაზე მოდის. აქ გვხვდება იმირის გორისათვის დამახასიათებელი, დამუშავების მიხედვით გამოყოფილი, სამივე ჯგუფის ნაწარმი. აღსანიშნავია, რომ ამავე ფენაში ნაპოვნია ერთი წითლადშეღებილზედაპირიანი ნამჭანარევი თიხისაგან ნაძერწი კურკლის ფრაგმენტი, რომელსაც ზედაპირიცა და შიდაპირიც გაპრიალებული აქვს. ცალკე გამოიყოფა რამდენიმე ფრაგმენტი ე. წ. „შეთხუპნილზედაპირიანი“ კერამიკისა. ყველა კურკელი ხელით ნაძერწია; მათი კედლები არათანაბარი სისქისაა. თიხაში გასამკლევებლად შერეულია როგორც არაორგანული (სილა, ხეინჯა), ისე ორგანული (წერილად დაკეპილი ნამჯა, ბალახი) მინარევი.

ქვედა ფენის კურკლების უმეტესობა საშუალო ან მცირე ზომის ყოფილა, უპირატესად ქილისებური თუ კასრისებური ფორმისა; გვხვდება როგორც პირმოყრილი, ისე „ცილინდრულყელიანი“ და პირგადაშლილი კურკლის ფრაგმენტები.

აღსანიშნავია, რომ აქაც აღმოჩენილია ერთი პირჩადრეკილი კურკლის ფრაგმენტი, მსგავსი იმირის გორის და ილანლი-თეფეს<sup>28</sup> ანალოგიური ტიპის ნაწარმისა.

<sup>27</sup> განსაზღვრულია შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქართველოს სასოფლო-სამ. ინსტიტუტის მიწათმოქმედ. კათედრაზე, კათედრის გამგის პროფ. გრ. ქეშელაშვილისა და ასისტენტ ო. სეფერთაძის შიერ.

<sup>28</sup> И. Г. Нариманов; Раскопки энеолитического поселения Иланлы-тепе, АС 1968 года, М., 1969, გვ. 396, 397. სურათი 397-ე გვერდზე.

ჭურჭლის ძირები ძირითადად ბრტყელი და დაბალქუსლიანია. განცალკევებით დგას ერთი დაბალქუსლიანი, შედრეიკლიძირიანი ჭურჭლის ფრაგმენტი. ძირებზე ზოგ შემთხვევაში შეიმჩნევა ლასტის სპირალური ანაბეჭდი.

შემკულობა, ძირითადად, რელიეფურია. გვხვდება პირის გასწვრივ თუ მხარზე დაძვრილი კონუსური კოპები; ერთ შემთხვევაში ორ რიგად დატანილიც. გამოირჩევა ერთი მოყვითალო-მოყავისფროზედაპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც მხარზე დაძვრილი აქვს გველისებური მალალი რელიეფი. ერთი მოვარდისფრო ნატეხი დაბალი რელიეფური „სარტყლითაა“ შემკული.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ერთი მოვარდისფროდ გამოქვიანი, სწორკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც ქობა ირიბად აქვს დაჭდეული.

ნატკეცი ქვის მასალა (18 ც.); ობსიდიანის ნაწარმიდან (17 ც.) აღსანიშნავია: ამორფული ნუკლეუსი, რომლიდანაც რამდენიმე არათანაბარი ანატეცია მიღებული; ბურღისებური იარაღი, ჩამოყალიბებული ორფერდა ლამელაზე საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუმის საშუალებით და ლამელაზე ნაკეთები ხოწი. ერთი, ორფერდა ლამელაზე ნაკეთები იარაღის ფრაგმენტიცა, რომლის გვერდები რეტუმის, ხოლო ზურგი „გათლის“ საშუალებითაა დაშუშავებული. აქვეა ნაპოვნი რამდენიმე ლამელა, რომელთა ნაწილი რეტუმირებულია. სხვა ქანი წარმოდგენილია მხოლოდ არგილიტის ერთი სახეობით, რომლის ოდნავ მომრგვალებული სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია მასიური ანატეციის გვერდზე მსხვილფაქტურიანი რეტუმის საშუალებით.

ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია რამდენიმე ნივთით. აქ გვხვდება შუაზე გაპობილ ლულოვან ძვალზე — მეტაპოდიზე ნაკეთები სადგისები (2 ც.) და წვრილფეხა საქონლის მეტაპოდიზე ჩამოყალიბებული საპირიანული. რომელსაც მოკლე და სამკუთხედისებური მოყვანილობის სამუშაო წვერი აქვს. განცალკევებითა დგას ძვლის ერთი ნივთი — მრგვალფეროიანი, ორმხრივწაწვეტებული, შუა ნაწილში შევიწროებული „იარაღი“<sup>29</sup>, რომელსაც ქვემო ქართლის ადრესამიწათმომქმედო ძვლების ძვლის მასალებში პარალელი არ მოეპოვება.

ირმის რქის იარაღები (3 ც.); სამივე გამჭოლსატარენახვრეტიანია. მათ შორის ორი თოხია; ერთი ნაკეთებია განშტოებაზე, რომელსაც შუაში მრგვალი სატარე ნახვრეტი და მოგრძო, ირიბად წაკვეთილი სამუშაო პირი აქვს<sup>30</sup>; მეორე, გვირგვინშეჩენილ ფუძეზე ნაკეთებ თოხს ნაწილობრივ მოტეხილი აქვს წვერი<sup>31</sup>. მესამე იარაღი, რომელსაც მთელი ზედაპირი გახეხილი აქვს. „რელიეფური ორნამენტი“ ყოფილა შემკული. სავარაუდოა, რომ იგი „კვერთხისთავს“ წარმოადგენდა, რადგანაც წვერი თითქმის მართი კუთხითაა წაკვეთილი<sup>32</sup>.

<sup>29</sup> ლ. ლონტი, თ. კილურაძე, დასახ. ნაშრ., ოხ. სურ. 55-ე გვერდზე.

<sup>30</sup> ო. ჭაფარიძე, ა. ჭავჭავაძის მიწათმომქმედო..., სურ. 34, ქვედარიგში, მარცხნიდან მეორე.

<sup>31</sup> ლ. ლონტი, თ. კილურაძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 55-ე გვერდზე. ზევიდან პირველი.

<sup>32</sup> იქვე, ზევიდან მეორე.

ხრამის დიდი გორა ყაჩაღანის ჯგუფის ერთადერთი ჯადარჩენილი ძეგლია. იგი ქვემო ქართლში, დღემდე მიკვლეულ ამ პერიოდის ძეგლებს შორის, ყველაზე მძლავრი ნაშთსახლარია ჩანს. გორა მდებარეობს ხრამის მარჯვენა სახაპირო ველზე, სოფ. ყაჩაღანსა და თაქალოს შორის. ამჟამად ის წარმოადგენს O—W იმპარიალულებით წაგრძელებულ ოვალური მოყვანილობის ბორცვს, რომლის ფართობი 3 ჰა-ს აღემატება, ხოლო სიმაღლე 5 მეტრს უდრის.

1972 წ. გაპრილმა სტრატეგრაფიულმა თხრილმა (5×10 მ) გვიჩვენა, რომ აქ წარმოდგენილი უნდა იყოს ადრესამიწათმოქმედო ხანის სულ მცირე 7 საამშენებლო ჰორიზონტი. 1973 წ. 225 კვმ. ფართობზე გაითხარა V და VI (დანიშნულია ქვევიდან ზევით) საამშენებლო ჰორიზონტები.

წროული ფეკვის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ერთმანეთს უკავშირდება მორკალული კედლებით და „ეზოსთან“ ერთად ქმნის შეკრულ კომპლექსებს, ისევე როგორც იმირის გორაზე, რომლებიც ერთმანეთს მსგავსავე მორკალული კედლებით „ეზიან“. აღსანიშნავია, რომ აქაური ალიზები როგორც ძირბრტყელი-ამოზურგული, ისე ბრტყელი, შედარებით დიდი ზომისაა; ნაგებობებიც უფრო მოზრდილი და უფრო მეტად ცილინდრულია, ვიდრე შულავრისა და იმირის გორებზე. საყურადღებოა, რომ აქ ფართოდ გავრცელებული ჩანს (ზედა ჰორიზონტებში მაინც) კედლის გასამაგრებელი პილონები — „კონტრაფორსები“, რაც იმირის გორაზე მხოლოდ ორ შემთხვევაში შეინიშნებოდა. თავისებურია აქაური კერების მოყვანილობა და მდებარეობაც — ისინი წარმოადგენენ მიწაში პირამდე ჩაფლულ, მოზრდილ, სქელკედლიან ცილინდრულ და დაბალქუსლიან გამოუწვევ კურკლებს, რომლებიც ზოგჯერ თითქოს შენობის შუაგულშია ჩადგმული.

რამდენადმე განსხვავდება შულავრისა და იმირის გორების მასალებისაგან აქაური მონაპოვარიც.

კერამიკა წარმოდგენილია ორი მთელი ჭურჭლითა და მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებით. ყველა ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი; მათი კედლები არათანაბარი სისქისაა. ჭურჭლების უმეტესობა ნაძერწია არაორგანულ (დანიყილი ბაზალტი, ხეიწა, შამოტი, იშვიათად ოზხიდიანი ან ქარსი) მინარევიანი თიხისაგან, შედარებით იშვიათია ნამქანარევი კერამიკა (ტაბ. 60:1).

აქაც, იმირის გორის მსგავსად, გვხვდება როგორც უხეშ, ისე მოგლუვებულ თუ გაპრიალებულზედაპირიანი ჭურჭელი. აღსანიშნავია, რომ III ჯგუფის კერამიკა, ე. ი. გაპრიალებულზედაპირიანი, უკეთესი ხარისხისაა — უფრო თხელკედლიანია და საგულდაგულოდაა გაპრიალებული, ვიდრე იმირის გორის შესაბამისი ნაწარმი. როგორც ზედა, ისე ქვედა ჰორიზონტებში ნაპოვნია შედებილზედაპირიანი ფრაგმენტებიც (ძირითადად, მოწითალოდ; ერთ შემთხვევაში კი მოყავისფროდ).

უხეშზედაპირიან ჭურჭლებში (ე. ი. I ჯგუფში) გამოიყოფა მცირერიცხოვანი „შეთხუნულზედაპირიანი“ ნაწარმი.

ჭურჭლის პირები (ქობა) თანაბრად შევიწროებული ან გათხელებულია; იშვიათია „ზემოდან ბრტყელი („წაკვეთილი“) პირები. აღსანიშნავია, რომ აღმოჩენილია რამდენიმე ფრაგმენტი, ილანლი-თეფეს ტიპის<sup>34</sup> „პირჩადრეკი-

<sup>33</sup> ძეგლი თხრება 1972 წლიდან.

<sup>34</sup> იხ. ზემოთ, გვ. 72.

ლი“ ქურჭლისა. ძირების უმეტესობა დაბალქუსლიანია, თუმცა გვხვდება თითქმის უქუსლო ცალებიც. აქ სრულიად არ ჩანს შულავრის გორისათვის დამახასიათებელი მაღალ, მასიურ, ნაპირებისაგან მკვეთრად განზიდულ ქუსლიანი ძირები. I და II ტიპის ქურჭლის ძირებზე ხშირად შეიმჩნევა ლასტის სპირალური ანაბეჭდი.

რამდენადაც მთელი ქურჭლებისა და მოზრდილი ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ხრამის დიდ გორაზე ყველაზე გავრცელებული ფორმაა პირმოყრილი, შებერილტანიანი, დაბალქუსლიანი, კასრისებრი ქილები. გვხვდება აგრეთვე ცილინდრულ თუ კონუსურყელიანი ქურჭლები, იშვიათია სწორკედლიანი თუ პირგადამოღილი ქურჭლის ფრაგმენტები.

სრულად აღდგენილია ზედა ჰორიზონტის მხოლოდ ორი ქურჭელი; ერთი მათგანი (I ჯგუფისა) პირმოყრილ, დაბალქუსლიან ქილას წარმოადგენს, მეორე (II ჯგუფისა) რამდენადმე ორიგინალური ფორმისაა — იგი ოვალური მოყვანილობისაა, პირფართო, თითქმის სწორკედლიანი, ოდნავ შებერილი მუცლითა და ოვალურივე მოყვანილობის, ფართო ბრტყელი დაბალქუსლიანი ძირით. ამ ქურჭელს პირს ქვემოთ აქვს მასიური, ჰორიზონტალურად დაძვრული, ყურისებრი შევრდილი.

ორნამენტაცია მხოლოდ რელიეფურია და I და II ჯგუფის ნაწარმს ახასიათებს. გვხვდება პირის გასწვრივ დაძვრული კონუსური თუ ვერტიკალურად დატანილი ნუშიაგულისებრი კოპები; „უსისტემო“ ჯგუფებად განლაგებული ნუშიაგულისებრი კოპები; ნალისებური დანაძვრები; მთელი ქურჭლის გარდა ორ ფრაგმენტს აქვს ჰორიზონტალურად დატანილი ყურისებრი შევრდილი. ერთ შემთხვევაში გვაქვს მერცხლისბუდისებრი დანაძვრები (ტაბ. 60:1).

ჰორიზონტალური შევრდილებით, მასიური ნალისებრი რელიეფებით, ჯგუფებად დატანილი კოპებითა და მერცხლისბუდისებრი დანაძვრით ხრამის დიდი გორის ეკრამიკა არუხლო I მასალას უკავშირდება; იგივე ნალისებრი რელიეფები და ჰორიზონტალური შევრდილები ამ მასალას უახლოებს ნახიკვანის ქიულ-თეფეს ეკრამიკასაც (იხ. ქვემოთ).

ქვის ქურჭელი. მეტად საყურადღებოა ზედა (VII) ჰორიზონტში აღმოჩენილი, ამიერკავკასიის ნამოსახლარებისათვის „უცხო“, ქვის მცირე ზომის ქურჭლები (2 მთელი და 1 დაზიანებული), რომელთაც სწორი კედლები და მომრგვალო ძირი აქვთ. რბილი ქანისაგან ნაკეთები ამ ქურჭლის ზედაპირი გაჩორკნილია. შიდაპირი ვახეხილი და მოგლუვებული (ტაბ. 54:4).

ნატკეცი ქვის მასალა (695 ც.)<sup>35</sup>; აქედან 479 ობსიდიანისაა, 216 კი — კაჟისა თუ სხვადასხვა გაჯაჭვებული ქანისა (ტაბ. 60:3). მორფოლოგიური ნიშნებით მათ შორის გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

I — ნუკლეუსები (6 ც.); 5 ობსიდიანისა და 1 კაჟისა; ყველა წარმოადგენს კონუსური თუ პრიზმული (ერთფუძიანი) ნუკლეუსის ნალევს.

II — ანატკეცები (42 ც.); 21 — ობსიდიანისა და 21 — „კაჟისა“. არც ერთ მათგანს არ ეტყობა მეორადი დამუშავების კვალი.

III — ანატკეცები (402 ც.); მათ შორის 220 — ობსიდიანისა; 182 — „კაჟისა“. 252 ანატკეცი ურტუშოა, 105-ს კი ეტყობა რტუშისა და გამოყენების კვალი. 45 ცალზე გარკვეული ტიპის იარაღია ჩამოყალიბებული.

<sup>35</sup> მოგვაქვს მხოლოდ 1972 წ. მოპოვებული მასალის ციფრობრივი მონაცემები.

IV — ლაშქრები (242 ც.), მათ შორის 10 კაჟისაა, დანარჩენი-ობსიდიანი-სა. აღსანიშნავია, რომ ხრამის დიდი გორას მასალებში ლაშქრებს ჭარბობს ანატეკე-ანამტერევეები. 57 ლაშქლა დამუშავებულია (მათ შორის კაჟისაა 10-ვე). დამუშავებულ ეგზემპლარებში გამოიყოფა შემდეგი ტიპები: ა) თავრეტუშირებული ლაშქრები (12 ც.). აქედან 5 თავსწორრეტუშირებულია, 5 — თავამოლარული და 2 — თავირიბრეტუშირებული; ბ) გვერდამოლარული ლაშქრები (24 ც.), მათ შორის 3, ე. წ. თავგამოყვანილი ლაშქლის ტიპისაა; გ) გვერდებდაბილული ლაშქრები (14 ც.); დ) გვერდრეტუშირებული ლაშქრები (81 ც.); ცალკე გამოვეყოფთ ლაშქრებს უხეირო, წარუმატებელი სასაქრისე ჩამონატეხებით (10 ც.).

44 ლაშქლაზე ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ტიპის იარაღი.

V — ცალკე გამოიყოფა 2 მასიური საჩეხ-საბეგვი იარაღი (1 — ბაზალტისა. 1 — არგილიტისა) და ერთიც ობსიდიანის ზურგათილი ტრაპეცია.

### ი ა რ ა ლ ე ბ ი

1. საჭრისები (15 ც.) ყველა ობსიდიანისაა. მათგან 14 ლაშქლაზეა ნაკეთები, 1 კი — ანატეკეზე. ყველა მათგანი კუთხის საჭრის წარმოადგენს.

2. საფხეკები (11 ც.). მათ შორის 4 ლაშქლაზეა ჩამოყალიბებული, 7 კი — ანატეკეზე (მათგან ერთი კაჟისაა). საფხეკები საგულდაგულ დამუშავებით არ გამოირჩევა, მათ შორის გვხვდება: ოვალურსამუშაობირიანი (4 ც.), სწორსამუშაობირიანი (2 ც.), ირიბსამუშაობირიანი (2 ც.), ამოლარული (1 ც.) და დაკბილულ-ამოლარულსამუშაობირიანი იარაღები.

3. სახოკები (4 ც.). ნაკეთებია მასიურ ანატეკეებზე, ერთი ობსიდიანისაა, ჭამი კი — კაჟისებული ქანისა. აქაური სახოკები მეტად უხეშადაა დამუშავებული.

4. ხოწი (43 ც.). ყველა ობსიდიანისაა. მათგან 25 ლაშქლაზეა ჩამოყალიბებული, 18 კი — ანატეკეზე.

5. ბურღი მხოლოდ ერთი ცალია. იგი ნაკეთებია ობსიდიანის ლაშქლის ბოლოზე, ურთიერთსაწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშის საშუალებით.

6. ნამგლის ჩასართები (15 ც.), კაჟისა ან გაკეცილი არგილიტისა, დამახასიათებელ სერიას ქვნის. მათ შორის 13 ზურგდაბლაგვეებული ლაშქლისებური ანატეკე — „შომუ-თეფეს ტიპის“ ჩასართია, 2 კი ლაშქლისებურ თხელ ანატეკეს წარმოადგენს, რომლებიც გამოიყოფა სამუშაო პირის გასწვრივ გამოყენების შედეგადაც მიღებული ბზინვით.

7. საჩეხ-საპობი იარაღები (2 ც.).

8. ტრაპეცია (1 ც.). პირობითად, იარაღებს შორისაა გაერთიანებული, იგი ნაპოვნია ზედა (VI) საშენებლო პორიზონტში და მეტად საინტერესოა. რადგანაც ძეგლზე ერთადერთი გეომეტრიული მიკროლითია<sup>38</sup>. ტრაპეცია ზურგათილია, მცირე ზომისა, როგორც ჩანს, ნაკეთებია ლაშქლის „განივკვეთზე“.

<sup>38</sup> 1973 წ. გათხრების დროს აღმოჩნდა ერთი სეგმენტისებრი იარაღიც, მაგრამ მისი ჩათვლა მიკროლითად სათუთა, რადგანაც საკმარის დიდი ზომისაა (უფრო სწორი იქნება, თუ მას ზურგდაბლაგვებულ ლაშქლას ვუწოდებთ).

ვახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღები ხრამის დიდი გორის მასალებში შედარებით მრავალიცხოვანია (ორ ათეულზე მეტი), და, ძირითადად, ორმხრაველისილი, სოლისებური ცულებითაა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ აქ დასრულებული იარაღების გარდა მრავლადაა ნაპოვნი მათი ნამზადებიც, რომელთა ერთი ნაწილი უხეშად გაჩორკნილ „მაკროლითებს“ წარმოადგენს (ტაბ. 60:4).

ხელსაფქვაელების ქვედა ქვები უპირატესად ვარცლისებურად ჩაღრმავებულსამუშაოზედაპირიანია, რაც დამახასიათებელია ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებისათვის. ნაკლებადაა „უნაგირისებური“ და სწორზედაპირიანი ხელსაფქვაეები. ოვალური მოყვანილობის ზედა ქვები (ორი ტიპისა) — 1) შედარებით სქელი და მოკლე და 2) უფრო თხელი და წაგრძელებული — რომლებიც სხვადასხვა ტიპის ქვედა ქვებს შეესაბამება<sup>37</sup>, ხშირად ორმხრავამოყენებულა, თუქცა გვხვდება ცალმხრივი — ძირბრტყელი-ამოზურგული სასრეებიც.

აღსანიშნავია, რომ ხელსაფქვაეების ერთ ნაწილს ოქრის კვალი ეტყობა. მასიური როდინები ორი ცალია. ერთი მთელი, მეორე — შუაზე გატეხილი. მთელი ეგზემპლარი გარედან უხეშად „გათილ-გაჩორკნილი“. მისი საშუალო ნაწილი კი მოგლუვებულია. მასთანვეა აღმოჩენილი მასიური ფილაქვაც. ფილაქვები ცალკე მრავლად გვხვდება, რაც გვაპარაულებინებს ხის როდინების არსებობასაც.

ქვის სხვა ნაწარმი წარმოდგენილია ხელჩაქუჩებით, „მინიატურული სანაყებით“ (ოვალური მოყვანილობის ქვები, შუაში პატარა ღრმულით, ზოგჯერ რამდენიმე მხრიდან), რომელთაც თითქმის ყოველთვის ოქრის კვალი ეტყობა: პარალელუპიედის მოყვანილობის, გვერდებგადაღესილი, ტუფის ქვებით, მრავალრიცხოვანი (რამდენიმე ასეული) შურდულის ქვებითა და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი ლახტისათვის ნამზადის (ბოლომდე გაუხვრეტავი, სხვაგვარი დასრულებული) აღმოჩენის ფაქტი. ერთი მთვანი, მარგანეცისა (?), სფერული მოყვანილობისაა, მეორე — ქვიშაქვისა, ჩაქუჩისებური, ბოლოებგაწვრილებული მოყვანილობის.

ძვლის ნაწარმი მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული სადგისებისა და საპრიალებლების გვერდით, ყველა საამშენებლო ჰორიზონტში მრავლად იყო ნაპოვნი ძვლის თხები, რომელთა უმეტესობა მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვალზეა ნაკეთები — ბეჭს წაათლილი აქვს შუაქედი, ფოსო ზემოდანაა ჩახვრეტული, ხოლო გახეხვა-გაპრიალების გზით გაბასრებული „ბოლო“ სწორი ან ორკაპაა. გარდა ამისა, აქვეა ლულოვან ძვალზე ნაკეთები თხები, აგრეთვე ზემოდან ჩახვრეტული სატარეთი და მრგვალ, გამჭოლსატარენახვრეტეიანი, მსხვილფეხა საქონლის მეტაპოლიაზე ნაკეთები თხები. ეს უკანასკნელი შედარებით იშვიათია. ერთეული ეგზემპლარებითაა წარმოდგენილი აღნიშნული ტიპის თხები იმირის გორის ზედა ჰორიზონტებში, მაგრამ მრავლადაა დასაზერბაიჯანის ძეგლებზე — შოშუ-თეფესა და თოირა-თეფეზე<sup>38</sup>.

ცალკე უნდა აღინიშნოთ ძვლის მრგვალღეროიანი, რომისებურთავიანი „ისრისპირის“ მთელი ეგზემპლარის, ორი „დისკოსებური“ (წრიული მოყვანი-

<sup>37</sup> იხ. ზემოთ.

<sup>38</sup> И. Г. Нариманов, О земледелии эпохи..., СА, 1971, № 3, გვ. 9, სურ. 2.

ლობის, თხელფირფიტოვანი) საკიდისა და დანისებური ნივთის ფრაგმენტის აღმოჩენის ფაქტი (ტაბ. 54:2,3; 60:2).

ირმის რქის იარაღებს შორის მრავალადა წანაზარდებზე ნაკეთები მრგვალსატარენახვრეტიანი „თოხები“ როგორც დასრულებული, ისე ნამზადების სახით, რქის ფუძეზე ნაკეთები „ცულები“ და მეტად ორიგინალური, სხვა ძეგლებზე თითქმის უცნობი „კვერთხისთავეები“ — მრგვალ, გამკოლსატარენახვრეტიანი, ოდნავ მორკალული, ჩაქუჩის ფორმის იარაღები, რომელთაც ორივე ბოლო ბლაგვად თითქმის მართი კუთხით აქვთ წაკვეთილი. ამ ტიპის იარაღები მთლიანად გახეხილ-გაპრიალებულია.

ირმის რქის იარაღებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სამი ორნამენტირებული ნივთი. ერთი, ზემოაღნიშნული, „კვერთხისთავეების“ განსხვავებულ ტიპს განეკუთვნება, რომელიც პროპორციებით წანაზარდებზე ნაკეთებ „თოხს“ წააგავს. იგი ისეა დამუშავებული, რომ სატარე ნახვრეტის გარშემო რელიეფური „სარტყელი“ გარშემოუყვება; მეორე, ძლიერ დაზიანებული, ირმის რქის ფუძეზე ნაკეთები, მრგვალსატარენახვრეტიანი ნივთია, რომელსაც რელიეფური (თავთან „დატოვებულ“ სამი დაბალი, ფართო, ოვალური კოპი) და ქდეული (კოპებს ქვემოთ, პერიმეტრზე ხუთ რიგად შემოყოლებული კონცენტრული წრეები) ორნამენტი ამკობს. მესამე ნივთი წარმოადგენს მართი კუთხით ბოლოებწაჭრილ გაუხვრეტავ წანაზარდს, რომელიც მხოლოდ ღრმა ქდეებითაა შემკული — თავსა და ბოლოში სამრიგად გარშემოვლებულია კონცენტრული „წრეები“, რომელთაც ბოლოები ღია აქვთ, შუა ნაწილში კი, ორ ადგილას, ცალი მხრიდან, ასევე სამხაზოვანი „თევზიფხური“ ორნამენტია დატანილი. სამივე ნივთი გახეხილი და მეტ-ნაკლებად გაპრიალებულია.

საქართველოს ძეგლებისათვის უნიკალურია ნიამორის რქისაგან ნაკეთები ოდნავ მორკალული „ნამკლის ბუდე“, საკმაოდ ფართო და ღრმა ღრით (ტაბ. 60:2).

### თიხის მცირე ნაკეთობანი

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხრამის დიდ გორაზე ნაპოვნი თიხის ანთროპომორფული ქანდაკებები<sup>39</sup>. ძეგლზე, პირველად კავკასიაში, აღმოჩნდა ამ სახის ქანდაკებათა მთელი სერია (23 მთელი თუ ფრაგმენტირებული ფიგურა), ყველა ნაპოვნია ზედა ორ საამშენებლო პორიზონტში. მათგან 17 კი — № 1 ნაგებობის (VI პორ.) კერაში. აქ მოპოვებული ყველა ფიგურა წარმოადგენს მრგვალ სკულპტურას, მეტ-ნაკლებად სტილიზებულია და თითქმის ყოველთვის გამოხატავს ქალს, უმეტესად მკვეთრად ხაზგასმული მდედრობითი ნიშნებით. რამდენადაც შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ერთის გარდა, ყველა მჭდომარე პოზაშია. მათ შორის, ფეხების მდგომარეობის მიხედვით, გამოირჩევა ორი ძირითადი ტიპი: 1. ფეხმობრილი — მუხლაწეული და 2. ფეხგაჭიმული — შეტყუპებული ან გამლილი ფეხებით.

პირველი ტიპის ფიგურები ხასიათდება შესრულების შედარებით რეალისტური მანერით, რაც პირველ რიგში გამოხატება სხეულის თითქმის ყველა

<sup>39</sup> უფრო სრულად მათ შესახებ იხ. ლ. ლონტი, აღ. ქავკასიაში, თ. კი-ღურაძე, ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები, „ძეგლის მეგობარი“, № 33ა თბ., 1973, გვ. 5—16.



ნაწილის გადმოცემაში; თუმცა, ერთი საექვო შემთხვევის გარდა, არც ერთს არ გააჩნია ხელები. ყველაზე კარგად ეს ტიპი ჩანს ერთადერთი, სამად გატეხილი, მთლიანი ფიგურის მაგალითზე. 5,6 სმ სიმაღლის ეს ქანდაკება წელს ქვევით მასიურია, შეტყუებული, ღარიტ გამოყოფილი ფეხები ნაკლებად დიფერენცირებულია, თუმცა თქოები, მოხრილი და მალა აწეული მუხლები და ტერფები მკაფიოდაა აღნიშნული. წელს ზევით ფიგურა, ზოგადად, კონუსურია, მუცელი დაბრტყელებულია, მხრები თითქმის შეუმჩნეველი, სამაგიეროდ ხაზგასმით დიდი ბიუსტი საკმაოდ რეალისტურადაა გადმოცემული. თავი ტანთან შედარებით პატარაა, ოდნავ არის გამოყოფილი მისგან მსუბუქად დანიშნული ყელითა და ნიკაპით და ოდნავ აწეულ შთაბეჭდილებას ტოვებს; პირისახე გადმოცემულია ორი დამრეცი სიბრტყით, რომელთა შეხვედრით წარმოქმნილი წიბო მახვილ პროფილს ქმნის. სიბრტყეზე დატანილია თითო წრიული ღრმა ფოსო — თვალი, რომელიც ინკრუსტირებული უნდა ყოფილიყო. კონუსური, ბოლომომპრგვალებული და ოდნავ უკან გადაწეული „ჟეფა“ თავსაბურავს ან თმის ვარცხნილობას უნდა წარმოადგენდეს. საერთოდ მეტად მცირე ზომის (აქა უმეტეს 5 სმ სიმაღლისა) ეს ფიგურები საოცრად პლასტიკური და გამონახველობითია. განცალკევებით დგას ერთი თავისებური ქანდაკება, რომელსაც ამ ტიპის ფიგურებისათვის დამახასიათებელი ბიუსტის ნაცვლად დაქარწილი აქვს, ამჟამად დაზიანებული, ლევიდისებული, რელიეფური ზოლები, რაც შესაძლოა სქემატიზებულ ხელებს და სხვა ატრიბუტებს გამოხატავდეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ამ ტიპის ფიგურების თავები; სამი მათგანი შედარებით სქემატურია, რომელთაგან ერთის მარჯვენა თვალის ფოსოში ჩარჩენილია შავი, ბრჭყვიალა ხორკლიანი მასა — ინკრუსტირებული თვალის ნაშთი. ზედმიწევნით დეტალურადაა მოდელირებული მეოთხე, განცალკევებით ნაპოვნი თავი. ის გამოირჩევა საერთო სიმეტრიულობით, რბილად გამოძეწილი კისრითა და ყელით, თანაზომიერად და მკვეთრად ფატიტირებული პირისახის სიბრტყეებით, რომელთა შეხების წიბო ცხვირის მაგივრობას სწევს; პირი გაკეთებულია პატარა ფოსოს სახით. სახის ორივე სიბრტყის ცენტრში ჩაჩხვლეტილია წრიული, ღრმა თვალბუდე, რომლებიც უთუოდ უნდა ყოფილიყო ინკრუსტირებული. სახის სიბრტყეებს ზემოდან რკალივით უვლის ღრმა ქდეებით გაკეთებული წარბები. მათ შორის მოქცეულია პატარა, ბრტყელი შუბლი. კეფა მთავრდება ასიმეტრიული და რბილად მოდელირებული კონუსით. წარბებისა და ყბის ნაპირებით შემოფარგლული სახის სიბრტყეები დაფარულია თეთრი საღებავით. სახის მარცხენა სიბრტყეზე და ყელზე დასმული შავი წერტილები მოწმობს, რომ ზოგ შემთხვევაში ფიგურები მოხატული იყო. ამ შემთხვევაში, შავი წერტილები ალბათ საკრალურ ტატუირებას გამოხატავდა. ზეაწეული თავი, გადაპარბებულად დიდი თვალები, ძლიერი წარბები, ფერადოვან კონტრასტებთან ერთად იშვიათ ექსპრესიულობას ანიჭებს. ამ პატარა (სიმაღლე 2,4 სმ) სკულპტურას.

მეორე ტიპის ფიგურები უფრო სქემატურია, — ტორსი კონუსური მოყვანილობისაა და მთავრდება წინა მხრიდან ოდნავ მოკყლეტილი ბოლოთი, რომელიც თავს უნდა გამოხატავდეს. თქოები განიერია, გაქიმული ფეხები უმთავრესად შეტყუებულია, ბოლოში დაწერილებული, ზოგჯერ ზეაწეული ტერფებით.

ცალკე ტიპად შეიძლება გამოიყოს უკიდურესად გაპარტიკებული ფიგურა. ის წარმოადგენს წყაიერ მაღალ კონუსს, მცირედ შედრეკილი ძირითა და მსუბუქად მოკვლეტილი ბოლოთი — თავით, რომელსაც ეტყობა პირისახის სიბრტყეები. სტილიზაცია იმ ზომამდეა მიყვანილი, რომ, არსებითად, ფიგურა სიმბოლურად თუ გამოხატავს ადამიანს.

არანაკლებ საინტერესოა აქ აღმოჩენილი თიხის გამომწვარი თუ გამოწვავი კონუსები. სამი მათგანი დაბალი და ძირშედრეკილია, მეოთხე ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობისაა. ძირი მასაც შედრეკილი აქვს. ამ უკანასკნელს პარალელი ჭეითუნის გარდა სიალც I-შიც მოეძებნება<sup>40</sup>.

### ა რ უ ხ ლ ო I („ნახიდური“)<sup>41</sup>

ეს ნასოფლარი არუხლოს ჭგუფის 4 ბორცვიდან ყველაზე დიდი და უკეთ შენახული იყო. მისი დიამეტრი 100—150 მ, სიმაღლე 6 მ უდრის.

ნაპოსახლარზე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ფართობზე, როგორც ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, ჯერ არ არის გამოყოფილი სხვადასხვა საამშენებლო პერიოდები, არ არის გათხრილი ისეთი ნაგებობები, რომელთა საშუალებითაც გაირკვეოდა ნაგებობათა ტიპური გეგმარება<sup>42</sup>.

როგორც ჩანს, აქ მიკვლეული ნაგებობანი ყველა წრიული თუ ოვალური მოყვანილობისაა, თუმცა 1972 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიშში კოთხეითი ნიშნის ქვეშ ნახსენებია სწორკუთხა შენობებიც<sup>43</sup>.

კერამიკაში სქარბობს ხელით ნაძერწი, სქელკედლიანი, მურა ფერის უხეში ჭურჭელი, თიხაში სილისა და დანაყილი ბაზალტის უხევი მინარევით. ფორმები, ძირითადად, ქილისებურია<sup>44</sup>; ჩანს ვიწროყელიანი, შებერილტანიანი, ფართო, ბრტყელძირიანი და კასრისებური ჭურჭლებიც<sup>45</sup>. პირები სწორი ან გადაშლილია, ძირები ფართოა, ქუსლიანი, ზოგჯერ ქვევიდან ქილობის ანაბეჭდით. ორნამენტი მხოლოდ რელიეფურია, ჩანს პორიზონტალური, ყური-სებრი შევრილები, სხვადასხვა სახის კოპები, კვადრატები, ოვალები, წრეები, სწორი თუ კლანკილი „ლილავისებრი“ დანაძერწები<sup>46</sup>. ამას ჩვენს მხრივ უნდა დაეუმატოთ: ნუსისგულისებრი კოპები (ზოგჯერ 3 სმ-მდე სიგრძის), როგორც ერთ პორიზონტალურ რიგად დატანილი, ისე ვერტიკალურად, „ჭაკვისებურად“ ერთმანეთზე მიჯრილი, „მერცხლისბუდისებრი“ (თახჩისებური) დანაძერწები (საკმაოდ მრავლად), ბრტყელი, ღილისებური, ჩაჩხვლეთილი კოპები, ნავისებური (ნახევარწრიული) დანაძერწები, მექვეისებური კოპები ან აღნიშნული ორნამენტული სახეების გარკვეული კომბინაცია<sup>47</sup>. აღსანიშნავია

<sup>40</sup> В. М. Массон, Поселение Джейтун, გვ. 41, 42.

<sup>41</sup> ძველისა და იმ მოპოვებული მასალის დახასიათების დროს, ძირითადად, ვეყრდნობით ძველის შესახებ არსებულ ლიტერატურას; გარდა ამისა, გამოვთქვამთ ზოგიერთ ჩვენს შეხედულებას, რომელიც გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალის უშუალოდ გაცნობის შედეგად შეგვიშუადა.

<sup>42</sup> Т. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971, გვ. 33.

<sup>43</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ქელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

<sup>44</sup> К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., 24.

<sup>45</sup> Т. Чубинишвили, К древней истории..., გვ. 37.

<sup>46</sup> К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

<sup>47</sup> იხ. Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарева, Новые материалы по энеолиту Южного Кавказа, ტბ. III; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 4В; Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, ტბ. VII.

ძველი თხრობების შემავსებელ ფენაში აღმოჩენილი ჭურჭლის ორი ნატეხი, რომლებზედაც პირთან დაძერწილია ანთროპომორფული გამოსახულება<sup>48</sup>.

ბევრად უფრო ნაკლებია შოვარდისფრო, ანგობირებულ და გაპრიალებულზედაპირიანი თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, თიხაში უმნიშვნელო მინარევით<sup>49</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ სახის ერთ, წითელზედაპირიან, ორმხრივ ბრწყინვალედ გაპრიალებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტს პირს ქვემოთ პორიზონტალურად დატანილი წიბოიანი — სამკუთხაგანიცკეთიანი, შუა ნაწილში ვერტიკალურად ჩახვრტილი „თასის გასაყრელი“ — „ყური“ აქვს. ამ ფრაგმენტს ტ. ჩუბინიშვილი „ანატოლიურ იპოპრად“ მიიჩნევს<sup>50</sup>.

მრავლადაა აღმოჩენილი ქვის ნაწარმი. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია გახეხილ-გაპრიალებული ცულები და სატეხები<sup>51</sup>. ამ უკანასკნელთა შორის, ჩვენი აზრით, შედარებით განვითარებულად გამოიყურება მხოლოდ ტრაპეციის ფორმის განივკვეთიანი ორი სატეხი<sup>52</sup>. აქვეა „მინიატურული“ საწყებები, რომელთაც კ. კუნარიოვა და ტ. ჩუბინიშვილი გრდემლებს უწოდებენ; აელსაუქვაის ზედა და ქვედა ქვები, როდინები და ფილთაქვები, აგრეთვე ირგვლივ ამოღარული რიყის ქვა — „ღარიანი ურო“<sup>53</sup>.

ძვლის ნაკეთობათა შორისაა: მსხვილფეხა საქონლის ნეკნზე ნაკეთები საპრიალებლები<sup>54</sup> და ლულოვან ძვალზე დამზადებული სადგისები<sup>55</sup>, აგრეთვე უღწიანი მახათი<sup>56</sup> და „რომბისებურთაყიანი ისრისპირი“<sup>57</sup>. ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი ძვლის „თავგაპოყვანილი“, მასიური ნიეთი<sup>58</sup>, თხელფირ ფიტოვანი „დანა-საპრიალებელი“<sup>59</sup>, ოთხკუთხაგანიცკეთიანი, წაწვეტებული, ხიშტ-სებური, წვრილნახვრეტიანი იარაღი და სხვა. ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს ბექის ძვალზე ნაკეთებ თოხებსაც<sup>60</sup>.

ირმის რქის იარაღთა შორის აღსანიშნავია წანაზარდებზე ნაკეთები „თოხები“ თუ საჩიჩქნი იარაღები, „ცულისებური“ იარაღები, მუფტები<sup>61</sup>, „კვერთხისთავები“<sup>62</sup> და სხვ. მრავლადაა ნამზადებიც.

<sup>48</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ქელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—33.

<sup>49</sup> К. Х. Кушнарѳва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

<sup>50</sup> Т. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 37, 167, ტაბ. XIII, 2.

<sup>51</sup> К. Х. Кушнарѳва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 5, 21—23.

<sup>52</sup> შღრ. К. Х. Кушнарѳва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

<sup>53</sup> იქვე, სურ. 5, 19, 20.

<sup>54</sup> Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарѳва, Новые материалы..., ტაბ. III, 6.

<sup>55</sup> К. Х. Кушнарѳва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 5, 1—3, 6—8.

<sup>56</sup> იქვე, სურ. 5, 17.

<sup>57</sup> იქვე, სურ. 5, 18 (უეუღმა ჩახატული).

<sup>58</sup> იქვე, სურ. 5, 5.

<sup>59</sup> იქვე, სურ. 5, 9.

<sup>60</sup> Т. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

<sup>61</sup> იქვე, ტაბ. VIII, 2, 3; Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарѳва, დასახ. ნაშრომი, ტაბ. III, 4, 5; К. Х. Кушнарѳва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 5, 12—15.

<sup>62</sup> ტ. ჩუბინიშვილისა და ლ. ქელიძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში „ჩაქუჩისებურ იარაღებად“ მოხსენიებული — იხ. გვ. 32; აგრეთვე, К. Х. Кушнарѳва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 5, 11.

ნატკეცი ქვის მასალის შედარებით სრული დახასიათება მოცემულია მხოლოდ 1972 წ. გათხრების შედეგებისადმი მიძღვნილ მოკლე ანგარიშში<sup>63</sup>. აღნიშნულია, რომ ზედა (?) ფენაში აღმოჩენილი იყო 1711 „ობსიდიანის ნატეხი“. აქ მეტად მცირერიცხოვანია ნუკლეუსები, რომლებიც მხოლოდ ნალექებითაა წარმოდგენილი. „იარაღთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია რეტეშირბული ლამელები (237) და ანატკეცები (185)“. მრავლადაა ხოწები (137). შემდეგ მოდის საჭრისები (100), საფხეკები (70), სახერებები (47), კომბინირებული იარაღები (44), სახოკისებური იარაღები (2). მეტად საინტერესოა ამ ფენაში აღმოჩენილი 3 ტრაპეცია, ლამელის განივკვეთზე დამზადებული (რომელთაგან ორი — მაღალი, ზურგათილი ტრაპეცია), 2 სეგმენტი და წვრილი რეტეშით დამუშავებული სამი მიკროლამელი<sup>64</sup>.

ამვე ნაშრომში მოხსენიებულია მეხუთე საამშენებლო ჰორიზონტში აღმოჩენილი ობსიდიანის 227 „ანატკეცი“<sup>65</sup> (რომელთა ნახევარი მაინც, ლამელის წარმოადგენს). აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ თუ ზედა ჰორიზონტების ნატკეცი ქვის მასალა რამდენადმე განსხვავდება შულავრისა და იმირის გორების შესაბამისი ნაწარმისაგან (ლამელების შედარებით დაუდევრად ატკეცვა, ანატკეცების სიძრავლე ლამელებთან შედარებით და სხვა), უფრო ქვედა ჰორიზონტიდან მომდინარე ეს არც თუ ისე მცირერიცხოვანი მასალა როგორც მორფოლოგიური ნიშნებით, ისე დამუშავებით, სიახლოვეს იჩენს იმირის გორის ნაწარმთან<sup>66</sup>.

თიხის მცირე ნაკეთობათაგან ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს ხარის ფიგურის აღმოჩენის ფაქტს<sup>67</sup>.

მეტად საინტერესო და თავისებურია ძეგლზე აღმოჩენილი სკულპტურული ანთროპომორფული გამოსახულებანი — ორი შეღებილი, წაგრძელებული კენჭი, რომელთაც დამატებითი დამუშავებით მიცემული აქვს ადამიანის თავის ფორმა<sup>68</sup>.

ცალკე უნდა აღინიშნოს აქ ნაპოვნი კვირისტავეები, თუ „ბორბლის მოდელები“ — 1 თიხისა და 1 ქვისა — ცენტრში გახვრეტილი ბრტყელი წრიული მოყვანილობის საგნები<sup>69</sup>.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტ. ჩუბინიშვილი სამმაგანაბეჭდიან თიხის ბულას, რომლის მიკუთვნება ძირითადი ფენებისადმი, თუ გამთხრელის მიერ მოტანილი აღმოჩენის ვითარებას გავითვალისწინებთ, ჩვენი აზრით, უდავო არ უნდა იყოს<sup>70</sup>.

<sup>63</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ქელიძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 30. 31. იხ. აგრეთვე ამავე სტატიის რუსული ვარიანტი Т. Н. Чубинишвили, Л. М. Челидзе, Итоги работ Квемо-Картлийской археологической экспедиции, Полевые археологические исследования в 1972 г. (краткие сообщения), Тбили., 1973, გვ. 22—27.

<sup>65</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ქელიძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>66</sup> შდრ. აღნიშნულ ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებებს, იხ. ზემოთ, გვ.

<sup>67</sup> Т. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VII, 1.

<sup>68</sup> იქვე, გვ. 37, 38, ტაბ. VII, 19, VIII, 1, IX; К. Х. Кушнарера, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 6ა, б.

<sup>69</sup> К. Х. Кушнарера, Т. Н. Чубинишвили, იქვე, სურ. 4, 3; Т. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VII, 15.

<sup>70</sup> წრიული ნაგებობანი ნახანძრალი ფენის ქვეშ იქნა აღმოჩენილი, ბულა — ნახანძრალი ფენის ზემოთ; იხ. Т. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 31; Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарера, Новые материалы..., გვ. 339; К. Х. Кушнарера, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., გვ. 25.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არუხლო I სამი მხრიდან გარს უკლის სხვადასხვა კონტურის მქონე ორი თხრილი, რომლებიც შეკვებულა ძირითადი ნამოსახლარის დროინდელი მასალით. ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ამ თხრილების მიმართ იჩენს, ძეგლის გამთხრელი, ტ. ჩუბინიშვილი<sup>71</sup>. რამდენადაც სადისკუსიო არ უნდა იყოს ამ თხრილების არხებთან გაიკვება, ჩვენი აზრით, სრული საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ არუხლო I მოსახლეობა მორწყვის გარკვეულ, პრიმიტიულ ხერხებს იცნობდა.

## წოფი<sup>72</sup>

ძეგლი მდებარეობს მარნეულის რაიონში, ს. წოფის სამხრეთით 1 კმ-ზე, ბანუშაისა და უსახელო მშრალი ღელის „შესართავ“ კონცხზე<sup>73</sup>. მიუხედავად რამდენიმე გზის გათხრისა და მიმოხილვისა, მიწისზედა ნაგებობათა არაერთარი ნაშთი არაა მიგნებული. შედარებით უკეთ დაცულ ფართობზე მიკვლეულ იქნა 11 „ნაცარ-ნახშირიანი ორმო“, მაქსიმუმ 1,4—1,8 დიამეტრისა<sup>74</sup>, რომელთაც ტ. ჩუბინიშვილი ნაცრიან ლაქებსაც უწოდებს და წერს, რომ ისინი შესაძლოა სამეურნეო ნაგებობათა თუ მიწურთა იატაკი იყოს<sup>75</sup>.

აქ მოპოვებული კერამიკა, ძირითადად, უხეშია (თიხაში ბაზალტის, იშვიათად ნაჰკის მინარევი), ქილისებური ფორმისა, ბრტყელი, დაბალქუსლიანი ძირით. იშვიათი შემკულობა წარმოდგენილია კოპებით. გვხვდება აგრეთვე სფერულტანიანი, პირგადაშლილი, ძაბრისებურყელიანი ქურქლები, რომელთა შორისაც. ზოგიერთ ქურქელს ტალღისებური პირი აქვს<sup>76</sup>. ამ ტიპის ერთი ქურქელი, ბრტყელი, მკვეთრად პროფილირებული ქობით, როგორც კ. კუშნარიოვა და ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავენ, თითქოს ჩარჩხეა დამზადებული<sup>77</sup>. მეორე, ანალოგიური ფორმის, ე. ი. ძაბრისებურყელიანი და მრგვალტანიანი ქურქლის შესახებ, რომელსაც წახნაგოვანი პირი აქვს, ტ. ჩუბინიშვილი და ლ. ნებიერიძე პირდაპირ წერენ, რომ „აგურისფრად გამომწვარი ქურქლის ყელ-პირი გამოყვანილია ჩარჩხე, ხოლო მუცელი ხელითაა ნაძერწი“-ო<sup>78</sup>.

<sup>71</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი XVI სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები, თბილისი, 1967, გვ. 25. ტ. ჩუბინიშვილი, კ. ხ. კუშნარევა, Новые материалы..., გვ. 338, კ. ხ. კუშნარევა, ტ. ჩუბინიშვილი, Древние культуры..., გვ. 24; ტ. ჩუბინიშვილი, К древней истории..., გვ. 31, 32 და სხვ.

<sup>72</sup> არუხლო I და წოფის მასლის სრულად გაეცნობის საშუალება ტ. ჩუბინიშვილმა მოგვცა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

<sup>73</sup> გ. გრიგოლია, თ. ტატოშვილი, ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, გვ. 67; ტ. ჩუბინიშვილი, კ. ხ. კუშნარევა, Новые материалы..., გვ. 339—340.

<sup>74</sup> ტ. ჩუბინიშვილი, კ. ხ. კუშნარევა, იქვე; ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, გვ. 9.

<sup>75</sup> ტ. ჩუბინიშვილი, К древней истории..., გვ. 40.

<sup>76</sup> კ. ხ. კუშნარევა, ტ. ჩუბინიშვილი, Древние культуры..., გვ. 30, 32; სურ. 9, 1, 18—20; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40, ტაბ. X, 21, 22, 23; XI, 5—7.

<sup>77</sup> ტ. ჩუბინიშვილი, კ. ხ. კუშნარევა, დასახ. ნაშრომი, გვ. 32, სურ. 9, 20.

<sup>78</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

გარდა აღნიშნულისა, აქ ნაპოვნია რამდენიმე ფრაგმენტი, წმინდა თიხისაგან ნაქრწი თხელკედლიანი ჭურჭლებისა, ვარდისფრად შეღებილი და გაპრიალებული ზედაპირით, რომელსაც ტ. ჩუბინიშვილი უღარებს არუხლოს და საველე-კლდის შესაბამის ნაწარმს<sup>79</sup>.

საყურადღებოა გ. გრიგოლიასა და თ. ტატიშვილის მიერ აღწერილი „გობისებური ფორმის“ ჭურჭლები, რომელთა დიამეტრი 50 სმ არ აღემატება. მათი 14 სმ სიმაღლის გვერდები ცილინდრულია, ქობა ოთხ ადგილას ამოზიდულია და გარეთ გადაზნექილი. ჭურჭლის გვერდებს ზედა ნაწილში ერთ მწკრივად ირგვლივ შემოუყვება ჩერკიდეც სველ თიხაზე გაკეთებული მრგვალი ნახვრეტები, რომელთა განლაგებაში კანონზომიერება არ არის დაცული. ჭურჭლის შიდა პირი გაპრიალებულია, გარეთა კი ყურადღების გარეშეა დატოვებული<sup>80</sup>. მსგავსი ჭურჭლები ცნობილია თელუთადან, ხიზანაანთ გორიდან და სხვ. (იხ. ქვემოთ).

წოფში მოპოვებული ქვის ნაწარმიდან აღნიშნულია ხელსაფქვაეები და როდინები, „მინიატურული სანაყი“, სერპანტინის ბრტყელი, გახეილ-გაპრი-ალელები ცული და სალესი ქვა, ობსიდიანის ნაწარმი — რეტუშირებული ლამელეი, ანატკეცები გამოყენების კვალით (უნდა შევნიშნოთ, რომ აქაურ მასალაში ანატკეც-ანამტერევეები ჭარბობს ლამელეს; იგულისხმება როგორც დამუშავებელი, ისე დაუშუშავებელი ცალეები), საჭრისები, ნაკეთები ლამელეზე, „ნახევრადოვალური“ საფხეკები — ლამელესა და ანატკეცებზე, სახვრეტები. ორი თუ სამი სეგმენტი და ერთიც უყუნწო ისრისპირი — ორმხრივ-დამუშავებული, სწორფუძიანი<sup>81</sup>.

დასაარტულ გვინდა აღვნიშნოთ ძვლის სადგისები და ირმის რქის ფუძეზე ნაკეთებ მრგვალ. ვაჭოლსატარენახვრეტეიანი ორი თიხის ფრაგმენტი<sup>82</sup>.

მცირე პლასტიკის ნიმუშებიდან აქ ნაპოვნია ხარის ფიგურა თიხისა<sup>83</sup>.

ამ ძეგლის თავისებურებას ტ. ჩუბინიშვილი და კ. კუმნარიოვა ხედავენ მრავალფეროვანი, ზოგჯერ საკმაოდ მაღალგანვითარებული კერამიკისა და არქაული იერის ქვის ინვენტარის (მიკროლითები) თანაარსებობაში<sup>84</sup>, რასაც პრინციპში ვეთანხმებით.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, გვინდა შევჩერდეთ ტ. ჩუბინიშვილისა და ლ. ნებიერიძის მოკლე ანგარიშის სახით დაბეჭდილ სტატიაზე „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები“<sup>85</sup>, სადაც აღნიშნულია, რომ წოფი მრავალფენიანი ნამოსახლარია<sup>86</sup>. იქვე მითითებულია, რომ „საძიებო და შემდეგ აქვე გაფართოებულ თხრილებში გრუნტამდე არსებულ

<sup>79</sup> ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაწარმი, გვ. 40.

<sup>80</sup> გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, დასახ. ნაწარმი, გვ. 68.

<sup>81</sup> ტ. ჩუბინიშვილი, კ. ხ. კუშნარევა, Новые..., გვ. 340.

<sup>82</sup> მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის არქ. განყოფილებაში.

<sup>83</sup> კ. ხ. კუშნარევა, ტ. ჩუბინიშვილი, Древние культуры..., 30, სურ. 9, 17.

<sup>84</sup> ტ. ჩუბინიშვილი, კ. ხ. კუშნარევა, Новые материалы..., გვ. 340; კ. ხ. კუშნარევა, ტ. ჩუბინიშვილი, Древние культуры..., გვ. 32; ტ. ჩუბინიშვილი, К древней истории..., გვ. 40.

<sup>85</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაწარმი, გვ. 9, 10; (რუსულ ენაზე, 140, 141).

<sup>86</sup> იქვე, გვ. 10.

პემუსირებულ (სისქე 0,25 მ) და ღორღნარეე (სისქე 0,12—0,15 მ) ფენებში ისევ ჩნდებოდა ერთმანეთში არეული, სხვადასხვა დროის, საფიქრებელია სამი პერიოდის, არქეოლოგიური მასალა<sup>87</sup>.

ავტორები აღნიშნავენ, რომ: 1. „ყველაზე არქაული იერისაა ქვის მასალა“, რომელიც ხასიათდება მიკროლითებით — გეომეტრიული ფორმის იარაღებით; „ირკვევა, რომ წოფის ნასახლარის არქაული ქვის იარაღი აღმოსავლეთ საქართველოს ქვის ინდუსტრიებს შორის (იგულისხმება, ალბათ, მეზოლითის შემდგომი პერიოდი, თორემ წოფის ტერიტორიაზე მუსტიეს ხანის ძეგლიც არის გათხრილი — თ. კ.) ყველაზე ადრეული უნდა იყოს<sup>88</sup>; 2. „თიხას ქურჭლის ნაირსახეობაში ორი ჭგუფი გამოიჩნევა: უფრო ძველია ქალისებური ფორმის მურა-მოშვო თიხის ნაკეთობანი“, კეცში დანაყილი კვარცის მინარევით, რომელთაგან ზოგიერთს „აქვს შემკულობა — კოპისებური წანაზარდები ან პირთან მდებარე ნახვრეტები<sup>89</sup>; 3. გვიანდელი იერის მქონეა ლახვეწილი და მრავალფეროვანი კერამიკა. ქურჭელთა პირგადაშლილობა, მუცლის სფერული მოყვანილობა და მოვარდისფრო-მოყავისფრო ზედაპირის მქონე კეცში ქვიშისა და ბზის შერევის სიხშირე მკვეთრად განასხვავებს მას ზემოხსენებული უხეში კერამიკისაგან<sup>90</sup>. ავტორთა მიერ ამავე ჭგუფშია ჩათვლილი „ჩარხზე ნაკეთები“ ქურჭლებიც. აქვე აღნიშნულია, რომ „1965 წელს აღმოჩენილი ანალოგიური ნაკეთობა, რომელიც „იმპორტულ“ ნაწარმად მივიჩნით, ნაპოვნი იყო ადრეული ბრინჯაოს „მტკვარ-არაქისის“ კულტურის საწყის ეტაპისათვის დამახასიათებელ ფორმებთან ერთად“<sup>91</sup>.

ძეგლის თარიღისა და აღმოსავლეთ აზიურკავკასიის ნამოსახლართა შორის მისი ქრონოლოგიური ადგილის შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მეთოდურად არაპარტებულად მიგვაჩნია მაქსიმუმ 40 სმ სისქის ფენაში მოპოვებულ მასალაში — ერთიან არქეოლოგიურ კომპლექსში, ფორმალურ-ტიპოლოგიურად თუნდაც განსხვავებული მონაცემების საფუძველზე, „სამი სხვადასხვა პერიოდის“ მასალის გამოყოფა, რადგანაც საამისოდ სხვა არავითარი მტკიცე საფუძველი არ არსებობს. ამგვარი მიდგომით, ნებისმიერ კომპლექსში შეიძლება გამოიყოს ადრეული და გვიანი მასალები, სხვათა შორის სამზე მეტი პერიოდისა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჭერჭერობით გაუგებარია ამ ძეგლის ზუსიითიც — მკვიდრად ბინადართა ნასახლართან გვაქვს საქმე თუ სეზონურ, დროებით სადგომთან და ა. შ.

\* \* \*

ვიდრე აზერბაიჯანისა და სომხეთის ძეგლების დახასიათებაზე გადავიდოდეთ, ზოგადად აღვნიშნავთ, რომ აქ არ განვიხილავთ სადახლოს, აბელიას, თეთრი წყაროს, ამირანის გორის, დიდუბის, კიკეთის, ზიზანანთ გორისა და ნაცარგორის მონაცემებს, რადგანაც ამ ძეგლებზე მოპოვებული ის მასალა, რომელ-

<sup>87</sup> ი ქ ვ ე, გვ. 9.

<sup>88</sup> ი ქ ვ ე.

<sup>89</sup> ი ქ ვ ე, გვ. 9, 10.

<sup>90</sup> ი ქ ვ ე, გვ. 10.

<sup>91</sup> ი ქ ვ ე.

საც ტ. ჩუბინიშვილი ენეოლითურს უწოდებს<sup>22</sup>, ჯერ ერთი, მეტად მცირერიცხოვანია, შემდეგ, ძირითადად, გამოუქვეყნებელია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მათი ნაწილი თავისუფლად შეიძლება ენეოლითის პერიოდს რომ ეკუთვნოდეს<sup>23</sup>. თუმცა ჯერჯერობით არც ესაა მთლად ნათელი, მაგრამ მათ არაფერი საერთო არა აქვთ არც შულავერ-შომუ-თეფესა და არც ქიულ-თეფეს ტიპის ძეგლებთან. დასახელებული ძეგლებიდან ჯერჯერობით მხოლოდ თეთრი წყაროს ქვედა ფენის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ წინარე „მტკვარ-არაქსული“ ხანისაა (მასალის გამოუქვეყნებლობის გამო აქაც კატეგორიული მსჯელობისაგან თავი უნდა შევიკავოთ). დიდუბე-კიკეთი და ხიზანანათ გორა კი, ჩვენი აზრით, მხოლოდ „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ეტაპის მასალებს შეიცავს. არადაჩაქვრებლად გვეჩვენება ნაცარგორაზე აღმოჩენილი მხოლოდ ჰორიზონტალურ, ყურისებრშვერილიანი კერამიკული ფრაგმენტების მიხედვით ამ ძეგლის ქვედა ფენის ენეოლითისადმი მიეკუთვნება, რადგანაც ჭურჭლის ამგვარი „შემკვლობა“ ადრებრინჯაოს ხანის კერამიკაზე გვხვდება მაგ., იმირის გორაზე ჩაშვებულნი, ადრებრინჯაოს ხანის სამარხის ერთ-ერთი ჭურჭელი და სხვ.

\* \* \*

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს შეადგენს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლების პერიოდოზაციის შემუშავება. ამ მიზნისათვის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ქვემო ქართლის იმ ძეგლებს, რომლებიც შედარებით სრულადაა შესწავლილი და რომლებზეც მყარი სტრატოგრაფიაა გამოვლენილი (შულავერის გორა, იმირის გორა და ხრამის დიდი გორა). მაგრამ ვიდრე მათი მონაცემების განზოგადებას შევეუდგებოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია, რათა ჩვენი დასკვნები ცალმხრივი არ იყოს, შესაძლებლობის ფარგლებში განვიხილოთ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ის ძეგლები და მასალები, რომლებიც კულტურულად და ქრონოლოგიურად ქვემო ქართლის ზემოჩამოთვლილ ძეგლებთანაა დაკავშირებული და ყველას მივუჩინოთ თავისი ადგილი ქრონოლოგიურ სკალაზე.

ამ რიგის ძეგლებიდან პირველად დავახსიათებთ ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზევე მდებარე, დღევანდელი დასავლეთ აზერბაიჯანის, ყაზახის რაიონის ძეგლებს.

### შომუ-თეფე

შომუ-თეფე დასავლეთ აზერბაიჯანის ადრესამიწათმოქმედო ძეგლთა შორის ყველაზე სრულად შესწავლილი ნამოსახლარია. აქ კულტურული ფენის

<sup>22</sup> ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის..., გვ. 28; Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарева, Новые..., გვ. 340—343; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры, გვ. 22, სურ. 1 (რუკა), გვ. 32, 33; Т. Чубинишвили, К древней истории... გვ. 39, 42—44, 49 და ა. შ.

<sup>23</sup> შტრ. Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 178; რ. მუნჩაევს დასაშვებად მიაჩნია ამირანის გორისა და აბელიას ადრეული კომპლექსების ძე. წ. IV ათასწლეულით დათარიღება, მაგრამ მათი მიკუთვნება იმავე კულტურული წრისადმი, რომელსაც ეკუთვნის არუხლო, შულავერი, შომუ-თეფე და სხვა, არადაჩაქვრებლად ეჩვენება; იმავეს, ოლონდ უფრო კატეგორიული ფორმით იმეორებს ნაცარგორის, სამელს, სამერცხლესა და სავარჯილეს შესახებ. იხ. აგრეთვე, А. И. Джавахишвили, Строительное дело..., გვ. 220—223.



სისქე საშუალოდ 1 მ უდრის. ძეგლზე გამოვლენილია ერთიგად დაწყობილი ამოზურგული ალიზით ნაშენი წრიული ფორმის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, რომლებიც ან მიჯრილია, ან მათ შორის ამოყვანილი კედლებით შეკრულია ცალკეული „ეზოები“<sup>94</sup>. საცხოვრებელი ნაგებობების დიამეტრი 3 მ უდრის.

მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებში განსაკუთრებით საინტერესოა კავკასიისათვის მანამდე უცნობი ტიპის ნამგლები და ნამგლის ჩასართები. ნამგლები ოდნავ მორკალულია; ჩასართები (ობსიდიანის ლამელები ან კაყის ლამელისებური ანატექტები) ჩასპულია დაზრილად, ისე რომ იარაღის სამუშაო პირი „საფეხურისებურად-დაკბილულია“<sup>95</sup>. კაყის ჩასართები უპირატესად ზურგდაბლაგვებულია, ხშირად სეგმენტისებური ფორმისაა. მათ ხშირად ეტყობათ როგორც გამოყენების შედეგად მიღებული ბზინვა, ისე ბითუმისებური შემაკავშირებელი მასის კვალი<sup>96</sup>. მრავლად იყო ნაპოვნი ობსიდიანის ლამელები. ობსიდიანისა და კაყის ნუკლეუსებისა და წარმოების ნაშთების აღმოჩენა მიუთითებს, რომ ქვის იარაღები ნამოსახლარზევე მზადდებოდა<sup>97</sup>. ძეგლზე ნაპოვნია ხელსაფეკვაები, სახეხები, სანაყები და მასიური, მომრგვალო, დაჩეჩქვილზედაპირიანი „ხელჩაქუჩები“. მრავლადაა შურდულის ქვები. ცალკე უნდა აღინიშნოს გახეხილ-გაპრიალებული ცულები და ერთიკ შეუამი გახვრეტილი „ჩაქუჩი“ (შუაზე გატეხილი); შერჩენილ ბოლოზე, როგორც ი. ნარიმანოვი აღნიშნავს, ეტყობა გამოყენების კვალი<sup>98</sup>.

დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ძვლის ნაწარმიც, რომელთა შორის გამოირჩევა მსხვილფეხა საქონლის ლულოვან თუ ბეჭის ძვალზე ნაკეთები თოხები<sup>99</sup>. ძვლის იარაღებში ყველაზე მრავალრიცხოვანია შუაზე გაპობილ ლულოვან ძვალზე ნაკეთები სადგსები. აღმოჩენილია, აგრეთვე, საპრიალებლები, თხელფირფიტოვან ძვალზე ნაკეთები დანისებური ფორმის ნივთები, კოვზები. ფიგურული ნივთები და სხვა<sup>100</sup>.

ი. ნარიმანოვი შომუ-თეფეზე აღმოჩენილ კერამიკას მასალის, დამუშავების წესისა და ნაწილობრივ გამოწვის მიხედვით ორ ჯგუფად ჰყოფს; პირველს აკუთვნებს მოწითალო და ნაცრისფერ, ნამჭანარევი თიხისაგან ნაძერწ ჭურჭელს, რომლის ზედაპირიც სუსტად გაპრიალებულია; მეორეს — ნაცრისფერ, მურა ან მოშავო ფერის, ხვინჯა ან შამოტნარევი თიხისაგან ნაძერწ ჭურჭელს, რომლებიც ძალიან იშვიათადაა ნაპრიალები. ამ ჯგუფის ჭურჭელს იშვიათად

<sup>94</sup> И. Г. Нариманов, Древнейшая земледельческая культура Закавказья, 33-122.

<sup>95</sup> И. Г. Нариманов, Археологические исследования поселения Шомутепе в 1963 г., 33, 46, მისივე, Древнейшие серпы Азербайджана, 33, 282—287.

<sup>96</sup> И. Г. Нариманов, Древнейшие серпы..., 33, 284—286, სურ. 2; ალენად, ამ ტიპის ნამგლის ჩასართები ადვილად გამოსაცნობია. ჩვენ მათ, როგორც ზემოთ არაერთგზის გვქონდა აღნიშნული, პირველი აღმოჩენის ადგილს მიხედვით „შომუ-თეფეს ტიპის ნამგლის ჩასართებს“ ვუწოდებთ.

<sup>97</sup> И. Г. Нариманов, Археологические исследования поселения Шомутепе, 33-40.

<sup>98</sup> იქვე, 33-49.

<sup>99</sup> И. Г. Нариманов, О земледелии эпохи энеолита в Азербайджане, СА, 1971, 3, 33, 6, 7, სურ. 2.

<sup>100</sup> И. Г. Нариманов, Археологические исследования поселения Шомутепе 33-50.

ამკობს კონუსური თუ მოგრძო-ვერტიკალური კოპისებური დანაძერწები<sup>101</sup>. ამ ჭრუფის ჭურჭლის ძირებზე შეიმჩნევა უხეში ქსოვილის (?) ანაბეჭდი. ორივე ჭრუფის ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი და ფორმების სიმარტივით გამოირჩევა — ბრტყელძირაა და კასრისებური მოყვანილობის. ჭურჭლის კედლები არათანაბარი სისქისაა<sup>102</sup>.

### თ ო რ ა-თ ე ფ ე

ნამოსახლარი შედარებით მოზრდილ 100 მ-მდე დიამეტრისა და 6 მ-მდე სიმაღლის ბორცვს წარმოადგენს, სადაც გვიანბრინჯაოს ხანის თხელი ფენის ქვეშ იწყებოდა ადრესამიწათმოქმედო ფენა. ძეგლზე მხოლოდ მცირე მასშტაბის ნაშვერავითი ხასიათის გათხრებია ჩატარებული. აქ დადასტურებული აღიზის ნაგებობები წრიული მოყვანილობისაა. მოპოვებული კერამიკა წარმოდგენილია ბრტყელძირიანი დაბალქუსლიანი ქილებით, რომლებიც ზოგჯერ ვერტიკალურად დაძერწილი ნუშისგულისებური რელიეფებითაა შემკული. ქვის ნაწარმში მრავლადაა ობსიდიანის დანისებური ლაშელები, ჩანს კაყის ნამგლის ჩასართები, გახეხილ-გაპრიალებული სატეხი, როდინი, ხელსაფეკავები და ბოლომდე გაუხვრეტავი ქვის მსხლისებური ფორმის ლახტისთავის ნამზადი. მეტად საინტერესოა აქ აღმოჩენილი ლულოვან და ბუქის ძვალზე ნაქეთება თოხები. ფართოდაა გავრცელებული სადგისები და საპრიალებლები<sup>103</sup>. თორია-თეფეს მასალებში, ისევე როგორც შომუ-თეფეზე, ხშირია ირმის რქის იარაღების აღმოჩენის შემთხვევები<sup>104</sup>.

### ბ ა ბ ა დ ე რ ვ ი შ ი I

პირველი ნასახლარი დასავლეთ აზერბაიჯანში, რომელზეც ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენა იქნა დადასტურებული, ბაბადერვიშის I ბორცვი იყო. აქ გაითხარა 500 კვმ ფართობი. ზედა, 1 მ სიმაღლის ფენა მტკვარარაქსის კულტურას ეკუთვნის. ამ ფენის ქვეშ მდებარეობდა წრიული მოყვანილობის 3-დან 3,8 მ-მდე დიამეტრის 4 მიწური (?). ქვედა ფენის მასალები წარმოდგენილია ნაცრისფერი და მოწითალო უხეშად ნაძერწი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. ამ ტიპის ჭურჭლის ძირებზე შეიმჩნევა ქსოვილისა თუ ლასტის ანაბეჭდი. თიხის ჭურჭელი ორ ჭრუფად იყოფა: ნაძირიანი, რომელიც ჭარბობს. და სილანარევი. ქვის ნაწარმი, ძირითადად, ობსიდიანის დანისებური ლაშელებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში რეტუშირებულაა.

<sup>101</sup> ჩენი მხრივ ამას დაუშვებთ ფართო, მაღალ რელიეფურ, ტალღისებურ (თუ გველისებურ) დანაძერწებს.

<sup>102</sup> И. Г. Нариманов, Археологические исследования поселения Шомутепе, გვ. 50.

<sup>103</sup> Д. Н. Рустамов, Разведочные раскопки в Тойретепе, გვ. 15—27 (აზერბაიჯანულ ენაზე, რუსული რეზიუმით); И. Г. Нариманов, Д. Н. Рустамов. Неолит в Тойретепе, გვ. 907—912 (აზერბაიჯ. ენაზე); Д. Н. Рустамов, И. Г. Нариманов, Археологическ. исследован. поселения Тойретепе, გვ. 75; იხ. აგრეთვე И. Г. Нариманов, Древнейшие серпы..., გვ. 284, სურ. 2; 1—4; მისივე, О земледелии..., სურ. 2, 4.

<sup>104</sup> И. Г. Нариманов, О земледелии эпохи энеолита..., გვ. 8, 9; სურ. 2—4.

აღსანიშნავია აქ კაქის, „შოჰუ-თეფეს ტიპის“ ნაშგლის ჩასართების აღმოჩენის ფაქტი. აქვეა ნაპოვნი წვრილფეხა საქონლის ლულოვან ძვალზე ნაკეთები სადგისები, ძვლის სატეხისებური იარაღი, მსხვილფეხა საქონლის მეტაპოდი-აზე ჩამოყალიბებული „თოხი“, წამახვილებული წვერითა და მრგვალი, გამჭო-ლი სატარე ნახვრეტით, რქის იარაღები და სხვა<sup>105</sup>. ი. ნარმანოვი აღნიშნავს ძველზე ადრეული ხანის ორმოსამარხის არსებობასაც, რომელშიც გვერდზე დასვენებული, მოხრილი ჩონჩხია დადასტურებული<sup>106</sup>.

### გ ა რ ლ ა ლ ა რ - თ ე ფ ე ს ი

გარდალარ-თეფესი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შოჰუ-თეფეს კულ-ტურის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ნამოსახლარი ყოფილა — კულტურული ფენების სისქე აქ 10 მ უდრიდა<sup>107</sup>. სამწუხაროდ, 1967—1968 წლებში, ჯერ კიდევ არქეოლოგიური გათხრების ჩატარებამდე, ძველი ძლიერ დაზიანდა სა-სოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროს. ბორცვის უპეტეს ნაწილზე 2-დან 8 მეტრამდე სისქის ფენაა მორღვეული<sup>108</sup>.

ძველზე ფიქსირებული წრიული გვეგვის შენობები ძირბრტყელი-ამო-ზურგული ალიზითაა ნაგები, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი წრიული ნაგებო-ბის შერჩენილი კედლის სიმაღლე 2,1 მ-ია, როგორც ამას ძველის გამთხრე-ლები მიუთითებენ<sup>109</sup>. საყურადღებოა, რომ ნაგებობა თითქმის ცილინდრუ-ლია — ძირის დიამეტრი 2,65 მ-ია, ყველაზე ზედა ნაწილისა კი — 2,45 მ. ნა-გებობის ცენტრში პატარა ორმოა დადასტურებული, ალბათ საყრდენი ბოძი-სათვის<sup>110</sup>. კიდევ ორი თავისებურება შეინიშნება ამ ძველზე: 1. ერთ-ერთი ნაგებობის იატაკი წითელი ოქრით იყო შეღებილი და 2. ზედა ჰორიზონტის ნაგებობათა კედლები შეთეთრებული ყოფილა, რაც ქვედა ორი ჰორიზონტის ნაგებობებზე არ ყოფილა შენიშნული. ეს უკანასკნელი გარემოება, როგორც ამაზე მიუთითებენ გამთხრელები, ამიერკავკასიის არც ერთ სხვა ადრესა-მიწათმოქმედო ნამოსახლარზე არ ყოფილა შემჩნეული<sup>111</sup>. გამთხრელები მი-უთითებენ სწორი კედლის არსებობაზეც<sup>112</sup>.

ძველზე აღმოჩენილ კერამიკას გამთხრელები ორ ჯგუფად ჰყოფენ — მცენარეულმინარევიანი და არაორგანულმინარევიანი თიხისაგან ნაქერწი. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად ჰარბობს. ამ ჯგუფის კერამიკა ზოგჯერ შემკუ-ლია რილეფური ზოლებით. ორგანულმინარევიანი კერამიკა უმეტესად წით-ლად გამომწვარი და გაპრიალებულია, ზოგჯერ მუქი წითელი (ალუბლისფე-

<sup>105</sup> იხ. И. Г. Нариманов, Г. С. Исмаилов, Акстафачайское поселение у г. Казах, СА, 1962, № 4, გვ. 148—151; Г. С. Исмаилов, из истории древн. культуры западного Азербайджана; И. Г. Нариманов, Древнейшие серпы ..., სურ. 2,7—11, 14; მისივე, О земледелии эпохи энеолита..., სურ. 3.

<sup>106</sup> И. Г. Нариманов, Древнейшая земледельческая культура..., გვ. 122.

<sup>107</sup> იქვე, გვ. 123.

<sup>108</sup> Р. Б. Аразова, Ф. Р. Махмудов, И. Г. Нариманов, Энеолитическое поселение Гаргалар-тепеси, გვ. 478.

<sup>109</sup> Р. Б. Аразова, Ф. Р. Махмудов, И. Г. Нариманов, Раскопки на энеолитическом поселении Гаргалар-тепеси, АО 1972 г., М., 1973, გვ. 434.

<sup>110</sup> იქვე.

<sup>111</sup> იქვე.

<sup>112</sup> მათივე, Энеолитическое поселение Гаргалар-тепеси, АО 1971 г., გვ. 479.

რი) საღებავით შეღებილიცაა<sup>113</sup>. ზედაპირულად (სავარაუდოა განადგურებული ზედა ფენებიდან) მომდინარეობს, როგორც ფ. მახმუდოვი და ი. ნარიშანიძე მიუთითებენ, მოხატული კურკლის ფრაგმენტებიც<sup>114</sup>, თუმცა შემდეგ ნაშრომებში ამის შესახებ არაფერია ნახსენები. ასევე ზედაპირულადაა ნაპოვნი თიხის ანთროპომორფული ქანდაკებაც — შეტუპებულ და გაჭიმულ-ფეხებიანი, მკდომარე, წელში გადახრილი ქალის სტილიზებული ფიგურა, რომელსაც მოტეხილი აქვს თავი. ქანდაკება შემკულია ჭდეული ორნამენტით<sup>115</sup>.

გარღალარ-თეფესიზე აღმოჩენილია ხელსაფეკვები, როდინები, სანაყები, გახეხილ-გაპრიალებული ცულები, დაუსრულებელი „ჩაქუჩი“ და ლახტისთავი<sup>116</sup>. აქვეა ნაპოვნი გახვრეტილი ქვის რამდენიმე საკიდი. ცალკე აღსანიშნავია ობსიდიანის ორმხრივგახვრეტილი ლახტისთავის აღმოჩენის ფაქტი<sup>117</sup>. მრავლადაა კაეისა და ობსიდიანის ნაწარმი — ნამგლის ჩასართები (კაეისა), დანები, გვერდის და ბოლოსაფეხეები (?), სათლელები, საჭრისები, სახვრეტები, სახოკები, კომბინირებული იარაღები და სხვა<sup>118</sup>.

ძვლისა და რქის თოხები შომუ-თეფურის იდენტურია. ფართოდაა გავრცელებული სადგისები (ნაწილი, როგორც ჩანს, მრგვალღეროიანია) და სპირალებლები. აღმოჩენილია აგრეთვე ძვლის კოვზები, თხელფირფიტოვანი, გახვრეტილი საკიდები<sup>119</sup>.

მეტად მნიშვნელოვანია გარღალარ-თეფესის ქვედა საამშენებლო ჰორიზონტებში 1972 წ. ნაპოვნი თხელი ფირფიტისაგან ნაკეთები სპილენძის ცილინდრული მძივი. ეს პირველი შემთხვევაა, როგორც გამთხრელები აღნიშნავენ, შომუ-თეფეს კულტურის ძეგლზე ლითონის ნივთის აღმოჩენისა<sup>120</sup>.

დასავლეთ აზერბაიჯანში ადრესამიწათმოქმედო ხანის სხვა ძეგლებიცაა ცნობილი, რომლებიც ჭერჭერობით მხოლოდ ზედაპირული დაზვერვების მიხედვითაა ცნობილი და განსაზღვრული (მაგ., თორია-თეფე II, რუს-თეფესი, მენტევი და სხვ.). ამ ძეგლების შესახებ ჩვენ ძალიან ძუნწი ცნობები მოგვეპოვება<sup>121</sup> და ამიტომ მათ შესახებ აქ სიტყვას აღარ გვავარძლებთ. ზემო-განხილული ძეგლების შესახებ მსჯელობა ქვემოთ გვექნება. ამჯერად კი, შეძლებისდაგვარად, მიმოვიხილავთ აზერბაიჯანის დანარჩენ „წინამტკვარარაქსულ“ ძეგლებს.

გადაუხვევთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპს და ამ რიგის ძეგლებიდან პირველად შევეხებით ნახიქევანის ქიულ-თეფე I-ის ქვედა ფე-

<sup>113</sup> იქვე, გვ. 479.

<sup>114</sup> ფ. რ. მახმუდოვი, ი. გ. ნარიშანიძე, Раскопки двух новых энеолитических поселений Азербайджана в 1971 г., გვ. 9.

<sup>115</sup> რ. ბ. არაზოვა, ფ. რ. მახმუდოვი, ი. გ. ნარიშანიძე, Энеолитическое поселение..., გვ. 480, სურ. 479-ე კვარდზე.

<sup>116</sup> რ. ბ. არაზოვა, ფ. რ. მახმუდოვი, ი. გ. ნარიშანიძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>117</sup> მათივე, Раскопки на энеолитическом поселении Гаргалар-тепеси, გვ. 435.

<sup>118</sup> მათივე, Энеолитическое поселение..., გვ. 479.

<sup>119</sup> იქვე, გვ. 479; მათივე, Раскопки на энеолитическом поселении..., გვ. 435.

<sup>120</sup> მათივე, Раскопки на энеолитическом поселении..., გვ. 435.

<sup>121</sup> ი. გ. ნარიშანიძე, Древнейшая земледельч. культура Закавказья, გვ. 125; მათივე, Исследование энеолитическ. поселений в Азербайджане; АО 1967 года, М., 1968, გვ. 317.

ნას. რაღვანაც მისი დიდი მნიშვნელობა ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის შესწავლის საქმეში არაერთგზის იყო უკვე აღნიშნული. ამავ დროს დანარჩენ ნამოსახლარებთან შედარებით იგი ყველაზე უფრო სრულადაა შესწავლილი და გამოქვეყნებული ლიტერატურაც მის შესახებ უფრო მრავალრიცხოვანია, თუმცა, სამწუხაროდ, სრულიად არაადაქმაყოფილებული.

### ქ ი უ ლ - თ ე ფ ე I<sup>122</sup>

ჩვენთვის საინტერესო I ფენის ზედა პორიზონტებში აღმოჩენილია ქვის საძირკვლზე ალიზით ნაგები წრიული ან ოთხკუთხა გეგმარების 13 შენობა (სხვა. უფრო ზუსტი მონაცემები არქიტექტურის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება<sup>123</sup>). წრიული ნაგებობების დიამეტრი 6—7,7 მ-ია, ერთ-ერთი ოთხკუთხა შენობის სიგრძე 4, სიგანე კი 3,3 მ უდრის. კედლების სისქე სხვადასხვაა და აღწევს 35—55 სმ-მდე<sup>124</sup>. სხვადასხვა დონეზე აღმოჩენილი იყო ოვალური ფორმის კერები 4—5 სმ სისქის კედლებით, ერთ-ერთის ზომებია: სიგრძე — 1,25 მ, უღ. სიგანე — 0,70 მ, სიმაღლე — 0,32 მ<sup>125</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქიულ-თეფეს ქვედა ფენაში გათხრილია 75 ორმოსამარხი, რომლებიც კულტურულ ფენაშია ჩაშვებული. მათი უმეტესობა უინვენტაროა, მხოლოდ 25 სამარხში იყო დადასტურებული თანმხლები ინვენტარი, უპირატესად სამკაული (სხვადასხვა ჯიშის ქვის მძივები და ეშვის საკიდები), ობსიდიანის დანისებური ფირფიტები და სხვ. სამარხებში ჩატანებულად თიხის ჭურჭელი უხეშად ნაძერწია ნაძანარევი თიხისაგან. ორ სამარხში აღმოჩენილია ძაღლის ჩონჩხიც. სამარხები უპირატესად ინდივიდუალურია, თუმცა ზოგიერთში ორი, სამი ან ოთხი მიცვალებულიცაა დაკრძალული. სამარხებს ერთი გარკვეული ორიენტაცია არა ჰქონია; აღსანიშნავია, რომ დაკრძალვა ხდებოდა ნამოსახლარის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, საცხოვრებელი ნაგებობის იატაკის ქვეშ<sup>126</sup>.

ქიულ-თეფეს I ფენის მასალებში აღსანიშნავია ობსიდიანის ნუკლეუსების, ლამელებისა და ანატეცების დიდი რაოდენობით აღმოჩენის ფაქტი. ნუკლეუსები ყველა კონუსურია, სხვადასხვა ზომისა; დარტყმის მოედანი უპირატესად პორიზონტალური და გლუვია. ზოგ ნუკლეუსს ეტყობა „გაცოცხლების“ კვალი. აქვე აღმოჩენილი ლამელები რომ ამ ნუკლეუსებიდან არის ატეცილი, ამის დამადასტურებელი პეტად საინტერესო ფაქტი მოჰყავს ძეგლის გამთხრელს ო. აბიბულაევს: მას ერთ ჭგუფად უპოვნია 21 ლამელა, რომელთაგან 19 ატეცილია ერთი ნუკლეუსიდან — ლამელები ერთიმეორეს უდგება და შესაძლებელი ხდება კონუსური ნუკლეუსის ერთი ნაწილის აღდგენა<sup>127</sup>.

<sup>122</sup> აქაც და ტექსტში ყვარან, ქვემოთ ქიულ-თეფე I უდრის ნახიქვანის ქიულ-თეფე I-ის I ფენას.

<sup>123</sup> ობ. ა. ი. დ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

<sup>124</sup> ო. ა. ა ბ ი ბ უ ლ ა ე ვ, Некоторые итоги... გვ. 157.

<sup>125</sup> ო. ა. ა ბ ი ბ უ ლ ა ე ვ, Раскопки холма Кюль-тепе близ Нахичевани в 1955 г., МИА, 67, გვ. 445—446.

<sup>126</sup> ობ. ო. ა. ა ბ ი ბ უ ლ ა ე ვ, Раскопки..., გვ. 446, მ ი ს ი ე ვ, Некоторые итоги..., გვ. 158; მ ი ს ი ე ვ, Погребальные памятники из поселения Кюльтепе, АИА, Баку, 1965, გვ. 29—44.

<sup>127</sup> ო. ა. ა ბ ი ბ უ ლ ა ე ვ, Некоторые итоги..., გვ. 159.

I ფენის ლაშქრები ყველა დანისებური მოყვანილობისაა, პრიზმული, სამ ან ოთხფერდა. ზოგიერთის სიგრძე 10—15 სმ (ზოგჯერ 20-საც) აღწევს. ლაშქრების ნაწილი დაუმუშავებელი და გამოუყენებელია, ძირითადი მასა კი დამუშავებულია, — რეტუშირებულაა ცალი ან ორივე გვერდი, ზოგჯერ საწინააღმდეგო სიბრტყიდან<sup>128</sup>.

მრავლადაა აღმოჩენილი ხელსაფქვავების ქვედა და ზედა ქვები, როდინები, სანაყები: ნაპოვნია გახეხილ-გაპირალეებული ცულები თუ სათლელები და ერთი „თოხიანური ცული“, სამუშაო პირის პერპენდიკულარულად დატანილი მრგვალი სატარე ნახვრეტით, რომელსაც ო. აბიბულაევი თოხს<sup>129</sup>, ზოგან კი „თოხ-ცულს“<sup>130</sup> უწოდებს.

ამავე ფენაშია აღმოჩენილი ქვის რამდენიმე მსხლისებური თუ სფერული ფორმის ლახტისთავი, რომელთა ნაწილი ბოლომდე გახვრეტილი არც არს (ე. ი. ნამზადს წარმოადგენს)<sup>131</sup>.

მრავალრიცხოვანი ძვლის იარაღების დიდ ნაწილს სადგისები შეადგენს, რომელთა უმეტესობა ნაკეთებია გაპობილ ან მთელ ლულოვან ძვალზე<sup>132</sup>. I ფენის ქვედა პორიზონტებში აღმოჩენილია, აგრეთვე, მრგვალლეროიანი ნეწასებური სადგისები, რომლებიც შედარებით ვიწრო, წაგრძელებული მოყვანილობისაა და მთლიანად გახეხილ-გაპირალეებულია<sup>133</sup>, ზოგჯერ აქვე აღმოჩენილია მსხვილფეხა საქონლის გაპობილლულოვან ძვალზე ნაკეთები საპირალეებლები (?), რომელთაც სამუშაო წვერი ირიბად წათლილი და წამახვილებული აქვთ<sup>135</sup>, და მსხვილფეხა საქონლის ნეკნზე ნაკეთები იარაღები<sup>136</sup>. ნაპოვნია მთელ გაუპობელლულოვან ძვალზე ნაკეთები იარაღებიც, რომელთაც მხოლოდ წვერი აქვთ წამახვილებული (თოხები, ლულოვან ძვალზე ნაკეთები?!): ამ შედარებით მასიურ იარაღებს ო. აბიბულაევი მიწის დამუშავებას უკავშირებს<sup>137</sup>.

I ფენიდან მომდინარე, ირმის რქის წანაზარდებზე ნაკეთებ ირიბად ბოლოწაკეთილ იარაღებს ო. აბიბულაევი საპირალეებლებად თვლის, ხოლო რქას ფუძეზე ჩამოყალიბებულ, გამჭოლსატარე ნახვრეტიან იარაღებს თოხებად მიიჩნევს<sup>138</sup>.

მეტად საინტერესოა ქიულ-თეფე I კერამიკა, რომელსაც, ო. აბიბულაევის აზრით, არაფერი აქვს საერთო ზედა (II „მტკვარ-არაქსული“) ფენის თიხის ქურქელთან<sup>139</sup>, რასაც ა. იესენიც აღნიშნავდა<sup>140</sup>. მტკვარ-არაქსული კერამ-

<sup>128</sup> ი ქ ვ ე, გვ. 159.

<sup>129</sup> ი ქ ვ ე, გვ. 160, სურ. 3, 1.

<sup>130</sup> მ ი ს ი ვ ე, Раскопки..., გვ. 448.

<sup>131</sup> О. А. А б и б у л л а е в, Некоторые итоги..., გვ. 61, სურ. 3, 6.

<sup>132</sup> ი ქ ვ ე, გვ. 161; მ ი ს ი ვ ე, Раскопки..., გვ. 448.

<sup>133</sup> О. А. А б и б у л л а е в, Раскопки..., იქვე, გვ. 448.

<sup>134</sup> მ ი ს ი ვ ე, Некоторые итоги..., გვ. 161.

<sup>135</sup> ი ქ ვ ე; მ ი ს ი ვ ე, Раскопки..., გვ. 448.

<sup>136</sup> მ ი ს ი ვ ე, Раскопки..., გვ. 448.

<sup>137</sup> მ ი ს ი ვ ე, Некоторые итоги..., გვ. 161; მ ი ს ი ვ ე, Археологическ. раскопки в Кюль-тепе, Баку, 1959 (на Азербайджанском языке), Таб. 17, 1.

<sup>138</sup> მ ი ს ი ვ ე, Некоторые итоги..., გვ. 161.

<sup>139</sup> ი ქ ვ ე, გვ. 162.

<sup>140</sup> А. А. И е с с е н, Азербайджанская экспедиция в 1936 году, КСИИМК, 73.

შივისაგან იგი განსხვავდება არა მარტო ფორმებით, არამედ თიხის სტრუქტურით, გამოწვის ხარისხითა და ძერწვის ტექნიკითაც<sup>141</sup>. ქვედა ფენის კერამიკა ძირითადად ნაძერწია ნაშანარევი, იშვიათად სილანარევი თიხისაგან. ჭურჭელთა უმეტესობა წითლადაა გამოწვეარი, სხვადასხვა ელფერის ვარიანტებით; იშვიათია შავი, მურა ან ნაცრისფერი ნაწარმი. კეცი მოშავოა, რაც არასრული გამოწვის შედეგია. ჭურჭლის ზედაპირი ხშირად მოგლუვებული ან გაპრილებულია. ფორმები შედარებით მარტივია; ძირითადად გავრცელებულია ღრმა ჭაშები თუ ბადიები, ქილისებური და კასრისებური ჭურჭლები. ზედა პორიზონტებში ჩნდება ჭურჭლები, რომელთაც ფართო პირი, დაბალი, ცილინდრული, სუსტად პროფილირებული ყელი, გამობერილი მუცელი და ფართო ბრტყელი ძირი აქვს<sup>142</sup>.

ჭაშებს ოდნავ გამობერილი გვერდები, ფართო, ბრტყელი ძირი აქვს; მათი კედლები საკმაოდ სქელი და არათანაბარი სისქისაა. მიუხედავად გაპრიანებისა, მათი ზედაპირი უსწორმასწოროა<sup>143</sup>. ზოგიერთ შათგანს ყურების ნაცვლად სხვადასხვა მოყვანილობის შვერილები აქვს, რომელთა ერთი ნაწილი კოპისებურია, მეორე — ბრტყელი (პორიზონტალური) და ზოგჯერ ოდნავ ქვევით ჩახნექილი<sup>144</sup>. მესამე — ნალისებური ფორმისაა, გახსნილი პირით ჭურჭლის ქობისაყენ მიმართული<sup>145</sup>.

კასრისებური ჭურჭელი სხვადასხვა ზომისაა, ძალიან მოზრდილების ჩათვლით ამ ტიპის ჭურჭელს ფართო ბრტყელი ძირი, ასევე ფართო პირი და გამობერილი მუცელი აქვს<sup>146</sup>. ზედაპირიცა და შიდაპირიც გაპრიანებულია. იშვიათად ახასიათებს კოპისებური შვერილები.

ქილისებურ და ცილინდრულ ჭურჭლებს სწორი, ვერტიკალური კედლები, ბრტყელი და ფართო ძირი აქვს<sup>147</sup>, ზედაპირი სუსტად გაპრიანებულია. შვერილები იშვიათად ახასიათებს. ეს ჭურჭლები შედარებით დაბალი და განიერია.

აღსანიშნავია, რომ ქიულ-თეფე I კერამიკა უხეში და ასიმეტრიულია, ზედაპირი უსწორმასწოროა, კედლები არათანაბარი სისქისაა, ჭურჭლის პირიც უსწორმასწოროა. ძირები გვხვდება როგორც უქუსლო, ისე დაბალო, ოდნავ ნაყოყვანილქუსლიანი<sup>148</sup>.

მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა აქ აღმოჩენილი მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი. მათი რაოდენობა 1963 წლისათვის 15 უდრიდა<sup>149</sup> და შემდეგაც დიდად არ გაზრდილა. ქიულ-თეფე I მოხატული კერამიკა ო. აბიბულაევმა ორ ჯგუფად დაჰყო; პირველს ეკუთვნის წითელი, ყავისფერი, ყვი-

<sup>141</sup> იხ. ო. ა. აბიბულაევ, Раскопки..., გვ. 448.

<sup>142</sup> იხ. ო. ა. აბიბულაევ, Раскопки..., ქსურ. 14,1; მისივე, Некоторые итоги..., სურ. 5,4.

<sup>143</sup> მისივე, Раскопки..., სურ. 14,7—5; მისივე, Археологические раскопки..., ტაბ. 23, 4.

<sup>144</sup> მისივე, Некоторые итоги..., სურ. 5, 1; მისივე, Раскопки... სურ. 14,3; მისივე, Археологические раскопки..., ტ. 22, 3, 4; 24,2; 25,3.

<sup>145</sup> მისივე, Археологические раскопки..., ტაბ. 23,2.

<sup>146</sup> მისივე, Раскопки..., სურ. 14, 2, 6; მისივე, Некоторые итоги..., სურ. 5,5.

<sup>147</sup> მისივე, Раскопки..., სურ. 14,3; მისივე, Некоторые итоги..., სურ. 5, 1, 2.

<sup>148</sup> მისივე, Археологические раскопки..., ტაბ. 20, 1, 2, 4; 21,7—9.

<sup>149</sup> იხ. ო. ა. აბიბულაევ, Раскопки..., გვ. 450, სურ. 15; მისივე, Некоторые итоги..., გვ. 163.

თელი და ნაცრისფერი, სილანარევი თიხისაგან უზადოდ ნაძერწი, კარგად გამოწეულია ჭურჭელი, რომელთა ზედაპირიც საეულდაგულოდაა გაპრიანებული. ამ ჭგუფის კერამიკა შემკულია შავი ყავისფერი და წითელი საღებავით შესრულებული რთული გეომეტრიული სახეებით (ორნამენტი)<sup>150</sup>.

მეორე ჭგუფს ეკუთვნის ნაშანარევი თიხისაგან ნაძერწი (მაგრამ ზეგარად უკეთესი ხარისხისა, ვიდრე მოუხატავი მასობრივი კერამიკა), კარგად გამოწეული, წითელი ფერის ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ ჭგუფის ჭურჭლის ზედაპირი გაპრიანებულია და ორნამენტირებულია შავი, წითელი ან ყვითელი ფერის საღებავით დატანილი მარტივი გეომეტრიული სახეებით<sup>151</sup>.

პირველი ჭგუფის მოხატული ნაწარმი იმპორტულად ითვლება, რადგანაც მასალით, ძერწვით და გამოწევის ხარისხითაც ძირეულად განსხვავდება ამ ფენის მასობრივი კერამიკისაგან. მეორე ჭგუფის მოხატული ჭურჭელი მიჩნეულია იმპორტულის ადგილობრივ მინაბადად, რადგანაც ისინი მასალით, ძერწვით და გამოწევით იდენტურია რიგითი ნაწარმისა და მოხატულობაც არც ისე ოსტატურადაა შესრულებული<sup>152</sup>.

გაზდა თიხის ჭურჭლისა, ქვედა ფენის კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია თიხის კვირისტავეები და „ბორბლის მოდელი“<sup>153</sup>.

ფრიად საყურადღებოა ქიულ-თეფეზე I ფენის ზედა პორიზონტებში<sup>154</sup> ლითონის ნივთების აღმოჩენის ფაქტი. ესენია: მცირე ზომის ოთხწახნაგა სადგისი, რომბისებური ფორმის ისრისპირი (თუ დანა), ორი მძივი და სამი განუსაზღვრელი ფრაგმენტი<sup>155</sup>.

## მილისა და ყარაბაღის ველის ძეგლები

მილისა და ყარაბაღის ველზე დაზვერვის შედეგად მიცვლულია რამდენიმე ძეგლი<sup>156</sup>, რომლებიც ა. იესენმა ზედაპირულად აკრეფილი მასალის საფუძველზე ქიულ-თეფე I კულტურას მიაკუთვნა<sup>157</sup>, რადგანაც ამ ძეგლებიდან მოპდინარე კერამიკა, ძირითადად ნაშანი თიხისაგან იყო ნაძერწი. აკრეფილი კერამიკის უმეტესობა სქელკედლიან ჭურჭლებს ეკუთვნის, რომელთა ზედაპირიც ღია ფერის (თითქმის თეთრი და ვარდისფერიდან, ზოგჯერ

<sup>150</sup> О. А. Абибуллаев, Некоторые итоги..., გვ. 163, სურ. 6,1—5.

<sup>151</sup> იქვე, გვ. 163, სურ. 6,6—8.

<sup>152</sup> იქვე, გვ. 163; К. Х. Кушнарєва, Т. Н. Чубянишвили, Древние культуры..., გვ. 38, 39.

<sup>153</sup> О. А. Абибуллаев, Раскопки..., გვ. 450, სურ. 14,8—10.

<sup>154</sup> 17 მ ნიშნულის ზემოთ აღმოჩენილია 4 ნივთი — სახერტი თუ სადგისი, მძივი და ორი მცირე ზომის ფრაგმენტი. იხ. А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток..., გვ. 8; მისივე, Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, МИА, 125, გვ. 12; აგრეთვე К. Х. Кушнарєва, Т. Н. Чубянишвили, Историческое значение Южного Кавказа в III тыс. до н. э. СА, 1963, 3, გვ. 14; ამის შემდეგ გაუგებარია რატომ შეიცვალა ამ უკანასკნელ ავტორთა შემდეგ შრომაში ზედა პორიზონტები ქვედა პორიზონტებით (მღრ. მათეე, Древние культуры Южного Кавказа..., გვ. 15).

<sup>155</sup> О. А. Абибуллаев, Некоторые итоги..., გვ. 161, სურ. 4,1—4.

<sup>156</sup> А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток..., გვ. 8, 9; მისივე, Из историческ. прошлого Мильско-Карабахской степи, გვ. 13—15; И. Г. Нариманов, Керамика древнего поселения вблизи городища Орен-Калы, МИА, 125, გვ. 37—39. ა. თსენი ამ ტიპის 9 ძეგლს ჩამოთვლს.

<sup>157</sup> А. А. Иессен, Кавказ и..., გვ. 8; მისივე, Из исторического прошлого..., გვ. 43.



პომპეანოც კი — წითელ და ყავისფერამდე) სქელი ანგობითაა დაფარული და გაპრიალებული. ზოგიერთი უფრო მკვრივი და თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ვიდრე აღწერილია, მოხატულია. მოხატული ფრაგმენტები 5 ძეგლზეა აკრეფილი<sup>158</sup>. მოხატულობა უმეტესად შევრონებისაგან შედგება. იშვიათად ჩანს წითელი საღებავის გამოყენებაც. მოხატულია როგორც არაორგანულმინარევიანი „მკერივკეცანი“, ისე ნამჭანარევი და უხეშმინარევიანი ჭურჭლის ფრაგმენტები<sup>159</sup>.

## მულანის ძეგლები

წინა „მტკვარ-არაქსული“ ხანის 14 ძეგლია მიკვლეული მულანში, ქ. ასტრახან-ბაზარსა და სოფ. პრიშებს შორის, რომელთაც ი. ნირიშანოვი და ფ. მახმუდოვი „ქეშმარიტად ენეოლითურს“ უწოდებენ. აქ, გათხრების გარეშე, მხოლოდ ზედაპირულად აკრეფილი მასალის საფუძველზე განსაზღვრული „ტიპიური ენეოლითური კერამიკის შემცველი“ ძეგლთა ორი ჯგუფია ფიქსირებული (მიშარაისა და გურუ-დერეს ჯგუფები)<sup>160</sup>. ეს ძეგლები გაერთიანებულია კერამიკაში შემჩნეული რიგი დამახასიათებელი ნიშნებით: თიხაში ჭარბი მცენარეული მინარევი, ღიაფრად ანგობირება, ზედაპრის გაპრიალება, პოეღი რიგი საერთო ფორმები (ბადიები, ჯამები; ცილინდრული, ქოთნისებური და ქილისებური სამეურნეო ჭურჭელი). გარდა ამისა, ისევე როგორც ქიულ-თეფე I და შილის ველის ძეგლებზე, აქაც ზოგიერთ ჭურჭელს ყურისებრი ნახიური შევრილები აქვს. ქიულ-თეფეს I ფენის ზედა პორიზონტებთან მათ აკავშირებს დაბალ, ცილინდრულყელიანი ჭურჭლებიც<sup>161</sup>. აქ ზოგიერთ ძეგლზე ფართო, კუთხოვან-გადმოკეცილობრიანი ჭურჭლის ფრაგმენტებია ნაპოვნი, რომელთა მსგავსი არც ქიულ-თეფესა და არც შილის ველის ძეგლზე არ არის ცნობილი<sup>162</sup>. ამავე რაიონის მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთ ძეგლზეც ანალოგიური პროფილის ჭურჭლის აღმოჩენა ი. ნარიშანოვსა და ფ. მახმუდოვს საფუძველს აძლევს ივარაუდონ, რომ მულანის ენეოლითურ კერამიკაში ისახება ადრებრინჯაოსა და ენეოლითს შორის გარდამავალი ფორმები, უფრო მეტიც, ამის საფუძველზე, დასაშვებად მიიჩნიათ მულანის ძეგლების ენეოლითის გვიანი ეტაპით განსაზღვრა და მტკვარ-არაქსის ტიპის ადრებრინჯაოს კულტურასთან მათი ქრონოლოგიური სიახლოვე<sup>163</sup>. მსგავსი შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, მაგრამ მხოლოდ ზედაპირულად აკრეფილი მასალის საფუძველზე ამგვარი მტკიცება ნაადრევი და ცოტა გადაჭარბებულიც ჩანს.

<sup>158</sup> А. А. Иессен, Кавказ ..., გვ. 8, 9.

<sup>159</sup> А. А. Иессен, Из исторического прошлого ..., გვ. 15, ფერადი ტაბულა I; მოხატული კერამიკის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

<sup>160</sup> И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, Энеолитические памятники на Мугани. Изв. АН Аз. ССР, Серия ист., философ. и права, 1967, № 2. გვ. 88.

<sup>161</sup> И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

<sup>162</sup> იქვე, გვ. 95.

<sup>163</sup> იქვე, გვ. 96.

ეს ძეგლი მულანის ველზე მდებარეობს. ქალილაბადის რ-ნის სოფ. უჩთე-ფეს ვანაპირას, ინჩეჩის მარჯვენა ნაპირზე. იგი 4 მ სიმაღლისა და 1 მ-მდე ფართობის ნაშთს აღარჩავს<sup>164</sup>. ზედა, დაახლოებით 1 მ სისქის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის ფენა დაზიანებულია ჩაშვებულ მუსულმანური სამარხებით.

ზედაპირიდან, 1,3—1,9 მ სიმაღლეზე, ე. ი. ადრეულ ფენაში, გამოვლენილია ორ რიგად დაწყობილი ბრტყელი ალიზით ნაგები ოთქუთხა შენობები<sup>165</sup>.

ქვედა (ძირითადი) ფენის თიხის კურკლის ძირითადი ნაწილი ღია ფერის ნაქანარევე კერამიკაზე მოდის, რომელიც უმეტესად ანგობირებული და გაპარიალებულია. ფორმები ქიულ-თეფე I მსგავსია — ბრტყელ და ფართოძირიანი ბადიები, კასრისებური კურკლები, დაბალყელიანი ქოთნები. გავრცელებულია ყურისებრი შეერილები და კოპები. შავრამ, ამასთანავე, ზოგიერთ კურკელს აქვს მრგვალი ან ოვალურგანივეკეთიანი ჩვეულებრივი ყური<sup>166</sup>.

კერამიკის მეორე ჯგუფს წარმოადგენს ბონოქრომული მოხატული კურკელი (10 ერთეული). ეს ჯგუფი, ერთის განკლებით, ნაქანარევი თიხისაა, მოხატულია ღია ფერის ანგობზე შავი, წითელი, ალუბლისფერი და ყავისფერი საღებავით. ქარბობს გეომეტრიული მოტივი (კვადრატები, რომბები, სამკუთხედეები, ზოგჯერ ჯაჭვურად გადაბმული, ბადისებრი სახე, ცალკეული ხაზები და სხვ.), რითაც კერამიკის ეს ჯგუფი უახლოვდება მილის ველის მოხატულ კურკელს<sup>167</sup>.

ადრეულ ფენაში გვხვდება ნავისებური ხელსაფქვავეები, სანაყები და ბრტყელი, სათლელისებური ცულები, კაჟის ნაწარმში გამოირჩევა ნამგლის ჩასართები წააფხიანებელი რეტუსით, მომრგვალო ფორმის საფხეკები და პრიზმული ნუკლეუსები. ობსიდიანის მასალა მეტად მცირერიცხოვანია. ძელის იარაღები თითქმის არ ჩანს. აღსანიშნავია თიხის კვერცხისებრი მოყვანილობის შერდულის „ქურეები“<sup>168</sup>.

### ი ლ ა ნ ლ ი - თ ე ფ ე

ეს ძეგლი, რომელიც ყარაბაღის ველზე (აგდამის რ-ნში) მდებარეობს, მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. აქ ფიქსირებულია ამოზურგული ალიზით ნაგები ოთქუთხა, წრიული და ნახევარწრიული მოყვანილობის შენობები. ზოგიერთი ნაგებობის იატაკსა და კედლებზე შერჩენილია მუქი წითელი (ეოლოსფერი) საღებავის ნაშთები<sup>169</sup>.

<sup>164</sup> ფ. რ. მახმუდოვ, ი. გ. ნარიმანოვ, Раскопки двух новых энеолитических поселений Азербайджана в 1971 г., გვ. 8; его же, О раскопках на поселении Аликемек-тепеси, АО 1971 года, М., 1972, გვ. 480.

<sup>165</sup> ფ. რ. მახმუდოვ, ი. გ. ნარიმანოვ, О раскопках..., გვ. 481.

<sup>166</sup> ფ. რ. მახმუდოვ, ი. გ. ნარიმანოვ, დასახ. ნაშრომი, გვ. 481, მ ა თ ი ვ ე, Раскопки двух новых..., გვ. 10.

<sup>167</sup> მ ა თ ი ვ ე, О раскопках..., გვ. 481.

<sup>168</sup> მ ა თ ი ვ ე, გვ. 481; მ ა თ ი ვ ე, Раскопки двух новых..., გვ. 9, 10.

<sup>169</sup> ი. გ. ნარიმანოვ, Раскопки энеолитического поселения Иланлы-тепе, АО 1968 года, М., 1969, გვ. 396; მ ა თ ი ვ ე, К итогам археологических раскопок в Иланлы-тепе, Материалы к сессии, посвященной итогам арх. и этн. исследований 1970 г. в Азербайджане, Баку, 1971 г., გვ. 5.

მეტად საინტერესოა აქ აღმოჩენილი კერამიკა, რომელიც ხელით ნაძერ-  
წია ნამჭანარევი თიხისაგან. ბრტყელძირა კურკლები უყურთ, სამაგიეროდ  
ზოგ მათგანს პირის ნაწილი ჩადრეკილი აქვს ხელის მოსაქიდებლად<sup>170</sup>. ხში-  
რად კურკლის მთელი ზედაპირი დაფარულია ფოსფატით, სოლისებური  
შტრიხებითა და კლდეული სამკუთხედებით<sup>171</sup>. მოხატული კურკლის მხოლოდ  
ერთი ფრაგმენტი აღმოჩენილი. საინტერესოა აქ აღმოჩენილი ტაფისებური  
ფართო კურკლები, ქობაზე დატანილი („შუქსებრი“) დანამერწყებით, რომ-  
ლებიც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ძეგლებშიც პოულობს ანალო-  
გებს<sup>172</sup>.

აქ აღმოჩენილია ძვლისა და რქის თხები, ძვლის საპრიალებლები და  
L-დვინები. ოპსიდინის ნაწარმი მცირერიცხოვანია, თითქმის არაა კაჟისა. არ  
ჩანს გახეხილ-გაპრიალებული და გახვრეტილი ქვის იარაღები<sup>173</sup>. ნაპოვნია  
ხელსაფქვავები, სახეხები, სანაყები და მარმარილოსებური კირქვის ჯამის  
ფრაგმენტები. ხელსაფქვავებსა და სანაყებზე შერჩენილია ოქრის კვალი.  
მრავლადაა აღმოჩენილი თიხის, კერამიკისებური ფორმისა და ქვის შურდუ-  
ლის „კურკები“<sup>174</sup>.

აზერბაიჯანის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ადრეული ხა-  
ნის ერთეული სხვა ძეგლებიცაა ცნობილი, მაგრამ მათ შესახებ ჩვენ თითქმის  
არაფერაა მონაცემები არ მოგვეპოვება<sup>175</sup>.

ჩვენი მიმოხილვის დასასრულს დაეახსიათებთ სომხეთის სსრ ტერიტო-  
რიაზე გამოვლენილ ადრესამიწათმკმედო ძეგლებს. ქრონოლოგიურ პრინ-  
ციპს ვერც მათი დახასიათებისას ვერ დავიცავთ, რადგანაც ისინი შედარებით  
სუბტად და არათანაბრადაა შესწავლილი, ლიტერატურაც მეტად მცირერიცხო-  
ვანია. ამიტომ თავიდან უფრო სრულად შესწავლილ ძეგლებს დაეახსიათებთ,  
დანარჩენებს კი ზოგადად მიმოვიხილავთ.

## თ ე ლ უ თ ა

მტკვარ-არაქსის კულტურაზე უფრო ადრეული ხანის ყველაზე სრულად  
შესწავლილი პირველი ძეგლი (თუ არ ჩავთვლით შენგავითის ქვედა ფენას,  
სადაც თითქმის ადრეული მასალებიცაა მოპოვებული), თელუთი (ტეხუთა)  
ითხრებოდა 1965—1968 წწ<sup>176</sup>.

ნაოსახლარის გადარჩენილ ნაწილში საპი თხრილი იქნა გავლებული, ი-  
დაც თიხატეკნილი ან ალიზით ნაგები წრიული გეგმის 13 ნაგებობაა მიკვ-

<sup>170</sup> И. Г. Нариманов, Раскопки энеолитического поселения Иланлы-тепе, сб. Сурათი 397-ე გვერდზე.

<sup>171</sup> ი ქ ვ ე, გვ. 396; მ ი ს ი ე ვ, К итогам..., გვ. 6.

<sup>172</sup> ი ქ ვ ე.

<sup>173</sup> И. Г. Нариманов, К итогам..., გვ. 5.

<sup>174</sup> ი ქ ვ ე, გვ. 6; მ ი ს ი ე ვ, Раскопки..., გვ. 397.

<sup>175</sup> იხ. მაგ. И. Г. Нариманов, Кюли-тепе и Геои-тепе, АО 1969 года. М., 1970, გვ. 374.

<sup>176</sup> Р. М. Торосян, Раскопки Техутского поселения (1965 г.), ИФЖ, 1968, 1, გვ. 291 (სომხურ ენაზე); მ ი ს ი ე ვ, Раннеземледельческая культура Армении (по материалам поселения Техут), Автореф. кандид. дисс., Ереван, 1971, გვ. 7.

ლუღი. მათი დიამეტრი 2,6—3 მ შორის შერყობს. რ. ტოროსიანი მათ ნახევარშიწურებად თვლის<sup>177</sup>. თელუთა ერთფენიან ძეგლს წაჩმოდგენს (ძირითადად ერთი, მაქსიმუმ ორი საამშენებლო პორიზონტით). ნაგებობები მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 0,7—1,6 მ სიღრმეზე, ღია ყვეთელი ფერის თიხნარში, რომლის ქვევით 2,5 მ სიღრმეზე, უშუალოდ ყამირზე მდებარე რიყის ქვის ფენაა<sup>178</sup>.

თელუთაზე მოპოვებული მთელი კერამიკა ხელით ნაძერწია; თიხის შემადგენლობის მიხედვით, როგორც ამას რ. ტოროსიანი აღნიშნავს, იგი სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. ყველაზე მრავალრიცხოვანი — სილანარევი თიხისაგან ნაძერწი ჭურჭელი. ამ ჯგუფში შედის სხვადასხვა ზომის ქილები, ღრმა ჯამები და ე. წ. „მაყლები“. ქილებისათვის დამახასიათებელია მაღალი, ცილინდრული ყელი, ასიმეტრიული, შებერილი კორპუსი და მრგვალი ძირი<sup>179</sup>. ღრმა ჯამები შედარებით მცირერიცხოვანია. შეზნექილ ან სწორკედლიანი ბრტყელძირა „მაყლების“ კედლები ხშირად შეკრული არ არის — გვერდის ნაწილი „ამოჭრილია“. პირს ქვემოთ დატანილია გაპქოლი ნახვრეტები. ზოგიერთ მათგანს შიგნითა მხრიდან მასიური შვერილები აქვს<sup>180</sup>.

2. დაკებილნაჩანარევი თიხისაგან ნაძერწი ჭურჭელი. ამ ჯგუფს ეკუთვნის მოზრდილი დერგები, ქოთნები და სხვადასხვა ზომის ჯამები. ამ ჯგუფის ნაწარმი ღიაყავისფერია ან დაფარულია მოყვითალო ანგობით. დერგებისათვის დამახასიათებელია ოთხწახნაგა ან მომრგვალოქობიანი მაღალი, ფართო ყელი და შებერილი ტანი. დერგების ფრაგმენტები ყველა ნაგებობაშია ნაპოვნი. ქოთნებს შედარებით დაბალი, გადაშლილი (ზოგჯერ ძაბრისებური) ყელი და გაპრიალებული სფერული კორპუსი აქვს, „თფშებსა“ და ღრმა ჯამებს მომრგვალო ძირი და ჩადრეკილპირიანი, გადაშლილი გვერდები აქვს<sup>181</sup>.

3. შედარებით წმინდა თიხისაგან ნაძერწი ჭურჭელი გამოირჩევა პირველი ორი ჯგუფის ნაწარმისაგან როგორც დამზადების ტექნიკით, ისე ზედაპირის დამუშავების მაღალი ოსტატობითა და საერთო იერით. ამ ჯგუფის კერამიკისათვის დამახასიათებელია ნარინჯისფერი, მოწითალო, ღია ოქროსფერი ან რძისფერი (?) გაპრიალებული ზედაპირი. მათ ეკუთვნის სხვადასხვა ფორმის ქილები, „თითისტარის“ მოყვანილობის ჭურჭელი და სხვ<sup>182</sup>.

რ. ტოროსიანი თელუთას მასალებში ცალკე გამოყოფს ჭურჭლის ერთ ნაწილს, რომელიც თიხის შემადგენლობით, ფორმით, ზედაპირის დამუშავების ტექნიკითა და ორნამენტით მტკვარ-არაქისის კულტურის კერამიკას ემსგავსება; მაგრამ აღნიშნავს, რომ თელუთას ეგზემპლარებზე არ არის მიღწეული კერამიკის დამუშავების ის მაღალი ოსტატობა, რომელიც აღრებრინჯაოს ხანის ნაწარმს ახასიათებს<sup>183</sup>.

გამთხრელის მიერ ასევე ცალკეა გამოყოფილი ქსოვილისანაბეჭდიანი კე-

<sup>177</sup> P. M. Торосян, Раннеземледельческая культура Армении..., გვ. 7, 8.

<sup>178</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>179</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>180</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>181</sup> იქვე.

<sup>182</sup> იქვე, გვ. 16—17.

<sup>183</sup> იქვე, გვ. 7.

რამეცა, მაგრამ აღნიშნულია, რომ სხვა მხრივ იგი არ განსხვავდება ნამოსახლარის მასობრივი ნაწარმისაგან<sup>184</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებოა ძეგლზე მოპოვებული მოხატული კერამიკის ფრაგმენტები. მოხატულია როგორც დერგები, ისე სხვადასხვა ზომის ქოთანები, ფართო ჯამები და მაღალყელიანი ქილები, მოვარდისფრო-მოწითალო ან მოყვითალო ფონზე წითელი, ყავისფერი ან იშვიათად შავი საღებავით დატანილია ვერტიკალური ტალღისებური ზოლები, დაშტრიხული რომბები, ჩამოშვებული („ჩამოკიდებული“) ნახევარწრეები, ჯვრები და ფართო ლენტისებური ხაზები<sup>185</sup>. რ. ტოროსიანი აღნიშნავს, რომ მჭკალი თქრით მოხატულია მხოლოდ სილა ან ნაქანარევი კურკელი, მზინავი საღებავით კი — შედარებით წმინდა თიხისაგან ნაქერწი კერამიკა. მათგან პირველს ობეიდის კულტურას უკავშირებს, მეორეს კი — პალაფს<sup>186</sup>.

კაქისა და ობსიდიანის ნაწარმში რ. ტოროსიანი გამოპყოფს: 1. დანის პირებს — ჩასართებს, 2. ნამგლის ჩასართებს, 3. დანებს და საფხეკებს და 4. დამუშავებული ნივთების ნატეხებს, ნუკლეუსებს, ნახევარფაბრიკატებს და წარმოების ნაშთებს<sup>187</sup>. ამას გარდა აქვეა ხელსაფქვეები, როდინები, სანაყები და სახეხ-საპრიალებლები<sup>188</sup>.

ძვლის იარაღების „კომპლექსი“ წარმოდგენილია სადგის-სახვრეტებით, სახვრეტებით (?), თოხებით, „ნიჩბის ფორმის ნივთებით“ (წვრილღეროიანი, თავგაბრტყელებული და გაგანიერებული „საკინძისებური“ ნივთებით) და სხვ<sup>189</sup>.

ძეგლზე აღმოჩენილია თიხის ზომორფული ფიგურაც (ხარია?)<sup>190</sup>.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თელუთაზე ნაპოვნი ლითონის ნივთები: რომმისებური მოყვანილობის ბრტყელი დანისპირი, ბურღი (?) და სადგისის ორი ფრაგმენტი<sup>191</sup>. ამ ნივთების სპექტრალური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ დარიშხანის შემცველობა მათში საკმაოდ მაღალია (3,6% და 5,4%)<sup>192</sup>.



თელუთას გარდა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მასალები მოპოვებულია სომხეთის სსრ ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე ძეგლზე. მათ შო-

<sup>184</sup> P. M. Торосян, დასახ. ნაშრომი, გვ. 17;

<sup>185</sup> იქვე; მისივე, Раскопки Тухутского поселения..., გვ. 279.

<sup>186</sup> იხ. მისივე Раннеземледельческая культура Армении, გვ. 17. ადრე გამოსულ ნაშრომში იგი თელუთას მთელ მოხატულ კერამიკას ჩრდილო-ობეიდის კულტურას უკავშირებდა (მისივე, Раскопки Тухутского поселения, გვ. 301), რაც მართებულია. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

<sup>187</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ ნატეკი ქვის მასალის ამგვარი, ხელოვნური კლასიფიკაცია მეტად გაუგებარია და შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს მკითხველი. როგორც მასალის დათვალიერების დროს შევნიშნეთ, ძეგლზე ლამელების რაოდენობა 2—3 თუელი ცალია, ანატეკებისა კი — რამდენიმე ასული (თუ ათასზეც არა), ძარალები ატოპურია, მათი ფორმები „განუსახვრეტელია“, რეტუშიც მეტად დაუდევრადია დატანილი და ა. შ.

<sup>188</sup> P. M. Торосян, Раннеземледельческая культура Армении, გვ. 10—13.

<sup>189</sup> P. M. Торосян, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

<sup>190</sup> მისივე, Раскопки..., გვ. 299, ტაბ. 1, 24.

<sup>191</sup> იქვე, გვ. 295; ტაბ. IV, 3.

<sup>192</sup> И. Р. Селимханов, P. M. Торосян, Металлографический анализ древнейших металлов в Закавказье, СА, 1969, № 3, გვ. 234.

რის აღსანიშნავია ერმიადინის რ-ნის სოფ. ვერი-ნ-ხათუნარხთან მდებარე ბორცვი, სადაც მცირე მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები აქვს ჩატარებული რ. ტოროსიანს<sup>193</sup>. ძეგლზე ორი ფენაა გამოვლენილი — შუა საუკუნეებსა და ძირითადი, ნეოლითური (რ. ტოროსიანის ინტერპრეტაციით) შიდა საამშენებლო ჰორიზონტით. ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს ობსიდიანის ნუკლეუსები, დანისებური ფირფიტები, საფხეკები, სახვერტები, მიკროლითები (მხოლოდ ერთი ტრაპეცია) და ხელსაფქვავეები, სანაყები, კვერები: ძვლის იარაღთაგან დასახელებული სადგისები და ნამგლის ბუდეები(?). კერამიკა მხოლოდ ბრტყელძირიანია. გამოხრელი „ნეოლითურ ფენას“, სავარაუდოდ, ძვ. წ. VII—VI ათასწლეულებით ათარიღებს<sup>194</sup>. თითქმის არაფერია ცნობილი ძეგლის არქიტექტურის შესახებ, გარდა იმისა, რომ ნაგებობები აქაც წრიული ფორმისაა.

ერმიადინის რაიონშივე მდებარეობს წახკუნჩქი, ოგივე მაახალთაფა, როკლინ მასალეზიც დაცულია და ნაწილობრივ ექსპონირებულია ერმიადინის ნხარეთმცოდნეობის მუზეუმში<sup>195</sup>. კოლექცია შედარებით მცირერიცხოვანია. მასალის დიდ ნაწილს ობსიდიანის ნაწარმი წარმოადგენს, რომელშიც უარობს ლამელები; გვხვდება ანატეკებიც. ობსიდიანის ნაწარმში განსაკუთრებით საინტერესოა მალაღი ზურგვათლილი ტრაპეცია, ციცაბოდ რეტუშირებული გვერდებით.

კაეის მხოლოდ ორი იარაღია; ორივე ლამელაზე ნაკეთებ გვერდლაკბილულ ნამგლის ჩასართს წარმოადგენს, რომელსაც მხოლოდ ზურგის მხრიდან აქვს დამუშავებული ცალი გვერდი. დამახასიათებელი სიპრიაღე ოდნავ ირიბად, თითქმის გვერდის პარალელურად გასდევს. აღსანიშნავია, რომ ეს ჩასართები განსხვავდება „შომუ-თეფეს ტიპის“ ჩასართებისაგან და თითქოს ადრე-ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული ჩასართების პროტოტიპს წარმოადგენს.

კერამიკა მეტად მცირე ზომის და უსახო ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი, თუმცა აქვეა ერთი მთელი ჭურჭელიც — მალაღ, ოდნავმორკალულგვერდებიანი დიდი ზომის ჯამი კეცის ფორმისა, მოყავისფრო-მოყვითალო ფერის მოგლეუებული ზედაპირით.

საინტერესო მასალა აქვს შეკრებილი ს. ამირიანს ნამოსახლარ ენგიჯადა<sup>196</sup>. გორა-ნამოსახლარი ენგიჯა მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე (ერმიადინის რ-ნი). ბორცვი წაგრძელებული მოყვანილო-

<sup>193</sup> P. M. Торосян, Г. А. Микаелян, С. Г. Деведжян, Разведки древнейших памятников Армении, АО 1969 года. М., 1970, გვ. 386.

<sup>194</sup> იქვე, გვ. 386; ჩუენი აზრით, რომელიც მასალის გაცნობის შემდეგ შეგვექმნა, ხათუნარხის ძირის გორაზე ადრეული ხანით ვერ დათარიღდება; პირიქით, სავარაუდოა, რომ იგი რამდენაღე უფრო მოგვიანოც იყოს; ვერ ერთი, აქ აღმოჩენილი ქვის მრგვალსატარე ნახვერტისანი, მასიურყუანი ცული განვითარებული ფორმის და საკმაოდ გვიანდელი იერისაა, მეორე — იმირის მასალეზე უფრო არქაული ნიშანი არც კერამიკასა და არც ობსიდიანის ნაწარმში არ იგრძნობა. უფრო ზუსტად ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

<sup>195</sup> ძეგლი მხოლოდ მოხსენებულია რ. ტოროსიანის, გ. შიქაქელიანის და ს. დევეჯიანის დასახელებულ ნაშრომში (იხ. АО 1969 г., გვ. 386). ნამოსახლარი მიკლულია რ. ტოროსიანის მიერ; მანვე მოგვცა საშუალება გაცნობოდით თელუთას, ხათუნარხისა და წახკუნქის მასალეს, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ

<sup>196</sup> მასალა გამოუქვეყნებელია, დაცულია სომხეთის სახ. ისტორიულ მუზეუმში. ესარგებლობთ რა შემთხვევით, დიდ მადლობას მოვახსენებთ სომხეთის სახ. ისტ. მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს ს. ამირიანს ძეგლის შესახებ ცნობების მოწოდებისა და მასალის დეტალურად გაცნობისათვის.

ბისა: 70×50 მ; სიმაღლე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 3 მ-ია.

ენგეჯას კოლექციის უდიდეს ნაწილს ობსიდიანი შეადგენს (300-ზე მეტი ერთეული); აქვეა ერთი გახეხილ-გაპრიალებული ქვის სოლისებური ცული და თასის ჭურჭლის ფრაგმენტები. ძვლისა და ქვის სხვა ნივთები აღმოჩენილი არ ყოფილა.

ობსიდის ჭურჭლის უმეტესობა ნაძერწია არაორგანულმინარევიანი თიხისაგან, იშვიათია ნაჭანარევი კერამიკა, ფორამბის შესახებ მსჯელობა ძნელია მასალის ფრაგმენტულობის გამო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პირ-გვერდის ფრაგმენტი საგრძნობლად პროფილირებულია — ჭურჭლის პირი კორპუსს ჰკვეთი გარდატეხის ხაზით უერთდება. ბრტყელი ძირების უმეტესობა დაბალქუსლიანია. აქაური კერამიკა, უპირატესად, უხეშად მოგლუვებულ-ზედაპირიანია. იშვიათია გაპრიალებულზედაპირიანი ფრაგმენტები. ჭურჭელთა უმეტესობა ღია ფერად არის გამომწვარი, ორნამენტაცია რელიეფურია — გავრცელებულია კონუსური და მდალი, ვერტიკალურად დატანილი ნუშისკვლისებრა კოპები.

ობსიდინის ნაწარმში ქარბობს ლამელები და ლამელებზე ნაკეთები იარაღები. ანატკეცები მცირერიცხოვანია. აქ ნაპოვნი ნუკლეუსები (2 ც) მასიურია, კონუსური მოყვანილობისა და ირგვლივდაშუშვებულია. იარაღებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია სხვადასხვა საჭრისები; მრავალადა ხოწები (სათლელისებრი იარაღი). შედარებით იშვიათია საფეხეკები (ისიც არატიპური), ორიოდ ეგზემპლარიტა წარმოდგენილი სახოკები, ბურღები თუ საპრეტეჯი. ცალკე უნდა აღინიშნოს მასიურ, ჰოგრო ანატკეცებზე ჩამოყალიბებული უნქში საჩეხი იარაღი. ლამელების დიდი ნაწილი რეტეშირებულია, რომელთა შორისაც ბევრი გვერდამოდარულია. გეომეტრიული მიკროლითები ნაპოვნი არ ყოფილა. კაისა და კაისებული ქანის მასალა მეტად უმნიშვნელოა.

საყურადღებო მასალა აქვს მოპოვებული დაზვერვითი გათხრების შედეგად გ. არეშიანს ნამოსახლარ ადაბლურზე<sup>197</sup>, რომელთა შორის გამოირჩევა დიდი ზომის. 1 მეტრამდე დიამეტრისა და 1 მ-ზე მეტი სიმაღლის, პირფართო ცილინდრულყელიანი ღერგები.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მასალები რამდენიმე ძეგლზე აქვს მოპოვებული ს. სარდარიანსაც, რომელთაც ის ნეოლითის სხვადასხვა საფეხურს მიაკუთვნებს. ასეთებია: კხზიაკ-ბლური, მამტოცი-ბლური, ტერტერი-ძორი, აღვეიკ-ბნერი, სევ-ბლური და თითქმის შენგავითის ქვედა ფენაც<sup>198</sup>. ს. სარდარიანის მიერ გამოქვეყნებული მცირერიცხოვანი მასალით თუ ვიმსჯელებთ<sup>199</sup>, ამ „ნეოლითურ“ ძეგლებზე შულავერ-შომუ-თეფეს კულტურისათვის დამახასიათებელი ქვის ინდუსტრია ჩანს გავრცელებული, კერამიკა კი საგრძნობლად განსხვავდება და თუ სხვადასხვა პერიოდის მასალა არ არის ერთმანეთში არეული, უფრო გვიანდელის შთაბეჭდილებას ტოვებს, ისევე როგორც გამოქვეყნებული ისრისპირები<sup>200</sup>.

<sup>197</sup> Г. Е. Арешян, К выделению раннеземледельческих культур Армянского нагорья и Южного Кавказа, გვ. 58 (მასალა გამოუქვეყნებელი).

<sup>198</sup> С. А. Сардарян. Первоытное общество в Армении, გვ. 275—289. ამ ძეგლებსა და სავროდ ნაშრომის შესახებ იხ. ზემოთ, თავი I, შენიშვნა 22.

<sup>199</sup> იქვე, იხ. ტაბ. XXXIII—XLV.

<sup>200</sup> იქვე, ტაბ. XLIII.

\* \* \*

ფაქტიურად, ზემოთ აღნიშნულით ამოიწურება ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლების შესახებ სადღეისოდ არსებული ყველა მონაცემი.

ესოდენ ვრცელი ექსკურსი და შეძლებისდაგვარად მთელი მასალის განზილვა აუცილებლად მივიჩნიეთ, რათა შემდგომი მსჯელობის წარმართვის დროს თავიდან აგვეცილებინა განმეორებანი, შეზღუდული არ ვყოფილიყავით და სრული სახით წარმოგვედგინა ჩვენი თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხის შესახებ.



**აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათომქმედო კულტურის პერიოდიზაცია**

**კულტურა და ლოკალური ვარიანტები**

ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათომქმედო ძეგლების პერიოდიზაციისა და დათარიღების პრობლემას შევეხებოდეთ, პირველ რიგში, გვინდა განვიხილოთ აღნიშნული ძეგლების კულტურული ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, რადგან არქეოლოგიურ სისტემატიკაში კულტურა წარმოადგენს ფუნდამენტალურ ცნებას<sup>1</sup>. სწორედ არქეოლოგიური კულტურაა ის ძირითადი ერთეული, რომლის გარშემოც ხდება მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე მთელი მასალის დაჯგუფება<sup>2</sup>. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული (იხ. თავი I), ეს საკითხი პრობლემატურია.

ყველა მკვლევარი, რომელიც კი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათომქმედო კულტურას შეხება, აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ამიერკავკასიაში გავრცელებული ძეგლები (იგულისხმება სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ აზერბაიჯანის ნაშოსახლარები) ერთ კულტურას ეკუთვნის. მათ შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს.

ი. ნარჩინაშვილი ამ ძეგლებს აერთიანებს შოშუ-თეფეს კულტურის ცნებაში და თვლის, რომ ის განსხვავდება ამიერკავკასიის მეორე (ქიულ-თეფე I) კულტურისაგან<sup>3</sup>. გარკვეულად ასეთსავე აზრს ავითარებს ტ. ჩუბინიშვილი თავის უკანასკნელ ნაშრომებში<sup>4</sup>, განსხვავებით ადრე გამოთქმული მოსაზრებისაგან. უ. მასონსაც შესაძლებლად მიაჩნია მათი ცალკე კულტურებად ჩათვლა, თუმცა თვითონ მათ განიხილავს როგორც ორ კომპლექსს<sup>5</sup>.

მკვლევართა უმეტესობა კი, გეოგრაფიულად განცალკევებულ ძეგლთა ამ ჯგუფებს განიხილავს როგორც ერთი კულტურის ორ ლოკალურ ვარიანტს<sup>6</sup>,

<sup>1</sup> В. М. Массон, Понятие культуры в археологической систематике, Каменный век Средней Азии и Казахстана (тезисы докладов совещания), Ташкент, 1972, гл. 9.  
<sup>2</sup> В. С. Титов Рец. на книгу Х. А. Киник «Восточное Среднеземноморье в древнейшую эпоху», СА, 1973, № 1, гл. 289.  
<sup>3</sup> И. Г. Наринашвили, Древнейшая земледельческая культура.... гл. 121 და შემდეგ; მისივე. О некоторых поздненеолитических и энеолитических янзантиях в Азербайджане, გვ. 39.  
<sup>4</sup> Т. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, гл. 26, 35—36- (უნდა აღინიშნოს, რომ ჩუბინიშვილის მთლიან ნათელი არ არის ავტორის მიერ ამ ნაშრომში გატარებული მოსაზრება, რადგანაც სხვაგან საუბარია „ორი კომპლექსის“ შესახებაც); მისივე: Не которые особенности древних культур Южного Кавказа и их взаимоотношения с переднеазиатскими культурами в IV—III тыс. до н. э., гл. 38, 39.  
<sup>5</sup> В. М. Массон, Поселение Джейтун, МИА, 180, гл. 123—124.  
<sup>6</sup> А. А. Иессен, Из исторического прошлого..., гл. 15; ი. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ა. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, უძველესი მიწათმომქმედი მოსახლეობის კულტურა..., გვ. 102—103.

ან ორ კულტურულ ოლქს<sup>7</sup>, ორ არქეოლოგიურ კომპლექსს<sup>8</sup>, ან არადა, როგორც ძეგლთა ორ ჯგუფს<sup>9</sup>.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად საგრძნობი ტერმინოლოგიური განსხვავებისა, მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მტკვარ-არაქსის წინარე ხანის აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომქმედო ნამოსახლარები ერთ კულტურას განეკუთვნება. ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ ამ მკვლევართა მოსაზრებას, გარკვეული, ზოგ შემთხვევაში არსებითი, კორექტივის შეტანით.

შევეცდებით განმარტოთ ჩვენი ეს დებულება<sup>10</sup>. მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი კულტურის სამხრეთის ჯგუფის ძეგლები, ჭერჯერობით, სუსტადაა შესწავლილი, უკვე არსებული მონაცემები იძლევა იმის საფუძველს, რომ ქიულ-თეფე I და მასთან დაკავშირებული სხვა ძეგლებიც „შულავერ-შომუ-თეფეს კულტურას“ მიეკუთვნოთ<sup>11</sup>. ქიულ-თეფეს ქვედა ფენის მასალა გვიჩვენებს, რომ აქ იგივე ქვის ინდუსტრიაა წარმოდგენილი, რაც შულავერ-შომუ-თეფეს ტიპის ძეგლებზე გვხვდება. აქაც ძირითადად ობსიდიანის ნაწარმი წარმოდგენილი — დამუშავებითა და მორფოლოგიურად აღნიშნულ ძეგლებზე გავრცელებულის ანალოგიური დიდი ზომის კონუსური ნუქიუსები, ისეთივე ფართო და გრძელი ლამელები, როგორიც დამახასიათებელია შულავერ-შომუ-თეფეს წრის ძეგლებისათვის, რომელთა დამუშავებაც ისეთივეა, როგორც ჩვენს ძეგლებზე გვხვდებოდა. აღსანიშნავია აქაც სხვადასხვა ტიპის საჭრისების, თავრეტუშირებული ლამელებისა და ხოწების არსებობა. ძვლისა და რქის ნაწარმშიც ბევრი რამ საერთო შეინიშნება. როგორც ჩანს, აქაც გავრცელებული ყოფილა ლულოვან ძვალზე ნაკეთები თოხები<sup>12</sup>. ქიულ-თეფე I კერამიკას ბევრი საერთო აქვს შულავერ-შომუ-თეფეს წრის ძეგლების თიხის ჭურჭელთან, რაც გამოიხატება გარკვეული ფორმების (კასრისებური ჭურჭლები, დაბალყელიანი ქოთნები) და ორნამენტის (მასიური ნალისებური დანაძერწები, ყურისებური ჰორიზონტალური შვერილები) ერთგვაროვნებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქიულ-თეფეს ქვედა ფენისა და მსგავსი ძეგლების ცალკე კულტურად გამოსაყოფად არ არსებობს საკმარისი საფუძველი. საწინააღმდეგოს მტკიცების საშუალებას კი, როგორც დავინახეთ, იძლევა ყველა ძირითადი ელემენტის ერთგვაროვნება, ამას შე-

<sup>7</sup> О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ кведомартийской археологической экспедиции (1967 г.), ССЖ, I, გვ. 26.

<sup>8</sup> Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарера. Новые материалы გვ. 361; К. Х. Кушнарера, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., გვ. 169—170.

<sup>9</sup> Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита..., ავტორეფერატი, გვ. 27.

<sup>10</sup> იხ. თ. კ ი ლ რ ა ძ ე, შულავერის გორის ქვის ინდუსტრია, სსმ XVII სესიის მასალები, გვ. 14—15.

<sup>11</sup> არქეოლოგიური კულტურის ცნების განმარტების შესახებ იხ. И. С. Каменецких и Я. А. Археологическая культура — ее определение и интерпретация, СА, 1970, № 2, გვ. 18—36; Л. С. Клейн, Проблема определения археологической культуры, ი ქ ე ე გვ. 37—51; В. М. Массон, Понятие культуры в археологической систематике, გვ. 9—11; А. Л. Монгайт, Археология Западной Европы, каменный век, М., 1973, გვ. 77 და შედგვ. Ю. Н. Захарук, Проблемные ситуации в археологии, СА, 1973, № 4; გვ. 3—15; М. П. Грязнов, Классификация, тип, культура, сб. Теоретические основы советской археологии, Л., 1969, გვ. 20—21.

<sup>12</sup> О. А. Абибуллаев, Археологические раскопки в Кюль-геле, Баку, 1959, ტბ. 17,1; И. Г. Нариманов, О земледелии..., სურ. 7.

იძლება დაემატოს ნამოსახლართა ერთნაირი ხასიათიც. გარკვეული განსხვავებანი არქიტექტურასა (წრიულ ნაგებობებთან ერთად ოთხკუთხას თანაარსებობა) და ზოგიერთი ქურჭლის ფორმებში, როგორც ჩანს, ძეგლის მოგვიანო ხასიათითა და აგრეთვე ლოკალურობით უნდა აიხსნას.

ამრიგად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საკვლევ პერიოდში ჩვენც ერთი კულტურის არსებობას ვგულისხმობთ, რომელსაც პირობითად შულავერ-შომუ-თეფეს კულტურას ვუწოდებთ. ამ კულტურაში სადღეისოდ არსებული მასალის გათვალისწინებით, ძირითადად, ორი ლოკალური ვარიანტის გამოყოფა ხერხდება. პირველში უნდა გავერთიანოთ მტკვრის შუაწელზე, მის პარჯვენა სანაპირო ზოლში (სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო და დასავლეთ აზერბაიჯანი) მდებარე ნამოსახლარები: შულავერის გორა, იმირის გორა, გადაჭრილი გორა, დანგრეული გორა, ხრამის დიდი გორა, არუზლო I, შოქუ-თეფე. თორია-თეფე, ბაბა-დერევიში I, გარდაღართეფესი და თაუნჯაისა და შამქორ-ჩაის აუზის ძეგლები<sup>13</sup> და სხვ., ხოლო მეორეში — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ძეგლები, კერძოდ, ნახიჭევანის ქიულ-თეფე I და მასთან დაკავშირებული მილის, ყარაბაღისა და მულანის ველის ნამოსახლარები, თუშცა ამ ლოკალურ ვარიანტშიც არ არის გამოირჩეული მასალის დაგროვების შემდეგ, რომ ცალკეული უფრო დანაწევრებული ჯგუფების გამოყოფაც მოხერხდეს.

რაც შეეხება არარატის ველის ნამოსახლარებს, მათი ზუსტად მიკუთვნება რომელიმე აღნიშნული ვარიანტისადმი ჭრჭერობით არ ხერხდება. არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არარატის ველის ძეგლები სამხრეთულ ლოკალურ ვარიანტთანაა გაერთიანებული<sup>14</sup>. ჩვენი აზრით, მათი ერთი ნაწილი მაინც (ხათუნარხი, ენგიჯა და სხვ.) ახლო მსგავსებას პოულობს პირველი ვარიანტის ძეგლებთან<sup>15</sup>. უნდა შევინიშნოთ, რომ ამასთანავე არარატის ველის ძეგლებს გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებს. ამიტომ არ უნდა გამოვირიცხოთ ის შესაძლებლობაც, რომ მათი შემდგომი კვლევის საფუძველზე, აქ მოსალოდნელია ცალკე ლოკალური ვარიანტიც გამოიკვეთოს<sup>16</sup>. რაც შეეხება ამ რეგიონის ჭერჭერობით ყველაზე უკეთ შესწავლილ ძეგლს, თელუთას, მისი რომელიმე ვარიანტისადმი მიკუთვნებისაგან თავს ვიკავებთ, რადგანაც საამისოდ მტკიცე საფუძველი თითქოს არ ჩანს (იხ. ქვემოთ). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რ. შუნჩაევი ამ ძეგლს მხოლოდ პირობითად აერთიანებდა მილ-ყარაბაღ-ნახიჭევანის ჯგუფთან<sup>17</sup>.

<sup>13</sup> ი. ნ ა რ ი მ ა ნ ო ვ ი თაუნჯაისა და შამქორჩაის აუზის ძეგლებს ცალკე ჯგუფად გამოყოფს „შომუ-თეფეს კულტურის“ შიგნით, იხ. ი. გ. ნ ა რ ი მ ა ნ ო ვ, Древнейшая земледельческая культура..., გვ. 125, 126.

<sup>14</sup> К. Х. Кушнарера, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., გვ. 36, 41; Р. М. Мунчаев, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 213.

<sup>15</sup> ამასთან დაკავშირებით აღენიშნავთ, რომ ტ. ჩუბინიშვილსა და კ. კუშნაროვს მოჰყავთ იმის მაგალითიც, რომ ამ ძეგლებს კავშირი შულავერ-შომუ-თეფეს წრის ძეგლებთანაც აქვს, და ამის საფუძველზე ექვსაც კი გამოთქვამენ, რომ სამხრეთის ზონაში შომუთეფური მასალების გავრცელება ორი ლოკალური ვარიანტის გამოყოფას ეწინააღმდეგება (იხ. Новые материалы..., გვ. 361).

<sup>16</sup> შტრ. ი. გ. ნ ა რ ი მ ა ნ ო ვ. О некоторых позднеэолитических и энеолитических археологических явлениях в Азербайджане, გვ. 39.

<sup>17</sup> Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 208, 209, 213.

ჩვენი აზრით, თედუთას გარდა, წოფისა და ნაწილობრივ, ილანლი-თეფეს მიკუთვნებაც რომელიმე ამ ვარიანტისადმი ჭერჭერობით ნაკლებად საფუძვლიანი ჩანს. მათი კულტურული კუთვნილების საკითხს დაეუბრუნდებით ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხის გარჩევის შემდეგ.

### კულტურის პერიოდიზაცია

ცნობილია, რომ პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხი ყოველი არქეოლოგიური კულტურის შესწავლის უპირველესი და უმთავრესი ამოცანაა, რადგან ყოველგვარი განზოგადების ცდა საფუძველშივე მცდარი იქნება, თუ იგი სათანადოდ დამუშავებულ პერიოდიზაციასა და ქრონოლოგიას არ ეყრდნობა.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაციის საკითხი მეტად აქტუალური და, სადღეისოდ, ნაკლებად შესწავლილია. ამიტომ, ჩვენი კვლევის ძირითად მიზნად, სწორედ ეს საკითხი დავისახეთ.

უპირველეს ყოვლისა, შევეცდებით გავარკვიოთ ქვემო ქართლის ნასოფლარების შეფარდებითი სტრატეგრაფია. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეთოდურად სწორად გათხრილი შულავერისა და იმირის გორების არქეოლოგიური მასალის ცალკეული საამშენებლო ჰორიზონტების მიხედვით განხილვას.

მართალია, ამ რიგის სამუშაოს ჩატარებამდეც ნათელი იყო ამ ორი ძეგლის ქრონოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება<sup>1</sup>, მაგრამ მასალის დანაწევრებულად შესწავლამ საამშენებლო ჰორიზონტების მიხედვით ბევრად უფრო ფართო პერსპექტივები გაგვიხსნა<sup>2</sup>, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი საშუალება მოგვეცა ერთმანეთისათვის დაგვეკავშირებინა, ერთი მხრივ, შულავერის გორის ზედა და იმირის გორის ქვედა ჰორიზონტები; ხოლო მეორე მხრივ — იმირის გორის ზედა ჰორიზონტები და სხვა ძეგლები (განსაკუთრებით ხრამის დიდი გორის ქვედა ჰორიზონტები); ამ მხრივ მეტად საინტერესოა, აგრეთვე, ხრამის დიდი გორის ზედა ჰორიზონტებისა და არუხლო I მონაპოვრის დაკავშირება უფრო მოგვიანო ძეგლებთან<sup>3</sup>.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანოთ:

როგორც შულავერისა და იმირის გორების მასალების ცალკეული ჰორიზონტების მიხედვით შესწავლამ დაგვანახა, შულავერის გორის II და I საამშენებლო ჰორიზონტები (I მაინც აშკარად) იმირის გორის ქვედა — VII—VI ჰორიზონტების თანადროულია, ე. ი. ამ ორი ძეგლის სახით საქმე გვაქვს ერთი კულტურის განვითარების ორ, თანმიმდევრულ ძეგლთან, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთში თანაარსებობდნენ. სავარაუდებელია, რომ თანაარსებობა აღნიშნულზე უფრო ხანგრძლივი იყო, რადგანაც შულავერის გორის მორღვეულ ფენებში შომუ-თეფეს ტიპის ნამგლის ჩასართებიცაა ნაპოვნი.

<sup>1</sup> ო. ჯავახიშვილი, *ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები* (1965—1966 წწ.), გვ. 296; მათივე, *უძველესი მიწათმოქმედი ...*, გვ. 80—86; აგრეთვე ქრონოლოგიის ტაბულა, 107-ე გვერდზე; А. И. Джавахишвили, *Строительное дело и архитектура...*, გვ. 69—70.

<sup>2</sup> იხილეთ ზემოთ.

<sup>3</sup> დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

იმირის გორის სტრატეგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვება და აქაური მასალის ხრამის დიდი გორის მონაპოვართან შედარება კი საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს დაუყუკვიროთ იმირის გორის ზედა, IV—I საამშენებლო პორიზონტებისა და ხრამის დიდი გორის ქვედა, I—IV პორიზონტების მასალა. მათი ურთიერთდაკვირვების საშუალებას გვაძლევს, პირველ რიგში, აღნიშნულ პორიზონტებში<sup>4</sup> ბეჭისა თუ ლულოვან ძვალზე ნაკეთები თოხების არსებობა. თუ იმირის გორაზე ამ ტიპის იარაღები ერთეული ეგზემპლარებია და მხოლოდ ზედა პორიზონტებში გვხვდება, ხრამის დიდ გორაზე ამ სახის ნაწარმი სულ ქვედა, I პორიზონტიდანვე არსებობს და საკმაოდ მრავალრიცხოვანიცაა. მთლიანად ხრამის დიდი გორის მასალები უფრო განვითარებული და მოგვიანო ჩანს, ვიდრე იმირის გორის ზედა ღონეებისა. ამას გვიჩვენებს აქ თხელკედლიანი, გაპრიალებულ და შეღებილზედაპირიანი კერამიკის არსებობა აგრეთვე სულ ქვედა პორიზონტებში. ამასვე ადასტურებს ხრამის დიდ გორაზე გათხრილ ნაგებობათა ცილინდრულობა და მშენებლობაში პილონების ფართო გამოყენება (ეს უკანასკნელი იმირის გორაზე მხოლოდ ორ შემთხვევაშია დადასტურებული), აგრეთვე შულავერისა და იმირის გორებისათვის სრულიად უცხო, რიგი ახალი, ძვლისა და რქის იარაღების გაჩენა, მაგ., ძვლის ბრტყელი დისკოსებური ფირფიტები შუაში ნახვრეტითა და რქის კვერთხისთავეები და ორნამენტირებული ნივთები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აქ თითქმის არ გვხვდება იმირის გორისათვის დამახასიათებელი ზოგერთი ძვლის ნივთი, კერძოდ, ბეჭის ქედზე ნაკეთები საპრიალებლები, თხელფირფიტოვანი დანისებური მოყვანილობის ნივთები და სხვ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აქ საკმაოდ მრავალრიცხოვანია ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, უპირატესად, ორმხრივლესილი სოლისებური ცულები, და მათი უხეშად გაჩორკნილი „მაკროლითური“ ნამზადები. ამავე დროს ნატყეცი ქვის ნაწარმში აღარ გვხვდება ნუკლეუსისებური საბოკები, ესოდენ დამახასიათებელი შულავერისა და იმირის გორების ინვენტარისათვის. „შომუთეფური“ ნამგლის ჩასართების რაოდენობა კი რამდენიმე ათეულს აღწევს. ნიშანდობლივია ისიც, რომ თვალსაჩინოდ მატულობს კაჟისა თუ კაჟისებური ქანის წილი საერთო მასაში; ამავე დროს შეიმჩნევა ანატყეცთა სიჭარბე ლამელებთან შედარებით, საერთოდ კლებულობს იარაღთა რაოდენობა, მაგრამ მატულობს სათლელისებური იარაღების (ხოწის) პროცენტული შეფარდება სხვა იარაღებთან შედარებით. VI საამშენებლო პორიზონტში ობსიდიანის ერთი ზურგათლილი ტრაპეციაცაა ნაპოვნი. აქვეა ერთი სეგმენტისებური იარაღიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხრამის დიდი გორის ზედა, V—VII პორიზონტების კერამიკაზე გვხვდება მასიური, ყურისებური პორიზონტალური შევრილები და ასევე მასიური, დიდი ზომის ნალისებური (ნახევარწრიული) რელიეფები, უსისტემო ჭგუფებად დატანილი კოაგები და თახჩისებური (მერცხლისბუდისებური) დანაძერწი. ეს კი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, საშუალებას გვაძლევს ძეგლის ზედა პორიზონტები დაუყუკვიროთ არუხლო I მასალას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არუხლოს მასალებში რიგი

<sup>4</sup> იმირის გორის მიმართ ეს კავშირი რამდენადაც პირობითია; მაგრამ რადგანაც აქ IV—I პორიზონტების მასალის ერთმანეთისაგან გამოჯენა თითქმის შეუძლებელი იყო, მიუღებელი ვართ მოვახდინოთ ამგვარი შედარება. სინამდვილეში ხრამის დიდი გორის ქვედა პორიზონტებს ალბათ მხოლოდ იმირის უკიდურესი ზედა ორი პორიზონტი თუ შეესაბამება.

უფრო განვითარებული ელემენტის არსებობა (მაგ., შეღებულ და ბრწყინვალედ გაპირალბებულ ზედაპირიანი კერამიკა, წვრილნახვრეტისანი ყური, ჯამსებური ჭურჭლის ფრაგმენტები, ყუნწიანი მახათები, ღარიანი ურო, ბორბლის მოდელი. ხარის ქანდაკება) გვაფიქრებინებს, რომ იგი, ყოველ შემთხვევაში, ის დონეები, საიდანაც ეს მასალა მომდინარეობს, ხრამის დიდ გორაკზე ცოტათი უფრო მოგვიანო უნდა იყოს.

შულავერის გორის, იმირის გორისა და ხრამის დიდი გორის მყარი სტრატოგრაფიის შედეგად გამოვლენილი განვითარების ხაზი არქიტექტურაში, ძვლის, რქისა თუ ქვის ნაწარმში და, განსაკუთრებით, კერამიკის ტექნოლოგიაში, ფორმებსა თუ ორნამენტაციაში საფუძველს გვაძლევს ქვემო ქართლის ძეგლების მაგალითზე შულავერ-შომუ-თეფეს კულტურაში განვითარების ხუთი საფეხური გამოვყოთ:

- I შულავერის გორის IX—IV საამშენებლო პერიოდები (იხ. ტაბ. 56);
- II. შულავერის გორის III—I და იმირის გორის VII—VI პერიოდები;
- III. იმირის გორის V პერიოდები;
- IV. იმირის გორის IV—I და ხრამის დიდი გორის I—IV პერიოდები;
- V. ხრამის დიდი გორის V—VII პერიოდები და არუხლო I ზედა დონეები<sup>5</sup>.

I საფეხურის შესატყვისი მასალები, კავკასიაში სხვაგან ჯერჯერობით არსად არ მოგვეპოვება. ამ საფეხურისათვის დამახასიათებელია წრიული ან ოვალური მოყვანილობის გუმბათური ნაგებობები, მეტად იშვიათი უხეშედამირიანი კერამიკა, რომლის მხოლოდ ერთეულ ფრაგმენტებს აქვს სველი ხელით მოგლუვებული ზედაპირი. მისი გამოწვა სუსტია, მურა-მოყავისფრო-მონაცრისფრო; ამ საფეხურის ჭურჭლის ფორმები მეტად მარტივია — კვერცხისებურტანიანი, პირმოყრილი ან ოდნავ პირგადაშლილი ქილები, რომელთაც მასიური, ნაპირებისაკენ მკვეთრად განზიდული ქუსლი აქვთ. ასეთი მასიური და მკვეთრად გამოყვანილქუსლიანი კერამიკა სხვა ძეგლებსა თუ კულტურებში ჩვენთვის უცნობია. ჭურჭლის ორნამენტაცია მხოლოდ პირის გასწვრივ დაძერწილი ერთეული ან წყვილი კონუსური კოპებიტაა წარმოდგენილი. თიხაში გასამკლევებლად შერეულია დანაყილი ბაზალტი ან ზეინქა, იშვიათად ქარსიც. როგორც უკვე იყო აღნიშნული, შულავერის გორის VI—IV პერიოდების ჭურჭელს მხოლოდ ზედაპირზე ეტყობა ბზის უმნიშვნელო მინარევი (III პერიოდებში კი კეტშიც შეიმჩნევა არაორგანულ მინარევთან ბზის კომბინაცია). აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ ცნობილ უადრეს ანატოლიურ კერამიკაზეც იმავე მოვლენას ვხვდებით — ჩათალ-ჰუიუკის X—IX საამშენებლო დონეებზე კერამიკის გასამკლევებლად გამოყენებულა სილა, ქარსი და ბზე. ეს უკანასკნელი ხშირად მხოლოდ ჭურჭლის ზედაპირზე ჩანს<sup>6</sup>.

<sup>5</sup> აღნიშნული დაყოფა ფაქტურად იმეორებს ჩვენ მიერ ადრე წამოყენებული პერიოდისაციის სქემას, მაგრამ უფრო დაკონკრეტებულია. ადრინდელი პერიოდისაციის I ეტაპს ამ ახალი სქემის მიხედვით შეესაბამება I- და II საფეხური, II ეტაპს — III და ნაწილობრივ IV საფეხური. III ეტაპს — ნაწილობრივ IV და მთლიანად V საფეხური — იხ. თ. კ. ი. ლ. უ. რ. ა. ძე, ქვემო ქართლის ადრესაინფანთომოქმედო ხანის ნამოსახლარების პერიოდისაციისათვის, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოს ისტორიის პრობლემებისადმი (მოსვენებათა შინაარსი), თბილისი, 1973, გვ. 11—12.

<sup>6</sup> J. Mellaart, Excavations at Catal hüyük, 1963, Third Preliminary Report, AS, XIV, 1964, გვ. 82—84; ჩათალ-ჰუიუკის ეს დონეები თარიღდება ძვ. წ. VII ათასწლეულის ბოლოთ.

საფეხური	ძეგლები	შუღავერის გორა	ბაღაჭრილი გორა	იბირის გორა	ღანგრელი გორა (ქაჯა ფანა)	ხრამის დიფი გორა	არეხლო I
V						VII VI V	
IV				I II III IV V	▨	IV III II I	
III				VI VII			
II		I II III	▨				
I		IV V VI VII VIII IX					

ქვემო ქართლის აღრესამიწათმოქმედო ძეგლების  
ქრონოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების სქემა

ძვლის ნაწარმი ამ საფეხურზე შედარებით მცირერიცხოვანია. ყველაზე გავრცელებულია მეტაპოლიებზე ნაკეთები სადგისები (უპირატესად შუაზე გაპობილ ძვალზე), რომელთაც ფართო ქრონოლოგიური და გეოგრაფიული გავრცელება აქვთ ნატუფიდან დაწყებული<sup>7</sup> ტრიპოლიეს კულტურით დამთავრებული<sup>8</sup>. მსგავსი იარაღები გვხვდება ჩვენი საკვლევი კულტურის ყველა მომდევნო საფეხურზე. ანალოგიური სადგისები მრავლად გვხვდება სამეღე კლდის მასალებშიც<sup>9</sup>; ჩანს აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ნეოლითში, კამენომოსტსკოეს მღვიმის ნეოლითურ ფენაში და აგრეთვე მაიკოპის კულტურაშიც<sup>10</sup>. ისინი გავრცელებულია შუა აზიაში — ჩეთუნის კულტურის სამივე ეტაპზე<sup>11</sup> და შემდგომ ეპოქაშიც<sup>12</sup>, ირანსა (სიალკი I,<sup>13</sup> დეჰ-ლურანის ძეგლები<sup>14</sup> და სხვ.) და ერაყში (ჯარმოს<sup>15</sup> და ჰასუნას<sup>16</sup> კულტურებში და სხვა), სირია-კილიკიის ნეოლითში (მერსინი<sup>17</sup>, ამუკის A და B ფაზაში<sup>18</sup>), ბეილაში<sup>19</sup>, ჰაჩილარში — უეკრამიკოდან I ფენამდე<sup>20</sup> და სხვა.

გარდა ამისა, ამ საფეხურზე ვხვდებით მრგვალფეროიან „ბიკონუსურ“ სადგისებს (ჩნდება შულავერის გორის VI პორიზონტიდან, რომელთაც არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად ისრისპირებსაც უწოდებენ<sup>21</sup>). იარაღის ეს ტიპი განაგრძობს არსებობას მომდევნო საფეხურებზეც. მრგვალფეროიანი სადგისები გვხვდება სამეღე კლდის მასალებშიც<sup>22</sup>. მსგავსივე იარაღები გვხვდე-

<sup>7</sup> იხ. R. J. Braidwood, *Prehistoric Men.*, Glenview, 1967, p.p. 104—105.

<sup>8</sup> С. Н. Бибиков, *Поселение Лука-Врублевская*, МИА, 38, М.—Л., 1953, ტაბ. 24, 25; Т. С. Пассек, *Раннеземледельческие (трипольские) племена Поднепровья*, МИА, 84, М., 1961, სურ. 9, 1; 2, 6, 7; სურ. 18, 14 და სხვ.

<sup>9</sup> გ. ჯავახიშვილი, ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ქვსპედიციის მიერ ქიათურის რაიონის სოფ. ქვემო ზოდში გამოქვამულ სამეღე კლდეში 1966 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები, სსპე, I, თბილისი, 1969, ტაბ. II, სურ. 2, ტაბ. IV—VI; Г. И. Джавахишвили, *К истории раннеземледельческой культуры Западного Закавказья*, автореферат, Тбилиси, 1971, ტაბ. II, 25, 26; III, 38—44; IV, 78—81.

<sup>10</sup> А. А. Формозов, *Каменный век и энеолит Прикубанья*, М., 1965, გვ. 56, სურ. 21, 7. გვ. 112, სურ. 55, 6, 9, 10.

<sup>11</sup> В. М. Массон, *Неолит Средней Азии, Каменный век на территории СССР*, МИА, 166, გვ. 107, სურ. 2.

<sup>12</sup> В. М. Массон, *Средняя Азия и Древний Восток*, სურ. 21.

<sup>13</sup> R. Ghirshman, *Fouilles de Sialk, v. I*, Paris, 1938, pl. VIII. 6; В. М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 44, სურ. 6.

<sup>14</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი.

<sup>15</sup> R. J. Braidwood; დასახ. ნაშრომი, გვ. 119; R. J. Braidwood, B. Howe, *Prehistoric Investigations in Iraqi Kurdistan*, SAOC № 31, Chicago, 1960, p. 46.

<sup>16</sup> R. J. Braidwood, *Prehistoric Men*, p. 123.

<sup>17</sup> J. Garstang, *Prehistoric Mersin*, Oxford, 1953, fig. 23.

<sup>18</sup> R. J. Braidwood and L. S. Braidwood, *Excavations in the Plain of Antioch, v. I*, Chicago, 1960, p. 65, fig. 38:1, p. 97, fig. 70 : 1, 2.

<sup>19</sup> D. Kirkbride, *Five Seasons at the Pre-Pottery Neolithic Village of Beidha in Jordan*, PEQ, 1966, jan.-june, fig. 6 : 4, 5, 7, 9, 13.

<sup>20</sup> J. Mellaart, *Excavations at Hacilar*, Edinburgh, 1970, v. I, p. 162.

<sup>21</sup> М. Фосс, *Древнейшая история севера Европейской части СССР*. МИА, 29, М., 1952, გვ. 48, სურ. 18—24; აქვეა მოცემული ამ ტიპის ანალოგიები ევროპაში.

<sup>22</sup> გ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. II, სურ. 2, ტაბ. IV—VI.



ბა ჰაჯილარის VI—II ფენებში<sup>23</sup>, ჰასუნას კულტურის ადრეულ ძეგლ მატარაში<sup>24</sup>.

წახანაგოვანღეროიანი საღვსები აქაც და საერთოდ სხვაგანაც მეტად იშვიათია.

ლულოვან ძვალზე ნაკეთები საპრიალებლები, რომლებიც ჩვენთან პირველად შულავერის გორის V ჰორიზონტში ჩნდება, საღვსების მსგავსად მრავალ კულტურაში გვხვდება, მაგრამ მათი გავრცელება როგორც ტერიტორიალურად, ისე ქრონოლოგიურად ბევრად უფრო შეზღუდულია. როგორც მთელ, ისე გაბობილ ლულოვან ძვალზე ნაკეთები საპრიალებლები განაგრძობს არსებობას საკვლევი კულტურის ყველა მომდევნო საფეხურზე. ამიერკავკასიის გარეთ გაუპობელ ლულოვან ძვალზე ნაკეთები საპრიალებლები გვხვდება ჩაალ-ჰეიუქში (V ფენიდან მოკიდებული)<sup>25</sup>, ჰასუნაში<sup>26</sup>; იშვიათად სხვაგანაც. გაბობილ ლულოვან ძვალზე ნაკეთები კი — ბეილაში<sup>27</sup>, მატარაში<sup>28</sup>, „უკრაინის ნეოლითში“ (გაიგორონოლიეოკი, სოკოლცი და სხვა)<sup>29</sup>.

ამ საფეხურზე დადასტურებული ლულოვან ძვალზე ნაკეთები „დანა-საპრიალებლები“ გვხვდება II და III საფეხურის მასალებშიც. წინა აზიის ანალოგიური იარაღები ჩანს ჯარმოში<sup>30</sup>, ჰაჯილარაში<sup>31</sup> და მატარაში<sup>32</sup>. მრგვალღეროიანი „დანა-საპრიალებელი“ კი ამ საფეხურის გარდა მხოლოდ II საფეხურზე ჩანს. მათ პარალელი ჰაჯილარის VI—II ფენებში ეძებნებათ<sup>33</sup>.

ძვლის კოვზი ამ საფეხურის გარდა გვხვდება II და III საფეხურის მასალებში (ი. ნარიმანოვი აღნიშნავს მათ არსებობას შომუ-თეფეზეც<sup>34</sup>). მათ ანალოგიები ეძებნებათ ჯარმოში<sup>35</sup>, ჩაალ-ჰეიუქში<sup>36</sup>, კარანოვო I, სტარჩევოში<sup>37</sup>.

მეტად იშვიათია ამ საფეხურზე ირმის რქის იარაღები. მათ შორის დამახასიათებელია ირმის რქის „თოხები“, ძირითადად, ფუძე-რქაზე ნაკეთები,

<sup>23</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, გვ. 162; v. II, fig. 184 : 13, 14.

<sup>24</sup> R. J. Braidwood, L. S. Braidwood, J. G. Smith, Ch. Leslie Malarrah, a Southern variant of the Hassunan Assemblage, JNES, v. XI, № 1, 1952, p. 22, fig. 21 : 1, pl. XII, 2, 3.

<sup>25</sup> J. Mellaart, Excavations at Catal Hüyük, AS, XIV, p. 100, fig. 42 : 8,9.

<sup>26</sup> S. Lloyd, F. Safar, დასახ. ნაშრომი, pl. X, 2.

<sup>27</sup> D. Kirkbride, დასახ. ნაშრომი, fig. 6 : 1.

<sup>28</sup> R. J. Braidwood at al., Matarrah, p. 23, fig. 21 14, pl. XII, 6, 7.

<sup>29</sup> В. Н. Даниленко, Неолит Украины, Киев, 1969, სურ. 62, 6,7 — ამ იარაღებს ე. დანილენკო სატეხებს უწოდებს.

<sup>30</sup> R. J. Braidwood, Prehistoric Men, სურათი 119 გვერდზე; R. J. Braidwood, B. Howe, დასახ. ნაშრომი, pl. 21 : 7.

<sup>31</sup> J. Mellaart, Excavations at Hacilar, v. I. გვ. 162, v. II, fig. 184 11— ყ. მე-ლაარტი მათ საღვსებთან ერთად.

<sup>32</sup> R. J. Braidwood at al., Matarrah, გვ. 22, 23; fig. 21 : 7, pl. XII, 6.

<sup>33</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, v. I, გვ. 162; v. II, fig. 184 : 12, 15.

<sup>34</sup> И. Г. Нариманов, Археологические исследования поселения Шомуте в 1963 г., გვ. 47.

<sup>35</sup> R. J. Braidwood, Prehistoric..., გვ. 119 (სურათი); R. J. Braidwood, B. Howe, დასახ. ნაშრომი, გვ. 46, pl. 21 : 8.

<sup>36</sup> J. Mellaart, Excavations at Catal Hüyük, AS, XIV, გვ. 103, fig. 43 : 13, 14.

<sup>37</sup> А. Л. Монгайт, Археология Западной Европы, М., 1973, გვ. 208 (სურათი), გვ. 212 (სურათი).

რომელთაც სატარე ნახერტი არ გააჩნია. მსგავსი იარაღები ჩვენს კულტურაში მხოლოდ მოძღვენო საფეხურზე განავრცობს არსებობას. მათ არცთუ ისე შორეული პარალელები მოეძებნებათ სამხრეთ კასპისზღვისპირეთში — ბელტუს გაპოქეპოლის აღრე და ვეიანმეზოლითურ ფენებში (27-ე და მე-13 ფენები)<sup>38</sup>.

მხოლოდ ამ საფეხურზე გვხვდება ირმის რქის „კვერთხ-მუფტები“, რომელთაც ჩვენს კულტურაში პარალელი არ მოეძებნებათ. მეტ-ნაკლებად მსგავსი იარაღი ნაპოვნია პაჩილარის VI ფენაში, გამქოლ ნახერტში ჩასმული ქვის ცულითურთ<sup>39</sup>. მეტად ზოგადად, ჩვენი იარაღები კონსტრუქციული გადაწყვეტილ ლინგების ტიპის ცულებსაც მოგვაგონებს<sup>40</sup>. მსგავსი იარაღი გამოქვეყნებული აქვს ვ. დანილენკოსაც მიტეოვოსტროვიდან<sup>41</sup>.

ამ საფეხურის ნატყეცი ქვის ინვენტარი წარმოდგენილია დიდი ზომის წაგრძელებული ლამელებით და ძირითადად მათზე ნაკეთები იარაღებით, რომელთა დახასიათებაზეც აქ აღარ შევჩერდებით. როგორც აღნიშნული იყო, ამ საფეხურისათვის დამახასიათებელია არგილიტის მასიური, ოვალური მოყვანილობის სახოკები, რომლებიც შემდეგ საფეხურზე აღარ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით შულავერის გორის III პორიზონტს. ამავე საფეხურისთვისაა დამახასიათებელი უხეში, ორმხრივდამუშავებული საჩხე-საპოში იარაღების სიმრავლაც, იმ დროს როცა გახეხილ-გაპრიალეებული იარაღი მხოლოდ ერთი ცალია.

ორიოდე სიტყვით შევჩერდებით ხელსაფქვავებზე. აქაური ქვედა ქვეები ყველა „ვარცლისებურ“ სამუშაოზედაპირიანია. ამ ფორმის ქვედა ქვეები ქვემო ქართლში ყველა საფეხურის მასალაში გვხვდება (III საფეხურიდან სხვა ტიპის ხელსაფქვავებთან თანაარსებობს). მსგავსივე ქვედა ქვეები გავრცელებული ჩანს დასავლეთ საქართველოს ნეოლითში (ოდიში)<sup>42</sup> და სამელე კლდეში, ოღონდ ბევრად მცირე ზომისა; კავკასიის გარეთ მათ პარალელი მოეძებნებათ დეპლურანში — ალი კოშის წინაკერამიკულ ფაზაში მცირე რაოდენობითაა, მაგრამ დამახასიათებელია ამავე რაიონის უადრესი კერამიკული, ე.წ. მოპამად-ჯაფარის ფაზისათვის<sup>43</sup>, მსგავსივე ხელსაფქვავეები ჩანს გავრცელებული პასუნა Ia-ში<sup>44</sup> და ბელტის კერამიკულ ნეოლითში (მე-2 ფენაში<sup>45</sup>). მსგავსივე, ყველა

<sup>38</sup> C. S. Coon. Cave Explorations in Iran, 1949; Philadelphia, 1951, გვ. 74, pl. IX, 7-9; კარლტონ კუნი მათ სატყეხად მიიჩნევს.

<sup>39</sup> J. Mellaart, Excavations at Hacilar, v. I, გვ. 161, v. II, fig. 171.

<sup>40</sup> В. Г. Ч а й л ь д, У истоков европейской цивилизации, გვ. 33, სურ. 21. А. Л. М о н г а й т, დასახ. ნაშრომი, გვ. 184, იხ. სქოლიო 23 193-ე გვერდზე, ლინგები მეზოლითურ კულტურა ჩრდ. ევროპაში, თარიღება ზოგადად VII-VI ათასწლ. ძვ. წ. (იქვე, გვ. 175).

<sup>41</sup> В. Н. Д а н и л е н к о, დასახ. ნაშრომი, გვ. 76, სურ. 31, 3.

<sup>42</sup> ანალოგიური ხელსაფქვავეის ფრაგმენტი ოდიშიდან ექსპონირებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამოფენაზე.

<sup>43</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, გვ. 171, fig. 74: c, d; შევნიშნავთ, რომ ავტორები დეპლურანის ალი-კოშის ფაზას ათარიღებენ ძვ. წ. 6750-6000 წლებით, ხოლო მოპამად-ჯაფარის ფაზას — ძვ. წ. 6000-5600 წლებით. იგივე ავტორები პარალელს ქარშოში უთითებენ (იქვე, გვ. 176), მაგრამ ქარშოს ხელსაფქვავეი რამდენიმე განსხვავებული ფორმისაა, თითქმის მრგვალია — იხ. R. J. Braidwood, B. Howe, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 20 : 1.

<sup>44</sup> S. Lloyd, F. Safar, დასახ. ნაშრომი, იხ. ტაბ. IX, I.

<sup>45</sup> C. S. Coon, დასახ. ნაშრომი, გვ. 75, ტაბ. XIV, 3; აღსანიშნავია, რომ ბელტისა და დეპლურანის ხელსაფქვავეზე, ისევე როგორც ქვემო ქართლში აღმოჩენილუბზე. სპირალ შეიძინევა ოქრის დამუშავების კვალი.

მხრიდან ჩაღრმავებული ხელსაფქვევები, ოღონდ განსხვავებული ფორმისა, ჩანს ბუგ-დნესტრის ნეოლითშიც<sup>46</sup>.

ამ ხელსაფქვევების შესაბამისი კურანტები ორნაირია — ცალმხრივი (ძირბრტყელი — ამოზურგული) და ორმხრივი (ოვალურგანივკეთიანი). კურანტების ორივე ტიპი შემდგომ საფეხურებზეც განაგრძობს არსებობას, ოღონდ საგრძნობლად იცვლება მათი ფორმა და ზოგები. აღსანიშნავია, რომ პირველი ტიპის კურანტებს პარალელი აგრეთვე დეპ-ლურანში — ალი-კოშისა და მოჰამად-ჯაფარის ფაზებში ეძებნება<sup>47</sup>.

ოვალური მოყვანილობის მასიური ქვები, შუაში ფართო ნახვრეტით — „საჩიჩქნე: კონის დასამძიმებელი“ ჩვენთან გვხვდება მხოლოდ I და II საუკუნურზე. მსგავსი ქვები ნაპოვნია ჰასუნა Ia-ში<sup>48</sup>, ბელტის გამოქვაბულის კერამიკულ ფენებში (მე-7 და B)<sup>49</sup> და სხვ<sup>50</sup>.

აღსანიშნავია ჩვენი კულტურის I საფეხურზე აღმოჩენილი ლაბტისთავის ფრაკტენტი (პულაყის გორის IV პორიზონტში). ლაბტისთავები II გარდა, ამ კულტურის ყველა პონდევრო საფეხურზე გვხვდება. აღრეული ლაბტისთავები ცნობილია ჰაილარის VI და II—I ფენებიდან<sup>51</sup>.

შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის განვითარების II საფეხურს მივაკუთვნებთ შულავერის გორის III—I, იმირის გორის VII—VI პორიზონტებსა და გადაჭრილ გორას (ტაბ. 57).

ამ საფეხურზე განაგრძობს არსებობას ტრადიციული კერამიკული ნაწარმი, მაგრამ მასთან ერთად ჩნდება მოვარდისფროდ გამოშვარი ქურჭელი საყნაოდ კარგად მოგლუვებული, ზოგჯერ სუსტად გაპირალებული ზედაპირით. I საუკუნურისაგან განსხვავებით სიახლეს წარმოადგენს მცირერიცხოვანი ბზენარევი ქურჭლის გაჩენა, აგრეთვე ქურჭლის ძირებზე ლაბტის სპირალური ანაბეჭდი. ამ საფეხურის ბოლოს კი შულავერის გორის I პორიზონტში ჩნდება ერთეული ფრაგმენტები შედარებით თხელკეციაანი, მოვარდისფროდ გამოშვარი, ზედაპირ და შიდაპირგაპირალებული კერამიკისა და აგრეთვე ზოგიერთი ახალი ფორმა. ქურჭლის ძირების უმეტესობა წრიული მოყვანილობისაა და მასიურ მკვეთრად გამოყვანილქუსლიანია, თუმცა ამ საფეხურის ბოლოს ჩნდება უქუსლო და დაკუთხული ძირები (ოითო შემთხვევა).

მთავარი განმსაზღვრელი კი ამ საფეხურისათვის ის არის, რომ აქ ჩნდება ქურჭლის შემკობის ახალი წესი — ქდეული ორნამენტაცია, რომელიც რელიეფურთან თანაარსებობს. რელიეფური ორნამენტი, ტრადიციულად, მხოლოდ პირის გასწვრივ ერთიგად დაძერწილი კოპებითაა წარმოდგენილი და მხოლოდ პირმოყრილ ქურჭლებს ახასიათებს, ქდეული კი გვხვდება როგორც პირმოყრილ, ისე პირგადაშლილ ქურჭლებზე. ქდეული ორნამენტით შეკუთვლია ზოგიერთი ქურჭლის პირი ან მხარი, ზოგჯერ კი ორივე. პირი დაქდეული აქვს როგორც პირმოყრილ, ისე პირგადაშლილ ქურჭლებს, ხოლო მხარზე დატანილი ქდეული ორნამენტი აღნიშნულია მხოლოდ პირგადაშლილ ქურჭ-

<sup>46</sup> В. Н. Даннленко, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 162, სურ. 129 : 45, 132 8, 10—14.

<sup>47</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 182, fig. 78 q, r.

<sup>48</sup> S. Lloyd, F. Safar, *დასახ. ნაშრომი*, ტაბ. IX, 1.

<sup>49</sup> C. S. Coon, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 75, 76, ტაბ. XV, 1, 3.

<sup>50</sup> Г. Ч а й л ь д. Прогресс и археология, М., 1949, г. 47, 48.

<sup>51</sup> J. Mellaart, *Excavations at Hacilar, v. II, fig. 172 : 1—4.*

ლებზე — ძირითადად გვხვდება ვერტიკალურად განლაგებული „თევზიფხუ-რი“ სახეები; უფრო იშვიათია ტეხილხაზოვანი გეომეტრიული ორნამენტი ან ვერტიკალური ტალღისებური ხაზები. ზოგიერთ ფრაგმენტზე ჩანს თიქოს სხვა სახის ქდული ორნამენტაციაც, მაგრამ ფრაგმენტების სიმცირის გამო კირს მათი განსაზღვრა.

ქდული ორნამენტი ჩვენს კულტურაში მხოლოდ ამ საფეხურზეა გავრცელებული (თუ არ ჩავთვლით მხოლოდ პირდაპლედული ქურქლის თითო ფრაგმენტის აღმოჩენას იმირის გორის არაატრიატიფიცირებულ ფენებსა და დანგრეულ გორაზე). ეს ფრიად საინტერესო მოვლენაა, რადგანაც ამგვარი ორნამენტაცია ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებზე (ანასეული II, ოდიში) და ჩვენი საკვლევი კულტურის ამ საფეხურს გარკვეულად აახლოებს მათთან.

პირდაპლედული ქურქელი მრავლადაა ანასეული II<sup>52</sup> და ოდიშის<sup>53</sup> კერამიკაში. აქვე ფართოდაა გავრცელებული კორპუსზე დატანილი „წიწვოვანი“ თუ „თავთავისებური“ სახეები, რომლებიც ხშირად ვერტიკალურადაა განლაგებული<sup>54</sup>, და ჰორიზონტალურ, იშვიათად ვერტიკალურ ზოლებად დატანილი ტეხილხაზოვანი ორნამენტი<sup>55</sup>. როგორც ლ. ნებიერიძე აღნიშნავს, მხარზე დატანილი ქდული ორნამენტი ძირითადად პირდაპლედულ ქურქლებზე შეინიშნება<sup>56</sup>. ანასეულ II ვხვდებით ვერტიკალურად დატანილ ტალღისებურ ზოლებსაც<sup>57</sup>.

ამავე ძეგლებზე (ოდიში და ანასეული II) გვხვდება კონუსური კოპებიც<sup>58</sup>, რითაც აგრეთვე აქაური კერამიკა უკავშირდება ჩვენს ძეგლებს. როგორც ლ. ნებიერიძე აღნიშნავს, კოპები გვხვდება სრულიად სადა ფრაგმენტებზეც<sup>59</sup>, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი კულტურისათვის. გარდა აღნიშნულისა, ანასეული II და ოდიშის კერამიკაში შეინიშნება ისეთი რელიეფური მინაძერწვები, რომელიც ჩვენს ძეგლებზე III და შემდგომ საფეხურებზე გვხვდება<sup>60</sup>, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

პირდაპლედული ქურქლები დამახასიათებელია სამეღე კლდის სხვადასხვა ფენის მასალებისათვის<sup>61</sup>.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებზე, ქვედა შილოვკაში, რომლის კერამიკისათვის ორნამენტი სრულიად უცნობა, ჩვენს

<sup>52</sup> ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 43, 47, ტაბ. XX, 1—8.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 56, ტაბ. XXXV, 2; XXXVI, 1, 2, 3, 6, 7, 9.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 43, ტაბ. XIX, 9; XX, 1, 3; XXI, 3—7, 11, 12, 14; გვ. 56, ტაბ. XXXV, 6—10.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 44, 56, ტაბ. XXII, 6—8; А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, 102, М., 1962, გვ. 125, სურ. 14:3, 4; ეს უკანასკნელი ახლო მსგავსებას იჩენს ვადაქრილი გორის ორნამენტირებულ ფრაგმენტთან, იხ. ტაბ. 45:20.

<sup>56</sup> ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 44, ტაბ. XXII, 3—5; შდრ. შულაერის გორის ანალოგიური ორნამენტი, ტ. XII, 2.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 44, 45, ტაბ. XXII, 1, 5.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 44.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 44, 45; ტაბ. XXII, 9, 11, 12; ტაბ. XXXVI, 10.

<sup>61</sup> გ. ჯივანაშვილი, დასავლეთ ამიერკავკასიის აღრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1971, სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაბეჭდი), ტაბ. VII, VIII.

კულტურის I და II საფეხურის მსგავსად, გვხვდება მხოლოდ მცირედპირმოყ-  
რალი ან ოდნავ პირგადაშლილი ჭურჭლები, მაგრამ ჩვენი ამ საფეხურების კე-  
რამიკისაგან განსხვავებით აქაურ ჭურჭლებს ნაკლებად მასიური და სუსტად  
გამოყვანილქუსლიანი ძირები აქვს<sup>62</sup>.

წინა აზიის ძეგლებზე კდელული ორნამენტი დამახასიათებელია ჰასუნას  
კულტურისათვის, მაგრამ ჩვენ მასალებთან, ისევე როგორც დას. ამიერკავკა-  
სის ნეოლითის კდელულ ორნამენტთან მისი შედარება მხოლოდ მეტად ზოგა-  
დი ზანიათისაა, შეიძლება ითქვას, რომ არც შეიძლება, რადგანაც ჰასუნის კე-  
რამიკის შემკულობა კდელული კი არა, ძალიან წმინდა ნაკაწრი ზოლებისაგან  
შედგება. ჰასუნაში ვხვდებით „წიწვოვან“ თუ „თევზიფხურ“ სახეებს<sup>63</sup>, მა-  
ტარასა და იარიმ-თეფე I-ში — ვერტიკალურ ტალღისებურ ზოლებს<sup>64</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის II საფეხურზე  
ვხვდებით პირველად ნამჭანარევე კერამიკას, რომლის წილიც ქვემო ქართლის  
ძეგლების კერამიკის საერთო მასაში III და IV საფეხურებზე საგრძნობლად  
მატულობს, ხოლო V საფეხურზე ისევ მცირდება. ამასთან დაკავშირებით გვინ-  
და აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ნამჭი-  
ანა კერამიკა დამახასიათებელია ირანული წრისათვის და მისი გავრცელება  
დასავლეთით აღმოსავლურ გავლენებს უკავშირდება<sup>65</sup>, მართებული არ არის.  
ამას გვეჯანტყრება ნამჭანარევე კერამიკის გავრცელება წინა აზიის უკვე აღ-  
რეულ კულტურაში — იგი გვხვდება ჯარმოსში, ალი აგპაში<sup>66</sup>, ჰასუნა I ა  
დონეზე, იერიქონის IX ფენის მე-2 სტადიაში<sup>67</sup>, მატარაში<sup>68</sup>, საქჩე-გიოზუს  
უძველეს, წ-ნაპალაფურ პერიოდში<sup>69</sup>, იშვიათად ჩანს აქვე — II პერიოდში<sup>70</sup>,  
სერიკის ობეიდურ ნაწარმში<sup>71</sup>, ბიბლოსში და ამუქ A-ში<sup>72</sup>, და სხვ. ნამჭანა-  
რევე კერამიკა ჩანს ევროპაშიც ნეოლითურ ძეგლებზე, მაგ., სტარჩენო-კო-  
როშის კულტურაში<sup>73</sup>, ბულგარეთში, ე. წ. „ზლატარსკის კულტურაში“<sup>74</sup> და  
სხვა.

<sup>62</sup> A. A. Формозов, დასახ. ნაშრომი, სურ. 27; ა. ფორმოზოვის აზრით, ქვედა ში-  
ლოკია უფრო ადრეული ძეგლი უნდა იყოს, ვიდრე ოღმიოა. გვ. 147.

<sup>63</sup> S. Lloyd, F. Safar, დასახ. ნაშრომი, fig. 3, 1; 4:2, 3, 6, 7; 10: 1, 5, 7, 9,  
11, 12.

<sup>64</sup> R. J. Braidwood at al., Matarrah, fig. 8: 5. pl. VI, 5; Н. Я. Мер-  
перт, Р. М. Мунчаев, Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии,  
СА, 1971, № 3, გვ. 157.

<sup>65</sup> A. A. Иессен, Кавказ и Древний Восток..., გვ. 13; Т. Н. Чубнишви-  
ли, К. X. Кушнарєва. Новые материалы..., გვ. 360.

<sup>66</sup> J. Mellaart, Earliest Civilizations of the Near East, London, 1965, გვ. 50. აბ.  
F. A. Matson. Specialized Ceramic Studies; R. J. Braidwood, B. Howe,  
დასახ. ნაშრ., გვ. 64—66.

<sup>67</sup> S. Lloyd, F. Safar, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

<sup>68</sup> R. J. Braidwood at al. დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

<sup>69</sup> J. Plat Taylor, M. V. Seton Williams, J. Waechter, The Exca-  
vations at Sakce Gözü, «Iraq», v. XII, part 2, 1950, p. 83, 84.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 95.

<sup>71</sup> Joan Oates, Prehistoric Investigations near Mandali, Iraq, «Iraq», v. XXX,  
part 1, 1968, p. 17—20.

<sup>72</sup> J. Mellaart, Earliest Civilizations..., p. 59, 60.

<sup>73</sup> A. Л. Монгайт, დასახ. ნაშრომი, გვ. 208; Г. Б. Федоров, Л. Л. По-  
левой, Археология Румынии, М., 1973, გვ. 37.

<sup>74</sup> X. Тодорова, Новая культура среднего неолита в Северо-Восточной Болга-  
рии, СА, 1973, № 4, გვ. 29.

ძვლის ნაწარმი ამ საფეხურზეც ძირითადად I საფეხურისათვის დამახასიათებელი იარაღებითაა წარმოდგენილი. გვხვდება მეტაპოლიაზე ნაკეთები, მრგვალფორიანი („ბიკონუსური“), წახნაგოვანფორიანი და მასიური ატიპური სადგისები. გვხვდება როგორც გაუპოხელ, ისე გამოხილ ლულოვან ძვალზე ნაკეთები საპრიალებლები, ლულოვან ძვალზე ნაკეთები და მრგვალფორიანი „დანასაპრიალებლები“ და კოვზის ფრაგმენტი. მაგრამ აქ ჩნდება იარაღთა ზოგი. ახალი კატეგორიაც. ასეთებია მსხვილფეხა საქონლის ნეკნის ძვალზე ნაკეთები საპრიალებლები, რომლებიც იმირის გორის ზედა პორიზონტებშიც (IV საფეხური) გვხვდება. მსგავსი იარაღები ჩათალ ჰუიუკშიც ლულოვან ძვალზე ნაკეთებ საპრიალებლებზე უფრო გვიან ჩნდება, ძეგლის ზედა ფენებში<sup>75</sup>. თუმცა ანალოგიური იარაღები ბეიდაშიცაა აღმოჩენილი<sup>76</sup>. მსგავსივე იარაღები ნაპოვნია მატარაშიც<sup>77</sup>, მაგრამ აქ და ჰასუნაში ნაპოვნი საპრიალებლები უფრო მეტად ჰგავს ჩვენთან მომდევნო ორ საფეხურზე გავრცელებულ ანალოგიურ იარაღებს (იხ. ქვემოთ).

ახალი ტიპია აგრეთვე, მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლის ქედზე ნაკეთები საპრიალებლები, რომლებიც მომდევნო ორ საფეხურზეც განაგრძობს არსებობას. ამ ტიპის იარაღები თითქოს მხოლოდ იმირის გორისათვის ჩანს დამახასიათებელი, მათი პარალელები ჩვენთვის უცნობია.

ამ საფეხურზე ჩნდება და მომდევნო ორზეც (ე. ი. III და IV) განაგრძობს არსებობას თხელფირფიტოვანი საპრიალებლები. მათ ანალოგიები ეძებნებათ ჩათალ ჰუიუკის ზედა ფენაში<sup>78</sup> და ჰასუნაში<sup>79</sup>.

ამ საფეხურზე ვხვდებით პირველად, აგრეთვე, თხელფირფიტოვან ძვალზე ნაკეთებ „დანისებურ“ ნივთებსაც, რომლებიც დამახასიათებელია აგრეთვე III და IV საფეხურის მასალებისათვის. მათი ზუსტი ანალოგიები ჩვენთვის უცნობია. წინა აზიის ძეგლებზე ისინი ზოგადად შეიძლება შეუდარდეს ჩათალ ჰუიუკისა<sup>80</sup> და ჰაჯილარის<sup>81</sup> ზოგიერთ ნივთს.

ძვლის იარაღთა კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც ამ საფეხურზე ჩნდება, არის „ისრისპირები“, რომელთა ერთი ვარიანტი, ე. წ. „ოვალურთავიანი“ მხოლოდ ამ საფეხურზე გვხვდება, მეორე — „რომბულთავიანი“ კი ყველა მომდევნო საფეხურზეა მეტ-ნაკლებად დადასტურებული. მათი ზუსტი ანალოგიები ჩვენთვის უცნობია. ეთნოგრაფიული მონაცემებით, მსგავსი ნივთები წვნას უკავშირდება<sup>82</sup>.

აქვე არის ერთი ეშვის „საკიდი“, ოთხკუთხა მოყვანილობისა, რომელსაც ცალ ბოლოში ორი ნახვრეტი აქვს, მეორეში კი — მხოლოდ ერთი. დეკლურანში გამოხილი და გაპრიალებული ტახის ეშვისაგან ნაკეთები, ცალ ან ორივე ბოლოში ნახვრეტილი საკიდები გავრცელებულია მხოლოდ უკერამიკო —

<sup>75</sup> J. Mellaart, Excavations at Catal Hüyük. AS. XIV, გვ. 100, fig. 42, 12, 13, 17, 18.

<sup>76</sup> D. Kirkbride, დასახ. ნაშრომი, fig. 6, 10, 11.

<sup>77</sup> R. Braidwood et al., Matarrah, გვ. 23, pl. XII, 8.

<sup>78</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, გვ. 100, fig. 42, 10, 11.

<sup>79</sup> S. Lloyd, F. Safar, დასახ. ნაშრომი, pl. X, 2.

<sup>80</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, გვ. 100, f. 43 : 16.

<sup>81</sup> J. Mellaart, Excavations at Hacilar, v. I, გვ. 162, 163, v. II, fig. 183:1, 184:4, 5, 6; 185:8, 9.

<sup>82</sup> Ю. Липс, Происхождение вещей, М., 1954, სურ. 133-ე გვერდზე.

ბა'ს მორდექისა და ადრე ალიკოშის ფაზაში. ალიკოშის ფაზაში ნაპოვნ ერთ ამგვარ საკიდს შულაერულის მსგავსად ცალ ბოლოში ორი, მოპირდაპირე მხარეს კი ერთი ნახვრეტი აქვს<sup>83</sup>. მსგავსი ნივთი ჩანს პაჯილარ I<sup>84</sup>.

II საფეხურის რქის იარაღებს შორის, წინა საფეხურზე გავრცელებული ანალოგიური თოხების გვერდით ჩნდება ახალი იარაღი — მრგვალ, გამჭოლ-საჭარუნენაპრეტიაინი „უტულის“ ფრაგმენტი. „უტულები“ განაგრძობს არაებობას ყველა მომდევნო საფეხურზე, მეტ-ნაკლებად სახეშეცვლილი ფორმით. წინა აზიის ძეგლებში მათი ანალოგიები უცნობია (სხვა პარალელების შესახებ იხ. ქვემოთ).

მოკლედ შევჩერდებით ამ საფეხურის ნატეკეა ქვის მასალის დახასიათებაზე; თუ არ ჩავთვლით იარაღთა ორ ტიპს — არგილიტის მასიურ, ოვალურ სახოკებს, რომლებიც მხოლოდ I საფეხურზე გვხვდებოდა და ე. წ. „შომუ-თეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართებს, რომელსაც მხოლოდ III—V საფეხურზე გვხვდებით, მთლიანად კულტურაში ერთი სახის ქვის ინდუსტრიაა წარმოდგენილი, II საფეხურის მასალებში კი ყველაზე ნათლად ჩანს მისი დამახასიათებელი ნიშნები. აქ ჩვენ ვხვდებით მკვეთრად გამოსახულ ლამელარულ ტექნიკას, რომლისთვისაც ძირითადია წაგრძელებული მოყვანილობის ფართო ლამელები — „მიკროლამელები“ და მათზე ნაკეთები იარაღები. მიკროლამელები იშვიათია. ძირითადად გავრცელებულია წესიერი, კონუსური მოყვანილობის ნუკლეუსები, მეტად სიმეტრიული და თანაზომიერი წახნაგებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ირგვლივ დამუშავებულია. აქვეა ერთეული დისკოსებური ნუკლეუსებიც. იარაღებიდან ყველაზე მრავალადაა სხვადასხვა ტიპის საჭრისები, შემდეგ მოდის საფხეკები (რომლებიც ხშირად დაუდევრადაა დამუშავებული), სახოკები, რომელთა შორისაც ჭარბობს ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ნუკლეუსისებური იარაღები (უმეტესად კარგად დამუშავებული მსხვილფაფცტიანი რეტუსით), ხოწები ანუ სათლელისებური იარაღები და ბურლები თუ სახვრეტები. კულტურის განვითარებასთან ერთად ბურლების და განსაკუთრებით კი ხოწების პროცენტული რაოდენობა იზრდება, ისევე როგორც ნამგლის ჩასართებისა, სხვა იარაღთა პროცენტი კი მცირდება. ნუკლეუსისებური სახოკები, ესოდენ დამახასიათებელი პირველი სამი საფეხურისათვის, მეოთხეზე საგრძნობლად კლებულობს, ხოლო V საფეხურზე საერთოდ არ გვხვდება. ასევე საგრძნობია ლამელებსა და ანატეკეებს შორის არსებული შეფარდების შეცვლა: თუ პირველ სამ საფეხურზე ლამელები შესამჩნევად ჭარბობს ანატეკებს, IV საფეხურზე თითქმის თანაბრდება, ხოლო V საფეხურზე ანატეკების რაოდენობა ჭარბობს ლამელებისას.

მიკროლითური ტექნიკა ჩვენი კულტურისათვის დამახასიათებელი არ არის, საერთოდ არ ჩანს გეომეტრიული ფორმის მიკროლითები პირველ სამ საფეხურზე; IV საფეხურზე — იმირის გორის ზედა ჰორიზონტებში — ჩნდება ერთადერთი ტრაპეცია, ხოლო V საფეხურზე — ასევე ერთეული ტრაპეციები და სეგმენტები. თუ რით შეიძლება იყოს გამოწვეული ამგვარი ვითარება, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ წინასწარ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ წინა აზიის ძალიან ბევრ ადრეულ ძეგლზე, მათ შორის უკერამიკო ნეო-

<sup>83</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, გვ. 233, სურ. 100:a.

<sup>84</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, v. I. გვ. 163; v. II, fig. 185. 10.

ლეთისაზეც, ვხვდებით ანალოგიურ სურათს — ფართოდაა გავრცელებული „მაკროლამენტები“ და მათზე ნაკეთები იარაღები და სრულებით ან თითქმის არ ვხვდებოდა გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. ასეთებია: ბეიდა<sup>85</sup>, იერიქონის უკერამიკო ნეოლითი<sup>86</sup>, ჰაგილარი უკერამიკოდან I ფენამდე<sup>87</sup>, ჩათალ-ჰუეჯი (ყველა ფენა)<sup>88</sup>, აშიკლი ჰეიუკი და ისი მსგავსი ძეგლები ცენტრალურ ანატოლიაში<sup>89</sup>, ჩაიონუ-თეფესი სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში<sup>90</sup>, დეჰლუ-რანის ძეგლები ირანში<sup>91</sup> და სხვ.

აქ მხოლოდ რამდენიმე საინტერესო მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას. ამ საფეხურის ერთ-ერთი ნუკლეუსი (შულავერის გორის I ჰორიზონტიდან) საოცრად ჰგავს ეძანის (ბარჰაქსისის) ერთ ნუკლეუსს, ხოლო რამდენიმე ნუკლეუსი იმირის გორის № 8 ნაგებობიდან ძალიან ახლო ანალოგიას ნახულობს ჩათალ ჰეიუკის V ფენაში, № 7 ნაგებობაში ნაპოვნ ნუკლეუსებთან — ოგორი დამუშავების ტექნიკით (რომზადება სწორი წაგრძელებული ლამელების მისაღებად; მართებულად ან თითქმის მართებულად განლაგებულ დარტყმის შიდადნას შესწორება თხელი ფირფიტების ატყევის საშუალებით). ისევე ფორმა-მოყვანილობითა და ზომებით. ჩათალ ჰეიუკის ნუკლეუსების ზომები ასეთია: 1. 11,8×3,5 სმ; 2. 12,1×3,2 სმ; 3. 10,9×3,3 სმ<sup>92</sup>; იმირის გორის შესაბამის ნუკლეუსთა ზომები: 1. 11,7×3,6 სმ; 2. 12,4×3,1 სმ; 3. 9,0×3,4 სმ.

მსგავსივე, დიდი ზომის ნუკლეუსები გვხვდება თეფე ალი-კოშის, უკერამიკო ალი-კოშის ფაზაში, მცირე ზომის კონუსურ და ფანქრისებურ ნუკლეუსებთან ერთად<sup>93</sup>. რამდენადმე მსგავსი ნუკლეუსები აღმოჩენილია ჰაჯალარის VI ფენაში<sup>94</sup>.

<sup>85</sup> D. Kirkbride, დასახ. ნაშრომი.

<sup>86</sup> D. Kirkbride, A Brief Report on the Pre-Pottery Flint Cultures of Jericho, PEQ. 1960, July-Dec., p. 116—119.

<sup>87</sup> Peder Mortensen, Chipped Stone Industry, იხ. თავი 9 ქ. მელაარტის წიგნი «Excavations at Hacilar», v. I, p. 153—157.

<sup>88</sup> P. A. Bialor, The chipped Stone Industry of Catal Hüyük, AS, XII, 1962, p. 67—110. J. Mellaart, Excavations at Catal Hüyük, AS, XIV, pp. 103—111.

<sup>89</sup> J. Todd, Aşikli Hüyük. A Protoneolithic Site in Central Anatolia, AS, XVI, 1966; J. Todd, The Neolithic Period in Central Anatolia, Copy of a paper presented to the VIII Congrès International Des Sciences Pre- et Protohistoriques, Beograd, Septemb., 1971; აშიკლი ჰეიუკის რადიოკარბონული თარიღები (5 განსაზღვრა) ძვ. წ. VIII ათასწლ. ბოლოსა და VII ათასწლეულის I ნახევარს შორის მერყეობს — იხ. Ian A. Todd, The Dating of Aşikli Hüyük in Central Anatolia, AJA, 1968, (72), p. 157—158.

<sup>90</sup> R. J. Braidwood, H. Cambel, Ch. L. Redman, P. J. Watson, Beginings of Village-Farming Communities in Southeastern Turkey, Proceeding of Natural Academy of Science, USA, 69, № 6, 1971; გვ. 1236—1240; ძვ. წ. VIII—VII ათასწლეულთა მიჯნით დათარიღებულ უკერამიკო ნეოლითის ამ ძეგლზე ცოცხალი ნაქვდი სპილენძის ნივთებიცაა აღმოჩენილი.

<sup>91</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, იხ. ცხრილი, 4, 5. გვ. 83, 84.

<sup>92</sup> იხ. P. A. Bialor, დასახ. ნაშრომი, გვ. 86, fig. 4 1—4.

<sup>93</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, გვ. 94, სურ. 34: a, b; აღსანიშნავია, რომ დეჰლუ-რანში, ალი-კოშის წინაუკერამიკულ ფაზაშიც არის აღმოჩენილი სპილენძის მძივი — იხ. აგრეთვე ი. ზაღნეპროვსკის რეკონსტრუქციის აღნიშნულ ნაშრომზე. CA, 1973, № 4, გვ. 284, სადაც ი. ზაღნეპროვსკი წერს, რომ ალი-კოშის ფაზაში აღმოჩენილი ეს მძივი „სოფლიოში უძველესი ლითონის ნივთია“, რაც, თუ გაითვალისწინებთ ჩაიონუ-თეფესის აღმოჩენებს, ცოცხალი ნივთებიცაა აღმოჩენილი.

<sup>94</sup> J. Mellaart, Excavations at Hacilar, v. I, p. 154, v. II, fig. 167: d, e.



დეპ-ლურანის ძეგლებზე, როგორც გამთხრელები აღნიშნავენ, ბას მორ-დეპის, ალი-კოშისა და ხაზინეპის ფაზებში, ჩვენი კულტურის მსგავსად სპო-რადულად ჩანს დისკოიდალური ნუკლეუსებიც<sup>95</sup>, რომელთა პარალელებს იგავე ავტორები ჭარბოსა და სარაბში მიუთითებენ<sup>96</sup>.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დეპ-ლურანის ძეგლებზე ფ. პოლის, კ. ფლანერისა და ჯ. ნილის მიერ გამოყოფილი, ე. წ. „Tea Cozy“-ის ტიპის „ანატკეცების მისაღები ნუკლეუსები“ როგორც ზოპებით და ფორმა-მოყვან-ნილობით, ისე დამუშავებით ჩვენი ნუკლეუსისებური სახოკების ზუსტი ანა-ლოგიებია: როგორც ეს ავტორები მიუთითებენ, ის გავრცელებულია ალი-კო-შისა და მოჰამად ჭაფარის ფაზებში, ანალოგიები კი ჭარბოსა და თეფეს სარაბ-ში ემბენჯა<sup>97</sup> ჩვენს სახოკებს მოგვაგონებს აგრეთვე, მოძღვენო — ზაბზის. ხაზინეპისა და მეჰჰეპის ფაზებში გავრცელებული, ამავე ავტორთა მიერ ე. წ. „Thin Nodule“-ტიპის ანატკეცთა მისაღები ნუკლეუსებად გამოყოფილი მსგავ-სივე ნივთები<sup>98</sup>.

რაც შეეხება გახეხილ-გაპრიალებულ ქვის ნაწარმს, ის შუღაკერ-მოჰუ-თეფეს კულტურის II საფეხურზე იშვიათად ჩანს<sup>99</sup> (სულ 7 ც.). აქ გვხვდება მაღალი ტრანეციის ფორმის მთლიანად გახეხილ-გაპრიალებული სატეხები, ანალოგიური I საფეხურზე ნაპოვნი ერთადერთი იარაღისა, და მცირე ზომის ორნამენტული ცულები თუ სათლევები.

გახეხილ-გაპრიალებული იარაღების კატეგორიას ეკუთვნის კირქვის ერთი ოთკუთხაგანიცვეთიანი, ბრტყელი ნივთი, რომელსაც ცალი ბოლო გახეხვა-გაპ-რიალების გზით სატეხისებურად თუ დანისებურად აქვს გაბასრებული. ორიო-დე მსგავსი იარაღი შემდგომ საფეხურებზეცაა აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ამ ნივთსაც პარალელი ემბენჯა დეპ-ლურანში, მოჰამად-ჭაფარის ფა-ზაში<sup>100</sup>.

ხელსაფქვავეები წინა საფეხურზე გავრცელებულის ანალოგიურია. ამ სა-ფეხურზე კიდევ გვხვდება „მარკილის დასამძიმებელი ქვეები“. განსაკუთოე-ბით საინტერესოა ამ საფეხურზე აღმოჩენილი ქვის იარაღთა ერთი კატეგო-რია, რომელთაც ჩვენ ძვლის იარაღების სახეხ-სალესებს ვუწოდებთ — ოვა-ლურა თუ კვერცხისებური მოყვანილობის რიყის ქვეები განივი, კუთხოვანი V-სებრი, თუ ნომრგვალებული U-სებრი ღარი. მსგავსი იარაღები ერთეული

<sup>95</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, გვ. 97, fig. 37: a, b; ბას-მორდეპის ფაზა თარიღდება ძვ. წ. 7500—6750 წლით.

<sup>96</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>97</sup> იქვე, გვ. 95, 97; fig. 35, ცოტა უენაურია მათი ნუკლეუსებად ჩათვა, თუ მხედვე-ლობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ ძეგლებზე ანატკეცებზე ნაკეთები იარაღები თითქმის არ გვხვდება, მით უმეტეს, რომ ამ „ნუკლეუსებიდან“ მხოლოდ ქერცლისებური ანატკე-ცების მიღება თუ შეიძლება — ზოგიერთ მათგანს 2 სმ სიმაღლისაც არ არის. ამას, როგორც ჩანს, ავტორებიც გრძნობენ. რადგან აღნიშნავენ, რომ არც ერთ მათგანს არ ეტყობა გამოყენების რა-იმე ნიშანი, თორემ საფეხკებად შეიძლებოდა მათი ჩათვლა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, როგორც გამთხრელები აღნიშნავენ, ამ „ნუკლეუსებს“ ეტყობა მეორადი დამუშავება — ღარ-ტყმის მოედნის კიდის შესწორება, რითაც აგრეთვე ჩვენს სახოკებს მოგვაგონებს.

<sup>98</sup> იქვე, გვ. 100, fig. 36: d, e; ზაბზის ფაზას გამოხრელები ძვ. წ. 5500—5000 წლებით ათარიღებენ, ხაზინეპის ფაზა — 5000—4500, ხოლო მეჰჰეპის ფაზას — 4500—4000 წლებით.

<sup>99</sup> ანალოგიური ვითარებაა დეპ-ლურანის ძეგლებზეც, იხ. იქვე.

<sup>100</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, გვ. 192, fig. 84: a, b.

ცალეების აახით გვხვდება მომდევნო ორ საფეხურზეც. ანალოგიური იარაღი, ოღონდ სიგრძივად ღარით, ნაპოვნია ანასეულ II-ზეც<sup>101</sup>. ჩვენი სახეხების ანალოგიური იარაღები ჩანს კარიმ-შაპირში<sup>102</sup>, ჭარმოში<sup>103</sup>, დეკლურანში, ძირითადად, ალი-კოშისა და მოჰამად ჭაფარის ფაზებში, თუმცა ერთეული ეგზემპლარები აგრძელებს არსებობას მეჰმეჰის ფაზამდე<sup>104</sup>. ფ. ჰოლის, კ. ფლენერისა და ჯ. ნილის მიხედვით, მსგავსი ქვეები ნაპოვნია ზარზის გამოქვაბულში. ზაი-ჩემი-შანიდარში, თეფე ასიაბსა და თეფე გურანში<sup>105</sup>.

ამავე საფეხურზე პირველად გვხვდება ქვის მასიური როდინები, რომლებიც მომდევნო საფეხურებზეც განაგრძობს არსებობას. მსგავსი დიდი ზონის როდინები წინა ახიის თითქმის ყველა ძველ კულტურაში გვხვდება ჭარმოდან დაწყებული გვიან ძეგლებამდე.

II საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს შულავერის გორაზე ზედაპირულად ნაპოვნი ნრთადერთი მაკროლითური იარაღიც. ჩვენს კულტურაში სხვაგან მსგავსი ნაუთი ჭრჭერობით ნაპოვნი არ ყოფილა. ეს მაკროლითი გარკვეულ სიახლოვეს იჩენს დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლებიდან მომდინარე ზოგიერთ იარაღთან. ჩვენი მაკროლითის შორეული პარალელი ცნობილია უკრაინიკო ბეიდაზეც, სადაც მაკროლითები აგრეთვე ნაკლებადაა გავრცელებული<sup>106</sup>.

დანადვილებით ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამავე საფეხურს უნდა მივაკუთვნოთ შულავერის გორის ანთროპომორფული ქანდაკებაც, რომელიც ბორცვის „მოჭრილ ზედაპირზეა“ ნაპოვნი.

II საფეხურთან შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავებანი შეინიშნება ჩვენი კულტურის მომდევნო — III საფეხურზე, რომელსაც პირობითად მივაკუთვნებთ აპირის გორის მხოლოდ V სააშენებლო პორიზონტს<sup>107</sup> (ტაბ. 58).

III საფეხურზე წინასთან შედარებით ბევრად უფრო მოწესრიგებულად ჩანს განლაგებული ნაგებობები, რომლებიც ეზოებთან ერთად ცალკეულ კომპლექსებს ქმნიან; ეს კომპლექსები კი ვრცელი ცენტრალური მოედნის გარშემო განლაგებული<sup>108</sup>. ასეთივე გვემარება დამახასიათებელი ჩანს მომდევნო ორი საფეხურის ძეგლებისათვისაც.

უკრაინაში ჩნდება ახალი ფორმები, რომლებიც თუმცა ადრეულ საფეხურებზე არსებულის განვითარებას და გადამუშავებას წარმოადგენს, ძველისაგან მაინც საგრძნობლად განსხვავდება.

აღსანიშნავია, რომ თუ II საფეხურზე ერთეული იყო ნაშანარევი თიხისაგან ნაძერწი ან ზედაპირი და შიდაპირგაპირილებული ქურქელი, აქ უკვე დამუშავების მიხედვით მკვეთრად გამოიყოფა სამი კერამიკული ჯგუფი.

<sup>101</sup> ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39, ტაბ. XV, 1.

<sup>102</sup> R. J. Braidwood, Prehistoric Men, გვ. 107 (სურათი).

<sup>103</sup> R. J. Braidwood, B. Howe, დასახ. ნაშრომი, გვ. 45, pl. 23: 5, 6.

<sup>104</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, გვ. 196. fig. 83: a, f.

<sup>105</sup> ი ქ ე ე, გვ. 196.

<sup>106</sup> D. Kirkbride, Five Seasons..., fig. 17:1.

<sup>107</sup> პირობითად, იმიტომ, რომ ალბათ IV და შესაძლოა III პორიზონტიც სავარაუდოა, რომ ამ საფეხურს ეკუთვნოდეს, მაგრამ რადგანაც არ მოხერხდა მასალის გამოყენა, იძულებული ვართ მხოლოდ V პორიზონტის შესახებ ვილაპარაკოთ.

<sup>108</sup> ი ბ. A. И. Д ж а в а х и ш в и л и, Строительное дело... გვ. 50, 51.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ კურქელს „ორფეროვანი“ კეკი აქვს — მოვარდისფრო ზედაპირი და მოშავო შიდაპირი. „ორფეროვანი“ კურქლების რაოდენობა მომდევნო ორ საფესურზე უფრო მატულობა.

III საფეხურის კურქლის ძირები უმეტესად ქუსლიანია, ჰაკამ აღარ ჩანს ქუსლის ის მასიურობა და ნაპირებისაკენ მკვეთრად „განზიდვა“, რაც წინა ორ საფეხურზე გვხვდებოდა. ამავე დროს ჩანს სრულიად უქუსლო ძირებიც. კურქლის ძირებზე ხშირად შეიმჩნევა ლასტის სპირალური ანაბეჭდი. აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ძირი ოვალური მოყვანილობისაა, შესაბამისად ეკუთვნის ოვალური მოყვანილობის კურქელს. ოვალური მოყვანილობის კურქელი, რომელიც პირველად ამ საფეხურზე გვხვდება, განაგრძობს არსებობას მომდევნო ორ საფეხურზეც. ოვალური ფორმის კურქლები წინა აზიამი ბევრ ადრეულ ანგლზე გვხვდება, მაგალითად: ჩათალ-პუიუქში<sup>109</sup>, პაჭილარში<sup>110</sup>, პაატეში<sup>111</sup>, და დეპ-ლურანის ძეგლებზე მოჰამად ჭაფარისა და ზაბზის ფაზაში<sup>112</sup>, ჭეითუნზე<sup>113</sup> და სხვა.

ამ საფეხურის კურქლებზე, ტრადიციულ გათხელებულ და მოპრკვალე-ბულ ქობასთან ერთად გვხვდება მანამდე უცნობი წაყვეთილი, „ზემოდან ბრტყელი“ პირებიც, რაც აგრეთვე შემდგომ საფეხურებზეც გრძელდება. აქვე ჩნდება კურქლებიც, რომელთაც პირის ნაწილი ჩადრეკილი აქვს, ეს მოვლენა დასაბამიანიათებელია მომდევნო ორი საფეხურის თიხის ნაწარმისათვისაც. ჩვენი კულტურის გარეთ მსგავსი პირჩადრეკილი კურქლები თითქოს არ შეინიშნება.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ამ საფეხურზე კერამიკაში ჩნდება მთელი რიგი ახალი ფორმებისა, რომელიც შემდგომ ორ საფეხურზე დიდად არ იცვლება. მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პირმოყრილი, კასრისებური ფორმის ქილები, რომლებიც დანახასიათებელ ფორმად ჩნება ყველა მომდევნო საფეხურზეც. ეს ფორმა განვითარებული ჩანს I საფეხურზე არსებულ პირმოყრილი, კვერცხისებურტანიანი ქილებიდან. საერთოდ, პირმოყრილი, უყულო კურქლები (ე. წ. Hole-mouth jars) დამახასიათებელია წინა აზიის ყველა ადრეკერამიკული კომპლექსისათვის. ამავე ტიპს ეკუთვნის ჩვენი კასრისებური მოყვანილობის ქილებიც. ანალოგიური ფორმის კურქელი ჩანს ჩათალ-პუიუქის ზედა ფენებში<sup>114</sup> და კიზილკაიას ადრე ნეოლითში<sup>115</sup>. ჩვენს ქილებთან ახლოს მდგომი ფორმის კურქლები გავრცელებულია დეპ-ლურანის ძეგლებზეც — მოჰამად ჭაფარის, ზაბზისა და ხაზინეხის ფაზებში<sup>116</sup>.

განსაკუთრებით აღსანიშნავია III საფეხურის კურქლის შემკულობა, რომელიც მხოლოდ რელიეფურია (ქედულორნამენტთან კურქლის აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა როგორც III, ისე მომდევნო საფეხურებზე). თუ პირველ ორ საფეხურზე მხოლოდ ერთ რიგად დაძერწილ, ძირითადად

<sup>109</sup> იხ. В. С. Титов, Неолит Греции, М., 1969, ტაბ. 18: 1, 2.

<sup>110</sup> J. Mellaart, Excavations at Hacilar, v. II, pl. IV, VIII, 1, 2.

<sup>111</sup> S. Lloyd, F. Safar, დასახ. ნაშრომი, fig. 3: 5, 7; 7:29.

<sup>112</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, გვ. 115—

116.

<sup>113</sup> В. М. Массон, Поселение Джейгун, ტაბ. XXV, 5.

<sup>114</sup> იხ. В. С. Титов, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 18: I, 18, 19.

<sup>115</sup> იქვე, ტაბ. 16: III, 3.

<sup>116</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი.

კონუსურ, კოპებს ვხვდებით, აქ ჩანს აგრეთვე: პირის გასწვრივ თუ მხარზე დატანილი ვერტიკალური, მოგრძო ნუშისგულისებური რელიეფები, ჭურჭლის მხარზე დაძვრნილი რელიეფური „სარტყელი“, ნუშისგულისებრი დანაძერ-წები მცირე ზომის ნახევარწრიულ რელიეფთან კომბინაციაში და მცირე ზო-ბის. დაბალრელიეფური წრიული დანაძერწი. რელიეფური ორნამენტის მრ-ვალფეროვნება და კიდევ უფრო „გართულება“ დამახასიათებელია მოქდევ-ნო ორი საფეხურის ნაწარმისათვის.

რელიეფური ორნამენტი მეტ-ნაკლებად გავრცელებულია წინა აზიის აღ-რეკე-ვაშიკულ ძეგლებზე. მას ვხვდებით ჩათალ-ჰუიუხზე, სხვადასხვა სახის კოპებისა თუ რელიეფური ზოლების სახით<sup>117</sup>. ნაპოვნია იგი ტელ-ჰალაფის უძველეს, წინაპალაფურ ფენაში<sup>118</sup>, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტე-რესოა. რომ ჰასუნის უადრეს, I ფენაშიც ფართოდ ჩანს გავრცელებული ჭურ-ჭლის შემკობის ეს წესი. აქ ვხვდებით კონუსურ კოპებს, უპირატესად წყვი-ლად დაძვრწილს, ერთ შემთხვევაში კი, რამდენიმე რიგად დატანილს და სხვა-დასხვა სახის რელიეფურ ლილვებს, რითაც მეტად უახლოვდება ჩვენი კერა-ბიკის ორნამენტაციას<sup>119</sup>. აქაური ჭურჭლის ზოგიერთ ფორმაში შეინიშნება მსგავსება ჩვენი კულტურის III და IV საფეხურის ნაწარმთან<sup>120</sup>.

III საფეხურის ძვლის ნაწარმი დიდად არ განსხვავდება წინა (II) საფე-ხურისაგან. ძირითადად ვხვდებით სადგისების სხვადასხვა ტიპებს და საპრი-ალე?ლებს. როგორც გაუპობელ, ისე გაპობილ ლულოვან ძვალზე ნაკეთებს. წინა საფეხურთან შედარებით მრავალადაა თხელფირფიტოვანი საპრიალებლე-ბი. „დანიხეზური ნივთი“ კი ერთი ცალია. აქვეა ძვლის იარაღთა ახალი ტი-პებიც, მაგ., ერთი ოვალურგანივკეთიან ღეროზე ნაკეთები, ფრაგმენტირებუ-ლი. თავგახვრტილი „ფიგურული საკიდი“, რომელსაც შერჩენილ ბოლოში მოკლე წანახარდები აქვს და ერთიკ საკინძისებური ოვალური მოყვანილო-ბის ბრტყელთავიანი ნივთი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ საფეხურზე მა-სიურ ლულოვან ძვალზე ნაკეთები თიხის აღმოჩენა, რომელთა რაოდენობა მოქდევნო საფეხურზე საგრძნობლად იზრდება<sup>121</sup>.

წინა საფეხურებთან შედარებით საგრძნობი სიახლე შეინიშნება ამ საფე-ხურის რქის ნაწარმში. აქ გავრცელებული თიხები უკვე სატარენახვრეტიანია.

<sup>117</sup> J. Mellaart. Earliest Civilizations of the Near East, სურ. 88, ზედა რიგი.

<sup>118</sup> იხ. Viktor Christian, Altertumskunde Aes Zweitstromlandes, Leipzig, 1940, ტაბ. 26:4, 7, 11; ე. ბ რ ი ს ტ ი ა ნ ი ამ კერამიკას, რომელიც ზოგადად, ფორმებითაუ მოგავგონებს იბირის გორის ამ და მომდევნო პორნონტების ჭურჭლებს (იხ. ტაბ. 26:1, 2, 4, 7, 21), „საჩევიოზუს ნაწარმს“ უწოდებს.

<sup>119</sup> S. Lloyd, F. S. S. a f a r, დასახ. ნაშრომი, იხ. fig. 6:1, 7, 15, 17, 19—22.

<sup>120</sup> ი კ ე ე, fig. 6:17, 18, 21, 22, 29, 33, 37, 40—45, fig. 7:32; ამ მხრივ ფრიალ საყურად-ღებოა მეტად მნიშვნელოვანი დამთხვევების არსებობა კერამიკის ორნამენტსა და ფორმებში ჩე-ენი საყვლევი კულტურის III—IV საფეხურების თიხის ჭურჭელსა და პრეპასუნას პერიოდის ძეგლ-ტელსოტის (ძველი წინაწარმულად დათარიღებულია ძე. წ. VII ათასწლეულის ბოლოთი) ნა-წარმ შორის. იხ. Н. О. Б а д е р, Раннеземледельческое поселение Телль-Сотто (по раскопкам 1971, 1973—1974 гг.), СА, 1975, 4, გვ. 104, სურ. 4, 5.

<sup>121</sup> მსგავსი თიხების გავრცელების შესახებ იხ. И. Г. Н а р и м а н о в. О земледелии эпохи энеолита, გვ. 6; В. Н. Д а н и л е н к о, დასახ. ნაშრომი, გვ. 161; X. А. К и н к, Восточное Среднеземноморье в древнейшую эпоху, 1970, გვ. 137, 138; მსგავსავე თიხის წარ-მოადგენს, როგორც ჩანს, ჰასუნას VI ფენაში ნაპოვნი მსხვილფეხა საქონლის მასიურ ლულოვან ძვალზე ნაკეთები საპრიალებლის მგავარი იარაღიც, რომელსაც ს. ლიოდი და ფ. საფარი „სატეხს“ უწოდებენ. იხ. S. Lloyd, F. S. S. a f a r, დასახ. ნაშრომი, გვ. 269, pl. X, 2 ენტრში.

მათა რაიღენობა მომდევნო საფეხურებზე იზრდება. აქ და მომდევნო საფეხურებზე გავრცელებული თოხები, რომელთა უმეტესობაც ირმის რქის წანაზარდებზეა ნაკეთები, ანალოგიებს პოულობს სამეღე კლდის მასალებსა<sup>122</sup> და საგვარჯილეს იმ ფენებში, რომლებიც ნ. ბერძენიშვილის მიერ ნეოლითურად იყო ვანსაზღვრული<sup>123</sup>. მსგავსი იარაღები კავკასიის სამხრეთით ჩვენთვის უცნობია. სატარენახვრეტიანი ირმის რქის იარაღები, საერთოდ, ფართოდაა გავრცელებული ევროპის მეზოლითურასა<sup>124</sup> და ნეოლითურ კულტურებში<sup>125</sup>.

III საფეხურზე გვხვდება ირმის რქის წანაზარდებზე ნაკეთები „საჩიჩქნები“, რომელთაც არც სატარენახვრეტი აქვს და არც წაკვეთილი სამუშაო პირი, თუმცა, ყველა მათგანს გამოყენების შედეგად წვერი გადაუსილი აქვს. მსგავსი იარაღები მომდევნო საფეხურებზეც გვხვდება. ანალოგიური საჩიჩქნები მრავლადაა სამეღე კლდისა და საგვარჯილეს აღნიშნული ფენის მასალებში<sup>126</sup>.

ირმის რქის ცული, როგორც აღნიშნული იყო, პირველად II საფეხურზე შევხვდეთ. განაგრძობს იგი არსებობას აქაც და მომდევნო IV—V საფეხურებზეც. წინა აზიაში მსგავსი იარაღები ჩვენთვის უცნობია. რქის ცულები ფართოდ იყო გავრცელებული ევროპის მეზოლითურსა და ნეოლითურ კულტურებში<sup>127</sup>. ირიბადწაკვეთილსამუშაოპირიანი და სატარენახვრეტიანი ირმის რქის იარაღები ირმე ცულებად იყო გამოყენებული. გვიჩვენებს მსგავსი იარაღის აღმოჩენა კრემანის თავის ქალაზე<sup>128</sup>. რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, ამ და მომდევნო საფეხურზე გავრცელებული ირმის რქის ფუძეზე ნაკეთებ ცულებს მეტად ზუსტი ანალოგია მოეპოვება მაგლემოზეს კულტურაში<sup>129</sup>.

III საფეხურზე ჩნდება პირველად „მუფტა“ და „კვერთხისთავი“ ირმის რქისა, რომლებიც გარკვეული ვარიაციებით, მომდევნო საფეხურებზეც განაგრძობს არსებობას.

ამ საფეხურზე ჩნდება პირველად, ე. წ. „შომუ-თეფეს ტიპის“ ნამკლის ჩასაბრები, თუმცა სხვა მხრივ ამ საფეხურის ნატყეცი ქვის ნაწარმი არაფრით არ განსხვავდება წინა საფეხურისაგან. ეს იარაღები, რომლებიც პირველად დახასიათებული აქვს ი. ნარიშანოვს<sup>130</sup>, ჩვენც არაერთხელ მოვისხენიეთ, ამიტომ მათ შესახებ ნიტყვას აღარ გვაგარძელებთ. აღენიშნავთ, რომ ისინი ჩვე-

<sup>122</sup> Г. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრომი, ტაბ. III, 48—51, IV, 82—85.

<sup>123</sup> ნ. ბერძენიშვილი (იქლამე). პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. ივ. ავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II, თბილისი. 1956, გვ. 274—277, სურ. 1, 2; პა. 4.

<sup>124</sup> А. Л. Монгайт. დასახ. ნაშრომი, გვ. 189. სურათი (მაგლემოზეს კულტურის); Грехэм Кларк. Доисторическая Европа. М., 1953, გვ. 224.

<sup>125</sup> В. Г. Чаплд, У истоков европейской цивилизации. М., 1952, გვ. 29—30, 32—34. იხ. В. Н. Даниленко, დასახ. ნაშრომი, გვ. 160; იხილავს რა რქის თოხების გავრცელების არეალს აღმ. ევროპაში, ე. დანილენკო მათ წარმოშობას უკავშირებს ლინგბის ტიპის საჩეხ იარაღებს (იქვე, გვ. 160, 161).

<sup>126</sup> Г. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. III, 49, 50; IV, 82; 6. ბერძენიშვილი (იქლამე), დასახ. ნაშრომი.

<sup>127</sup> Г. Чаплд, დასახ. ნაშრომი, გვ. 29. სურ. 5; Г. Кларк, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

<sup>128</sup> Г. Кларк, დასახ. ნაშრომი, გვ. 72. სურ. 31.

<sup>129</sup> П. М. Долуханов, История Балтики, М., 1969, გვ. 90 (სურათი).

<sup>130</sup> И. Г. Нариманов, Древнейшие серпы Азербайджана, СА, 1964, I, გვ. 282—

ნი კულტურის „ჩრდილოურ“ ლოკალურ ვარიანტში IV და V საფეხურზეც გვპდებდა, ხოლო „საპირეთულ“ ვარიანტში (თუ ვარიანტებში) ჭერჭერობით ნაპოვნია არ ყოფილა<sup>131</sup>.

ასევე სიახლეა ამ საფეხურზე. ტრადიციულ „ვარცლისებურ“ ხელსაფქვა-ვებთან ერთად. უფრო განვითარებული „უნაგირისებური“ ხელსაფქვავენბსა და მათა შესაბამისი კურანტების გაჩენა, რომლებიც შემდგომ საფეხურებზეც განაგრძობა არსებობას.

აღსანიშნავია ამ საფეხურზე წაკვეთილი კონუსის ფორმის მოზრდილი რიყის ქვების აღმოჩენა, რომელთაც ნაპირები ირგვლივ „ათლილი“ აქვს სასურველი ფორმის მისაცემად. № 9—10 ნაგებობაში მსგავსი ქვის აღმოჩენის ვითარების მიხედვით თუ ვივარაუდებთ, ისინი ბოძის საყრდენად უნდა იყოს გამოყენებული, ე. ი. გარკვეული სიახლე უნდა ვიგულისხმობთ არქიტექტურაშიც. რაც უკვე შეინიშნება მომდევნო საფეხურებზეც.

კულტურის განვითარების IV საფეხურს პირობითად მივაკუთვნებთ იმირის გორის IV—I ჰორიზონტებს, ხრამის დიდი გორის I—IV ჰორიზონტებს და დანგრეული გორის ქვედა (აღრესამიწათმოქმედლო) ფენას (ტაბ. 59).

ნაგებობები, ძირითადად, წინა საფეხურებზე გავრცელებულის მსგავსია. მათი გეგმარება III საფეხურზე არსებულის ანალოგიური ჩანს. სიახლეს წარმოადგენს აქ მშენებლობაში პილონების გამოყენება (2 შემთხვევაა იმირის გორაზე და ჭერჭერობით მხოლოდ ერთი — ხრამის დიდი გორაზე, ერთიც თითქოს --- თორბა-თეფეზე<sup>132</sup>),

კერამიკა უმთავრესად III საფეხურზე გავრცელებულის იდენტურია როგორც დაშუშავებით, ისე ფორმებით; მაგრამ ამ საფეხურზე ჩნდება ერთეული შეღებილსიდაპირიანი ფრაგმენტები. რელიეფური ორნამენტი წინა საფეხურთან შედარებით უფრო მრავალფეროვანი ზდება — III საფეხურზე დამოწმებულის გარდა გვხვდება: სამ რიგად დაძერწილი კონუსური კოპები, „გველისებური“ გამოსახულება, ჭვრისებური რელიეფი, დაბალი, ვიწრო რელიეფით გამოყვანილი „თევზიფხური“ ორნამენტი, წრეები ნუშისგულისებურ დანაძერწებთან კომბინაციაში, კოპისა და რელიეფური ზოლის კომბინაცია, რელიეფური რკალით „მოზლუდული“ კოპების ჭკუფი და ანთროპომორფული გამოსახულებანი. იმირის გორის „W შურფის“ მასალებში, რომელიც ყველაზე უფრო გვიანდელად უნდა ჩაითვალოს ამ ძეგლზე და შესაძლოა ამ საფეხურზეც, ჩანს საკმაოდ მოზრდილი, მაღალი რელიეფით გამოყვანილი წრე, შუაში ჩალარული რელიეფური ზოლები და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ასეთავე ზოლებით შემკული და „მოხატული“ — შავად და წითლად შეღებილი კურჭლის ფრაგმენტიც.

IV საფეხურის ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია ჩვეულებრივ გავრცელებული სადგარებითა და სხვადასხვა ტიპის საპირილებლებით. ერთ-ერთი ნეკის ძვალზე ნაკეთები საპირილებელი ბოლოში გახვრეტილიცაა, ისე როგორც ბე-

<sup>131</sup> ამასთანავე შევნიშნავთ, რომ ი. ნარიშკინის მოსაზრება, თითქოს „შომუ-თეფეს ტიპის“ ნაშკლის ჩასართებთან თანაარსებობდეს აყის ორმხრივდამუშავებული გვერდებდაკიბული ჩასართები, მისაღებად არ მივაჩანია, რადგანაც ჩვენს ძეგლებზე ეს უკანასკნელი არსად არ შეგვხვედრია. შომუ-თეფეზე, თორბა-თეფესა და ბაბადერეიშზე ისინი, აღბათ, უნდა ფენებიდან მოხვედრილი უნდა იყოს — სამივე ძეგლზე დადასტურებულია ბრინჯაოს ხანის შენობებიც.

<sup>132</sup> იხ. А. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

ილას<sup>133</sup>, ჰასუნასა<sup>134</sup> თუ მატარას<sup>135</sup> ანალოგიური ნაკეთობანი. ამ საფეხურის ერთი დანისებური ნივთი შემკულია წმინდად ნაკაწრი, ირიბად დაშტრიხული ლენტური ტეხილზაზოკანი ორნამენტით. ანალოგიური ორნამენტით შემკული ძელის ნივთი გვხვდება სიალკ — I-ში<sup>136</sup>. აღსანიშნავია იმირის გორის „შურფ-ში“ ნაპოვნი ერთი ოვალური მოყვანილობის კოვზისებურპირიანი „ფიგურული“ ნივთი (ტარმოტეხილი), რომელიც მეტ-ნაკლებად ახლო ანალოგიებს ჰაჯილარის კოვზისებურ ნივთებთან ნახულობს<sup>137</sup>.

წინა საფეხურისაგან განსხვავებით პირველად ამ საფეხურზე ჩანს „თვ-გამოყვანილი“, უყუნწო, მახათისებური ნივთი და მსხვილფეხა საქონლის მეტაპოლიაზე ნაკეთები მრგვალი, გამჭოლსატარენახვრეტისანი და მსხვილფეხა რქოსანის ბეჭის ძვალზე ჩამოყალიბებული თოხები, ზემოდან ჩახვრეტისი სატარკით. ეს ორი უკანასკნელი იარაღი, განსაკუთრებით ბეჭის ძვალზე ნაკეთები თოხები, მომდევნო (V) საფეხურზე რაოდენობრივად თვალსაჩინოდ მატულობს, ხოლო მსხვილფეხა საქონლის ლულოვან ძვალზე ჩამოყალიბებული თოხებზე. ზემოდან ჩახვრეტისი სატარკით, ამ საფეხურზეც მრავლად.

ირმის რქის იარაღები ფაქტიურად წინა საფეხურზე გავრცელებულია ანალოგიურია.

ნატყეცი ქვის მასალაც, ძირითადად, წინა საფეხურის ინვენტარს იმეორებს. აღსანიშნავია მხოლოდ იმირის გორის ზედა პორიზონტებში თითო ტრაპეციისა და ორმხრივდამუშავებული ისრისპირის აღმოჩენის ფაქტი.

იმირის გორის „W შურფის“ მასალებში ყურადღებას იქცევს ერთი „ხელსაფქვავი“, ბრტყელი ზედაპირით, რომელსაც შუა ნაწილში სანაყისებური ღრმული აქვს. მაგავსივე ხელსაფქვავი გამოქვეყნებული აქვს ი. ნარჩიანოვს, აღმოჩენის ადგილის მიუთითებლად<sup>138</sup>. ეს ნივთები იმით არის აღსანიშნავი, რომ პარალელს დეკლურანის ძეგლებში პოულობს<sup>139</sup>.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ ამ საფეხურისთვის დამახასიათებელი ჩანს თიხის ნახევრადრეალისტური და მეტად სტილიზებული ანთროპომორფული ქანდაკებების თანაარსებობა (იმირის გორის ზედა პორიზონტები). იმირის გორის „W შურფში“ კი თიხის დაზიანებული კონუსიცაა ნაპოვნი.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ, დასავლეთ აზერბაიჯანის ძეგლებიც — ბაბადერგისის ქვედა ფენა, თორიკა-თეფე და შოპუ-თეფე, ამავე, ე. ი. IV საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს<sup>140</sup>. ამაზე მიგვითითებს აღნიშნულ ძეგლებზე შეღებილ და ნაპრილბზუნდაპირიანი კერამიკისა და მეტაპოლიებზე, ლულოვან თუ ბეჭის ძვალზე ნაკეთები თოხების არსებობა, ისევე როგორც უხეშზუნდაპირიანი კერამიკის ორნამენტაცია (იხ. ზემოთ).

<sup>133</sup> D. Kirkbride, დასახ. ნაშრომი, fig. 6:10, 11.

<sup>134</sup> S. Lloyd, F. Safar, დასახ. ნაშრომი, გვ. 268, 269, pl. X, 2.

<sup>135</sup> R. J. Braidwood et al., Matarrak, გვ. 23, fig. 21:9.

<sup>136</sup> R. Ghirshman, Fouilles de Sialk, v. I, pl. VIII, 1.

<sup>137</sup> J. Mellaart, Excavations at Hacilar, v. I, p. 161, fig. 180, 182, 183.

<sup>138</sup> И. Г. Нариманов, О земледельных эпохи энеолита в Азербайджане, სურ. 7.

<sup>139</sup> F. Hole, K. V. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

<sup>140</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ შულავერის, იმირისა და ხრამის დიდი გორების გარდა სადღეისოდ ამიერკავკასიის არც ერთი ძეგლის მასალა არ არის შესწავლილი ცალკეული პორიზონტების მიხედვით; უფრო მეტიც, ხშირად საერთოდ არ არის ეს პორიზონტები გამოყოფილი. ამდენად, ჩვენი მსჯელობა დანარჩენი ძეგლების მძიმარ მეტ-ნაკლებად პირობითია.

ვფიქრობთ, რომ ამავე საფეხურს შეიძლება მიეკუთვნოს არარატის ველის იქეთი ქეგლები, როგორცაა ხათუნარხი და ენგიჯა, თუმცა ამის დასაშვებობად კიდევ უფრო ნაკლები საბუთიანობა არსებობს.

წელავერ-შომუ-თეფეს კულტურის მომდევნო, V საფეხურს მივაკუთვნებთ ხრამის დიდი გორის V—VII სააქმენებლო ჰორიზონტებისა და არუხლო I ზედა (?) დონეების მასალას (ტაბ. 60).

როგორც აღნიშნული იყო, ქვემო ქართლში ამ საფეხურზეც მხოლოდ წრიული ნაგებობები გვხვდება. მათი გეგმარება ისეთივეა, როგორც წინა ორ საფეხურზე იყო (ორი ან სამი საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობა ერთმანეთს უკავშირდება ალიზის მოკვალული კედლებით და „ეზოსთან“ ერთად ქანის ერთიან კომპლექსს). ამ საფეხურზე, ხრამის დიდი გორის მონაცემების გათვალისწინებით, შედარებით ფართოდ ჩანს გამოყენებული „პილონები“ — გაბლივარდმო დადებული ალიზები. ნაგებობანი ხშირ შემთხვევაში „ცილინდრულია“ და, როგორც ჩანს, ზოგჯერ მთავრდება არა ვუმბათური, არამედ სვეტზე დაყრდნობილი კონუსური სახურავით.

V საფეხურის კერამიკა, ძირითადად, წინა ორ საფეხურზე გავრცელებულ ფორმებს იმეორებს, თუმცა შეინიშნება რიგი სიახლეც. აქ ბევრად მეტია შეღებილზედაპირიანი კურკლის ფრაგმენტები, რომლებიც ზედმიწევნითაა გაპირილებული. აღსანიშნავია, რომ ე. წ. მესამე ჯგუფის შეუღებავზედაპირიანი ნაპრიალები კერამიკაც ბევრად უფრო თხელკედლიანი და უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე IV საფეხურის შესაბამისი ნაწარმი. ჩნდება ჯამისებური კურკლები.

V საფეხურის კერამიკის შემკულობა, რომელიც მხოლოდ რელიეფურია, კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება, ვიდრე წინა საფეხურზე იყო დადასტურებული, თუმცა წინა საფეხურზე არსებული ზოგი მოტივი აქ აღარ გვხვდება. მაგ., გველისებური ზიგზაგოვანი დანამერწები, მცირე ზომის ნახევარწრიული და ნუშისგულისებური ორნამენტის კომბინაცია. რელიეფური „თევზისფერი“ სახე. ამავე დროს გვხვდება მრავალი ახალი ორნამენტული სახეც — მალალი ნალისებური რელიეფები, მერცხლისბუდისებური დანამერწები (ეს ორი მოტივი იპირის გორაზე სულ ზედა, თითქმის ზედაპირულ მასალაში იყო შენიშნული), „უსისტემო“ ჯგუფებად განლაგებული ნუშისგულისებური კოპები, წრეები (საკმაოდ დიდი ზომისაც), კვადრატები, ბრტყელი ლილისებური ჩაჩხვლეთილი კოპები, ვერტიკალურად განლაგებული „ჩაქვისებურად“ ერთმანეთზე მიჯრილი ნუშისგულისებური კოპები, მექეკისებური კოპები ან რამდენიმე ორნამენტული სახის კომბინაცია<sup>141</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ საფეხურზე გვხვდება ჰორიზონტალური, ყურისებრი შევირელები.

საყურადღებოა არუხლოს გორაზე აღმოჩენილი ბრწყინვალედ გაპრიალებული კურკლის ერთი ფრაგმენტი, რომელსაც სამკუთხაგანივკვეთიანი, შუაში ვიწროდ გახვრეტილი შვერილი, ე. ი. პრიმიტიული ყური აქვს. ამ ნატეხს ტ. ჩუბინიშვილი „ანატოლიურ იმპორტს“ უწოდებს<sup>142</sup>.

<sup>141</sup> შენიშნავთ, რომ ანასეული II ერთ-ერთი კურკლის რელიეფური ორნამენტი ძალიან ჰგავს არუხლო I ერთ-ერთი კურკლის ი-სებურ დანამერწს, რომლის მსგავსი დანამერწები წინა საფეხურებზე არ შეგვხვდებოდა — შტრ. ლ. ნ ე ბ ი ე რ ო ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXII, 11 და K. X. Кушнарєва, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., სურ. 4 Б, 2.

<sup>142</sup> Т. Чубинишвили, К древней истории..., зб. 167.



განსაკუთრებით საყურადღებოა ხრამის დიდი გორის ერთი ოვალური მოყვანილობის ჭურჭელი ფართო პირით, ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული კედლებითა და ასევე ფართო, ბრტყელი დაბალქუსლიანი ძირით, რომელსაც პირს ქვემოთ ჰორიზონტალური, მასიური ყურისებრი შვერილი აქვს. ეს ჭურჭელი ახლო ანალოგიებს პოულობს ჰასუნას III ფენის ორ ჭურჭელთან<sup>143</sup>.

ამ საფეხურზე ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია სადგისებით, საპრიალებებით (მაგრამ მათ შორის აღარ გვხვდება არც ბექის, არც ნეკნის ძვალზე ნაკეთები და არც ე. წ. თხელფირფიტოვანი იარაღები) და რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა, ბექისა და ლულოვან ძვალზე ნაკეთებუ პრავალრიცხოვან თოხნებით. ჩნდება ადრეული საფეხურებისათვის უცხო ერთეული ნაკეთობანიც — ბრტყელი, დისკოსებური ნივთები ერთი ან მეტი ნახვრეტით (ხრამის დიდ გორაზე), ყუნწიანი მახათი და ოთხჯუთხა, მცირე ზომის ხაშტისებური ნივთი წვრილი ნახვრეტით (არუხლოს გორაზე). ორივე ძვალზე ჩანს წინა საფეხურისაგან განსხვავებული ფორმის ძვლის დანისებრი თუ კოვზისებრი თხელფირფიტოვანი ნივთების ფრაგმენტები.

რქის ნაწარმში, წინა ორ საფეხურზე გავრცელებულის მსგავსი თოხებისა და ცულების გვერდით, ვხვდებით ჩაქუჩისებური მოყვანილობის „კვერთხისთავება“. ხრამის დიდ გორაზე კი — რელიეფური თუ ქდეული ორნამენტით შემკულ იარაღებსაც.

V საფეხურის ნატყეკი ქვის მასალაში შეიმჩნევა გარკვეული დეგრადაცია დაუდევრად და დაქუჩავებული იარაღები, ანატყეკების რაოდენობა ჭარბობს ლაქლებსას, საერთოდ არ ჩანს ნუკლეუს-სახოკები და უხეში საჩეხ-საპობი იარაღები. ამავ დროს ერთეული ცალეებით ვხვდებით გეომეტრიული ფორმის მიკროლითებს — ზურგათილ ტრაპეციებს (ორივე ძვალზე) და სეგმენტებს (წხოლოდ არუხლო — I-ზე). ერთი სეგმენტისებური იარაღი ნაპოვნია ხრამის დიდ გორაზეც.

წინა საფეხურებთან შედარებით მრავლად გვხვდება გახეხილ-გაპრიალებული იარაღები. უპირატესად, ორმხრივლესილი სოლისებური ცულები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხრამის დიდ გორაზე აღმოჩენილი თიხის ანთროპომორფული ქანდაკებების სერია, რომელთა შორის შედარებით რეალისტრად შესრულებული ფიგურები პირისახისა და თავის მოყვანილობით უახლოვდება ჰასუნას კულტურის ამგვარსავე სკულპტურას<sup>144</sup>, ხოლო პოზითა და ტანის მოდელირებით ჰალაფის კულტურის მცირე პლასტიკის შესაბამის ნიჟუმებს<sup>145</sup>, რის საფუძველზეც სავარაუდოა, რომ მათ და შესაბამისად ძვლის იმ ჰორიზონტებს, სადაც ისინია აღმოჩენილი, შუალედური ქრონოლოგიური ადგილი უპირავეს აღნიშნულ ორ კულტურას შორის<sup>146</sup>.

<sup>143</sup> S. Lloyd, F. Safar, დასახ. ნაშრომი, fig. 3:7, pl. XII. 2.

<sup>144</sup> J. Oates, The Baked Clay Figurines from Tell es Sawwan, «Iraq», 1966, v. XXVIII, part 2; В. В. Антонова, Антропоморфная пластика Древней Месопотамии. Культуры Джармо и Хасуна, СА, 1972, № 2, გვ. 23—29, სურ. 3, 4; Н. Я. Мерперт, Р. М. Мунчаев. Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии, СА, 1971, № 3, გვ. 159, სურ. 6:1, 7.

<sup>145</sup> M. E. Mallowan, C. J. Rose. Excavations at Tell Arpachiyah, «Iraq», v. II, part I, 1935, fig. 45: 16; A. J. Tobler. Excavations at Tepe-Gawra, v. II, Philadelphia, p. 163, fig. 81:a.

<sup>146</sup> ლ. ლონტი, ა. ყავახიშვილი, თ. კიდურაძე, ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები, გვ. 16.

მეტად საინტერესოა ხრამის დიდ გორაზე ნაპოვნი თიხის გამოშწავარი თუ გამოუწვავი კანულები. საპი მათგანი დაბალა და ძირშედრეკილია, მეოთხე — ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობისაა. ძირი მასაც შედრეკილი აქვს. უკანასკნელს პარალელი ჭეითენსა და სიალე I-ში მოექმენება<sup>147</sup>.

არასრული ინფორმაციის გამო ჭერჭერობით გაურკვეველია ჩვენთვის გარდაღარ-თეფისის ადგილი მოცემულ სქემაში, მაგრამ არსებული მონაცემების მიხედვით იგი უპირატესად IV და V საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს. ამაზე მიგვანიშნებს აქ შეღებილზედაპირიანი კერამიკისა და ძელის თოხების არსებობა და ნაგებობათა ცილინდრულობა, აგრეთვე ზოგიერთი ნაგებობის კედლის შეღებვა ან შეთეთრება. არაა გამორიცხული, რომ ამ ძეგლზე, სადაც კულტურულ ფენათა სიმძლავრე 10 მ აღწევდა, რამდენადმე უფრო ადრეული ან უფრო მოგვიანო ფენებიც იყოს.

ძირითადად, ამავე საფეხურის სინქრონული და რამდენადმე უფრო მოგვიანოც უნდა იყოს ქიულ-თეფე I ქვედა ფენა. სამწუხაროდ, ქიულ-თეფე I მასალა არ არის შესწავლილი ცალკეული დონეების მიხედვით, ამიტომ იძულებული ვართ მის შესახებ მხოლოდ ზოგადად ვილაპარაკოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქიულ-თეფეს ქვედა ფენის კერამიკას პარალელები ხრამის დიდი გორის ზედა პორიზონტებისა და არუხლო I მასალებში, ე. ი. V საფეხურის ჰეგლებზე მოეპოვება, რაც საერთო ფორმების გარდა მაისიური ნაღისებური დანამტრწებისა და პორიზონტალური ყურისებრი შვირილების არსებობაში გამოიხატება. არუხლო I მასალებთან ქიულ-თეფე I აახლოებს ბორბლის ნოდელი და ხარის სკულპტურული ქანდაკებაც. მაგრამ ამავე დროს ქიულ-თეფეს აღნიშნულ ფენაში ჩანს უფრო განვითარებული და რამდენადმე მოგვიანო კერამიკული პროდუქციაც — კერძოდ მაღალცილინდრულყვანიანი დერგები და ჭამისებური თუ ბადისებური ქურტულები.

ნახავეკანის ქიულ-თეფე I ქვედა ფენის ჩვენს ძეგლებთან ქრონოლოგიურად დაკავშირება უკიდრ მნიშვნელოვანია, რადგან იგი ერთ-ერთი ისეთი ძეგლთაგანია, სადაც უქვევლი პალაფური იმპორტი ჩანს, მეორე მხრივ ქიულ-თეფეს უკავშირდება შილის, ყარაბაღისა და მულანის ძეგლები. მათი ერთი ნაწილი, ვფიქრობთ, ქიულ-თეფეს თანდართულად უნდა მივიჩნიოთ, მეორე ნაწილი კი — რამდენადმე უფრო მოგვიანოდ. ასეთებია მულანის ველის — გურუდერესა და მიშარჩაის ჭგუფების ზოგიერთი ნამოსახლარი, სადაც უფრო განვითარებული კერამიკული ფორმები გვხვდება, და განსაკუთრებით ალიკემეკ-თეფისი. ამ უკანასკნელზე ქიულ-თეფეს ქვედა ფენის ანალოგიურ ფორმებთან ერთად გვხვდება მრგვალ ან ოვალურგანივკეთიანყურიანი<sup>148</sup> ქურტულები და შედარებით უფრო მოგვიანო იერის მოხატული კერამიკა. ალიკემეკ-თეფისის მოგვიანო ასაკზე მიუთითებს ძეგლის ზედა პორიზონტებში გავრცელებული ორრიგად დაწყობილი ალიზით ნაგები ოთხკუთხა შენობების არსებობაც.

<sup>147</sup> В. М. Массон, Поселение Джейтун, гл. 41—42.

<sup>148</sup> ყურიანი ქურტულები, თუ არ ჩავთვლით არუხლოზე ჩანასახოვანი ყურის ერთადერთი ფრაგმენტის არსებობას, ჩვენი კულტურის ძეგლებიდან, მხოლოდ ალიკემეკ-თეფისზე გვხვდება, რაც მას, ჩვენი აზრით, აღნიშნულ კულტურაში ყველაზე გვიანი ძეგლების რიგში აყენებს.

მოხატული კერამიკა ქიულ-თეფეს გარდა, „სამხრეთული“ ლოკალური ვარიანტის რამდენიმე სხვა ძეგლზეცაა აღმოჩენილი. რადგანაც იგი შედარებით შტიციუ საყრდემს იძლევა ამ ძეგლების დასათარიღებლად, მოკლედ შეეჩერდებით მასი წარმომავლობის ცენტრების, გავრცელების გზებისა და თარიღის საკითხზე. ეს საკითხები მთელი სიღრმით აქვს განილული რ. მუნჩაევს თავის სადისერტაციო ნაშრომში. ვინაიდან ჩვენ სრულიად ვეთანხმებით რ. მუნჩაევს მოსახრებას აღნიშნული საკითხის შესახებ, აჭყრად ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ნის ძირითად დასკვნებზე, რომლებიც საფუძვლიანად და დამაჯერებლად გვეჩვენება. მისი აზრით, ქიულ-თეფეს ერთი მოხატული ქურქელი, თუ უფრო მეტიც არა, უდავოდ უკავშირდება საკუთრივ პალაფის კულტურას როგორც ტექნოლოგიური თვისებებით, ისე ფორმითა და მოხატულობის მოტივებით<sup>149</sup>. აღნიშნული იმპორტული ქურქლის შემცველი ქიულ-თეფეს პორიზონტები (თუ მთელი ფენა არა), რ. მუნჩაევს აზრით, სინქრონული უნდა იყოს თილკი-თეფეს ქვედა, პალაფური ფენისა<sup>150</sup>.

მოხატული კერამიკა ნაპოვნია აპიერაკვასიის კიდევ ერთ ძეგლზე — თელუთაზე, რომელსაც რ. მუნჩაევი ქიულ-თეფე I განსხვავებით უკავშირებს ე. წ. ჩრდილო-ობიდის კულტურას<sup>151</sup>, რის საფუძველზეც იგი ახდენს თელუთას სინქრონიზაციას ჩრდილო-ობიდის კომპლექსთან. ამავე დროს აღნიშნავს, რომ თელუთაზე წითელი საღებავით მოხატული ნამჯა და სილანარევი კერამიკა მოხატვის მოტივებით ემთხვევა თილკი-თეფეს ზედა (III) ფენას და, შესაბამისად, მათი სინქრონიზაცია შესაძლებელი ხდება<sup>152</sup>.

როგორც ვხედავთ, ქიულ-თეფე I თილკი-თეფეს ქვედა (I) ფენას უკავშირდება, ხოლო თელუთა — ზედა (III) ფენას (უნდა შევნიშნოთ, რომ თილკი-თეფეზე ამ ორ ფენას შორის იღებარე 5 მ სიმძლავრის II ფენა მოხატულ კერამიკას არ შეიცავდა). აღნიშნულს საფუძველზე კარგად ჩანს აპიერაკვასიის ზემოაღნიშნული ორი ძეგლის (ქიულ-თეფე I და თელუთა) როგორც შეფარდებითი, ისე მეტ-ნაკლებად ზუსტი, აბსოლუტური ქრონოლოგიაც, თუკა რ. მუნჩაევი არ გამორიცხავს იმ შესაძლებლობასაც, რომ თელუთა შეიძლება წარმოქმნილიყო ქიულ-თეფე I არსებობის ბოლო ეტაპზე<sup>153</sup>.

ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქიულ-თეფე I და თელუთას კერამიკას შორის განსხვავება ისეთი ხასიათისაა, რომ იგი მხოლოდ ქრონოლოგიური სხვაობით ვერ აიხსნება. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს აღნიშნულ ძეგლებზე აღმოჩენილი მასობრივი არაიმპორტული კერამიკა. თუ ქიულ-თეფე I მხოლოდ ბრტყელძირიანი ქურქლები გვხვდება, თელუთას კერამიკის უმეტესობა სფერულტანიანი, მრგვალძირიანი და ძაბრისებურყელიანი ქურქელია. ამავე დროს აქ გვხვდება პირდაპირვეტილი ქურქლები, ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკა და სხვა, რაც ჩვენი კულტურ-

<sup>149</sup> Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и..., სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 206, 234.

<sup>150</sup> იქვე, გვ. 242.

<sup>151</sup> იქვე, გვ. 237; აღსანიშნავია, რომ თელუთას მოხატულ კერამიკას ძეგლის გამთხრელი რ. ტოროსიანი ჩრდილო-ობიდის (უფრო ზუსტად, პალაფ-ობიდის) კულტურას უკავშირებდა: იხ. Р. М. Торосян, Раскопки Тухутского поселения, გვ. 302; ამავე აზრისაა ალ. ჯავახიშვილი; იხ. А. И. Джавахишвили, Строительное дело..., გვ. 96.

<sup>152</sup> Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 241, 242.

<sup>153</sup> იქვე, გვ. 242.

სათვის სრულიად უცხოა. ყოველივე აღნიშნული, ჩვენი აზრით, საფუძველს იძლევა ექვს ქვეშ დაფუძნით თელუთას შულავერ-შომბუ-თეფეს კულტურისადმი მიკუთვნების საკითხი<sup>154</sup>.

დავებრუნდეთ მოხატული კერამიკის საკითხს, რომლის განზოგადების საფუძველზე რ. მუნჩაივი ასკვნის, რომ ქიულ-თეფე I და თელუთა შეიცავს ასეთ მასალებს, რომლებიც მათ აკავშირებს ჩრდილო-მესოპოტამიურ კულტურულ წრესთან. მათთან პირველი, თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე, გვრდასტურებს კავშირს საკუთრივ პალაფის კულტურასთან, მეორე კი — ჩრდილო-ობიედის კომპლექსთან. ეს კავშირები, განსაკუთრებით პალაფთან, სუსტი იყო და მოდიოდა ან უშუალოდ ვანის ტბის ოლქიდან (თიკლი-თეფე), ან აღმოსავლეთ ანატოლიის სხვა ოლქებიდან<sup>155</sup>, თუმცა არც ის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ იმპორტი უშუალოდ ჩრდილო-მესოპოტამიიდან ან სირიიდან მოდიოდეს, მაგრამ მისი გავრცელების გზა აუცილებლად აღმოსავლეთ ანატოლიაზე გადიოდა<sup>156</sup>, რადგანაც ჩრდილოეთ და ცენტრალური ირანის სადღესოდ ცნობილ არც ერთ ადრესამიწათმოქმედო ძეგლზე პალაფური კერამიკა აღმოჩენილი არ ყოფილა<sup>157</sup>.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოხატული კერამიკის გარდა ჩვენი კულტურის V საფეხურსა და პალაფის კულტურას შორის სიახლოვე შეინიშნება არქიტექტურაშიც, კერძოდ ორივეგან გავრცელებულია თოლოსის ტიპის წრიული ნაგებობები.

პირველად ამ ფაქტს ყურადღება მიაქციეს ნ. მერპერტმა და რ. მუნჩაივმა, რომლებმაც შესაძლებლად მიიჩნიეს აღნიშნული მოვლენის სხვადასხვა კულტურაში არსებობა ერთმანეთთან დაეკავშირებინათ. ისინი აღნიშნავენ, რომ ამიერკავკასიაში წრიული ნაგებობების არსებობის დროსვე ჩნდება პალაფური კულტურისათვის დამახასიათებელი მოხატული კერამიკის იმპორტული ცალეები<sup>158</sup>, ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მესოპოტამიაში წრიული ნაგებობების გაჩენის საკითხს გარკვევას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაში წრიული ნაგებობები დადასტურებულია არა მხოლოდ პალაფური მოხატული კერამიკის გამოჩენის დროისათვის. არამედ ბევრად უფრო ადრე, კერძოდ, ჩვენი კულტურის „დასაწყისიდანვე“ და გავრცელებული და გაბატონებული ფორმის ხუთივე საფეხურზე. მაგრამ V საფეხურის ბოლოსათვის თუ ცოტა უფრო გვიანაც (ქიულ-თეფე, ალიკემეკ-თეფის ქვედა პორიზონტები) ამიერკავკასიაში წრიულთან უკვე თანაარსებობს ოთხკუთხა ნაგებობებიც.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ალ. ჯავახიშვილს. იგი აღნიშნავს, რომ მასობრივი აღმოსავლეთის ნაშენებლო საქმესა და არქიტექტურაში გარკვეული ძვრები აღინიშნება ძვ. წ. V ათასწლეულში, როცა პალაფის კულტურასთან ერთად ჩრდილო მესოპოტამიაში სწორკუთხა ნაგებობების გვერდით ჩნდება წრიულ-გუმბათური შენობები — თოლოსები, რომლებიც მცირე გამოჩენის გარდა ორგანულადაა

<sup>154</sup> შტრ. А. И. Джавахишвили, Строительное дело н..., გვ. 96.

<sup>155</sup> Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

<sup>156</sup> იქვე, გვ. 243.

<sup>157</sup> იქვე, გვ. 247.

<sup>158</sup> Н. Я. Мерперт, Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

დაკავშირებული სწორკუთხედებთან. ხომ არ მიგვანიშნებს ეს ფაქტი გარკვეულ კავშირებზე ჩრდილო მესოპოტამიასა და სამხრეთ კავკასიის შორის იმ ხანაში? ერთადერთი და არცთუ დიდად დაშორებული ოლქი, საიდანაც შეიძლება მოელოდა შეიქცევა მოცემულ არქიტექტურულ ფორმას ჩრდილო მესოპოტამიაში — სამხრეთ კავკასია იყო, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ არ იცნობდა ნაგებობის სხვა ტიპს. თოლოსების ჩრდილო-მესოპოტამიური წარმომავლობა კი არ შეიძლება დამტკიცდეს მანამდე, სანამ აღმოჩენილი არ იქნება მისი ფესვები წინამორბედი ხანის ადგილობრივ საამშენებლო ტრადიციაში<sup>159</sup>, რომელიც, ძირითადად, სწორკუთხა ნაგებობებზეა დამყარებული.

ჩვენი კულტურის V საფეხურის პალატის კულტურასთან დაახლოების შესახებ მსკელობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ გარკვეულ მსგავსებებს ანთროპომორფულ პლასტიკაშიც. ამ შემთხვევაში საგულისხმოა V საფეხურის ადრეულ ძეგლზე, ხრამის დიდ გორაზე მოპოვებული ფიგურების სახისა და ტანის მოდელირების მსგავსება პალატის კულტურის შესაბამის ნაწარმთან (იხ. ზემოთ).

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ფრიად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჩვენი კულტურის V საფეხურის ზოგიერთი ნაშრომებიდან (მილ-ყარაბაღ-ნახიჭევანის ძეგლები) მომდინარე მოხატული კერამიკის გარკვეული ნაწილი აღნიშნული პალატური იმპორტისა და ზოგიერთი ადგილობრივი მინაბადის გარდა სიახლოვეს იჩენს ჩრდილო ირანის, აღმოსავლეთ ურმიისპირეთის ისეთ ძეგლებთან, როგორცაა ჰაჯი-ფირუზი, იანიკ-თეფეს ქალკოლითური ფენა და დაღმა-თეფეს მოხატულკერამიკიანი ფენა<sup>160</sup>. ჰაჯი-ფირუზი ძვ. წ. VI ათასწ. მეორე ნახევრით თარიღდება<sup>161</sup>, ხოლო დაღმას მოხატულკერამიკიანი ფენა, რომელსაც რ. მუნჩაევი მილ-ყარაბაღის ძეგლებთან ერთად, გინჩის მოხატულ კერამიკასაც უკავშირებს, ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოთი და IV ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება<sup>162</sup>.

დაღმას ქვედა, მოუხატავკერამიკიან ფენას, რომელიც ძვ. წ. 4216±90 წ. თარიღდება, რ. მუნჩაევი ჩვენი კულტურის „ჩრდილოურ ლოკალურ ვარიანტს“ უკავშირებს<sup>163</sup>. ჩვენი აზრით, ეს დებულება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს, რადგანაც დაღმას აღნიშნული ფენის, ე. წ. ქდეულორნამენტოანი კერამიკა („Dalma Impressed Ware“)<sup>164</sup> მეტ-ნაკლებად ახლო ანალოგიებს მხოლოდ ილანლი-თეფეს მასალებთან ნახულობს, ხოლო თვით ილანლი-თეფეს მიკუთვნება ჩვენი კულტურისადმი რამდენადმე პრობლემატურად მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, თუ ამ ძეგლს მივაკუთვნებთ შულავერ-შომუ-თეფეს კულტურას, იგი V საფეხურზე უფრო გვიანი ხანით უნდა დათარიღდეს. ამაზე მიუთითებს აქ წრეული, ნახევარწრიული და ოთხკუთხა ნაგებობების თანაარსებობა, ზოგიერთი ნაგებობის იატაკისა და კედლის შეღებვის ფაქტი, ობსიდიანის ნაწარმის და, განსაკუთრებით, იარაღების სიმცირე, ანატკეცების სიჭარბე ლამებთან შედარებით და სხვ.

აქვე უნდა შევჩერდეთ წოფის ადგილის განსაზღვრაზე. უნდა აღვნიშნოთ,

<sup>159</sup> А. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 350.

<sup>160</sup> Р. М. Мунчаев, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 252, 260.

<sup>161</sup> იქვე, გვ. 247.

<sup>162</sup> იქვე, გვ. 257, 258.

<sup>163</sup> იქვე, გვ. 255.

<sup>164</sup> об. J. Mellaart. Earliest Civilizations..., გვ. 70, 71; სურ. 42.

რომ ისევე როგორც თელუთა, ალიკემეკ-თეფესი და ილანლი-თეფე, წოფიც შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის V საფეხურზე უფრო გვიანდელი ძეგლი ჩანს. ზემოთ (გვ. 85) უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ წოფში ერთიან კომპლექსთან უნდა ვვქონდეს საქმე და ამდენად, აქ, რამდენიმე პერიოდის მასალების გამოყოფა მართებულად არ მიგვაჩნია. ამავე დროს ამ კომპლექსში ძაბრისებურყელიანი და სფერულტანიანი ქურქლების აღმოჩენა, რომელთაგან ერთს თითქოს ჩარხზე დამუშავების კვალიც ეტყობა, გობისებური ფორმის ქურქლები პირს ქვემოთ ერთრიგად დატანილი ვამქოლი ნახვრეტებით, მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი კერამიკული ფორმები<sup>165</sup>, გარკვეულად ამსგავსებს მას თელუთასთან და, ვფიქრობთ, რომ ორივე ძეგლს ქრონოლოგიურად მტკვარ-არაქსის კულტურის საწყის ეტაპთან აახლოებს. გეომეტრიული მიკროლითების არსებობა წოფის კომპლექსში; ძეგლის არქაულობის დასამტკიცებლად მყარ საყრდენს არ წარმოადგენს, ვინაიდან ცნობილია, რომ მაიკოპის კულტურაში და თვით მაიკოპის ყორღანშიც კი ძაბრისებურყელიან ქურქლებთან ერთად ვხვდებით ტრაპეციებსა და სეგმენტებს<sup>166</sup>.

დასასრულ, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომქმედო ძეგლების იმ ჯგუფის შესახებ, რომელთა შეკუთვნება შულავერ-შომუ-თეფეს არქეოლოგიური კულტურისადმი სადღესოდ პრობლემატურად მიგვაჩნია (ალიკემეკ-თეფესი, ილანლი-თეფე, თელუთა, წოფი და ზოგიერთი სხვ.), ჭერჭერობით დაბეჭითებით მხოლოდ იმის თქმა შეუძლებელია, რომ ისინი შულავერ-შომუთეფეს არქეოლოგიური კულტურის V საფეხურზე უფრო გვიანდელია და მტკვარ-არაქსის კულტურის უადრეს ძეგლებზე უფრო ადრეული. ამდენად, მათი გამოყოფა მხოლოდ ზოგადად, მეტნაკლებად განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჯგუფად ხერხდება.

<sup>165</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნეხეიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, გვ. 10.

<sup>166</sup> А. А. Формозов, Каменный век и энеолит, გვ. 70, სურ. 32.

**აღმოსავლეთ აზიურკავკასიის ადრესამიწათმოქმედო  
კულტურის აბსოლუტური დათარიღებისა და ზოგიერთი  
სხვა პრობლემატური საკითხის**

მოკლედ შევაჩამებთ ყოველივე ზემოთქმულს: შულავერ-შომუ-თეფეს კულტურაში, ქვემო ქართლის ძეგლების მაგალითზე, ჩვენ მიერ გამოყოფილი ხუთი საფეხურიდან პირველი სამი მხოლოდ აქ არის დადასტურებული (III და IV საფეხურებს შორის გარდამავლად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ შომუ-თეფე), მეოთხე საფეხურს ეკუთვნის აგრეთვე დასავლეთ აზერბაიჯანის ძეგლები — თორია-თეფე და ბაბადერციში, ხოლო V საფეხურზე შესაძლებლობა გვაქვს ვილაპარაკოთ ქიულ-თეფე I სინქრონიზაციაზეც. მთელი რიგი ძეგლები როგორც ჩრდილოეთ ზოლში (წოფი), ისე სამხრეთში (ალიკემეკ-თეფესი, თელუთა, ნაწილობრივ ილანლი-თეფეც), მებჭუთე საფეხურზე უფრო მოგვიანოდ უნდა ჩავთვალოთ.

სტალინობის თვალსაზრისით, ჩვენი კულტურის განვითარება ზოგად ხაზებში ანალოგიურია წინა აზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარებისა. ჩვენი I და II საფეხურის მასალა, როგორც დავინახეთ, ანალოგიები წინა აზიის ზოგიერთ უქერამიკო (ბეიდა, ბელტი, ალი-კოში) და აღრეკერამიკულ კონკლექტებთან (ჯარმო, ჩათალ-ჰიუევი, პაქილარი VI—II, მოჰამად-ჯაფარი, ჰასუნა, I, მატარა, კარანოვო I, სტარჩევო და სხვ.) ეძებნება. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მნიშვნელოვანი დამთხვევების არსებობა ჩვენს II საფეხურსა და დასავლეთ ამიერკავკასიის კერამიკულ ნეოლითს შორის. III და IV საფეხურის მასალებს გარკვეული ანალოგიები, უმთავრესად კერამიკის ორნამენტაციაში გამოხატული, ჰასუნას კულტურის ადრეულ ფაზებთან ეძებნებათ, V საფეხურს კი — გვიან ჰასუნა-ჰალაფთან, ამ საფეხურის ზოგიერთ ძეგლს კი — ჩრდილო-ირანულ (პაჯი-ფირუზი, იანიკ-თეფე, დალმა-თეფე) კულტურებთანაც. უფრო მოგვიანო ძეგლები, როგორცაა, კერძოდ, თელუთა, ჩრდილო-ობეიდის კულტურას უკავშირდება.

ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით ცალკეული საფეხურისა თუ ძეგლის აბსოლუტური თარიღის შესახებ. თუ V საფეხურის და უფრო მოგვიანო ძეგლების ანალოგიები მათი წინა აზიის გარკვეულ კულტურებთან სინქრონიზაციის საშუალებას იძლევა (ქიულ-თეფე I — ჰალაფთან, თელუთასი — ჩრდილო-ობეიდთან), ამას ვერ ვიტყვით ანალოგიებზე, რომლებიც წინა საფეხურებს გააჩნია უფრო ადრეულ კულტურებთან, რადგანაც ისინი რიგ შემთხვევაში საკმაოდ ზოგადია; ამავე დროს აშკარა შეუსაბამობა შეინიშნება შეფარდებით სტრატეგრაფიასა და რადიოკარბონულ თარიღებს შორის. კერძოდ, I და II საფეხურის ძეგლის შულავერის გორის C<sub>14</sub>-ის თარიღები ძირითადად ძვ. წ. V ათასწლეულში თავსდება: 1) 3955±300 — TB—15; 2) 4360±130 — JE — 1100; 3) 4660±210 — TB—16 (იგივე ნიმუში ტ. ჩუბინაშვილმა 1975 წელსაც განასაზღვრინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატო-

რიაში, რომლის თარიღდაც მიიღო ძვ. წ.  $4678 \pm 55$  წ.) 4)  $4750 \pm 80$  — JE — 1099, მაშინ როცა IV (უეიდურეს შემთხვევაში III) საფეხურის ძეგლი შომუ-თეფე თარიღდება ძვ. წ. VI ათასწლეულის შუა ხანებით ( $5560 \pm 70$  — JE — 631). იმირის გორის ზედა IV—I პორიზონტებიდან (ე. ი. IV საფეხური) აღებული ხის ნახშირით დათარიღებულია ძვ. წ.  $4350 \pm 120$  წლით (TB — 19). ძვ. წ. 4 295 წლით თარიღდება თოირა-თეფეს შუა ფენებიც; ქიულ-თეფე I ქვედა ფენიდან (18,20 მ ნიშნულიდან) აღებული ნახშირი კი დათარიღებულია ძვ. წ.  $3807 \pm 90$  წლით (JE — 447). მეტად საინტერესო თარიღი მოგვცა ზრამის დიდი გორის V სამშენებლო პორიზონტიდან (ე. ი. V საფეხური) აღებული ხის ნახშირის ანალიზმა, რომელიც ჩატარებულია კალიფორნიის უნივერსიტეტის და ჯოლას C<sub>14</sub>-ის ლაბორატორიაში პროფ. ჰანს სელუსის მიერ. ამ ნიმუშის თარიღი C<sub>14</sub>-ის ნახევარდაშლის 5568 წლიანი ასაკით უდრის ძვ. წ.  $4570 \pm 70$  წელს. მაგრამ პროფ. სელუსის მიერვე შემუშავებული ხის უოკალწლიები რკოლების ანალიზის საფუძველზე მიღებული საკორექციო ფაქტორის გათვალისწინებით იგივე ნიმუში თარიღდება ძვ. წ. 5550 წლით\*.

როგორც ვხედავთ, ცხრა რადიოკარბონული თარიღიდან ორი ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისზე მოდის, ხუთი — V ათასწლეულზე, ერთი თავსდება ძვ. წ. VI ათასწლეულის შუა ხანებში, ერთი საკორექციო ფაქტორის გათვალისწინებით თარიღდება იმავე ხანებით. თუ ჰასუნას კულტურასთან მოყვანილ ანალოგიებსა და მის C<sub>14</sub>-ის თარიღებს გავითვალისწინებთ, მაშინ ეს უკანასკნელი თარიღები ყველაზე უფრო მისაღები ჩანს, მაგრამ ჭერჭერობით, ვიდრე რადიოკარბონული თარიღების „ვერტიკალური“ და „ჰორიზონტალური“ სერიები არ გვექნება, ან უფრო მყარი პარალელები მოიძებნება, აბსოლუტური თარიღების საკითხი დიად უნდა დარჩეს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საფუძვლით დასაშვებად მიგვაჩნია ჩვენი საკვლევი კულტურის საწყისი საფეხურების ძვ. წ. VI ათასწლეულში გადატანა, ხოლო მომდევნო საფეხურების (V ჩათვლით) დათარიღება, ზოგადად, ძვ. წ. V ათასწლეულით. ძვ. წ. IV ათასწლეულში გადადის ქიულ-თეფეს ქვედა ფენის C<sub>14</sub>-ის თარიღი, მაგრამ იგი საიმედოდ არ უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც აქვე აღმოჩენილია ჰალაფური იმპორტული კერამიკა (თავი რომ დავანებოთ ქიულ-თეფეს მტკვარ-არაქსული ფენის საკორექციო ფაქტორის გათვალისწინებით მიღებულ ქვემოთ მოტანილ თარიღს — ძვ. წ. 3676 წ.), ხოლო ჰალაფის კულტურის ზედა თარიღი შკვლევაართა უმეტესობის მიერ V ათასწლეულის შუა ხანებითაა განსაზღვრული. მისი საწყისი კი ნშირად ძვ. წ. VI ათასწლეულში გადადის<sup>1</sup>.

\* ესარგებლობთ რა შემთხვევით, დიდ მადლობას მოვასხენებთ პროფ. მერილინ კელი-ბუჩე-ლატს, რომელმაც გამოიჩინა რა ინტერესი, სიამოვნებით იტვირთა ხის ნახშირის ნიმუშის საანალიზოდ წაღება აღნიშნულ ლაბორატორიაში და პასუხი დროულად შეგვაცხობინა.

<sup>1</sup> იხ. J. Mellaart, Earliest..., გვ. 12, ქრონოლოგიის ტაბულა, სადაც ჰალაფის ზედა თარიღი ძვ. წ. 4400—4300, ხოლო ქვედა თარიღი 5200 წლებითაა განსაზღვრული, აგრეთვე გვ. 126; R. H. Dyson, Annotations and Corrections of the Relative Chronology of Iran. Chronologies in Old World Archeology, გვ. 310. სინქრონიზაციის ტაბულა — ჰალაფი დათარიღებულია ძვ. წ. 4500—5000 წლებით. P. Mortensen, Tell Shimshara, Kobenhavn, 1970, გვ. 137, f. 120, ზედა თარიღი 4600 წლითაა განსაზღვრული, ხოლო ადრეული ჰალაფის თარიღი პ. მორტენსენს ძვ. წ. VI ათასწლეულის I ნახევარში გადააქვს. H. Я. Мерперт, P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 169 — ჰალაფის კულტურის თარიღი, ზოგადად, ძვ. წ. V ათასწლეულითაა განსაზღვრული; R. Braidwood, H. Cambel, Ch. Red-



აქის აღნიშვნა შემდეგი გარემოების გამო დაგვიკირდა: ერთი მხრივ ზოგიერთი მკვლევარის მიერ ქიულ-თეფეს თარიღთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება, რომ ჰალაფის კულტურა ძვ. წ. V ათასწლ. II ნახევარსა და IV ათასწლეულის დასაწყისში არსებობდა, რაც სავსებით უდგება ქიულ-თეფეს რადიოკარბონულ თარიღს<sup>2</sup>, ნაკლებად სარწმუნო ხდება<sup>3</sup>; მეორე მხრივ, თუ ამ თარიღს გავიზიარებთ, ყოვლად დაუშვებელი ხდება ჩვენი კულტურის IV ან თუნდაც III საფეხურის ძეგლების ჰასუნას კულტურასთან სავარაუდო სინქრონიზაციაზე მსჯელობაც კი, რადგანაც ეს უკანასკნელი დღეისათვის მკვლევართა უმეტესობის მიერ ძვ. წ. VI ათასწლეულითაა დათარიღებული<sup>4</sup> და გამოვა, რომ ჩვენ შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ორი ურთიერთმომდევნო საფეხურიდან ერთს VI ათასწლეულის ძეგლებს ვუდარებთ, ხოლო მეორეს — V ათასწლეულის II ნახევარსა და IV ათასწლ. დასაწყის ხანაში არსებულ კულტურას.

ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი ძეგლები, როგორცაა თელუთა, ალიკემეკ-თეფესი და ალბათ წოფიცი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი ჩრდილო ობეიდის კულტურის რადიოკარბონული თარიღების სისწორესაც, რომელიც ძირითადად IV ათასწლეულის შუა ხანებზე მოდის, საეჭვოდ მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ იგი უფრო ადრეული უნდა იყოს<sup>5</sup>.

რადიოკარბონული თარიღების გამოყენების დროს გასათვალისწინებელია ის საგრძნობი ვიდახებები, რომელიც ამ მეთოდს ახასიათებს<sup>6</sup>, რის საუკეთესო მაგალითსაც ჯერმო იძლევა<sup>7</sup>. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად აქვს, მაგალითად P. Watson, დასახ. ნაშრომი, გვ. 1240 — უგვიანესი ჰალაფი, ან პოსტალაფი დათარიღებულია ძვ. წ. 4515 ± 100 წლით; Н. Ф. Богословская, К проблеме происхождения халафской культуры, СА, 1972, № 2, გვ. 3; ნ. ბოგოსლუსკია აღნიშნავს, რომ ჰალაფის კულტურა თარიღდება ძვ. წ. VI ათასწლეულის ბოლოდან V ათასწლეულის მესამე მეოთხედამდე.

<sup>2</sup> A. A. Иессен, Из исторического прошлого..., გვ. 12.

<sup>3</sup> აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქიულ-თეფეს მტკვარ-არაქსული ფენის რადიოკარბონული თარიღი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ძვ. წ. 2930 ± 90, ზემოაღნიშნულ საკორექციო ფაქტორის გათვალისწინებით იძლევა თარიღს ძვ. წ. 3676 წ. — იხ. R. H. Dyson, The Hasanlu Project, 1961—1967, The Memorial Volume of the V-th International Congress of Iranian Art and Archaeology, vol. I, Tehran, 1972, გვ. 58.

<sup>4</sup> იხ. J. Mellaart, Earliest..., გვ. 12, ქრონოლ. ტაბულა — ჰასუნა-სამარის თარიღად მოცემულია ძვ. წ. 5700—5200 წწ.; P. Mortensen, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, ჰასუნას თარიღი—5900(?)—5000 წწ.; R. Dyson, Annotations..., ჰასუნა-სამარის თარიღი—5900—5000 წწ.; Н. Я. Мерперт, Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 161 — აღნიშნავენ, რომ ჰასუნას კულტურა მთელ VI ათასწლეულის განმავლობაში არსებობდა.

<sup>5</sup> В. С. Титов, Роль радиоуглеродных дат в системе хронологии неолита и бронзового века Передней Азии и Юго-Восточной Европы, Археология и естественные науки, М., 1965, გვ. 38; ვ. ტიტოვს „გაახალგაზრდავებულად“ მიაჩნია გერას XVIII—XVII ფენების თარიღი; J. Mellaart, Earliest..., გვ. 12, ქრონ. ტაბულა; ჩრდილო ობეიდის კულტურის თარიღად მოცემულია ძვ. წ. 4400—3800 წწ.

<sup>6</sup> იხ. В. С. Титов, დასახ. ნაშრომი, გვ. 40; В. М. Массон, Поселение Джейтун, გვ. 73—76.

<sup>7</sup> ჯერმოის 14 რადიოკარბონული თარიღიდან ერთი ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახევარზე მოდის (3316), ხუთი — V ათასწლეულის I ნახევარზე (4620, 4656, 4700, 4745, 4757), ერთი — VI ათასწლ. I ნახევარზე (5800), სამი — VII ათასწლეულზე (6000, 6570, 6880), ერთი — VIII ათასწლეულის ბოლოზე (7090), ერთი — IX ათასწლეულის შუა ხანებზე (8525) და ორი — X ათასწლეულის II ნახევარზე (9250 და 9290), იხ. F. Hole, K. Flannery, J. A. Neely, დასახ. ნაშრომი, ტაბულა 76, 79.

ლად შეიძლება. ამით ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ რადიოკარბონული თარიღების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, რომელიც თითქმის ყოველთვის უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, წასზე დაყრდნობა მეტად სათუთაა. ც. 4-ის თარიღების მიღება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ გვაქვს პის სერიები და ამავე დროს იგი არ ეწინააღმდეგება შეფარდებითი სტრატეგრაფიისა და ანალოგიების საფუძველზე მიღებულ პერიოდიზაციას<sup>7</sup>.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჰასუნას კულტურასთან სინქრონიზაციას მკაცრად, ჭეშმარიტად, პერიოდული საშუალო პიპოთეზის ფარგლებს არ სცილდება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებული მონაცემები იძლევა საკითხის ამგვარად დასმის შესაძლებლობას.

\* \* \*

შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკა, სადღესოდ ცნობილ უადრეს საფეხურზეც კი უკვე მწარმოებლური ხასიათისაა. აქ საქმე გვაქვს მწარმოებლური მეურნეობის უკვე ჩამოყალიბებულ ფორმასთან. რომელიც დაშორებულია მისი საწყისი, ჩანასახოვანი ეტაპისაგან<sup>8</sup>.

როგორც ჩანს, ჩვენი კულტურის განვითარების I საფეხურზევე საქმე უნდა გვეკონდეს შინაური საქონლის ყველა იმ სახეობასთან, რომლებიც მომდევნო საფეხურებზე გვხვდება — თხა, ცხვარი, ზროხა თუ ღორი აღრიდანვე ნოშინაურებული ჩანს<sup>10</sup>.

I საფეხურიდანვე ჩანს მიწათმოქმედების არსებობის ნიშნები<sup>11</sup>. აქ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ სამიწათმოქმედო იარაღების განვითარებაში შენიშნულ მეტად საინტერესო მოვლენაზე. ჩვენ კულტურის განვითარების პირველ ორ საფეხურზე სამიწათმოქმედო იარაღები მეტად პრიმიტიულია — ირმის რქის თოხები ყველა სატარე ნახვრეტის გარეშეა, ხელსაფეხავები არქაული ტიპისაა და შედარებით იშვიათად გვხვდება. როგორც ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად გავიკვამ, ნამგლები სწორი მოყვანილობისა ყოფილა, ე. ი. ფაქტიურად სამკველ დანას წარმოადგენდა, ჩასართებად კი გამოყენებულა ობსიდიანის ლამელები, ძირითადად, მეორადი დამუშავების გარეშე<sup>12</sup>. აქვე ვხვდებით მასიურ ქვებს, შუაში ფართო ნახვრეტით, რომლებიც საყოველთაო აღიარებით, „საჩიჩქნი ჯოხის“ დასამძიმებლად გამოიყენებოდა.

<sup>7</sup> ამ მხრივ საყურადღებოა გამოხრელთა მიერ ძვ. წ. 5500—5000 წლებით განსაზღვრული ზაბზის ფაზა დეპ-ლურანში, რომლის სამი რადიოკარბონული თარიღიდან ერთი ახალი წელთაღრიცხვით 490 წ. იძლევა, მეორე — ძვ. წ. 4790, ხოლო მესამე — ძვ. წ. 7100. იხ. F. Hole, K. V. Flannery, J. Neely დასახ. ნაშრომი, გვ. 334 და შემდეგ.

<sup>8</sup> იხ. В. С. Титов, დასახ. ნაშრომი, გვ. 41; В. М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

<sup>9</sup> А. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 199—200; აგრეთვე, თ. კილუროძე, შულავერის გორის ქვის ინდუსტრია, საისტ. კრებული, II, გვ. 294—295.

<sup>10</sup> А. Л. Цицишвили, Костные остатки животных из Шулаверн, სსმაეა, I, თბილისი, 1969, გვ. 27—35.

<sup>11</sup> თ. კილუროძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), გვ. 296.

<sup>12</sup> თ. კილუროძე, უძველესი ნამგლები შულავერის გორიდან, ასპირანტთა და ახალგაზრდთა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1970, გვ. 47, 48; აგრეთვე, Г. Ф. Коробкова, Т. В. Кигурадзе, К вопросу о функциональной классификации каменных орудий из Шулаверн-гора, КСИА, № 132, М., 1972, стр. 53—58.

პომდევნო, ე. ი. III საფეხურზე ჩნდება ირმის რქის თოხები გამჭოლი სატარე ნახერტით, სპეციალურად დამუშავებული ნამგლის ჩასართები, ე. წ. შომუ-თეფეს ტიპისა, რომლის ბუდეც მორკალულია და, აგრეთვე, უფრო განვითარებული ფორმის ხელსაფქვავებიც. ყოველივე ეს მიწათმოქმედების უფრო დაწინაურებაზე მიგვითითებს. აღარ ჩანს დასამძივებელი ქვები.

IV საფეხურზე იწყებს გამოჩენას და V საფეხურზე ფართოდ ვრცელდება კიდევ უფრო ეფექტური მიწის დასამუშავებელი იარაღები — ლულოვან თუ ბექის ძვალზე ნაკეთები თოხები „ზემოდან ჩახვრეტილი“ სატარეთი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის უადრეს საფეხურზეც კი საქმე გვაქვს მეურნეობის მწარმოებლურ ფორმებთან — მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან. ამ ორი დარგიდან როპელი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ძნელი სათქმელია, სავარაუდოა, რომ თანაბარი ხვედრითი წონისა.

მონადირეობასა და მეთევზეობას, როგორც ჩანს, მეორეხარისხოვანი, მხოლოდ დამხმარე როლი ეკავა.

ნანადირევი ჩანს: შულავერის გორაზე — ირემი, შველი და ტახი; იმირის გორაზე — ირემი, გარეული ცხვარი (*Ovis option Blythi*), დოშა (*Bison Bonasus Boj.*), გარეული ცხენი, კურდღელი, მელა, ხმელეთის კუ, 13 სახეობის ფრინველი; იშვიათად გვხვდებოდა თევზის ძვლები (ზუთხისებრი?); ხრამის დიდ გორაზე — ტახი, ირემი, შველი, ქურციკი, ნიამორი; აქვეა თევზის ძვლები (ერთ-ერთი მტკვრის წვერაა)<sup>13</sup>.

\* \* \*

საერთოდ, ადამიანთა საზოგადოების ისტორია ორ ეპოქად შეიძლება გაიყოს: საკვების მიმთვისებლობის ეპოქა და საკვების მწარმოებელი საზოგადოებრივი ეპოქა.

მწარმოებლური მეურნეობის უძველესი, წინააზიური კერის მასალების მიხედვით, მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა (რის შედეგადაც მოხდა შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება<sup>14</sup>, რა ოქმა უნდა, იმ გაგებით, როგორც საბჭოთა არქეოლოგებს ესმით ეს პროცესი<sup>15</sup>) როგორც საზღვარგარეთელი, პირველ რიგში რ. ბრეიდვედის, ისე საბჭოთა მეცნიერების მიერ ორ ძირითად სტადიად იყოფა — ჩანასახოვანი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სტადიად და ბინადარ მიწათმოქმედ — მესაქონლე ტომთა უადრეს, პრიმიტული ნამოსახლარების სტადიად. ზოგჯერ გამოყოფენ სასოფლო თემების შემდგომი განვითარების სტადიასაც, როდესაც ჩნდება გუთანი და იწყება გამწვევი ძალის გამოყენება, რასაც სამხრეთ-დასავ-

<sup>13</sup> განსაზღვრულია პალეონტოლოგ ო. ბენდუქიძის მიერ; ვსარგებლობთ რა შემთხვევით დიდ მადლობას მოგახსენებთ მას ამ ცნობის მოწოდებისათვის. მეურნეობის განსაზღვრის დროს მხოლოდ ზოგადი მსჯელობით შემოვიფარგლებით, რადგანაც ეს თემა ცალკე, სერიოზული და ღრმა კვლევის საგანია.

<sup>14</sup> ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოქახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953, გვ. 219.

<sup>15</sup> В. С. Титов, Первое общественное разделение труда. Древнейшие земледельческие и скотоводческие племена, КСИИ, 88, М., 1962, გვ. 10—25; И. Н. Хлопин, Возникновение скотоводства и общественное разделение труда в первобытном обществе. Сб. Ленинские идеи в изучение первобытного общества, рабовладения и феодализма, М., 1970, გვ. 94 და შემდეგ.

ლეთ აზიაში თან სდევს პირველი ტადრებისა და ქალაქების გაჩენა<sup>16</sup>. ადრესამიწათმოქმედოდ პირველი ორი სტადიის ძეგლები შეიძლება მივიჩნიოთ.

პირველ სტადიაზე ჯერ კიდევ ძლიერია არქაული, მეზოლითური ტრადიციები, მაგრამ ამასთანავე ჩნდება თვისებრივად განსხვავებული ახალი ელემენტები: ნამგლები თუ ნამგლოს ჩასართები, ხელსაფქვავეები და სხვ. ამ სტადიას განეკუთვნება ნატუფიის მეზოლითი და მის საფუძველზე შექმნილი იერიქონის უყერამიკო ნეოლითი A — პალესტინაში, ზავი-ჩემი, ქიარიმ-შაპირი, განჯ-ღარები და მლეფატი — ზაგროსის მთიანეთში<sup>17</sup>.

მეორე სტადია — ეს არის გამარჯვებული ახალი ეკონომიკის სტადია, რომლისთვისაც დამახასიათებელია თეფე-ტელის ტიპის ნასოფლარების გაჩენა. სადაც ალიზით ნაშენი ან თიხატყეპნილი ნაგებობებია დადასტურებული. მწარმოებლური ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე მიუთითებს კულტივირებული მარცვლეულისა და დომესტიცირებული საქონლის ძვლების აღმოჩენა. რ. ბრეიდუელი, რომელსაც ეკუთვნის მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბების ამგვარი დაყოფა, ამ სტადიას მიაკუთვნებს წინა აზიის ისეთ ნასოფლარებს, როგორცაა ჩაიონუ-თეფესი, ალი-კოში, ბეიდა, იერიქონის უყერამიკო ნეოლითი B, ჯარმო, ალი-აგპა, შემშარა, სარაბი, მერსინი, ჩათალ ჰუიუჯი, პაჯილარი. ჰასუნა, მატარა, სამარა, ტელ-ეს-სავანი, საჯჩე-გიოზი, ჰალაფი, ჩაგარ-ბაზარი, არპაჩია, თილკი-თეფე, თეფე-გურანი, პაჯი-ფირუზი, სილკი I, ჯეითუნი, ღალმა-თეფე და სხვ<sup>18</sup>.

ამვე სტადიას უნდა მივაკუთვნოთ მთლიანად შულავერ-შომუ-თეფეს კულტურაც<sup>19</sup>.

ან საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ ჩვენი კულტურას ეტაპობრივი ნომენკლატურის საკითხსაც — ნეოლითურია იგი თუ ენეოლითური. ჩვენ ამ საკითხს არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, რადგანაც ცნობილია, რომ დღეისათვის ტერმინებმა „მეზოლითი“, „ნეოლითი“, „ქალკოლითი-ენეოლითი“ დაკარგა განმსაზღვრელი მნიშვნელობა და რამდენადმე პირობითი ხასიათი მიიღო<sup>20</sup>. ქვეს განსაკუთრებით საგარძობი ზდება ბოლო წლებში წარმოებული გათხრების შედეგად წინა აზიის მაგალითზე, სადაც უყერამიკო ნეოლითის ძეგლებზე ლითონის ნივთების აღმოჩენის შემთხვევებიც გვაქვს (ალი-კოში, ჩაიონუ-თეფესი — იხ. ზემოთ, გვ. 118). / ვ. მასონი ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ახალი მასალები კიდევ უფრო მეტად უკარგავს მნიშვნელობას ტრადიციულ ტერმინებს „მეზოლითი“ და „ნეოლითი“, და თითქოს მოღალ იქცა მათი უარყოფაო. მართლაც, განაგრძობს იგი, მცირე აზიაში ლითონი და კერამიკა თითქმის ერთდროულად ჩნდება, ხოლო ქვის გახეხვა-გაპირიალების ტექნიკა ერთეულ შემთხვევებში ზედა-

<sup>16</sup> R. J. Braidwood, B. Howe, დასახ. ნაშრომი, გვ. 147—184; R. J. Braidwood, Prehistoric Men, გვ. 93 და შემდეგ; В. С. Титов, დასახ. ნაშრომი, გვ. 17; В. М. Массон, Средняя Азия и Древний Восток, გვ. 83. რ. ბრეიდუელი ხმარობს ტერმინს „ერა“, ვ. მასონი — „ეტაპს“. ამ შემთხვევაში ვ. ტიტოვის მსგავსად უფრო მიზანშეწონილად გვიჩვენება ტერმინ „სტადიის“ ხმარება.

<sup>17</sup> R. J. Braidwood, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> თ. კოდურაძე, შულავერის გორის ქვის ინდუსტრია, გვ. 296; А. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

<sup>20</sup> იხ. А. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 200 — უფრო ვრცლად მისი აზრი მოტანილი გვაქვს ზემოთ; В. М. Массон, Поселение Джейтун, გვ. 100.

პალეოლითურ კომპლექსებში იჩენს თავს, მახლობელი აღმოსავლეთის მეზოლითში კი ჩამოყალიბებული ტრადიციის სახეს იღებს. მაგრამ აღნიშნულის საფუძველზე, ტრადიციული, მეტად მოსახერხებელი ტერმინოლოგია კი არ უნდა უყუვავდეთ, არამედ უარი უნდა ვთქვათ მხოლოდ იმ ტენდენციებზე, რომ ტერმინი — „ნეოლითში“ დავინახოთ უნივერსალური ისტორიული ეპოქის აღნიშვნა. ვ. მასონის აზრით, ნეოლითი უპირველეს ყოვლისა არქეოლოგიური კლასიფიკაციის ტერმინია, რომელშიც მიზანშეწონილია პირობითად ვაჯულისხმობთ მიწათმოქმედ-მესაქონლეთა საზოგადოების განვითარების ადრეული პერიოდი<sup>21</sup>.

ა. მონგაიტი აღნიშნავს, რომ გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღები და კერამიკა ნეოლითის დამახასიათებელი, მაგრამ არა აუცილებელი ნიშნებია. ნეოლითის, როგორც ისტორიული პროცესის განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია სამეურნეო ხასიათის ნიშნები: გარდაქმნები საკვების მოპოვების წესში, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გავრცელება. ამასთანავე, მრავალი კულტურაა ისეთი, რომლის ეკონომიკაც დაფუძნებულია მონადირეობასა თუ მეთევზეობაზე და რომლისთვისაც უცნობია მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, მაგრამ ცნობილია კერამიკა და ქვის დამუშავების ახალი ტექნიკა, ე. ი. გახეხვა-გაპრიალება. აღნიშნულის საფუძველზე, ა. მონგაიტი წერს, რომ ნეოლითის განსაზღვრისათვის სამეურნეო კრიტერიუმში, ე. ი. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა, უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არა უნივერსალურია და თვლის, რომ ნეოლითის განსაზღვრისას უნდა დავეყრდნობთ ნიშანთა კომპლექსს, რომლიდანაც არ უნდა გამოვრიცხოთ არც კერამიკის და არც ქვის დამუშავების ახალი ხერხების გაჩენა. ამასთანავე, რომელიმე კულტურის ნეოლითადად მისაკუთვნებლად არ არის აუცილებელი ყველა ამ ნიშნის არსებობა<sup>22</sup>.

საერთოდ, ზღვარის გავლება ნეოლითსა და ენეოლითს შორის მეტად რთულია. ს. ლოიდი ჭერ კიდევ 1945 წ. აღნიშნავდა, თუ რამდენად პირობითია ნეოლითის გამოყოფა წინა აზიაში<sup>23</sup>. იგი ჯ. გარსტანგისა და მ. ბურკიტის მსგავსად ნეოლითსა და „პროტოქალკოლითს“ შორის გამოყოფად მოხატული კერამიკის გაჩენას მიიჩნევდა<sup>24</sup>. მოხატული კერამიკის მასიური წარმოების გავრცელებას ენეოლითის საწყისად სხვა მკვლევარებიც თვლიან<sup>25</sup>. თუ რამდენად პირობითია საკითხის ამგვარი დასმა, ჭარმოს მაგალითი გვიჩვენებს, სადაც უადრეს კერამიკას უკვე მოხატვა ახასიათებს<sup>26</sup>.

ჯ. მელარტი, რომელიც გვთავაზობს წინა აზიის პალეოლითის მომდევნო ხანის კულტურების შემდეგ პერიოდიზაციას — მეზოლითი, პროტონეოლითი, უკერამიკო ნეოლითი, კერამიკული ნეოლითის სხვადასხვა ვარიანტები, ქალკოლითი. ბრინჯაოს ხანა და ა. შ.<sup>27</sup> — აღნიშნავს, რომ ძელია ხანის გავლება ნეოლითურ და ქალკოლითურ პერიოდებს შორის წინა აზიის გარკვეულ

<sup>21</sup> В. М. Массон, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 160

<sup>22</sup> А. Л. Монгайт, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 197.

<sup>23</sup> S. Lloid, F. Safar, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 263—265.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> В. С. Титов, *Неолит Греции*, М., 1969, გვ. 7.

<sup>26</sup> R. J. Braidwood, B. Howe, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 63, pl. 15.

<sup>27</sup> J. Mellaart, *Catal Hüyük*, A. Neolithic Town in Anatolia, London, 1967, გვ.

ოლქებში. იგი კომპრომისულად არჩევს ჰალაფის პერიოდს, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. 5000 წლის შემდეგ იწყება. ჰალაფის პერიოდი შუა ქალკოლითურ ხანას წარმოადგენს მესოპოტამიასა და კილიკიაში და გვიანი ქალკოლითის დაძდეგს — ანატოლიაში, სადაც შუა ქალკოლითი ამჟამად გამოუცნობია, ხოლო გვიანი ქალკოლითის კვალი უშუალოდ ადრეულის შემდეგ ჩანს, ხოლო ბიბლოსის თანმიმდევრულ ფენებში იგივე ჰალაფის ხანა შუა ნეოლითურ პერიოდს უდრის<sup>28</sup>.

ფილიპ სპითი, ირანის ნეოლითის მიმოხილვისას, წერს, რომ 5000 წელი, მოქცეული ძვ. წ. 9000—4000 წწ. შორის შუა აღმოსავლეთის ისტორიაში არის „ნეოლითური რევოლუციის“ ხანა<sup>29</sup>. იგი აღნიშნავს, რომ რთულ პრობლემას წარმოადგენს ხაზის გავლება, რომელიც ნეოლითის დასასრულს აღნიშნავს. იგი ამ ზღვარს ძვ. წ. 4000 წლის ახლო ხანებში ათავსებს, თუმცა მიუთითებს, რომ აქ ზოგიერთი ქალკოლითურად განსაზღვრული ძეგლიც ექცევა<sup>30</sup>.

რ. მუნჩაევიც მიუთითებს, რომ ენეოლითური ეპოქის კულტურები მრავალ ნეოლითურ ნიშნის შეიცავს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნეოლითური ხახისაა, ამდენად გასაგებია თუ რატომაა ძნელი განისაზღვროს გვიანნეოლითურია თუ ენეოლითური ესა თუ ის ძეგლი<sup>31</sup>.

ვ. ტიტოვი აღნიშნავს, რომ ტერმინები ნეოლითი და ქალკოლითი საერთოდ სულ უფრო და უფრო იშვიათად იხმარება, ადგილს უთმობს რა რელიგიური და აბსოლუტურ ქრონოლოგიურ შეფასებას<sup>32</sup>. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ფ. პოლის, კ. ფლანერისა და ჯ. ნილის ნაშრომი, რომელშიც ძვ. წ. VIII—IV ათასწლეულთა ნამოსახლარებია შესწავლილ-განხილული და არსად არ არის ნახმარი ტერმინი ნეოლითი<sup>33</sup>.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად პირობითია „ნომენკლატურის“ საკითხი ადრესამიწათმოქმედო კულტურების ნუკლეარული, კლასიკური ცენტრებისათვისაც კი, სადაც არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლია შესწავლილი. ბუნებრივია, კიდევ უფრო ძნელი გადასაჭრელია ეს საკითხი აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის, სადაც ადრესამიწათმოქმედო კულტურის კვლევა ფაქტიურად ახალი დაწყებულია.

სწორედ აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით ვწერდით ზემოთ, რომ აქ საკითხს ჩვენ არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურა ზოგიერთი მკვლევრის მიერ გადაჭრითაა მიკუთვნებული გვიანეოლითის ხანაზე<sup>34</sup>. ვინაიდან ამგვარი მტკიცებისათვის სადღეისოდ მყარი საფუძველი არ არსებობს, საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ ჩვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ამ კულტურ-

<sup>28</sup> J. Mellaart, *The Chalcolithic and Early Bronze Age in the Near East and Anatolia*, Beirut, 1966, p. 15.

<sup>29</sup> Ph. E. L. Smith, *Iran, 9000—4000 B. C.: the Neolithic, Expedition*, v. 13, № 3—4, spring-summer, 1971, p. 6.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>31</sup> P. M. Мунчаев, *სადისერტაციო ნაშრომი*, გვ. 173.

<sup>32</sup> B. C. Титов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 7.

<sup>33</sup> об. Ю. А. Заднепровский, *დასახ. რეცენზია*, გვ. 285.

<sup>34</sup> Т. Н. Чубинишвили, *Некоторые особенности...*, გვ. 38, 43.

რის ხელაღებით ენეოლითისადმი მიკუთვნებამ გარკვეული გაუგებრობა შეიქმნა დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების დათარიღებაშიც<sup>35</sup>.

ჩვენი აზრით, შულავერ-შოპუ-თეფეს კულტურა თავისი ხასიათით უფრო მეტად ნეოლითურია, ვიდრე ენეოლითური. ყოველ შემთხვევაში კულტურის ადრეული საფეხურები მანც გვიან ნეოლითს უნდა ეკუთვნოდეს. მიუხედავად იმისა, თუ რა აზრს ჩავდებთ ამ ცნებაში. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ჩვენი კულტურის ადრეული საფეხურების მასალებს მთელი რიგი პარალელები მოეძებნება წინა აზიის ადრეკერამიკულ, ზოგ შემთხვევაში კი უკერამიკო კომპლექსებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შულავერ-შოპუ-თეფეს კულტურის II საფეხურისა და დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების კერამიკაში შენიშნული საგრძნობი დამთხვევების არსებობა. განსხვავებანი ჩვენი კულტურისა და დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების ქვის ინდუსტრიაში გამოწვეული უნდა იყოს ამ უკანასკნელში მწარმოებლური ეკონომიკის შედარებითი სისუსტით და ტრადიციული დარგების სიცოცხლისუნარიანობით, რასაც ხელს უწყობდა ეკოლოგიური ფაქტორი<sup>36</sup>. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითში მეურნეობის მწარმოებლური ფორმების გვიან გამარჯვებაზე, ზოგჯერ კი ნეოლითის განვითარების ბოლო საფეხურზე გაჩენაზე მიუთითებენ რ. მუნჩაევი<sup>37</sup>, ა. ფორმოზოვი<sup>38</sup> და, გარკვეული აზრით, თვით ლ. ნებეირიძე<sup>39</sup>.

ჩვენი კულტურის ადრეული საფეხურების გვიანნეოლითით განსაზღვრის სასარგებლოდ ლაპარაკობს აქ აღმოჩენილი ქვის ინვენტარის მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება, მკვეთრად გამოხატული ლამელარული ტექნიკა. იარაღებში საჭრისების წამყვანი როლი, საფხეკ-სახოკი იარაღების სიმრავლე და სხვა. ამ მხრივ საინტერესო სურათს იძლევა ციფრობრივი მონაცემების მეტად ზოგადი შეფარდება ზოგიერთ ნეოლითურ და ენეოლითურ ძეგლთან. მაგ., ანასეულ I ნატყეცი ქვის ნივთების საერთო რაოდენობა უდრის 3 957 (რომელთა შორისაც ანატყეც-ანამტყერეუების საერთო რაოდენობა შეადგენს 2 300, ე. ი. ნახევარზე მეტს), ანასეულ II — 8 272 (მათ შორის ანატყეც-ანამტყერეუბია 6 260, ე. ი. 2/3-ზე მეტი), ოდიშში — 3 899 (ანატყეც-ანამტყერეუბია 1 820, ე. ი. დაახლოებით 45%)<sup>40</sup>, ჯეითუნზე, სადაც ერთი სამშენებლო პორიზონტი მთლიანად იქნა გათხრილი — 6 474<sup>41</sup>, ჰაჯილარში — 667 (აქედან უკერამიკო ფენებში ნაპოვნია 11, კერამიკიანი ნეოლითის ფენებში — IX—33, VIII—14, VII—1, VI—485; ენეოლითურ ფენებში — V—11, IV—6; III—0, II—82, I—24 ერთეული)<sup>42</sup>, ბელტის ნეოლითურ ფენებში — 139

<sup>35</sup> იხ. ლ. ნებეირიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, გვ. 83.

<sup>36</sup> А. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. XIV, XV; ი. ჭაფარიძე, ქაჯახიშვილი, უძველესი..., გვ. 11.

<sup>37</sup> Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

<sup>38</sup> А. А. Формозов, О соотношении неолитических и энеолитических культур Кавказа, КСИА, 137, М., 1973, стр. 36—41.

<sup>39</sup> ლ. ნებეირიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101 და შშდ.

<sup>40</sup> ოდიშის, ანასეული I და II-ის ციფრობრივი მონაცემები აღებულია ლ. ნებეირიძის დასახ. ნაშრომიდან.

<sup>41</sup> В. М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, ცხრილი I.

<sup>42</sup> P. Mortensen, Chipped Stone Industry, ქ. მელაარტის წიგნში «Excavations at Hacilar», გვ. 154, 156.

(აქედან ადრე ნეოლითურში — 13)<sup>43</sup>, ამუკის A და B ფაზაში — 1732, F—H ფაზებში კი — 633<sup>44</sup>; მატარაში — 1116<sup>45</sup>, ხოლო ტელ-შიშარას ქვედა (მე-9, მე-16) ფენებში — 910<sup>46</sup>. იმ დროს როცა შულავერის გორაზე, სადაც გათხრების მასშტაბი შედარებით შეზღუდული იყო, სტრატოფიციკრებულ ფენებში მოპოვებული ნატკეცი ქვის ინვენტარის საერთო რაოდენობა უდრის 2 021 (გარდა ამისა, ათასამდე ნივთი ზედაპირულადაა აკრეფილი), იმირის გორაზე კი — 7 168. ორივე ძეგლზე მოპოვებული ობსიდიანისა და კაყის ნივთების 60—70% ფუნქციონალურად იარაღს წარმოადგენს.

შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ადრეული საფეხურების ნეოლითურად განსაზღვრის სასარგებლოდ მეტყველებს აქ აღმოჩენილი კერამიკის საოცრად მცირე რაოდენობა და მისი მეტად პრიმიტიული სახე, რომელიც, ვ. მასონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამეთუნეო წარმოების პირველი ნაბიჯების შთაბეჭდილებას ტოვებს“<sup>47</sup>. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ოდიშისა და ანანეთის II კერამიკასთან შედარებით შულავერის გორის ნაწარმს უფრო აქაულო იერა აქვს.

შულავერის ტიპის ძეგლების ნეოლითურობის შესახებ აზრი მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის. მათი ნეოლითისადმი მიკუთვნების აზრი გამოთქმული აქვთ ო. ჯაფარიძესა და ა. ჯავახიშვილს<sup>48</sup>, ნ. ბერძენიშვილს<sup>49</sup> და შ. დედაბრიშვილს<sup>50</sup>. გვიანნეოლითურ „მოვლენებს“ ახსენებს ი. ნარიშანოვიც ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში<sup>51</sup>, თავი რომ დავანებოთ დ. რუსტამოვთან ერთად მის მიერ ადრე გამოთქმულ აზრს თორია-თეფეს ნეოლითურობის შესახებ<sup>52</sup>. რ. ტოროსიანი ხათუნარხს, რომელიც ჩვენი კულტურის მოგვიანო საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს, ნეოლითურად განსაზღვრავს<sup>53</sup>. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ პ. ბორისკოვსკი კავკასიის ნეოლითური ძეგლების დახასიათების დროს შულავერს, ოდიშისა და კისტრიკის წინ მოიხსენიებს<sup>54</sup>.

ჩვენი ძეგლების ნეოლითისადმი მიკუთვნების საწინააღმდეგოდ ხშირად არგუმენტად მოაქვთ ის ფაქტი, რომ მის ქვის ინდუსტრიას არ ახასიათებს

<sup>43</sup> C. Coon, დასახ. ნაშრომი, გვ. 69 და შშდ.

<sup>44</sup> Joan Crowfoot Payne, Flint Implement from Tell Al-Judaideh, იბ. დანართო I, წიგნი — R. J. Braidwood, L. S. Braidwood, Excavations in the Plain of Antioch.

<sup>45</sup> R. J. Braidwood et al., Matarrah, გვ. 20.

<sup>46</sup> P. Mortensen, Tell Shimshara, ტაბ. 33.

<sup>47</sup> B. M. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

<sup>48</sup> ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის... გვ. 295; მათივე, უძველესი მიწათმოქმედი..., გვ. 37—38; ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის უძველესი ნასოფლარები, „ძეგლის მუგზბარი“, № 30, გვ. 30; А. И. Джавахишвили, Строительное дело..., გვ. 200.

<sup>49</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ნეოლითური კულტურის საკითხისათვის, გვ. 16.

<sup>50</sup> შ. დედაბრიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითის საკითხისათვის, გვ. 16—17.

<sup>51</sup> И. Г. Нариманов, О некоторых поздненеолитических и энеолитических археологических явлениях в Азербайджане, стр. 39.

<sup>52</sup> И. Г. Нариманов, Д. Н. Рустамов, Неолит в Тойротепе.

<sup>53</sup> P. M. Торосян, Г. А. Микаелян, С. Г. Деведжян, დასახ. ნაშრომი, გვ. 386.

<sup>54</sup> БСЭ, третье издание, т. II, М., 1973, стр. 264.



მიკროლითური ტექნიკა და აქ არ გვხვდებოდა გეომეტრიული ფორმის მიკროლითები; მეორეც, რომ აქ მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბებულ ფორმებთან გვაქვს საქმე.

დაეწყოთ ამ უკანასკნელით. განა ნეოლითის განსაზღვრა ოდესმე ვუღიანებოდა ან ახლა გულისხმობს, რომ გვიან ნეოლითში იწყება შინაური საქონლის დომესტიკაცია და მარცვლეული კულტურების კულტივაცია? რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია — არა, პირიქით, სწორედ იმიტომ გავრცელდა ასე ფართოდ ტერმინი „ნეოლითური რევოლუცია“, რომ საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე უკვე დასრულებულია, მართლაც რომ, რევოლუციური გარდაქმნა ადამიანის შრომით საქმიანობაში, რომელიც რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში ყალიბდებოდა. სხვა საკითხია, რომ ეს გარდაქმნები სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მოხდა, ხოლო ზოგან გვიან შევიდა მზაშარეული ფორმით.

რაც ეჭვება მეორე არგუმენტს — მიკროლითების არსებობის საკითხს, ეს კიდევ უფრო ნაკლებგანმარტვრელი ნიშანი ჩანს ნეოლითისათვის. ჩვენ ზემოთ (გვ. 117—118) არაერთი მაგალითი მოვიტანეთ იმისა, რომ ბევრ არქეოლოგიურ კულტურაში, ხშირად წინაერამიკულშიც კი, სადაც მეურნეობის მწარმოებლური ფორმები მეტ-ნაკლებად აშკარად გამოხატული საბითაა წარმოდგენილი; ვხვდებით დიდი ზომის ფართო და გრძელი ლამელების გავრცელებას, იმ დროს როცა მათთვის უცხოა მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები. სწორედ მწარმოებლური მეურნეობის ძირითად ცენტრებში ვხვდებით ამგვარ მოვლენას. უფრო მეტიც, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე, სადაც, როგორც ირკვევა, მეურნეობის მწარმოებლური ფორმები ძვ. წ. VI ათასწლეულში „გადასულია“ წინა აზიიდან, კერძოდ ანატოლიიდან<sup>55</sup>, მიწათმოქმედი და მესაქონლე ტომების განსახლება, უფრო ზუსტად კი, მწარმოებლური ეკონომიკის გავრცელება, უკავშირდება „კაჟის ლამელების მიკროლითური ინდუსტრიის“ გავრცელებას. რ. ტრინგჰემი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, ერთი მხრივ, მონადირენი და შემგროვებლები, ხოლო, მეორე მხრივ, მიწათმოქმედები, სხვადასხვა, ერთმანეთთან შეუთავსებელ ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრობენ. პირველნი ერიდებიან ნაყოფიერ ლიოსურ პლატოებს, მაშინ როცა მიწათმოქმედნი საცხოვრებლად ირჩევენ ტყის წაბლა ნიადაგებს, მდინარისპირა ალუვიურ დაბლობებსა და ლიოსურ ნიადაგებს. ამას გვიჩვენებს ორი, მკვეთრად განსხვავებული ქვის ინდუსტრიის გავრცელება: პირველისათვის დამახასიათებელია „ლამელებისა და ტრაპეციების მიკროლითური ინდუსტრია“, რომელიც „მაკროლითური ლამელების ინდუსტრიაზე“ უფრო ადრე და მის სინქრონულადაც არსებობდა, მაგრამ სხვა, მიწათმოქმედებისათვის ნაკლებად გამოსადეგ ტერიტორიებზე. ამ ორი ინდუსტრიის მატარებელ მოსახლეობას შორის მნიშვნელოვანი კონტაქტი არსად არ არის დადასტურებული. მათი სხვადასხვა ტერიტორიაზე გავრცელება ხაზს უსვამს მეზოლითურ და ადრენეოლითურ კომპლექსებს შორის არსებულ „წყვეტილს“, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობია იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც მეზოლითური ფენები დაფარულია ადრე ნეოლითურით. სამხრეთ-აღმოსავლეთ

<sup>55</sup> В. С. Титов, Древнейшие земледельцы в Европе, сб. «Археология Старого и Нового света», М., 1966, гл. 25—37.

ევროპის ტერიტორიის დიდ ნაწილზე მეზოლითსა და ადრენეოლითს შორის კავშირის უქონლობა მტკიცდება ადრენეოლითურ კომპლექსებში მეზოლითური ელემენტების (მიკროლამელები, გეომეტრიული ფორმის მიკროლითები და ა. შ.) არარსებობით. სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ადრენეოლითულ მიწათმოქმედებს ბევრად მეტი აქვთ საერთო მახლობელი აღმოსავლეთის კულტურებთან, სადაც ბევრად უფრო ადრე ვხვდებით „მაკროლითური ლამელების ინდუსტრიასაც“. საყურადღებოა, რომ, როგორც ამას რ. ტრინგემი აღნიშნავს, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ადრენეოლითურ ნამოსახლარებზე თხა, ცხვიარი, ღორი და ძროხა უკვე სრულიად მომინაურებულია<sup>56</sup>.

მიკროლითების გავრცელების საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას გავაძახებოვლებ ერთ სარტერესო მოვლენაზე. ჩვენს კულტურაში ისე ჩანს, რომ ისინი განვითარების ბოლო საფეხურებზე ჩნდება, ისიც უმნიშვნელო რაოდენობით. არქეოლოგიურ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებაა, რომ გეომეტრიული ფორმის მიკროლითები მეზოლითური ტრადიციის გადმონაშთია და რომ ნეოლითური კულტურის განვითარებასთან ერთად თანდათანობით კლებულობს მათი რაოდენობა, ენეოლითის ხანაში კი მხოლოდ გადმონაშთის სახით არსებობს — არ ეთანხმება ჩვენს ძეგლებზე გამოვლენილ ფაქტიურ ვითარებას. მსგავს ვარაუდებს ვხვდებით დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითშიც, სადაც ისე ჩანს, რომ ადრეულ (ე. ი. უკერამიკო) საფეხურზე მიკროლითები იშვიათია და მხოლოდ ტრაპეციებიტაა წარმოდგენილი, გვიან საფეხურზე კი მათი რაოდენობა საგრძობლად იზრდება და ტრაპეციებთან ერთად გვხვდება სეგმენტებიცა და სწორკუთხედებიც (მაგ., ანასეული I კულტურაში ნაპოვნია სულ 10 ტრაპეცია, კინტრიშის „ნამოსახლარების“ დაბანაკებისას გეომეტრიული ფორმები საერთოდ არ არის მოხსენიებული, ანასეულ II კი გვხვდება 92 ტრაპეცია, 76 სეგმენტი და 40 ზურგათილი სწორკუთხედი, ოდიშში — 18 (თუ 22) ტრაპეცია, 5 სეგმენტი და 3 სწორკუთხედი; დიდი რაოდენობითაა გეომეტრიული მიკროლითები კისტრიკში; მათ ვხვდებით გურჯაანთან და მამათში და სხვ.)<sup>57</sup>. აღნიშნული ვითარების ახსნა მხოლოდ ტრადიციის გაგრძელებით, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს მართებული, სინამდვილეში სავარაუდოა, რომ მოვლენათა რთულ კომპლექსთან უნდა გვეკონდეს საქმე როგორც დასავლეთ ამიერკავკასიაში, ისე შულავერ-შომუ-თეფეს კულტურაში. ამ მოვლენის გასარკვევად არც ლ. ნებიერიძის მიერ უკანასკნელ ხანებში წამოყენებული მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს საესებით დამაკმაყოფილებლად, რომლის მიხედვითაც, გეომეტრიული მიკროლითები მიმოვისებულური მეურნეობისთვისაა დამახასიათებელი<sup>58</sup>. საკითხის

<sup>56</sup> იხ. Л. С. К л е й н, рец. на кн. «Studies in Ancient Europe. Essays presented to Stuart Piggot.» Leicester University Press, 1968, განსაკუთრებით Ruth Tringham. A Preliminary Study of the Early Neolithic and Latest Mesolithic Blade Industries in Southeast and Central Europe, p. 45—70, CA, 1972, № 3, გვ. 386; აგრეთვე, R. Tringham. Hunters, Fishers and Farmers of Eastern Europe 6000—3000 B. C. London, 1971.

<sup>57</sup> მონაცემები ამოკრფილია ლ. ნებიერიძის ნაშრომიდან „დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი“, იხ. აგრეთვე ილ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ნეოლითი (ახალი ქვის ხანა), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 120, 125.

<sup>58</sup> ეს აზრი ლ. ნებიერიძის ვატარებული აქვს ნაშრომში „მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში“ (თბ., 1974, ხელნაწერი), რომელიც მოხსენების სახით წაკითხულ იქნა ისტორიის ინსტიტუტის ქვის ხანისა და ენეოლით-ბრინჯაოს ხანის განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე 1974 წლის მარტში.

ამგვარად დასმის შემთხვევაში ვერაფრით ვერ აეხსნით მათ არსებობას მაიკოპის კულტურაში და მით უმეტეს მაიკოპის ყორღანში.

\* \* \*

ჩვენ კვლევას ძირითადი მიზანი იყო მოგვეცა შულავერ-შომჟ-თეფეს კულტურის პერიოდიზაცია, რომლის შექმნაც სადღეისოდ არსებული მასალების საფუძველზე იყო შესაძლებელი. სხვა საკითხებს მხოლოდ ზოგადად შევხებით იმდენად, რამდენადაც პერიოდიზაციის დადგენასთან დაკავშირებით ვცხირდებოდა.

ერთ-ერთი მთავარი სირთულეთაგანი, რომელსაც ამ კულტურის შესწავლისას ვაწყდებით, ეს არის მისი წარმომავლობის ჭრჭერობით დაუდგენლობა. ეს საკითხი კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია სამხრეთ კავკასიაში მწარმოებლური ეკონომიკის ჩასახვა-ჩამოყალიბების პრობლემასთან, რომელიც, შეიძლება ითქვას რომ, ფაქტიურად შეუსწავლელია.

მკვლევართა უმეტესობა, რომელიც შულავერ-შომჟ-თეფეს კულტურის წარმომავლობას შეხებია, თვლის, რომ იგი ადგილობრივად ჩამოყალიბებულა<sup>59</sup>, რააც ამ კულტურის თვითმყოფადი სახე ანტიკიცებს; ამასთანავე, ამიერკავკასიაში მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, როგორც ჩანს, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ოლქებიდან მომდინარე საგარეო იმპულსებს. ამ იმპულსებს, რომლის ხაზიათივ ჭრჭერობით ძნელი დასადგენია, სავარაუდოა, რომ ხელს უწყობდა ჭრ კიდევ ზედა პალეოლითის ხანაშივე შენიშნული ობსიდიანით „ვაჭრობაც“<sup>60</sup>.

სამწუხაროდ, შულავერ-შომჟ-თეფეს კულტურის უშუალოდ წინამორბედი ხანის ძეგლები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჭრჭერობაა მიკვლეული არ არის. მისი დაკავშირება დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლებთანაც არ ხერხდება, რადგანაც ამ შემთხვევაში ორ, განსხვავებულ ქვის ინდუსტრიასთან გვაქვს საქმე<sup>61</sup>.

ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ შულავერ-შომჟ-თეფეს კულტურის უადრესი ძეგლები ქვემო ქართლშია განლაგებული. ამდენად სავარაუდოა, რომ აღნიშნული კულტურის საწყისებიც ამავე ტერიტორიაზე იყო საძიებელი<sup>62</sup>. ამჟამად მხოლოდ ერთი რამის აღნიშვნა შეიძლება დანამდვილებით: ჩვენი კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე, ჭრჭერობით მასზე უფრო ადრე-

<sup>59</sup> ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ა. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), გვ. 297; მ ა თ ი ე, უძველესი მიწათმოქმედი... გვ. 11; А. И. Джавახишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 364—365; Р. М. Мунчаев, სადსერტაციო ნაშრომი, გვ. 261; В. М. Массон, Поселение Джейтун, გვ. 124; თ. კ ი ლ უ რ ა ძ ე, შულავერის გორის ქვის ინდუსტრია, საქ. საზ. მეზუუმის XVII სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 15.

<sup>60</sup> შდრ. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 119, 123; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., გვ. 56, 171; ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, აღრისპირაში კულტურის ძეგლები ქვემო ქართლში, მაცნე, იაბი სერია, 1973, № 4, გვ. 108.

<sup>61</sup> თ. კ ი ლ უ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>62</sup> შდრ. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ა. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის..., გვ. 297.

ული მხოლოდ მეზოლითური ძეგლებია<sup>63</sup>, მაგრამ მათი დაკავშირება ერთმანეთთან გარდასავალი საფეხურის ძეგლების შეუსწავლელობის გამო მეტად ჭირს, თუმცა საკმაოდ პერსპექტიულად გვესახება. საყურადღებოა, რომ თრიალეთის მეზოლითი ახლო მსგავსებას იჩენს ზარზის ტიპის ძეგლებთან<sup>64</sup>. სადღესობად დადგენილია, რომ ზარზის ტიპის ძეგლების განვითარებამ მოგვცა ძველთა შემდეგი თანმიმდევრობა — ზავი-ჩემი, ქარიმ-შაპირი, მღვთატი, განჯ-დაკუზ (განჯდარე) და, ბოლოს. ჭარმო<sup>65</sup>. ჭარმოს კულტურა კი ითვლება, რომ წინ უსწრებს ჰასუნას, სამარასა და ჰალაფის ქრონოლოგიურად ურთიერთმონაცვლე კულტურებს ჩრდილო მესოპოტამიაში<sup>66</sup>. თუ ვიგულისხმებთ, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ყოველ შემთხვევაში, ქვემო ქართლში, სადაც ზარზის ტიპის კულტურასთან მატერიალური კულტურით და, ალბათ, ქრონოლოგიურად, ახლოს მდგომი მეზოლითის მეტ-ნაკლებად მსგავს „გარდაქმნასთან“ უნდა გვექონდეს საქმე, მაშინ თრიალეთის მეზოლითურ კულტურასა და შულავერის ფორას შორის ჩრდილო ერაყის ძეგლების შესაბამისი რამდენიმე არსებობაა სავარაუდებელი<sup>67</sup>.

აქვე უნდა შევხვთ ჩვენი კულტურის შემდგომი განვითარების საკითხსაც, რომელიც წარმომავლობის საკითხზე არანაკლებ რთულად დგას.

შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ზედა ქრონოლოგიური თარიღის დადგენის დროს აუცილებლად ყურადსაღებია მტკვარ-არაქსის კულტურის ქვედა თარიღი. ამიტომ მოკლედ შევეხებით ამ ორი კულტურის ურთიერთდამოკიდებულებას.

აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის უადრესი ძეგლები ქვემო ქართლშია მიკვლეული, რაც მკვლევართა ერთ ნაწილს ავარაუდებინებს, რომ ამ კულტურის ჩამოყალიბება და ფორმირება ქვემო ქართლსა და მის მიმდებარე რაიონებში ხდებოდა<sup>68</sup>. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მტკვარ-არაქსის

<sup>63</sup> Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 122, 123; Л. Н. Маруашвили, *Зуртакетская палеолитическая стоянка в Южной Грузии и ее геологическое значение*, «Природа», № 12, 1946, გვ. 56—62; ალ. კალანდაძე, გვიანი (ზედა) პალეოლითი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 111; М. К. Габуния, *Триалетская мезолитическая культура*. Автореферат дисс. на соиск. уч. степ. кандидата исторических наук, Тбилиси, 1970. უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეული ნეოლითურად განსაზღვრული ძეგლის (მათ შორის ქოსლარისა და წინწყაროსიც) ასაკი და უსტებას მოითხოვს და, როგორც ჩანს, შულავერ-შომუ-თეფეს კულტურაზე ადრეული არ უნდა იყოს.

<sup>64</sup> М. К. Габуния, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 20—21; იხ. აგრეთვე, И. И. Коробков, *Исследования палеолита в Ираке*, сб. «Археология Старого и Нового Света», М., 1966, გვ. 134; Н. О. Бадер, *Различия между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока*, იქვე, გვ. 136, 142. А. Н. Каландадзе, *Разыскания по археологии доантичной Грузии*, Автореферат дисс. на соиск. уч. степени доктора исторических наук, Тбилиси, 1969, გვ. 49.

<sup>65</sup> იხ. R. J. Braidwood, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 101; R. J. Braidwood, V. Howe, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 147 და შმდ. И. И. Коробков, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 133; В. И. Сариянди, *реп. «Archaeologia Viva»*, v. 1, № 1, Tehran, 1968 — CA. 1971, № 3, გვ. 292 და სხვ.

<sup>66</sup> იხ. В. М. Массон, *Средняя Азия и Древний Восток*, გვ. 51 და შმდ.

<sup>67</sup> შმდ. ტ. ჩუბინიშვილი, *ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები...*, გვ. 109.

<sup>68</sup> გ. ფხაკაძე, *ქვემო ქართლის ენეოლითი*, გვ. 127; О. М. Джапаридзе, *Культура раннеземледельческих племен на территории Грузии, VII международный конгресс антропологов и этнографов*, М., 1964, გვ. 7; ი. ქაფარიძე, *არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში*, გვ. 224; გ. შირცხულავე, *საშვილდის უძველესი ლითონის ხანის*

კულტურა ყველგან ერთდროულად არ „ცვლის“ შულავერ-შომუ-თეფეს კულტურას<sup>66</sup>. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხური სადღეისოდ ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებითა და მეორე ნახევრით თარიღდება<sup>70</sup>. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურსა და ჩვენი კულტურის მასალებს შორის უშუალო გაგრძელება — მემკვიდრეობა არ შეინიშნება. მართალია, ამ ორივე კულტურის კერამიკაში ზოგი რამ საერთო შეინიშნება, მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი მათ შორის უშუალო მემკვიდრეობის დასადგენად. ჩვენი აზრით, შულავერ-შომუ-თეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურებს შორის „ჩრდილო ზონაში“ კი, ე. ი. მტკვრის ზედა და შუა წელში, სადაც იგულისხმება, რომ კავკასიის სხვა ტერიტორიებთან შედარებით ყველაზე ადრე იწყება „მტკვარ-არაქსის“ ელემენტების შეღწევა თუ ფორმირება<sup>71</sup>, ქრონოლოგიურად და, ალბათ, კულტურულადაც განსხვავებული გარკვეული შუალედური ეტაპი უნდა არსებობდეს<sup>72</sup>. ამგვარი ვარაუდის საფუძველს უკვე იძლევა ზოგიერთი ძეგლი, მაგ., წოფი, სამშვილდის ნაშოსახლარის ქვედა ფენა, თელუთა, მულანის (მიშარ ჩაის და გურუდერეს ჩუფუების) ზოგიერთი ძეგლი და ა. შ.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ უფრო კონკრეტული მსჯელობისათვის მყარი საფუძველი ჩერჩვრობით არ არსებობს და იძულებული ვართ ჰიპოთეზებით შემოვიფარგლოთ. რა თქმა უნდა, ჩვენი კულტურისათვის რიგი ასახებითი საკითხების გარკვევის თვალაზრისით, ყველაზე უფრო საშუა და აწვევს დროს პერსპექტიულ პრობლემად სწორედ წინამორბედ და მომდევნო ხანის ძეგლების გამოვლენა-შესწავლა და მათი ურთიერთობის დადგენა უნდა ჩაითვალოს.

ძეგლები და მტკვარ-არაქსის კულტურა ქვემო ქართლში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1972 (ხელნაბეჭდი), გვ. 2, 117; ი. კიკვიძე, ხიზანანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972, გვ. 90; შ. მენაბდე, თრიალეთი გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1973 (ხელნაბეჭდი), გვ. 6.

<sup>66</sup> იხ. ა. ი. დჟავახიშვილი, Строительное..., გვ. 100, 101, 220—223.

<sup>70</sup> დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955, გვ. 66; ი. ჭაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ., 1955, გვ. 53; მ. ი. გეგე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 119—121; А. А. Иессен, Кавказ и древний Восток..., გვ. 4; Л. Глонтя, А. Д ж а в а х и ш в и л и, Г. Д ж а в а х и ш в и л и, Я. К и к в и д з е, Д. Т у ш а б р а м и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 11; Г. И. Мирцхулава, Памятники эпохи древнего металла Самшвилде и Куро-Аракская культура Квемо Картли, Автореферат дисс. на соиск. уч. степени кандидата исторических наук; А. И. Д ж а в а х и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 100, 101 და სხვ.

<sup>71</sup> იხ. ი. ჭაფარიძე, ა. ჭავჭავაძის, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), გვ. 298; ი. ჭაფარიძე, არქეოლოგიური ვახტანგის თრიალეთში, გვ. 224; А. И. Д ж а в а х и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 100, 101 და სხვ.

<sup>72</sup> შდრ. А. И. Д ж а в а х и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

## ПЕРИОДИЗАЦИЯ РАННЕЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ ВОСТОЧНОГО ЗАКАВКАЗЬЯ

Резюме

Исследование процесса становления производящего хозяйства — так называемой неолитической революции, путей, форм и последствий ее развития относится к наиболее актуальным проблемам общей археологии. Этот процесс является объектом интенсивного изучения как у нас в Советском Союзе, так и за рубежом. Его исследование носит глобальный характер. За последнее время выявлено множество новых памятников и культур, относящихся к эпохе формирования производящего хозяйства. К их числу относятся и поселения раннеземледельческой культуры Восточного Закавказья, которое является одним из древнейших очагов производящего хозяйства на территории СССР.

